

2019 წლის 20-21 ივნისის  
მოვლენებთან დაკავშირებული  
სისხლის სამართლის

ირაკლი ოქრუაშვილის  
წინააღმდეგ მიმდინარე  
სისხლის სამართლის

გიორგი რურუას  
სისხლის სამართლის

რბი უგულავას  
წინააღმდეგ მიმდინარე  
სისხლის სამართლის  
სამართლებრივი  
მოქმედება

დისტანციურ  
წინააღმდეგობასთან  
დაკავშირებული  
პრობლემები  
საინფორმაციო  
ტექნოლოგიების  
შეყენებისა

ნიკა გვარამიას  
წინააღმდეგ მიმდინარე  
სისხლის სამართლის  
სამართლებრივი

# სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მონიტორინგი

2020



# სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მონიტორინგი



ანალიტიკური დოკუმენტების კრებული  
მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ავტორი: გიორგი ტყაბუჩავა  
რედაქტირება: ალექო ხეიტიშვილი, გიორგი კაკუბავა  
მონიტორები: ანი ფორჩხიძე, თამარ ქურთაული,  
ნინო ჩიხლაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია **ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)** დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

### **ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შამდეგი საერთაშორისო ქსელის წევრი:**

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); [www.fidh.org](http://www.fidh.org)
- წამების სანინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); [www.omct.org](http://www.omct.org)
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი [www.humanrighshouse.org](http://www.humanrighshouse.org)
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); [www.coalitionfortheicc.org](http://www.coalitionfortheicc.org)

### **მისამართი:**

0160 თბილისი, ა. გახოვიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: [hridc@hridc.org](mailto:hridc@hridc.org)

ვებ-პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge)

ვებ-საიტი: [hridc.org](http://hridc.org)



**National Endowment  
for Democracy**

*Supporting freedom around the world*

*ანალიტიკური დოკუმენტების კრებული მომზადდა ფონდის „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.*

## სარჩევი

გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება -----	4
2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი -----	36
საპროცესო შეთანხმებების დადების პრაქტიკა -----	65
ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება -----	76
გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი ანალიზი -----	117
ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება -----	136
დისტანციურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები კორონავირუსის პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში -----	161

# თავი

1

გიორგი უგულავას  
წინააღმდეგ მიმდინარე  
სისხლის სამართლის  
საქმეების სამართლებრივი  
შეფასება

## შესავალი

საქართველოში, უკანასკნელი წლების განმავლობაში, რამდენიმე პოლიტიკური ლიდერის წინააღმდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა კვლავ აქტუალურს ხდის საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი სანდოობის პრობლემას.

რიგ შემთხვევებში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში პოლიტიკური ლიდერების მიცემა ბადებს არცთუ უსაფუძვლო ეჭვებს პოლიტიკური მოტივების არსებობის შესახებ, როგორც ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში, ისე საერთაშორისო პარტნიორებში.

საქართველოს ხელისუფლებისადმი მზარდი ბრალდებების მიუხედავად, ოპოზიციური პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირების სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის საკითხისადმი საზოგადოებაში არ არსებობს ერთიანი პოზიცია.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტის მიზანია, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება.

ქალაქ თბილისის ყოფილი მერი, გიორგი უგულავა არის გამოკვეთილი ოპოზიციური პოლიტიკური ფიგურა, ვის წინააღმდეგაც მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, შესაძლოა, იკვეთებოდეს ხელისუფლების დაინტერესება და შესაბამისად - პოლიტიკური მოტივები. ოპოზიციური პარტიების ბრალდებები, საერთაშორისო პარტნიორთა განცხადებები და საზოგადოებაში არსებული კითხვები, უკვე არის ის მიზეზები, რომელთა გამოც ადამიანის უფლებათა ცენტრს მნიშვნელოვანად მიაჩნია აქტიური პოლიტიკოსის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი.

კვლევა განხორციელდა საქმეებში არსებული ბრალდების შესახებ დადგენილებების, დაცვისა და ბრალდების მხარის შუამდგომლობების, სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებების, შუალედური გადაწყვეტილებების, განაჩენების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გიორგი უგულავას საქმესთან დაკავშირებულ სარჩელებზე მიღებული ორი გადაწყვეტილების, ადვოკატთა მიერ მოწოდებული საქმეების მასალების, ევროპის საბჭოსა (Council of Europe) და საერთაშორისო ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიის“ (Amnesty International) მიერ შემუშავებული, პოლიტიკური პატიმრის შესახებ კრიტერიუმების, ასევე - საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. ამასთანავე, გაკეთებულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო განმარტებებთან ერთად, ადამიანის

უფლებათა ევროპული სასამართლოს (European Court of Human Rights) რელევანტური გადაწყვეტილებების შეფასებისა და მისადაგების საფუძველზე.

გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე საქმეების რაოდენობა, კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებული ბრალდების წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის ქრონოლოგია, ამ საქმეთა სამართალწარმოების გაჭიანურების ან/და დაჩქარების საკითხები და სხვა ფაქტობრივი გარემოებები სამართლიანად იწვევს ადგილობრივი თუ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების შეშფოთებას და აჩენს ეჭვებს სავარაუდო პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, ეს საქმეები იმსახურებს ობიექტური დამკვირვებლის განსაკუთრებულ ყურადღებას. პოლიტიკური მოტივაციის არსებობის შემთხვევებში, არასამართლიანი სამართალწარმოების ალბათობა გაცილებით დიდია, რითაც შესაძლოა, უხეშად დაირღვეს როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები.

## თბილისის განვითარების ფონდის საქმე

### • თბილისის განვითარების ფონდის საქმეზე გიორგი უგულავას მიმართ წარდგენილი ბრალდების არსი

თბილისის განვითარების ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით, გიორგი უგულავას ბრალი წარედგინა 2013 წლის 18 დეკემბერს. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული წინასაარჩევნო პარტიული ხარჯები არაერთხელ უკანონოდ დაფინანსდა ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მფლობელობაში არსებული თანხებით. ამ მიზნით, ქ. თბილისის მერმა და ამავდროულად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ენმ) თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი უგულავამ, ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ თავმჯდომარე გიორგი საბანაძემ, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსმა, ალექსი თაბუაშვილმა, რომელიც ამავდროულად იყო ენმ-ის თბილისის საორგანიზაციო მდივანი, ქ. თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძემ 2011 წლის შემოდგომაზე დაგეგმეს და შემდგომ რიგი თანამდებობების პირებისა და საჯარო მოხელეების მონაწილეობით შექმნეს ორგანიზებული ჯგუფი. გეგმის მიხედვით, ჯგუფის წევრები, წინასწარი შეთანხმებით, ერთიანი მიზნით, ურთიერთშეთანხმებული მოქმედებებით, მოახდენდნენ „თბილისის განვითარების ფონდის“ მფლობელობაში არსებული თანხების მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვას და ენმ-ის წინასაარჩევნო საჭიროებებში გახარჯვას.

ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით, 2011 წლის აგვისტოდან 2011 წლის ნოემბრამდე, ქ. თბილისის მერის, გიორგი უგულავას გადაწყვეტილებითა და ქალაქის მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, სს „ლიბერთი ბანკში“, ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ ანგარიშებზე, წინასაარჩევნო ხარჯების დაფარვის მიზნით, აკუმულირებული იქნა 100 000 000 ლარი. ამის შემდგომ, ქ. თბილისის მერის, გიორგი უგულავას დავალებით, ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ თავმჯდომარემ, გიორგი საბანაძემ 2011 წლის 9 ნოემბერს მიმართა სს „ლიბერთი ბანკს“ ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ შენობის კვლევის 719 სპეციალისტისთვის პლასტიკური სახელფასო ბარათების დამზადების თხოვნით. თუმცა, ბრალდების მხარის მტკიცებით, რეალურად, აღნიშნული პირები წარმოადგენდნენ არა ფონდის თანამშრომლებს, არამედ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს.

დადგენილების თანახმად, თბილისის მასშტაბით გადანაწილებული პლასტიკური ბარათებიდან, ყოველთვიურად, ბანკომატებიდან აღებულ თანხას, წინასაარჩევნოდ განეული სამუშაოების სანაცვლოდ, ხელფასის სახით ურიგებდნენ პარტიულ აქტივისტებს, კერძოდ - 719 უბნის უფროსსა და დაახლოებით 20 000 მიკროკოორდინატორს ისე, რომ თავად ბარათის რეალური მესაკუთრისთვის არაფერი იყო ცნობილი თანხის წარმომავლობის თაობაზე.

პროკურატურის მტკიცებით, 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, პარტიული ინტერესებისათვის მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგეს ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა, 13 852 497 ლარის ოდენობით.

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, მას შემდეგ, რაც „თბილისის განვითარების ფონდში“ ფიქტიურად დასაქმებულ ე.წ. „შენობების კვლევის სპეციალისტთა“ მიერ მიღებული შემოსავალი მიუახლოვდა 40 000 ლარს, საიდანაცდგება საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება<sup>1</sup> და შესაბამისად, ბარათების რეალური მესაკუთრეებისთვის ცნობილი გახდებოდა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, ქ. თბილისის მერისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი უგულავას ბრძანებით, გადაწყდა, რომ აღარ მომხდარიყო პლასტიკურ ბარათზე თანხის ჩარიცხვა და პარტიული აქტივისტების დაფინანსება გაგრძელებულიყო ფონდის ანგარიშიდან გამოტანილი ნაღდი ფულით.

ბრალდების თანახმად, 2012 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ოქტომბრის ჩათვლით, ქალაქ თბილისის მერის, გიორგი უგულავასა და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების მიერ პარტიული ინტერესებისათვის,

<sup>1</sup> იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი.



მთლიანობაში მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხა - 48 180 960 ლარის ოდენობით.

გიორგი უგულავას ბრალი წარედგინა სსკ-ის 182 მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (*გაფლანგვა, ესე იგი პირის მართლმომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში მყოფი სხვისი ნივთის დიდი ოდენობით გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ*).

### • თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 21 დეკემბრის განჩინება

2013 წლის 21 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა პროკურორმა მალხაზ კაპანაძემ და ითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება, იმ მიზნით, რომ ბრალდებულ გიორგი უგულავას თავი არ აერიდებინა სასამართლოში გამოცხადებაზე, აღკვეთილიყო მისი დანაშაულებრივი საქმიანობა და უზრუნველყოფილი ყოფილიყო განაჩენის აღსრულება. პროკურორის შუამდგომლობით, გამოძიების პროცესში გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულების განადგურების ფაქტი. ასევე, პროკურორი მიუთითებდა, რომ გიგი უგულავა 2013 წლის 21 თებერვალს პასუხისგებაში იყო მიცემული, ანალოგიური სქემით, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ კუთვნილი თანხის გაფლანგვისათვის.

*სასამართლომ განიხილა პროკურორის შუამდგომლობა და სწორად მიიჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო და ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო. ამასთან, გირაოს თანხად განისაზღვრა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.*

სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა არ შეიძლება, შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. ამასთან, სსსკ-ის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას. საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევასას მხედველობაში უნდა მიიღოს ბრალდებულის პიროვნება, მისი ოჯახური მდგომარეობა, საქმიანობა, ასაკი, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, - სასჯელის

მოსალოდნელი ზომა და მტკიცებულებები<sup>2</sup>, სხვა ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

- **თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 დეკემბრის განჩინება**

ზემოაღნიშნული განჩინების გამოცხადების შემდეგ, რაც სამართლებრივად სწორად შეფასდა, მეორე დღეს - 2013 წლის 22 დეკემბერს იმავე მოსამართლემ, **მხარეთა მონაწილეობის გარეშე**, განიხილა გიორგი უგულავას თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა და დააკმაყოფილა იგი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ თანამდებობიდან ბრალდებული ხელს შეუშლის გამოძიებას, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ან განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას.

პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებული გიორგი უგულავა, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე გადაყენებული იქნა თბილისის მერის თანამდებობიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 26 დეკემბერს, №1გ/791-13 განჩინებით, ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 დეკემბრის განჩინება ბრალდებულ გიორგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

- **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე – „გიორგი უგულავა საქართველოს კარლამუნის წინააღმდეგ“**

2014 წლის 11 თებერვალს გიგი უგულავას ადვოკატებმა ქ. თბილისის მერის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 23 მაისს მიიღო გადაწყვეტილება<sup>3</sup> და დააკმაყოფილა გიორგი უგულავას კონსტიტუციური სარჩელი,**

---

<sup>2</sup> იხ. Aleksandr Novikov v. Russia, no. 7087/04, § 46, 11 July 2013; Becciev v. Moldova, no. 9190/03, § 58, 4 October 2005. The relevant case law of the European Court has been considered in decisions of the International Criminal Court. See, for example, Prosecutor v. Bemba and Others (ICC-OI05-01113 OA 2), Judgment on the appeal of Mr Aimé Kilolo Musamba against the decision of Pre-Trial Chamber II of 14 March 2014 entitled "Décision on the "Demande de mise en liberté provisoire de Maître Aimé Kilolo Musamba", 11 July 2014, para. 111.

რითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული პირების თანამდებობიდან გადაყენებას. ასევე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ამავე კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება, რომელიც უშვებს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე პირის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვა სამართლიანი სასამართლოსა და დაცვის კონსტიტუციური უფლებების არათანაბრობიერ შემლუღვას წარმოადგენს.

### • „თბილისის განვითარების ფონდის“ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის განაჩენი

*თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და საქმის არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 28 თებერვლის განაჩენით, გიორგი უგულავას მიმართ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 333-ე მუხლის პირველ ნაწილზე.*

*თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, რომ გიორგი უგულავასთვის შერაცხული ბრალდებით, მის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით (გაფლანგვა) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს და მიიჩნია, რომ წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაცია უნდა შეცვლილიყო, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტება), რაც შეიძლება, სამართლებრივად სწორ კვალიფიკაციად შეფასდეს, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის თანახმად, დანაშაულს წარმოადგენს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში იმყოფებოდა. მითვისებისა და გაფლანგვის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია სხვისი ქონების დაუფლება*

<sup>3</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება; საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ: <https://bit.ly/2yA7fcY>

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. გაფლანგვის დროს, დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ფლობს სხვის ქონებას, რომელიც მას მინდობილი აქვს, ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა. დამნაშავე მოქმედებს ანგარებით და მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლის მიღებას სხვის ხარჯზე. ამასთან, ამ დანაშაულისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ გაფლანგვის დროს სხვისი ქონება დამნაშავეს არა მარტო მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფება, არამედ ამ ქონების მიმართ განსაზღვრული უფლებამოსილებაც გააჩნია, რაც გიორგი უგულავას საქმეში, სასამართლოს შეფასებით, არ დადგინდა. შესაბამისად, გიორგი უგულავა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის და 8 (რვა) თვის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით 8 (რვა) თვის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება.

*2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, საბოლოოდ, გიორგი უგულავას, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 (ერთი) წლით, 3 (სამი) თვით და 22 (ოცდაორი) დღით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით 6 (ექვსი) თვით სახელმწიფო სამსახურში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა.*

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების საფუძველზე, სრულად შთანთქა „თბილსერვის ჯგუფის საქმეზე“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 6 იანვრის განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა. თავის მხრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2017 წლის 6 იანვარს მიღებული განაჩენით გიორგი უგულავას შეუმცირა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ „თბილსერვის ჯგუფის საქმეზე“ 2015 წელს მიღებული განაჩენით დანიშნული სასჯელი. შესაბამისად, გიორგი უგულავას სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი, 2015 წლიდან 2017 წლის 6 იანვრამდე უკვე მოხდილი ჰქონდა, რის გამოც 2017 წლის 6 იანვარს მან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება დატოვა.

**• თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის განაჩენი**

ბრალდების მხარემ გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმ საფუძველზე, რომ იგი იყო უკანონო და

დაუსაბუთებელი და გიორგი უგულავასთვის ბრალდების დამძიმება მოითხოვა. თავის მხრივ, მსჯავრდებული გიორგი უგულავას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და პირველი ინსტანციის მიერ მიღებული განაჩენის გაუქმება და გიორგი უგულავას განთავისუფლება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა არც ბრალდების და არც დაცვის მხარის საჩივრები, სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის შეფასებები კვალიფიკაციის საკითხზე და დაადგინა, რომ სახეზე იყო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რაც საჯარო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით სახელმწიფო ინტერესების დარღვევაში გამოიხატა. *შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 28 თებერვლის განაჩენი, როგორც კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა.*

#### • საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის განაჩენი

უზენაესი სასამართლოს პალატა (გარდა სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატებისა) არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც საქართველოს საპროცესო კანონით დადგენილი წესით განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს მისი განსჯადობისათვის მიკუთვნებულ სხვა საქმეებს<sup>4</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ, წინა ორი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებულად იმსჯელა გიორგი უგულავას ქმედებების კვალიფიკაციაზე და მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონოა და მასში ცვლილებები შეიტანა. პალატის შეფასებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ იგი არასწორად დააკვალიფიცირა. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა მსჯელობა საქმეში არსებულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით დაკვალიფიცირების თაობაზე, რადგან, უზენაესი სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული ზოგადი ნორმის გამოყენებით იქმნება არასწორი სისხლისსამართლებრივი პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სისხლის

<sup>4</sup> საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლი;

სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის დაკვალიფიცირებას, როგორც უფლებამოსილების გადამეტებას.

საკასაციო სასამართლომ, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო სსკ-ის 182-ე მუხლისა და სსკ-ის 333-ე მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთეების გამიჯვნის მცდელობას, რითაც ასაბუთებს მის მიერ შეცვლილი კვალიფიკაციის სისწორეს. კერძოდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლი წარმოადგენს სამოხელეო დანაშაულს. მისი სუბიექტია სახელმწიფო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომლის განსაზღვრული უფლებამოსილების გარეთ ქმედებამ არსებითად დაარღვია ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებები, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები, ხოლო სსკ-ის 182-ე მუხლი წარმოადგენს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიკურ დანაშაულს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება და დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს სხვისი საკუთრება, რომელიც დამნაშავის მართლმომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაშია.

*რჩება შთაბეჭდილება, რომ უზენაესი სასამართლოს პალატა, აღნიშნულ შემთხვევაში, მკაცრად გამოყოფს მხოლოდ ერთ სპეციალურ ნიშანს - დანაშაულის ეკონომიკური ხასიათის არსებობას საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ ქმედებებში, რათა ასეთ შემთხვევაში, კვალიფიკაციად გამოყენებული იქნას სსკ-ის 182-ე მუხლი (გაფლანგვა), სსკ-ის 333-ე მუხლის ნაცვლად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა კუმულაციურად წარმოდგენილი ამ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის საჭირო ორივე ნიშანი - ეკონომიკური ხასიათი და მართლმომიერი მფლობელობა ან გამგებლობა.*

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატის მსჯელობას, რომლის მიხედვით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონისა და „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქ. თბილისის მერიის ბიუჯეტის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა განეკუთვნებოდა კოლექტიური ორგანოს - საკრებულოს უფლებამოსილებას, ხოლო მერია, როგორც კოლექტიური აღმასრულებელი ორგანო, ასრულებდა საკრებულოს გადაწყვეტილებებს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იგი ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას, რომლის მიხედვით, „აღნიშნული პირობი იყვნენ მთავრობის ცალკეული წევრები და მხოლოდ მათი უფლებამოსილება არ ყოფილა ფონდის ანგარიშზე მერიის კუთვნილი თანხების გადატანა“, რადგან ფონდის ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვა ხდებოდა წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის შესაბამისად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა გიგი უგულავა და პირდაპირი განზრახვით ჩადენილი

კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებები პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია ქ. თბილისის მერიის კუთვნილი დიდი ოდენობის თანხების გაფლანგვასთან. ამასთანავე, მერიის საბიუჯეტო სახსრების ფონდის ანგარიშზე გადატანას საფუძვლად დაედო ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებები, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა გიორგი უგულავა.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ, წინა ორი სასამართლო ინსტანციისაგან განსხვავებით, მიიჩნია, რომ გიორგი უგულავას ქმედების კვალიფიკაციას წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული,** რაც გულისხმობს პირის მართლზომიერ მფლობელობას ან გამგებლობაში მყოფი სხვისი ნივთის დიდი ოდენობით გაფლანგვას, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჩადენილს ორგანიზებული ჯგუფის მიერ. აღნიშნულის დასამტკიცებლად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება - გაფლანგვა, ეკონომიკური ხასიათის დანაშაულია, კერძოდ - დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ. შესაბამისად, დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური მხარე გამოხატულია გაფლანგვის ფორმით. აღნიშნული დანაშაულის ჩამდენ პირს, როგორც სპეციალურ სუბიექტს, მასზე მინიჭებული უდავო უფლებამოსილებით, „სხვისი ქონება“, რომლის გაფლანგვაც ბრალად აქვს შერაცხული, მართლზომიერ მფლობელობას ან გამგებლობაში უნდა გააჩნდეს. *სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული უფლებამოსილება ასევე კუმულაციურად უნდა გულისხმობდეს, სხვადასხვა მართლზომიერი ან არამართლზომიერი განზრახვით ქმედებათა განხორციელებას ამ ქონების განკარგვით, სარგებლობით, გასხვისებით ან სხვა მიზნობრივი ან არამიზნობრივი მოტივებით.*

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და გიგი უგულავა დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით, სსკ-ის 43 მუხლის საფუძველზე, 8(რვა) თვით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება.

ასევე, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, გიორგი უგულავას გაუნახვერდა როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის ვადა და საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად

განესაზღვრა 4 (ოთხი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით 4 (ოთხი) თვით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მსჯავრდებულ გიორგი უგულავას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 6 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელი - 1 (ერთი) წლით, 3 (სამი) თვითა და 22 (ოცდაორი) დღით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული - 6 (ექვსი) თვით სახელმწიფო სამსახურში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება.

**საბოლოოდ, გიორგი უგულავას მოსახდელად განესაზღვრა 3 (სამი) წლით, 2 (ორი) თვითა და 8 (რვა) დღით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით - 4 (ოთხი) თვით სახელმწიფო სამსახურში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა - ჩაეთვალა მოხდილად.**

## საპარლამენტო პოლიტიკური მოტივი და სამართლებრივი ხარვეზები

დოკუმენტის ამ თავში, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, გაანალიზდა პოლიტიკური პატიმრის სტატუსის არსებობისთვის საჭირო კრიტერიუმები და ამ კონტექსტში შეფასდა ქალაქ თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას საქმის დეტალები.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2012 წლის 26 ივნისს მიიღო რეზოლუცია, რომელიც ამტკიცებს პოლიტიკური პატიმრების შესახებ კრიტერიუმებს<sup>5</sup>.

**საგულისხმოა, რომ ტერმინი „პოლიტპატიმარი“ არ გულისხმობს ასეთ პირთა ბოლომდე უდანაშაულობას. ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკური პატიმრები დანაშაულები არიან, მაგრამ დანაშაული რაკი ჩაიდინეს, ამ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ფაქტი ხელისუფლების მხრიდან არ უნდა იქნას საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული და სასჯელიც, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს შეუსაბამოდ მკაცრი<sup>6</sup>.**

პოლიტიკურ პატიმრად ცნობა პირს არ ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან და არ შეიცავს მისი ქმედების მორალურ შეფასებას, განსხვავებით - „სინდისის პატიმრისაგან“. „საერთაშორისო ამნისტიის“ განსაზღვრებით, „სინდისის პატიმარი“ არის ადამიანი, რომელიც პატიმრობაში

<sup>5</sup> იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 ივნისის რეზოლუციით გათვალისწინებული კრიტერიუმები პოლიტიკური პატიმრის შესახებ:

<https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=18995&lang=en>.

<sup>6</sup> იხ. ევროპის საბჭოს კრიტერიუმები: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17179&lang=en>.



იმყოფება მხოლოდ იმის გამო, რომ მშვიდობიანად გამოხატავდა თავის პოლიტიკურ, რელიგიურ ან მეცნიერულ შეხედულებებს, ანუ არ მიმართავდა ძალადობას და არ ახდენდა ძალადობის პროპაგანდას. ამ შემთხვევაში, არ დგინდება, პირის მხრიდან, დანაშაულის ჩადენის ფაქტი<sup>7</sup>.

**პოლიტიკურ პატიმრად ვინმეს ცნობით არავის ენიჭება მისი დაუყოვნებლივ და უპირობოდ გათავისუფლების მოთხოვნის უფლება, მაგრამ სამაგიეროდ, აუცილებელია მას გარანტირებულად ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს უფლება.**

ევროსაბჭოს კრიტერიუმების მიხედვით, „თავისუფლებააღკვეთილი პირი „პოლიტიკური პატიმრის“ გაგებას ექვემდებარება, თუ თავისუფლების აღკვეთა მოხდა პროცესუალური გარანტიების აშკარა დარღვევებით და არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ეს დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან<sup>8</sup>. გარდა ამისა, ეს კრიტერიუმი „საერთაშორისო ამნისტიის“ კრიტერიუმებს ემთხვევა. კერძოდ: საქმე შეიცავს „შესამჩნევ პოლიტიკურ ელემენტს“; „საქმეზე მთავრობა არ უზრუნველყოფს „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამართლიან სასამართლოს“<sup>9</sup>.

ევროპის საბჭოს და საერთაშორისო ამნისტიის კრიტერიუმების მიხედვით, გიორგი უგულავას საქმეში ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ იდენტიფიცირებულია რიგი საპროცესო-სამართლებრივი პრობლემური საკითხები.

### ***1. დაირღვა საკასაციო საჩივრის განხილვის 6-თვიანი ვადა***

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს საქმის გონივრულ ვადებში განხილვის უფლებას, რაც თავის მხრივ, აისახება სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და გონივრულად სწრაფ მართლმსაჯულებაზე. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. კონვენციის ეს მუხლი სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას ანიჭებს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და

<sup>7</sup> იხ. საერთაშორისო ამნისტიის კვლევა: „იუგოსლავიის სინდისის პატიმრები“; გვ. 23. <https://www.amnesty.org/download/Documents/200000/eur480201985en.pdf>.

<sup>8</sup> იხ. <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17179&lang=en>.

<sup>9</sup> იხ. გამკველვი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში, თბილისი, 2012. [http://assembly.coe.int/Communication/2012-06-26\\_ENpressajdoc21.pdf](http://assembly.coe.int/Communication/2012-06-26_ENpressajdoc21.pdf).

საქვეყნო განხილვის უფლებას კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ<sup>10</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამოქალაქო საქმეებზე „გონივრული ვადის“ ათვლა იწყება საქმის წარმოების დაწყების, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდების წაყენების მომენტიდან<sup>11</sup>.

„თბილისის განვითარების ფონდის საქმეში“, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრაქტიკულ ასპექტებში, ერთ-ერთ არსებითი მნიშვნელობის დარღვევას წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის განხილვის 6-თვიანი ვადის დაუსრულებლობა.

საქმის განხილვა უნდა დასრულებულიყო 2019 წლის ივლისში, ნაცვლად ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ, საქმეზე გადაწყვეტილება გამოაცხადა 2020 წლის 10 თებერვალს.

ამასთან, სასამართლოს ეფექტიანობის კომპონენტში მნიშვნელოვანია, შეფასდეს, თუ რამდენად არის სასამართლო სისტემა მზად, გონივრულ ვადებში დაიცვას ადამიანის უფლებები და მათი უფლებების დარღვევის წინააღმდეგ გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

ამ შემთხვევაში, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნდობის საკითხთან მიმართებით, ცალსახად მნიშვნელოვანია შეფასდეს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც უკავშირდება გიორგი უგულავას, როგორც პოლიტიკური პარტია - „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის პოლიტიკური კარიერის გააქტიურებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაზაში შევიდა თბილისში 2019 წლის 20-21 ივნისის ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების შემდეგ.

სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების მიერ გიორგი უგულავას წინააღმდეგ „თბილისის განვითარების ფონდის საქმის“ „გაცოცხლება“ (საკასაციო საჩივრის 6-თვიანი ვადა უკვე დარღვეული იყო) დროსა და სივრცეში თანხვედრაშია საქართველოში მიმდინარე მწვავე და მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებთან, რაშიც უგულავა აქტიურად იყო ჩართული. მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესები საფრთხეს უქმნიდა მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკურ სტაბილურობას, რის გამოც არაერთი რეპრესიული ნაბიჯი გადაიდგა ხელისუფლების მხრიდან<sup>12</sup>. ეს კი, სახელმწიფოში მართლმსაჯულებისადმი

<sup>10</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 32§ და *Levages Prestations Services v. France*, 46§;

<sup>11</sup> იხ. *Case of buchholz v. Germany* 1981, 6 May 1981: <https://www.legal-tools.org/doc/36ea8a/pdf/>.

<sup>12</sup> იხ. ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2019 წელი. გვ.48. ადამიანის უფლებათა ცენტრი: <https://www.hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/report2020/annual%202019-geo.pdf>.

საზოგადოების ნდობასა და მოქალაქეთა სამართლიანობის განცდაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს და სახელმწიფოს მხრიდან, „შერჩევითი სამართლის“ განხორციელებასა და პოლიტიკური მოტივით დაინტერესების საკითხებზე კითხვებს აჩენს.

ამდენად, სწრაფ და ხარისხიან მართლმსაჯულებას, როგორც სამართლიანი სასამართლოს განმსაზღვრელ ერთ-ერთ ინდიკატორს, სამართლებრივთან ერთად, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. სამართლიანი სასამართლოს უფლება ფიქციაა, თუკი მისი ცხოვრებაში რეალიზება გონივრული, დარღვეული უფლების აღდგენისათვის ადეკვატური ვადის დაცვით არ განხორციელდა. თუ სასამართლო ვერ უზრუნველყოფს უფლების დაცვისა და აღდგენის დროული მექანიზმების არსებობას, სამართლიანი სასამართლოს არათუ უფლება, არამედ იდეაც კი, განუსაზღვრელ დროში იკარგება. ეს კი, სრულიად სამართლიანად, მართლმსაჯულების ორგანოებზე სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ზეგავლენის ნიშნებზე მიუთითებს, როდესაც სახელმწიფო მათ პოლიტიკური ინტერესების გასათარებლად იყენებს.

## ***2. არსებობდა საქმის განხილველი ერთ-ერთი მოსამართლის - შალვა თაღუმაძის აცილების საფუძველი***

***საქმის სააპელაციო განხილვისას და პროკურატურის მიერ საკასაციო საჩივრის წარდგენისას, შალვა თაღუმაძე იკავებდა საქართველოს გენერალური პროკურორის თანამდებობას.*** 2019 წლის 12 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა უკვე ყოფილი გენერალური პროკურორის, შალვა თაღუმაძის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ განმწესებას. თაღუმაძის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ მწვავე კითხვები არსებობდა. ამიტომ ამ გადაწყვეტილებამ უფლებადამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრიტიკა დაიმსახურა, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების უგულებელყოფით, შალვა თაღუმაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ მაინც იქნა არჩეული<sup>13</sup>. მართალია, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შალვა თაღუმაძე საქმეზე პროკურორად პირადად არ გამოდიოდა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს პროკურატურაში დადგენილია მკაცრად ვერტიკალური დაქვემდებარების სისტემა, სადაც ყველა ქვემდგომი პროკურორი ვალდებულია, ზემდგომი პროკურორის მითითება შეასრულოს, ხოლო პროკურატურის ყველა თანამშრომელი გენერალურ პროკურორს ემორჩილება<sup>14</sup>. ეს ვერტიკალური დაქვემდებარება და კომუნიკაცია

<sup>13</sup> იხ.: [http://coalition.ge/index.php?article\\_id=220&clang=0](http://coalition.ge/index.php?article_id=220&clang=0).

ასევე - [http://coalition.ge/index.php?article\\_id=236&clang=0](http://coalition.ge/index.php?article_id=236&clang=0).

<sup>14</sup> იხ. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლი.

განსაკუთრებით აქტუალურია ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ მიმდინარე და სხვა სპეციფიკის მქონე გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, მსჯავრდებული გიორგი უგულავას ინტერესების დამცველმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, მოსამართლე შალვა თაღუმაძის აცილების თაობაზე. შუამდგომლობის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერისა და საკასაციო საჩივრის წარდგენის პროცესში საქართველოს გენერალური პროკურორი იყო შალვა თაღუმაძე. საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი რეზონანსისა და პოლიტიკური ინტერესის არსებობის პირობებში, დაცვის მხარეს შეუძლებლად მიაჩნდა, ამ სააპელაციო განხილვის პროცესის მიმდინარეობითა და შედეგებით დაინტერესებული არ ყოფილიყო საქართველოს გენერალური პროკურორი. ამავდროულად, დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ წარმოუდგენლად მიაჩნდა, მოსამართლე შალვა თაღუმაძის ინფორმირება არ მოეხდინათ გენერალური პროკურატურის პროკურორებს. შესაბამისად, მიუთითებდნენ, რომ არსებობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (*რაც გულისხმობს შემდეგს: მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში თუ არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას*) მოსამართლის აცილების საფუძველი. დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანალოგიური საფუძველით საქმე აიცილა გენერალური პროკურორის ყოფილმა მოადგილემ, მამუკა ვასაძემ, რომელსაც უზენაეს სასამართლოში ასევე უნდა განეხილა უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე საქმე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სასამართლოს მოსამართლის პირადი დამოკიდებულება და ქცევა უნდა ქმნიდეს საზოგადოებაში მისი მიუკერძოებლობის განცდას. მოსამართლემ, რომლის მიკერძოებულობის მიმართაც აშკარა ეჭვი ჩნდება, საქმის განხილვაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. მოსამართლე უნდა იყოს კანონისა და მოსამართლის ფიცის ერთგული, მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონისა და სამართლის უზენაესობის გარანტი. მისი აზრი არ უნდა მერყეობდეს პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის, საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობის ზეგავლენის გამო, ანდა კრიტიკის შიშით<sup>15</sup>. მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი

---

<sup>15</sup> იხ. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, მუხ. 2.

გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას<sup>16</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უკვე აქვს დადგენილი დარღვევა ისეთ საქმეში, სადაც პირი ერთი მხარის წინააღმდეგ ორ საქმეში მონაწილეობდა - პირველ შემთხვევაში გამოდიოდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის როლში, ხოლო მოგვიანებით სხვა საქმეში იმავე პირის მიმართ მოსამართლის ფუნქციები შეითავსა<sup>17</sup>.

სასამართლოს დაბალ ინსტანციაში გიგი უგულავას საქმის განხილვის დროს მოქმედი გენერალური პროკურორის მიერ უზენაეს სასამართლოში იმავე საქმის მოსამართლის ამპლუაში განხილვა სამართლიანად აჩენს ეჭვებს მისი ობიექტურობის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, გიგი უგულავას საქმიდან იკვეთება ხარვეზები როგორც მოსამართლის მიუკერძოებლობის, ისე - კანონის საფუძველზე დანიშნული მოსამართლის საკითხთან დაკავშირებით<sup>18</sup>.

საგულისხმოა, რომ საქმეში, სადაც მსგავსი შინაარსის, კერძოდ, მოსამართლის დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით ხარვეზები იკვეთებოდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა უკვე დაადგინა<sup>19</sup>.

### ***3. ცამეტ დღეში შესწავლილი მრავალტომიანი საქმე და გამოტანილი განაჩენი***

გიორგი უგულავას უფლებადამცველმა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ მოსამართლეებმა - მერაბ გაბინაშვილმა და შალვა თაღუმაძემ, „თბილისის განვითარების ფონდის“ მრავალტომიანი საქმე, რომელზეც დაკითხულია ათეულობით მოწმე, შეისწავლეს და გადაწყვეტილება მიიღეს 13 სამუშაო დღეში. ადვოკატის შეფასებით, ეს გარემოება აჩენს ეჭვს, რომ ისინი საქმეს სრულყოფილად არ იცნობდნენ და გადაწყვეტილება მიიღეს პოლიტიკური შეკვეთის შესაბამისად.

სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი<sup>20</sup>. შეუძლებელია, სასამართლოს განაჩენი პასუხობდეს ამ მოთხოვნებს, თუკი ბრალდებული პროცესის წარმოებისას არ ყოფილა უბრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით. საქმის

<sup>16</sup> იხ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“, მეორე ღირებულება - მიუკერძოებლობა.

<sup>17</sup> იხ. ვეტშაინი შვეიცარიის წინააღმდეგ, 33958/96, პარა. 47. <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-63679>.

<sup>18</sup> იხ. სახალხო დამცველის განცხადება გიგი უგულავას მიმართ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით: <https://bit.ly/2VwjvEd>.

<sup>19</sup> იხ. გულმუნდურ ანდრი ასტრადსონი ისლანდიის წინააღმდეგ, 26374/18.

<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-191701>.

<sup>20</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 259.

არსებითი განხილვისას იწყება მტკიცებულებათა გამოკვლევა და უშუალოდ ამ დროს არის უმნიშვნელოვანესი, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება იყოს დაცული, რაც, პირველ რიგში, რეალიზებული უნდა იქნას მტკიცებულებებისა და საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევაში.

#### **4. საკასაციო სასამართლოს მიერ გეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა**

გიორგი უგულავას მსჯავრი დაედო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის გეპირი მოსმენის გარეშე, მაშინ, როდესაც ამავე საქმეზე პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა ნაკლებად მძიმე დანაშაულის კვალიფიკაცია გამოიყენეს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გიორგი უგულავას, მის მიერ განხორციელებული ქმედებებისათვის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე ისე გადაუკვალიფიცირა მუხლი, რომ მას და მის ადვოკატს მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა არ ჰქონია.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საკასაციო სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს მსგავსად, ანიჭებს უფლებამოსილებას, საქმე განილოს გეპირი მოსმენის გარეშე, მაგრამ სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლო არ არის შეზღუდული დანაშაულების კატეგორიებითა და საჩივრის მოთხოვნით. შესაბამისად, თუ ჩათვლის საჭიროდ, რომ საქმის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის პირის დასწრება და საქმის გეპირი მოსმენით გამართვა არის საჭირო, შეუძლია, პირი მიიწვიოს სასამართლო სხდომაზე. გარდა ამისა, საქმის გეპირი მოსმენით განხილვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

შესაბამისად, თუ არ არსებობს გეპირი მოსმენიდან გადახვევის გამამართლებელი განსაკუთრებული გარემოებები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1 პარაგრაფით უზრუნველყოფილი საჯარო განხილვის უფლება გულისხმობს გეპირ მოსმენას, სულ მცირე, პირველი ინსტანციის წინაშე<sup>21</sup>. აქედან გამომდინარე, *უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას, შეეძლო, გეპირი მოსმენით განეხილა გიორგი უგულავას საქმე, რადგან არსებობდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და საქმის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სადავო ფაქტები, რომელთა გეპირი განხილვა აუცილებელია და ხელს შეუწყობდა საზოგადოების ნდობას სასამართლოს გადაწყვეტილებებისადმი. შესაბამისად, რჩება შთაბეჭდილება, რომ გეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, როცა საქმე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით სარგებლობდა, მიზნად ისახავდა მართლმსაჯულების საიდუმლოდ, საზოგადოების მხრიდან კრიტიკული განხილვის გარეშე განხორციელებას.*

<sup>21</sup> ob. Fischer v. Austria, § 44; <https://hudoc.echr.coe.int/fre-press?i=001-59475>. Salomonsson v. Sweden, § 36. <file:///C:/Users/Administrator/Downloads/001-60736.pdf>.

## **5. საგარეო ბრალდებული და შერჩევითი სამართალი**

საგულისხმოა, რომ ამ საქმეზე პროკურატურას არათუ ბრალდება არ წაუყენებია, სასამართლოს წინაშე მოწმის სახითაც კი არ დაუკითხავს თბილისის ვიცე-მერი დავით ნინიძე, ვის მიერ ხელმოწერილი აქტების საფუძველზეც განხორციელდა ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდისთვის“ იმ თანხების გამოყოფა, რის გაფლანგვაშიც დაედო გიგი უგულავას მსჯავრი.

ეს გარემოება შესაძლოა, მიანიშნებდეს, რომ პროკურატურასა და სასამართლოს ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელება კი არა, არამედ გიგი უგულავას მიმართ შერჩევითი დევნის განხორციელება ჰქონდათ ამოცანად დასახული, პოლიტიკური საქმიანობის ხელშეშლის მიზნით.

## **6. გიორგი უგულავას საქმეში „ორმაგი დასჯის აკრძალვის“ პრინციპის შესაძლო დარღვევის შეფასება**

მსჯავრდებულის ადვოკატის, საზოგადოების წევრთა ნაწილის და პოლიტიკურ პირთა მიერ ვრცელდება განცხადებები, რომ გიორგი უგულავას მიმართ დაირღვა **ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი**. მიუთითებენ, რომ მის მიმართ ზუსტად იგივეობრივი შინაარსის ბრალდების სხვა საქმეზე (ე.წ. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საქმე), 2017 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ნაკლებად მძიმე დანაშაულის კვალიფიკაცია და გიორგი უგულავას სასჯელი მოხდილად ჩაუთვალა. გამომდინარე აქედან, გიორგი უგულავას ადვოკატი, ბექა ბასილაია მიიჩნევს, რომ 2020 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით, განხორციელდა უგულავას ორგზის დასჯა.

ადამიანის უფლებათა ცენტრს განსხვავებული პოზიცია აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ ქმედება, რომელზეც მსჯავრი დაედო გიორგი უგულავას, არ წარმოშობილა ე.წ. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საქმის იდენტური ფაქტებიდან ან არსებითად იმავე ფაქტებიდან. ასევე, არ გვაქვს კონკრეტულ გარემოებათა ერთობლიობა, რომლებიც შეეხება იმავე ბრალდებულს და დროში და სივრცეში ერთმანეთთან განუყოფლად არის დაკავშირებული მსჯავრდებული იმ საქმის ფაქტობრივი გარემოებებით, რომლის გამოც იხდის მსჯავრს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის. ანალოგიური უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით. ნორმის მიზანია, პირი დაიცვას იგივე ქმედებისათვის უკვე დასრულებული სისხლის სამართლის პროცესის ხელახლა დაწყებისაგან. ორმაგი დასჯის აკრძალვა ემსახურება სამართლებრივი მშვიდობის

უმრუნველყოფას და ამით ადამიანის ღირსების დაცვას. საქმე ეხება განსაკუთრებულ ფუნდამენტურ კონვენციურ უფლებას, რომლისგანაც, როგორც კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მე-3 აბზაციდან ნათლად ჩანს, ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროსაც არ შეიძლება გადახვევა<sup>22</sup>. ორმაგი მსჯავრდების აკრძალვა მიზნად ისახავს, რომ უმრუნველყოს განაჩენის მატერიალური კანონიერი ძალის სტაბილურობა<sup>23</sup>. მთავარ კომპონენტს წარმოადგენს „ერთი და იმავე დანაშაულის“ ცნება. ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი (*ne bis in idem*) დეტალურად არის განმარტებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში – *Zolotukhin v. Russia*<sup>24</sup>, რომელიც შედარებით ახლებურ მიდგომას ითვალისწინებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი კრძალავს მეორე „დანაშაულისთვის“ საქმის წარმოებას პროკურატურის თუ სასამართლოს მიერ მაშინ, როდესაც ქმედება წარმოიშვა იდენტური ფაქტებიდან ან არსებითად იმავე ფაქტებიდან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მსგავსი რამ გიორგი უგულავას საქმეში არ იკვეთება.

ერთი და იმავე ქმედებისათვის ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი დარღვეულია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ოთხი ელემენტი კუმულაციურად: (1) ახალი მსჯავრდების დროს სისხლის სამართლის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის არსებობა; (2) ახალი მსჯავრდება იგივე ქმედებისათვის; ეს საკითხი სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებში არ არის ერთგვაროვნად გადაჭრილი<sup>25</sup>; (3) კანონიერი ძალის მიუხედავად, ქმედებისათვის ხელახალი სისხლისსამართლებრივი დევნის ან მსჯავრდების განხორციელება იმავე სახელმწიფოში<sup>26</sup>; (4) პროცესის განახლების ახლად გამოვლენილი გარემოების არარსებობა. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი არ ირღვევა, თუ საქმე ეხება პროცესის ხელახალ განახლებას ახალ გარემოებათა გამო<sup>27</sup>. აღნიშნული არცერთი შემთხვევა არ გვაქვს გიორგი უგულავას

<sup>22</sup> იხ. ერთი და იგივე ქმედებისათვის ორჯერ მსჯავრდების დაუშვებლობის კონსტიტუციური პრინციპის განსხვავებულ გაგებაზე ევროსაბჭოსა და ევროკავშირის სამართლის მიხედვით; იხ. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, 137; ტურავა, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, 140.

<sup>23</sup> იხ. NJW (47) 2004, 279.

<sup>24</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Zolotukhin v. RUS*, განაცხადი 14939/03, 53-ე პუნქტი. <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-80962>.

<sup>25</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი სამი გადაწყვეტილება აყალიბებს ერთმანეთისაგან განსხვავებულ თვალსაზრისებს: *CASE OF GRADINGER v. AUSTRIA*, 23.10.1995: <https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-57958%22>; *Oliveira v. Switzerland*, 30.7.1998: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-5334>;

*29. 5. 2001, Franz Fischer v. AUT.* <https://hudoc.echr.coe.int/fre-press?i=001-59475>.

<sup>26</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Nikitin v. RUS*, განაცხადი 50178/99, 37-ე პუნქტი; [http://sutyajnik.ru/rus/echr/judgments/nikitin\\_eng.html](http://sutyajnik.ru/rus/echr/judgments/nikitin_eng.html). 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Horciag v. ROU*, განაცხადი 70982/01.

<sup>27</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Nikitin v. RUS*, განაცხადი 50178/99, 45-ე პუნქტი. [http://sutyajnik.ru/rus/echr/judgments/nikitin\\_eng.html](http://sutyajnik.ru/rus/echr/judgments/nikitin_eng.html).



საქმეში, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი არ დარღვეულა.

## აეროპორტის ინციდენტის საქმე

როგორც „საერთაშორისო ამნისტიის“, ასევე ევროსაბჭოს კრიტერიუმებიც ყველა იმ საქმეს მოიცავს, სადაც იკვეთება პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებების ალბათობა. ერთ-ერთი კრიტერიუმის თანახმად, **პოლიტიკური პატიმარია პირი, რომელსაც არ ჩაუდენია სისხლის სამართლის დანაშაული და მთლიანად იყო გაყალბებული მისი საქმე.** უფრო ვრცლად, ეს გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირის დაპატიმრებას საფუძვლად დაედო არაადეკვატური და საკამათო მტკიცებულებები და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ყალბია მტკიცებულებები ან/და მოწმის ჩვენება, რომლის გათვალისწინებითაც პატიმრობა გამოიყენეს.

საინტერესოა საქართველოს უფლებადამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ 2012 წელს შემუშავებული კრიტერიუმები, სადაც ქართული რეალობის გათვალისწინებით მითითებულია, რომ **დანაშაული, შესაძლოა, პროვოცირებული იყოს პოლიტიკური მოტივებით.** დოკუმენტის თანახმად, ევროსაბჭოს და საერთაშორისო ამნისტიის მიერ დადგენილი კრიტერიუმების გაზიარებით და საქართველოში არსებული პრაქტიკისა თუ ტენდენციის გათვალისწინებით, პოლიტიკურ პატიმრად შესაძლოა, მიჩნეული იყოს პირი, თუკი იგი დააკავეს, დააპატიმრეს ან თავისუფლება აღუკვეთეს სამართალდარღვევის ან დანაშაულისთვის, რომელიც პროვოცირებული იყო პოლიტიკური მოტივაციით, ხელისუფლების ან/და სხვა დაინტერესებული პირების მიერ<sup>28</sup>.

*ამ მხრივ, საინტერესოა, გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე კიდევ ერთი - ე.წ. აეროპორტის ინციდენტის საქმე.*

2019 წლის 11 დეკემბერს, დაახლოებით, 12:00 საათზე, შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გაფრენის დარბაზში მდებარე კაფე „ეფეს ბიერ პორტში“ გიორგი უგულავას და გიორგი გაბაშვილს თავს დაესხნენ ბ.გ. და დ.პ., რომლებმაც გიორგი უგულავასა და გიორგი გაბაშვილს მიაყენეს როგორც სიტყვიერი, ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა.

*2019 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით, გიორგი უგულავას ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ბრალდების ვერსიით, გიორგი უგულავამ ბ.გ.-ს მიაყენა ფიზიკური დაზიანება.*

<sup>28</sup> კრიტერიუმები ვრცლად იხ. მეგზური პოლიტიკური პატიმრების შესახებ. 2012 წ. გვ. 32:  
<http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hrh/politikuri%20patimrebi-gzamkvlevi-geo.pdf>

როგორც სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებიდან ირკვევა, 2019 წლის 12 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პროკურორმა თამარ ზაქუტაშვილმა. მან ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით და დამატებითი ღონისძიების სახით - პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ჩაბარების ვალდებულება ითხოვა იმ მოტივით, რომ აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება და სხვა საპროცესო სამართლებრივი მიზნები.

მოსამართლემ მიიჩნია, რომ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხის აღსაკვეთად, გირაოს შეფარდება იქნებოდა თანაბომიერი. შესაბამისად, პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობიდან ირკვევა, რომ 2019 წლის 18 დეკემბერს, დაცვის მხარემ მიმართა საქალაქო სასამართლოს ჩანაწერების გამოთხოვასთან დაკავშირებით, რაზეც სასამართლომ იმავე დღეს განუცხადა უარი და მის მიერ მიღებულ განჩინებაში<sup>29</sup> განმარტა, რომ დაცვის მხარეს უფლება აქვს, შესაბამისი ნებართვით მოახდინოს ვიდეოჩანაწერების დათვალიერება და თუკი მოპოვებული ინფორმაცია გააუმჯობესებს ბრალდებულის მდგომარეობას, შეუძლია, შემდგომ მიმართოს შესაბამისი შუამდგომლობით. აღნიშნულს, ასევე, დაეთანხმა სააპელაციო სასამართლო 2019 წლის 25 დეკემბრის განჩინებით<sup>30</sup>.

2020 წლის 18 თებერვალს, საპატრულო პოლიციის მიერ გამოძიებულ გრიგოლ ჭავჭავაძისთან ერთად თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის #1გ/1374-20 განჩინების საფუძველზე, დაცვის მხარემ დაათვალიერა WD-ს წარმოება (სათვალთვალო კამერების ჩანაწერები). აღნიშნული ვიდეოჩანაწერების დათვალიერებისას ნათლად იკვეთება ბ.გ.-ის და დ.პ.-ის ჩასაფრება გიორგი უგულავასა და გიორგი გაბაშვილის წინააღმდეგ. დათვალიერებისას დადგინდა, რომ კაფე-ბარ „ეფეს ბეერ პორტში“ მყოფი გიორგი უგულავა და გიორგი გაბაშვილი ბ.გ.-სა და დ.პ.-ის ყურადღების სფეროს წარმოადგენენ და ელოდებიან შესაბამის მომენტს, რათა მათ თავს დაესხან, რაც, როგორც აღვოკატი განმარტავს, *წარმატებით გამოუვიდათ. გარდა ამისა, შუამდგომლობიდან ირკვევა, რომ ვიდეოჩანაწერების დათვალიერებისას გამოიკვეთა კიდევ ერთი დაინტერესებული პირი, რომელიც შეგნებულად იწყებს ვიდეოგადაღებას თავდასხმის დაწყებისთანავე. შემდეგ კი აეროპორტის გაფრენის დარბაზში განთავსებულ*

<sup>29</sup> იხ. საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ 2019 წლის 18 დეკემბრის განჩინება #20703-19.

<sup>30</sup> იხ. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება, 25 დეკემბერი, 2019 წელი, საქმე #33072301900340443.

ოთახში (სადაც რიგითი მოქალაქეები არ შედიან) გამოდის და ესაუბრება აეროპორტის დაცვას და სხვა თანამშრომლებს. ადვოკატის განცხადებით, ეს პირი არის თანამშრომელი, რომელმაც წინასწარ იცოდა თავდასხმის შესახებ, რაზეც დაზარალებულ გიგი უგულავას ბრალდება იქით წარუდგინეს. აღსანიშნავია, რომ მის თანმხლებ გიორგი გაბაშვილს, ამავე საქმეზე, დაზარალებულის სტატუსი აქვს<sup>31</sup>.

*საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დაცვის მხარემ, საქმის პროკურორს გაუგზავნა განცხადება, რომელშიც ელექტრონული ბმულით და ადვოკატის აღწერით მითითებულია სიუჟეტი, სადაც ბ.გ. (რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თავს დაესხა გიორგი უგულავასა და გიორგი გაბაშვილს) მშვიდობიანი საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას, ასევე, მონაწილეობს პროვოკაციაში. ადვოკატის კომუნიკაციაში მითითებულია, რომ არსებობს მაღალი ალბათობა, ბ.გ. მართული იყოს რომელიმე სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლების მიერ. ასევე, შესაძლოა, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იგი ასრულებდა რომელიმე სახელმწიფო მოხელის დავალებას. ამ ეჭვს ამყარებს ის გარემოება, რომ თავდასხმა მოხდა გაფრენის ტერმინალის ნეიტრალურ ზონაში, სადაც გიორგი უგულავას პირადი დაცვა ვერ ახერხებს შესვლას და დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. გიორგი უგულავას ადვოკატმა მიმართა საქმის პროკურორს, რათა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საქმეზე მინიჭებული კვალიფიკაცია - სსკ-ის 126-ე მუხლი გადაეკვალიფიცირებინა სსკ-ის 332-ე მუხლით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას იმ პირების მიერ, რომლებმაც დაავალეს ბ.გ.- ს და დ.პ.- ს ოპოზიციის ლიდერებზე თავდასხმა.*

*2020 წლის 9 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ თბილისის აეროპორტში მომხდარი ინციდენტის საქმეზე დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და გიგი უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული 5000 ლარიანი გირაო გაუუქმა. მოსამართლე ალექსანდრე იაშვილმა გააუქმა უგულავას მიერ საგამოძიებო უწყებისთვის პასპორტის ჩაბარების ვალდებულება. ამ საქმეზე მეტი სასამართლო სხდომები ჯერ არ ჩატარებულა.*

## ეროვნული თავისუფლება – 14-თვიანი წინასწარი პატიმრობის შედეგ

მნიშვნელოვანია აღინიშნოს გიორგი უგულავას წინააღმდეგ არსებული კიდევ ერთი საქმე. კერძოდ, ბრალდების დადგენილების შესახებ დოკუმენტის თანახმად, 2014 წლის 4 ივლისს, გიორგი უგულავა დააკავეს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებით. აღკვეთის ღონისძიების სახით, სასამართლომ მას 9-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

<sup>31</sup> იხ. ინფორმაცია: <https://netgazeti.ge/news/413364/> ;

ამ გადაწყვეტილების შემდეგ, გიორგი უგულავას, 2014 წლის 28 ივლისს, ახალი ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, ე.წ. 7 ნოემბრის საქმეზე. ცხადია, ამ ახალ საქმეზე პროკურატურას, აღკვეთის ღონისძიების რაიმე ფორმის გამოყენების შესახებ შუამდგომლობა არ დაუყენებია სასამართლოს წინაშე, რამდენადაც გიორგი უგულავას მიმართ, სხვა საქმეზე უკვე იყო გამოყენებული წინასწარი პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების უზრუნველყოფის სახე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 4 ივლისს წაყენებულ ბრალდებაზე, წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადა გადიოდა 2015 წლის 2 აპრილს, რის შემდეგაც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იგი დაუყოვნებლივ უნდა გაენთავისუფლებინათ.

ამ დროისათვის, უკვე ცხადი იყო, რომ 9-თვიანი ვადის გასვლამდე ვერ მოხერხდებოდა საქმეზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, პროკურატურა შეეცადა კანონში არსებული ბუნდოვანებით მანიპულაციას და უგულავასთვის შეფარდებული 9-თვიანი ვადის ახალი 9-თვიანი ვადის გამოყენებით გახანგრძლივებას, მე-2 ბრალდების ფარგლებში. ეს პირდაპირ მიანიშნებდა სახელმწიფო ბრალდების განსაკუთრებულ დაინტერესებაზე, გაეხანგრძლივებინა წინასწარი პატიმრობა ქალაქ თბილისის ყოფილი მერისთვის.

2014 წლის 4 ივლისს ევროკავშირმა გაავრცელა განცხადება, რომ ყურადღებით ადევნებდა თვალს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი უგულავას დაკავების საკითხს და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, უზრუნველყო, რომ სასამართლო პროცესი სრულიად დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი ყოფილიყო და ემოქმედა იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერისას აიღო<sup>32</sup>.

ახალი ბრალდების ფარგლებში, 2014 წლის 4 აგვისტოს პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრა<sup>33</sup>. ამის შემდეგ, საქმეზე არაერთგზის გაგრძელდა წინასასამართლო სხდომის ვადა და გიორგი უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით, ბრალდებულად ცნობიდან მთელი 8 თვის განმავლობაში, ბრალდებას სასამართლოსთვის არ მიუმართავს<sup>34</sup>.

2014 წლის 28 ივლისიდან 2015 წლის 13 მარტამდე პერიოდში არავითარი ახალი მტკიცებულება გიორგი უგულავას წინააღმდეგ არ მოპოვებულა. მიუხედავად ამისა, 2015 წლის 14 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას პროკურატურამ მიმართა შუამდგომლობით გიორგი

<sup>32</sup> იხ. ევროკავშირის განცხადება, 2014 წელი, 4 ივლისი. <https://agenda.ge/en/news/2014/1629>

<sup>33</sup> იხ. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1478>

<sup>34</sup> იხ. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1967>

უგულავასათვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით<sup>35</sup>. 2015 წლის 15 მარტს მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ბრალდებულ გიორგი უგულავას ხელახლა შეუფარდა აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა<sup>36</sup>. ეს გადაწყვეტილება დაცვის მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, მაგრამ 2015 წლის 20 მარტის განჩინებით, დაცვის მხარის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი<sup>37</sup>.

2015 წლის 30 აპრილს, გიორგი უგულავამ კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 9-თვიანი ვადის გაგრძელების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით<sup>38</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით, გიორგი უგულავას სარჩელი 9-თვიანი პატიმრობის საკითხის ნაწილში დაკმაყოფილდა<sup>39</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის დაპატიმრება თანაბრად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით. შესაბამისად, თითოეული სისხლის სამართლის საქმეზე პატიმრობის 9-თვიანი ზღვრული ვადის გამოთვლისას ამ ვადაში უნდა ჩათვლილიყო ის პერიოდი, რომელიც პირმა ბრალდების შემდეგ პატიმრობაში გაატარა მის მიმართ წარმოებული სხვა საქმის ფარგლებში. აღნიშნული განმარტების მიხედვით, გიგი უგულავას 2015 წლის 15 მარტის განჩინებით შეფარდებული პატიმრობის ვადის გამოთვლისას მას პატიმრობის ვადაში უნდა ჩათვლოდა 2014 წლის 28 ივლისის (7 ნოემბრის საქმეზე) ბრალდების შემდეგ პატიმრობაში გატარებული პერიოდი<sup>40</sup>. ამასთან, სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული ჰქონდა 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში<sup>41</sup>. გიგი უგულავას შემთხვევაში კი, მას სხვა საქმის ფარგლებში, უკვე გატარებული ჰქონდა წინასწარი პატიმრობის 9 თვე<sup>42</sup>.

<sup>35</sup> იხ. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1478>

<sup>36</sup> იხ. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1478>

<sup>37</sup> იხ. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1478>

<sup>38</sup> იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2998549>

<sup>39</sup> იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2998549>

<sup>40</sup> იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2998549>

<sup>41</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/2/646; 2015 წლის 15 სექტემბერი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2998549?publication=0>

<sup>42</sup> იხ. საქმე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2998549>.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გამხდარიყო გიორგი უგულავას გათავისუფლების საფუძველი. თუმცა, ფორმალურად, საბოლოო გადაწყვეტილება ბრალდებულ უგულავას წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ საერთო სასამართლოებს უნდა მიეღო<sup>43</sup>.

მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა გიორგი უგულავას სარჩელი წინასწარი პატიმრობის ვადებთან დაკავშირებით, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა გიორგი უგულავას დაუყოვნებლივ გათავისუფლებასთან დაკავშირებით. დაცვის მხარის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეზე არ არის გიგი უგულავას მიმართ აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ნებისმიერ მოსამართლეს შეეძლო, ემსჯელა გიორგი უგულავას წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ.

სასამართლომ 2015 წლის 17 სექტემბერს დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და გიორგი უგულავა, 14-თვიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ, სასამართლოს დარბაზიდან გაანთავისუფლა<sup>44</sup>. 2015 წლის 17 სექტემბერს გათავისუფლებული გიგი უგულავა, მეორე დღეს - 2015 წლის 18 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, ერთდღიანი თავისუფლების შემდეგ, ისევ ე.წ. „მატროსოვის ციხეში“ დააბრუნეს. განაჩენის მიხედვით, „თბილსერვის ჯგუფის“ ეპიზოდთან დაკავშირებით, პატიმრობა 4 წლითა და 6 თვით მიუსაჯეს. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობები და არც ბრალდებულის მოთხოვნა, რომ საბოლოო სიტყვის მოსამზადებლად მისთვის ერთკვირიანი ვადა მიეცათ<sup>45</sup>.

## საერთაშორისო გამოხმაურებები გიორგი უგულავას ბრალდებებთან დაკავშირებით

გიორგი უგულავას მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მიერ 2020 წლის 10 თებერვალს მიღებულ გადაწყვეტილებას არაერთი კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა დასავლელი პარტნიორებისაგან. სასამართლო გადაწყვეტილებას გამოცხადებიდან რამდენიმე საათში, აშშ-ის რესპუბლიკელი კონგრესმენი, საქართველოს მხარდამჭერი ჯგუფის თავმჯდომარე, **ადამ კინზინგერი** გამოეხმაურა<sup>46</sup>. *მისი განცხადებით, „იმის თქმა, რომ ეს მხოლოდ შემაშფოთებელია, რბილი შეფასება იქნება. სასამართლოს იარაღად გამოყენება, არ არის დემოკრატია“.*

<sup>43</sup> იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2998549?publication=0>

<sup>44</sup> იხ. <https://bit.ly/2z3ny2a>

<sup>45</sup> იხ. <https://bit.ly/3d3uFX4>

<sup>46</sup> იხ. ადამ კინზინგერის განცხადება: <https://twitter.com/repkinzinger/status/1226955819201245192?lang=en>

კინზინგერის განცხადებიდან რამდენიმე საათში, უგულავას დაპატიმრება და სასამართლოს გადაწყვეტილება გააკრიტიკა სენატორმა **ჯიმ რიშმაც**, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეა. *მისი განცხადებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვედრაზე უთხრა, რომ „სასამართლოს დამოუკიდებლობის კოლაფსი და ოპოზიციის დევნა მიუღებელი ქცევაა“<sup>47</sup>.*

ამერიკელ პოლიტიკოსებთან ერთად, პოლიტიკური პროცესების პარალელურად, განხორციელებულ დაკავება/დაპატიმრებებთან დაკავშირებით პოზიცია საქართველოში აშშ-ის საელჩომაც გამოხატა. **საელჩო იმედგაცრუებულია იმით, რომ ოპოზიციის ლიდერის მიმართ გამოტანილი განაჩენისა და თავისუფლების აღკვეთის დრო და კონტექსტი ოპოზიციისა და ხელისუფლების დიალოგს რისკის ქვეშ აყენებს**<sup>48</sup>.

გიორგი უგულავას დაპატიმრება გააკრიტიკა ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმაც. როგორც მისი განცხადებიდან ირკვევა, იგი შემოთავაზებულია პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგი უგულავას საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით. მისი თქმით, არ შეიძლება სახელმწიფო სასამართლოს იყენებდეს ოპოზიციის სამართლებრივი დევნის მიზნით. ეს აუცილებელი პირობაა დემოკრატიული საზოგადოებისთვის. მინისტრი აღნიშნავს იმასაც, რომ მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები იქნება ლაკუმუსის ტესტი საქართველოში<sup>49</sup>.

უმნიშვნელოვანესია 26 ევროპარლამენტარის კრიტიკული წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მიმართ, რომელიც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართ განახლებულ სამართალწარმოებასაც ეხება. წერილში პირდაპირ არის მითითებული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასა და გიორგი უგულავას დაპატიმრების ფაქტზე. **ევროპარლამენტარების განცხადებით**, უგულავას ახლანდელი საქმე კითხვებს აჩენს პროცედურის, დროისა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაციის შესახებ.

*წერილის ყველაზე ყურადსაღები ნაწილია ის, რომ მას ევროპარლამენტის ყველა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელი აწერს ხელს, მათ შორის - იმ პოლიტიკური ჯგუფის წევრებიც (სოციალ-დემოკრატები - S&D), რომელშიც საქართველოს მმართველი პარტია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ერთიანდება. კერძოდ, წერილის ხელმომწერებში არიან - მწვანეების ევროპული კავშირის (EFA) 10 წევრი, ევროპის სახალხო პარტიის (EPP) 6 წევრი,*

<sup>47</sup> იხ. ჯიმ რიშის განცხადება: <https://twitter.com/SenateForeign/status/1227019806395600896>

<sup>48</sup> იხ. ამერიკის საელჩოს განცხადება: <https://bit.ly/2VVojTV>

<sup>49</sup> იხ. ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გავრცელებული განცხადება: <https://bit.ly/2Vykkwh>.

სოციალ-დემოკრატების (S&D) 7 წევრი, ევროპის განახლების ჯგუფის (RENEW) 3 წევრი<sup>50</sup>.

წერილის ხელმოწერით განცხადებით, როგორც საქართველოს ნამდვილი მოკავშირეები - ევროპარლამენტის წევრები გამოხატავენ წუხილს საქართველოს უკუსვლით კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული პრინციპების საკითხებში. მათი შეფასებით, მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია. *ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი მოსამართლეების ახლანდელი შერჩევა და დანიშვნა მოკლებული იყო გამჭვირვალობასა და დამსახურებებზე დაფუძნებულ ობიექტურობას. მოქალაქეების ნდობა სასამართლო სისტემისადმი აუცილებელია და საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოსამართლეები, რომელთა არჩევაც ჯერ არ მომხდარა, შეესაბამებოდნენ უმაღლეს პროფესიონალურ და სარეპუტაციო სტანდარტებს.*

**ევროპარლამენტარები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია, შენარჩუნებული იქნას კანონის უზენაესობა და დასრულდეს პოლიტიკური გავლენა სასამართლოზე. მათი შეფასებით, პოლიტიკური გავლენა სასამართლოზე მზარდი ჩანს.** ასევე მიუთითებენ მმართველი პარტიის თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, სადაც ის ოპოზიციას ციხით ემუქრება, არააქტიური საქმეების განახლებას და, მათ შორის, ოპოზიციის რამდენიმე ლიდერის წინააღმდეგ გამოძიების მიმდინარეობას ან მათ პატიმრობაში ყოფნას აანონსებს.

2020 წლის 6 მარტს, ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ვიცე-პრეზიდენტის, **ზიგფრიდ მურეშანის განცხადება გავრცელდა**, რომლის თანახმად, თუ საქართველოში მოვლენები ნეგატიურად განვითარდება, ევროპარლამენტში სანქციების საკითხი იქნება განხილული. **ევროპარლამენტარი გიორგი უგულავას საქმესაც შეეხო და აღნიშნა, რომ ოპოზიციური პოლიტიკოსების დევნა და დაპატიმრება ნორმალური არაა.** იგი, ასევე, მიუთითებს საქართველოში, გარკვეულ შემთხვევებში, კანონის უზენაესობის უფუნქციობასა და მოსამართლეებზე განხორციელებულ გენოლაზე და როდის არ არის სასამართლო დამოუკიდებელი<sup>51</sup>.

გიორგი უგულავას მიმართ გამოტანილი განაჩენის თაობაზე შეშფოთება გამოხატეს საქართველოს უფლებადამცველმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. განცხადებაში, რომელსაც ხელს 12 ორგანიზაცია აწერს, ნათქვამია, რომ მიღებული გადაწყვეტილება არის ხელისუფლების მიერ ოპონენტების წინააღმდეგ პოლიტიკური დევნის გაგრძელება და იგი რამდენიმე თვალსაზრისით პრობლემურია<sup>52</sup>.

<sup>50</sup> იხ. განცხადება: <https://civil.ge/archives/341052>.

<sup>51</sup> იხ. ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ვიცე-პრეზიდენტის, ზიგფრიდ მურეშანის განცხადება <https://bit.ly/2KsP7EA>.

<sup>52</sup> იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული განცხადება: <https://bit.ly/2yK0LYU>.



საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სასამართლოს მოსამართლის პირადი დამოკიდებულება და ქცევა უნდა ქმნიდეს საზოგადოებაში მისი მიუკერძოებლობის განცდას. მოსამართლემ, რომლის მიკერძოებულობის მიმართაც აშკარა ეჭვი ჩნდება, საქმის განხილვაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს<sup>53</sup>.

*მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ უგულავას დაკავება გააკრიტიკეს იმ ქართველმა პოლიტიკოსებმაც, რომლებიც წარსულში „ქართული ოცნების“ წევრები ან გიორგი უგულავასთან დაპირისპირებულები იყვნენ. მათ შორის - გიორგი მარგველაშვილმა<sup>54</sup>, გიორგი კვირიკაშვილმა<sup>55</sup>, ალექსანდრე ელისაშვილმა<sup>56</sup> და თამარ ჩუგოშვილმა<sup>57</sup>. მათ სასამართლოს გადაწვეტილება პოლიტიკურ დევნად შეაფასეს.*

## 2020 წლის 8 მარტს მიღწეული პოლიტიკური შეთანხმების მიზანი და მნიშვნელობა

2020 წლის 8 მარტს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების ორი დოკუმენტი გაფორმდა<sup>58</sup>. შესაძლებელია ითქვას, რომ შესათანხმებელი საკითხების სეპარაცია რაციონალური აღმოჩნდა. ასევე, კონსენსუსის მიღწევის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის, ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის, კარლ ჰარცელის, გერმანიის ელჩის, ჰუბერტ ქნირშის, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელის, კრისტიან ურსეს და აშშ-ის მისიის მოადგილის, ელიზაბეტ რუდის წვლილი<sup>59</sup>. გამომდინარე იქიდან, რომ ოპოზიცია შეთანხმების მაგიდასთან დაჯდომამდე დაკავებული ლიდერების გათავისუფლების პირობას აყენებდა და მხოლოდ ამ საკითხის მოგვარების პირობით თანხმდებოდა მოლაპარაკებებს ხელისუფლებასთან, ამჯერად, ეს საკითხი ცალკე დოკუმენტით დარეგულირდა. „ურთიერთგაგების მემორანდუმში“ შესულია საარჩევნო სისტემის შესახებ დეტალები. მეორე დოკუმენტი კი, პატიმრობაში მყოფი ოპოზიციური ლიდერებისა და აქტივისტების საკითხებს აწესრიგებს. დოკუმენტით აღიარებულია, რომ მართლმსაჯულების სისტემაში „უმაღლესი სტანდარტი“ უნდა იყოს დაცული. მინიშნებულია იმაზეც, რომ

<sup>53</sup> იხ. სახალხო დამცველის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გიგი უგულავას მიმართ გამოტანილ განაჩენზე: <https://bit.ly/3eQwZIS>.

<sup>54</sup> იხ. გიორგი მარგველაშვილის განცხადება გიორგი უგულავას დაპატიმრებაზე: <https://bit.ly/3cMEXKW>.

<sup>55</sup> იხ. გიორგი კვირიკაშვილის განცხადება გიორგი უგულავას დაპატიმრებაზე: <https://bit.ly/2zsUHVj>.

<sup>56</sup> იხ. ალექსანდრე ელისაშვილის განცხადება გიორგი უგულავას დაპატიმრებაზე: <https://bit.ly/3cVGfml>.

<sup>57</sup> იხ. თამარ ჩუგოშვილის განცხადება გიორგი უგულავას დაპატიმრებაზე: <https://bit.ly/2S5tRsQ>.

<sup>58</sup> იხ. 1) ურთიერთგაგების მემორანდუმი: <https://ge.usembassy.gov/wp-content/uploads/sites/165/GE-1202.pdf>; 2) ერთობლივი განცხადება: <https://ge.usembassy.gov/wp-content/uploads/sites/165/8-March-2020-Statement.pdf>.

<sup>59</sup> ინფორმაცია იხ. საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე: <https://bit.ly/2KOEBS>

შეთანხმებით, ამჟამად და მომავალშიც სასამართლო და საარჩევნო პროცესების არასათანადო პოლიტიზაციაზე რეაგირება აუცილებელია<sup>60</sup>.

დოკუმენტში ნახსენებია საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებიც და ამ მხრივ, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ დაკავებულების გათავისუფლების ერთ-ერთი ინსტრუმენტი - პრეზიდენტის შეწყობა შეიძლება იყოს სამართლებრივი პრობლემის გამოსწორების შესაძლებლობაც.

შემდგომი საჯარო განცხადებების თანახმად, დოკუმენტში არსებული ამგვარი ჩანაწერი ოპოზიციისთვის ნიშნავს, რომ „ხელისუფლებამ პოლიტიკატიმრები უნდა გაათავისუფლოს“, ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის კი - იმას, რომ საქართველოში „პოლიტიკური პატიმრები“ არ არსებობენ და მართლმსაჯულებამ დამოუკიდებლად უნდა დაარეგულიროს სამართლებრივი საკითხები დაკავებულ პირებთან მიმართებით.

2020 წლის 9 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ თუ იგი საჭიროდ ჩათვლის, რომ შეწყობა უნდა შედგეს, იქნება მიღებული შეწყობის აქტი. ასევე, მანვე განაცხადა, რომ შეწყობა ექვემდებარება წესებს, რომელიც მიღებულია ამ წელს და რაც არ უნდა იყოს მოთხოვნა, განხილული იქნება ამ წესების მიხედვით. პრეზიდენტის თქმით, არ არსებობს ამ ქვეყანაში ცალკე ადამიანები, რომლებზეც ვრცელდება ცალკე რეგულაციები. ყველა მოქალაქისთვის, არის ერთი და იგივე რეგულაცია და ყველა მოქალაქემ ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა მიმართოს პრეზიდენტს<sup>61</sup>.

2020 წლის 10 მარტს, ხელისუფლებასა და ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას შორის დადებულ შეთანხმებას, სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარე, ჯიმ რიში და სენატორი - ჯინ შაჰინი გამოეხმაურა. **ჯიმ რიშის განცხადებით, ის ელის პოლიტიკური მოტივით დაკავებული პირების მყისიერად გათავისუფლებას. მისი განცხადებით, წლის დასაწყისში, მან და მისმა კოლეგა სენატორმა - ჯინ შაჰინმა პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მისწერეს და გაუზიარეს უკანასკნელი მოვლენებით გამოწვეული მათი ნუხილები და ურჩიეს, რომ საქართველოს მთავრობას ბოლო მოელო დემოკრატიის უკუსვლისათვის. სენატორი შაჰინის თქმით, დადებული შეთანხმება კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიისთვის<sup>62</sup>.**

<sup>60</sup> იხ. ერთობლივი განცხადება: <https://ge.usembassy.gov/wp-content/uploads/sites/165/8-March-2020-Statement.pdf>.

<sup>61</sup> იხ. საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის კომენტარი ე.წ. პოლიტიკური პატიმრების შეწყობის საკითხის შესახებ: <https://bit.ly/3cKBCfz>.

<sup>62</sup> იხ. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარე - ჯიმ რიშისა და სენატორი ჯინ შაჰინის განცხადებები: <https://civil.ge/ka/archives/342004>

## დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლიდან დღემდე, ინსტიტუციურ დონეზე, სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკური გავლენებისგან გასათავისუფლებლად და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად რიგი პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა, დღევანდელი მდგომარეობით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კუთხით არსებული გამოწვევების უპირველეს დადასტურებას წარმოადგენს ის კითხვები, რაც მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებთან დაკავშირებით არსებობს და რაც გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებშიც არაერთი დარღვევის საფუძველია.

წინამდებარე კვლევისას, გიორგი უგულავას საქმეებთან დაკავშირებით შესაძლო პოლიტიკური მოტივების გამოსავლენად, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოყენებულია ევროპის საბჭოს, ასევე - საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის მიერ შემუშავებული, პოლიტიკური პატიმრის სტატუსის არსებობისთვის საჭირო კრიტერიუმები. ევროპის საბჭომ ეს კრიტერიუმები ჯერ კიდევ 2001 წლის 3 მაისს შეიმუშავა და გამოიყენებოდა 2001-2004 წლებში სომხეთსა და აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების იდენტიფიცირებისათვის. ხოლო 2012 წლის 26 ივნისს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ამტკიცებს „პოლიტიკური პატიმრების შესახებ“ აღნიშნულ კრიტერიუმებს. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფს საქართველოს შესახებ არ უმსჯელია, მათ მიერ შემუშავებული კრიტერიუმები საქართველოში არსებულ საქმეებს შეგვიძლია მივუსადაგოთ<sup>63</sup>. სწორედ ამ კრიტერიუმების საფუძველზე იქნა იდენტიფიცირებული გიორგი უგულავას საქმეში არსებული დარღვევები. *კერძოდ, დაირღვა საკანსაციო საჩივრის განხილვის 6-თვიანი ვადა; არ მოხდა საქმის განხილველი ერთ-ერთი მოსამართლის - შალვა თაღუმაძის აცილება, რომელიც მანამდე სასამართლოში საქმის განხილვისას მთავარი ბრალმძებელი (გენერალური პროკურორი) იყო; 13 დღეში იქნა შესწავლილი მრავალტომიანი საქმე და განაჩენი გამოტანილი; საკანსაციო სასამართლომ საქმეზე გეპირი მოსმენის გარეშე განიხილა, როცა მასზე განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა სავარაუდო პოლიტიკური მოტივების გამო; არსებობს შერჩევითი სამართლის სხვა ნიშნები.*

გიორგი უგულავას საქმეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, საკანსაციო საჩივრის განხილვის 6-თვიანი ვადის დარღვევის შემდეგ, საქმის განხილვის უსწრაფესად დაწყება, პოლიტიკურად აქტიურობის დროისა და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ახალი ბრალის წარდგენის თანხვედრა, ასევე -

<sup>63</sup> იხ. მეგზური პოლიტიკური პატიმრების შესახებ. 2012 წ.:

<http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hrh/politikuri%20patimrebi-gzamkvlevi-geo.pdf>

სასამართლოს მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებები, საერთაშორისო პარტნიორების და გავლენიანი მეგობარი პოლიტიკოსების მკაცრი განცხადებები, საფუძვლიანად ბადებს ეჭვებს ამ საქმეებში პოლიტიკური მოტივირების არსებობის თაობაზე და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, მართლმსაჯულების ორგანოების პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნებისთვის გამოყენებაზე.

იმ ფონზე, როცა გიორგი უგულავას წინააღმდეგ გამოძიება 7 წლის წინ დაიწყო, ხოლო პარალელურად სისხლისსამართლებრივი დევნა კიდევ რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერის წინააღმდეგ მიმდინარეობს, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლების მხრიდან, სისხლისსამართლებრივი დევნა ოპონენტების წინააღმდეგ ზემოქმედების ბერკეტად გამოიყენება.

სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების წინააღმდეგ დროში გაწელილმა გამოძიებამ და სასამართლო პროცესებმა საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკის სახე მიიღო. როგორც ჩანს, ხელისუფლება ამ მეთოდს ეფექტიანად იყენებს საკუთარ ოპონენტებზე არაპირდაპირი ზეწოლის მიზნით და ამა თუ იმ საქმეს იმ დროს ააქტიურებს, როდესაც ამის პოლიტიკური მიზანშეწონილობას დაინახავს.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოებში გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარეობს კიდევ ერთი საქმე, რომელიც ეხება 13 წლის წინ - 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევას და ტელეკომპანია „იმედის“ დარბევას. საქმეზე ბრალი წარდგენილი აქვთ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და იმ პერიოდის მაღალჩინოსნებს - ივანე მერაბიშვილს, ზურაბ ადგიშვილს, დავით კეზერაშვილს და გიორგი უგულავას<sup>64</sup>. ადამიანის უფლებათა ცენტრი ახორციელებს ამ საქმის მონიტორინგს, რომლის შედეგებსაც სამომავლოდ გამოაქვეყნებს.

---

<sup>64</sup> იხ, ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი:  
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20135&lang=geo>

# თავი

# 2

2019 წლის 20-21 ივნისის  
მოვლენებთან  
დაკავშირებული სისხლის  
სამართლის საქმეების  
სამართლებრივი ანალიზი

## შესავალი

2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო გამოსვლების დარბევა საქართველოს უახლეს ისტორიაში მრავალმხრივ გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენაა. მრავალათასიანი საპროტესტო აქცია მოჰყვა თბილისში, ე.წ. მართლმადიდებლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეის სესიის მიმდინარეობისას, რუსეთის დუმის დეპუტატის, სერგეი გავრილოვის მიერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლის დაკავებას და პარლამენტში რუსულ ენაზე სესიის ჩატარებას. საპროტესტო აქციის ძალის გადამტეხების დაშლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკურ-სამოგადოებრივი ცხოვრება. სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა სისხლისსამართლებრივი დევნისას მართლმსაჯულების ორგანოების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ ადგილობრივ<sup>65</sup> თუ საერთაშორისო დონეზე გაჩნდა მრავალი ეჭვი, რაც უკავშირდება არაერთი სამოქალაქო აქტივისტის, დემონსტრანტისა თუ პოლიტიკურად აქტიური პირის სისხლისსამართლებრივ დევნას, მათ შორის - სავარაუდო დანაშაულების გაცოცხლებას, გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებს თუ გამოყენებულ პატიმრობებს, სადაც პოლიტიკური მოტივები იკვეთება<sup>66</sup>.

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, ადგილობრივი თუ საერთაშორისო<sup>67-68</sup> და სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის<sup>69</sup>, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის<sup>70</sup>, განსაკუთრებული შეფასების საგანი გახდა: აქციის დაშლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა და პროპორციულობა; მოვლენებთან დაკავშირებული პირების მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა და ამ პირთა საქმეების სასამართლოებში განხილვის პრაქტიკა; გამოყენებული პატიმრობები და გამამტყუნებელი განაჩენები; ყურნალისტური საქმიანობის განხორციელებაში ჩარევის შემთხვევები; დამარალებულად ცნობაზე უარის საკითხები; სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, არასათანადო მოპყრობის ფაქტები და

<sup>65</sup> იხ. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლისა და მისი წევრი ორგანიზაციების განცხადება: <https://bit.ly/2MCNQVf>, 2019 წლის 9 აგვისტო.

<sup>66</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/2AwUhO6>, ბოლოს ნანახია 01.06.2020.

<sup>67</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციისა და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის განცხადება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19893&lang=geo>

<sup>68</sup> იხ. საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის განცხადება: <https://bit.ly/2AR3IIA>.

<sup>69</sup> იხ. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში. 2020 წელი. <https://bit.ly/2Afi5WV>. ასევე, იხ. U.S. Department of State, „Country Reports on Human Rights Practices: Georgia“. 2020 წელი: <https://bit.ly/30kArAs>.

<sup>70</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი ანალიზი - „20-21 ივნისის მოვლენები“, 2019 წ.: <https://bit.ly/2Y9UWgk>. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ერთ-ერთ მთავარ წყაროდ იყენებს ადამიანის უფლებათა ცენტრის 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივ ანალიზს.

მათვე სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიან და ობიექტურ გამოძიებაზე უარის თქმის საკითხები.

ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სხვა უფლებადამცველი ორგანიზაციების შეფასებით<sup>71</sup>, სამართალდამცავთა ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ ის პირებიც, რომლებიც დაკავების შემდეგ სამართალდამცავთა ეფექტიანი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ მიერ განხორციელებულმა ფიზიკურმა და სიტყვიერმა ძალადობამ მიაღწია სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რაც ქმნის დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის საფუძველს და საჭიროებს გამოძიებას შესაბამისი პასუხისმგებელი პირების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით. მომხდარი ფაქტიდან გასული ხანგრძლივი ვადის მიუხედავად, სულ რამდენიმე სამართალდამცავის მიმართ დაიწყო გამოძიება სავარაუდო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, რაც ჯერ კიდევ სასამართლოს პირველ ინსტანციაში (თბილისის საქალაქო სასამართლო) განიხილება და არცერთი მათგანის მიმართ არ გამოცხადებულა განაჩენი. ეს მაშინ, როდესაც სამოქალაქო აქტივისტებისა თუ პოლიტიკური პირების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე, აქტიურად მიმდინარეობს სამართალწარმოების პროცესი, ზოგიერთის მიმართ კი უკვე გამამტყუნებელი განაჩენიც დადგა<sup>72</sup>.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანი, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორედ 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის ფაქტებისა და სხვადასხვა პირთა წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასებაა. დოკუმენტში გაანალიზდა სამოქალაქო აქტივისტების, ოპოზიციური პარტიების და მედიის წარმომადგენელთა საქმეები, ვის მიმართაც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების, არასათანადო მოპყრობისგან დაცვის, სწრაფი და ხარისხიანი მართლმსაჯულების, სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებები.

---

<sup>71</sup> იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება - „დაკარგული თვალის მიღმა“ 2019 წ.: <https://bit.ly/37qv32P>; იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) პირველადი სამართლებრივი შეფასება, „20 ივნისის მოვლენები: აქციის დაშლა და ადამიანის უფლებების დარღვევის ძირითადი პრაქტიკა (პირველადი სამართლებრივი შეფასება)“: <https://bit.ly/2MF81t6>.

<sup>72</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/2AwUho6>, ასევე - „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“, ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2XEXPFN>.

## კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევა, უშუალოდ ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორების სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიშებს, იდენტიფიცირებულ პრობლემურ მატერიალურ და საპროცესო-სამართლებრივ საკითხებს, ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან და მათ უფლებადამცველებთან ინტერვიუების გზით მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა დოკუმენტს და კვლევისას გამოვლენილ მიგნებებს. კვლევის პროცესში შესწავლილია საქმეებში არსებული ბრალდების შესახებ დადგენილებები, დაცვისა და ბრალდების მხარეების შუამდგომლობები, სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებები, შუალედური გადაწყვეტილებები, განაჩენები, სახალხო დამცველის მიერ საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაგზავნილი სასამართლო მეგობრის მოსაზრებები (*Amicus Curiae*), ვენეციის კომისიის (*Venice Commission*) ანგარიშები/დასკვნები, ევროპის საბჭოსა (*Council of Europe*) და საერთაშორისო ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიის“ (*Amnesty International*) მიერ შემუშავებული, პოლიტიკური პატიმრის შესახებ კრიტერიუმები.

კვლევაში, ასევე, ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლოების გადაწყვეტილებებთან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებების მისადაგების საფუძველზე, წარმოდგენილია შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც უფრო ნათლად წარმოაჩენს პრობლემურ სამართლებრივ საკითხებს, საქმეების მიმართ სახელმწიფო ხელისუფლების დაინტერესებას, მართლმსაჯულების ორგანოების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ჩარევას, რაც უხეშად არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

## 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის პარალელურად ამ დოკუმენტში განხილული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის მიზანს წარმოადგენს არა ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირთა დამნაშავეობა/უდანაშაულობის დადგენა, არამედ სამართალწარმოების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირება. ამასთან, თითოეული პრობლემური საკითხი, შეფასებულია ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად.



• **ირაკლი ოქრუაშვილის საქმე**

პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ დამფუძნებელი, ირაკლი ოქრუაშვილი 2019 წლის 25 ივლისს დააკავეს<sup>73</sup>. პროკურატურა მას 2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებისას ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას (სსკ-ის 225-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და მასში მონაწილეობას (სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ედავებოდა<sup>74</sup>.

*თბილისის საქალაქო სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში (ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა) გაამართლა<sup>75</sup>. საქართველოს პროკურატურა ირაკლი ოქრუაშვილისთვის ამ ბრალის დამტკიცებას ორ ეპიზოდში ცდილობდა. ბრალდების დადგენილებით, პირველი ეპიზოდი ეხებოდა საქართველოს პარლამენტის გვერდითა შესასვლელთან, ჭიჭინაძის ქუჩაზე, ირაკლი ოქრუაშვილის სამართალდამცავებთან მისვლას, ხოლო მეორე ეპიზოდი, პროკურატურამ მთლიანად ერთი პოლიციელი მოწმის ჩვენებას დაამყარა, რომლის თანახმად, მაშინ, როცა აქციის მონაწილეები ცდილობდნენ პარლამენტის ეზოში შეჭრას, მან იქვე შენიშნა ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც ხალხის მასასთან ერთად იძახდა: „წინ, წინ!“ და მიიწვედა პარლამენტის შენობისკენ<sup>76</sup>. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის თანახმად, პირველ ეპიზოდში არ გამოიკვეთა ქმედების ისეთი დანაშაულებრივი ნიშნები, რაც ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას დაამტკიცებდა. სასამართლო პროცესებზე ვერ იქნა წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულებები, რითაც დამტკიცდებოდა ირაკლი ოქრუაშვილის თანხლები პირების ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა, რაც, სასამართლოს შეფასებით, თავისთავად გამორიცხავდა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას. ხოლო მეორე ეპიზოდში, სასამართლომ სამართლიანად მიიჩნია, რომ ცალკე აღებული სიტყვები „წინ, წინ!“ - მათი კონტექსტისა და მიმართვის ადრესატთა დადგენის გარეშე, ჯგუფური ძალადობრივი მოქმედებების ხელმძღვანელობად ვერ ჩაითვლებოდა.*

*სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში<sup>77</sup>. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ძალადობრივი ქმედებები გამოიხატა პოლიციის კორდონზე მიწოლაში, ასევე - ერთ-ერთი პოლიციელისთვის ხელზე მოქაჩვასა და გამოწვევის შედეგად მისი წინააღმდეგობის დაძლევაში. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი დაეყრდნო 4 მოწმის ჩვენებას. ოთხივე*

<sup>73</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/36Tylc5>. ბოლოს ნანახია: 29.05.2020.

<sup>74</sup> იხ. დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, თბილისი. 26.07.2019. დოკუმენტის N0013218149.

<sup>75</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2YaDHf6>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>76</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში. არსებითი განხილვა: 10.01.2020; 13:20-14:12 საათი.

<sup>77</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2YaDHf6>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

პოლიციელია. როგორც განაჩენის შესწავლისას დადგინდა, ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში სსკ-ის 225-ე მუხლის სასამართლოსეული განმარტება, სამართლებრივად პრობლემურია. იგი არ ითვალისწინებს კანონმდებლის მიზანს, აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებისა და საჯარო ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და არ მოხდეს მუხლის იმგვარი განმარტება, რომ მასში მოექცეს სხვა მუხლებით, ფაქტობრივად ახლოს მდგომი შემადგენლობების მქონე სისხლის სამართლის საქმეები.

მძიმე საერთაშორისო წნეხიდან გამომდინარე<sup>78</sup>, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში სავარაუდო პოლიტიკური მოტივების არსებობას უკავშირდება, საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების აქტის საფუძველზე პოლიტიკური პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი, ირაკლი ოქრუაშვილი 2020 წლის 15 მაისს, შეინყალა<sup>79</sup>. მსჯავრდებულმა შეწყალების აქტის გამოცემის დღესვე - 2020 წლის 15 მაისს დატოვა პენიტენციური დაწესებულება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სასამართლოში აქტიურად აკვირდება ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც ეხება ამირან (ბუტა) რობაქიძის გარდაცვალებას 2004 წელს სამართალდამცველთა სპეცოპერაციისას. ამ სისხლის სამართლის საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი, ოფიციალურად, დანაშაულის ხანდამშულობის ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე - 2019 წლის 19 ნოემბერს წარედგინა<sup>80</sup>. საქართველოს პროკურატურა მას სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავება, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

**ადამიანის უფლებათა ცენტრი ცალკე გამოაქვეყნებს ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასების შესახებ კვლევას.**

## • ნიკანორ მელიას საქმე

2019 წლის 25 ივნისს საქართველოს პროკურატურამ საქართველოს პარლამენტის წევრს, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარეს, ნიკანორ მელიას 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ

<sup>78</sup> იხ. აშშ-ის საელჩოს განცხადება ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებაზე: <https://bit.ly/36BrWCj>; აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარის - ჯიმ რიშისა და სენატორი ჯინ შაჰინის განცხადებები: <https://bit.ly/3e0ZxbN>; იხ. ერთობლივი განცხადება: <https://bit.ly/2AxeT9ი>; იხ. ევროპარლამენტარების განცხადება: <https://bit.ly/3fmLQUN>.

<sup>79</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/37sxaAF>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>80</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2XYsNtZ>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

გამართულ აქციაზე ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდება წარუდგინა<sup>81</sup>.

- **ბრალდების არსი**

ბრალდების დადგენილებით, 2019 წლის 20 ივნისს მოქალაქეთა შეკრების მიმდინარეობისას, დაახლოებით 21:00 საათზე, საქართველოს მოქალაქეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრმა ნიკანორ მელიამ და განაცხადა, რომ თუ ერთ საათში მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდებოდა, ყველას უნდა გადაენაცვლა უშუალოდ საქართველოს პარლამენტის შენობაში<sup>82</sup>. ვინაიდან მოთხოვნები არ შესრულდა, პარლამენტის სასახლეში შეჭრის მიზნით, მიტინგზე შეკრებილმა მოქალაქეების ნაწილმა, ნიკანორ მელიას ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, დაიწყო პარლამენტის წინ, პერიმეტრზე განლაგებული სამართალდამცავების მიმართ ძალადობა, იარაღად სხვადასხვა ნივთების გამოყენებით მათზე თავდასხმა, ასევე სამართალდამცავთა კუთვნილი ნივთების დაზიანება და განადგურება. დადგენილების თანახმად, ამ ძალადობრივი ქმედებების შედეგად, სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღეს როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა, ასევე, პროტესტის მშვიდობიანად გამოხატვის მიზნით, იქ შეკრებილმა მოქალაქეებმა.

- **გენერალური პროკურორის მიმართვა საპარლამენტო მანდატის შეზღუდვაზე**

2019 წლის 25 ივნისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ პარლამენტს ნიკანორ მელიას სადებუტატო მანდატის მოხსნის მოთხოვნით მიმართა<sup>83</sup>. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლისა<sup>84</sup> და პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის<sup>85</sup> შესაბამისად, პარლამენტის წევრის დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. ამის გათვალისწინებით, სასამართლოსთვის ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მიზნით, საქართველოს გენერალურმა

<sup>81</sup> იხ. საქართველოს პროკურატურის განცხადება: <https://bit.ly/3f0Ze0z>, ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>82</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი ანალიზი, „20-21 ივნისის მოვლენები“, გვ. 5-6. 2019 წელი: <https://bit.ly/2Y9UWqK>.

<sup>83</sup> <sup>83</sup> იხ. საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვა N013/4 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ქ.-ნ თამარ ჩუგოშვილს. 25.06.2019 წელი: <https://bit.ly/2UqIhGj>, ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>84</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: <https://bit.ly/3dHBHle>, ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>85</sup> იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი: <https://bit.ly/3dMSEKQ>.

პროკურატურამ საქართველოს პარლამენტს მიმართა თხოვნით, რომ გაეცა კანონით გათვალისწინებული თანხმობა მისი დაპატიმრების თაობაზე<sup>86</sup>.

საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის წევრს იმუნიტეტი იცავს, მაგრამ დანაშაულის ჩადენისას, ეს დაუსჯელობის გარანტიას არ წარმოადგენს. პარლამენტის წევრს სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის, მაგრამ იმუნიტეტის მოხსნა შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდისას<sup>87</sup>.

გენერალური პროკურორის მტკიცებით<sup>88</sup>, ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიმართ არსებობდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების როგორც ფორმალური, ისე ფაქტობრივი საფუძვლები. გენერალურმა პროკურორმა მიუთითა, რომ აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება, ჩაიდენს ახალ დანაშაულს და ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებასა და მტკიცებულების მოპოვებას<sup>89</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ წარდგენილი წინადადება ფორმალურია, მასში წინასწარი პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის დამადასტურებელი რიგი მნიშვნელოვანი ასპექტები სათანადოდ არ არის წარმოდგენილი და დასაბუთებული, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა<sup>90</sup>, რაზეც პროკურატურა მიუთითებს, ფაქტობრივი გარემოებებითა და მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, არ შეესაბამება ნიკანორ მელიას წინამდებარე საქმეს.

ვენეციის კომისიის ანგარიშის თანახმად, იმუნიტეტის გამოყენების და მოხსნის წესები უნდა იყოს მკაფიო და ზუსტი, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი პროცედურებით. კომისია მიუთითებს, რომ თანამედროვე პირობებში საპარლამენტო იმუნიტეტი ფუნქციონირებს ძირითადად, უმცირესობის გარანტიის სახით<sup>91</sup>. ეს ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის გარანტიები ვერ დაიცავენ პარლამენტარს

<sup>86</sup> იხ. საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვა N013/4 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ქ.-ნ თამარ ჩუგოშვილს. 25.06.2019 წელი: <https://bit.ly/2UqlhGj>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>87</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები: <https://bit.ly/3dHBHle>.

<sup>88</sup> იხ. საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვა N013/4 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ქ.-ნ თამარ ჩუგოშვილს: <https://bit.ly/2UqlhGj>.

<sup>89</sup> იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი: <https://bit.ly/2APwDN7>.

<sup>90</sup> იხ. საქმე Wettstein v. Switzerland, 26 იანვარი, 1993, პარაგრაფი 33; სტრასბურგი, 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება: <https://bit.ly/2zdaWGT>; იხ. საქმე Barfuss v. the Czech Republic, 1 აგვისტო, სტრასბურგი, 2000; <https://bit.ly/2ASinTv>; იხ. საქმე Punzelt v. the Czech Republic, 25 აპრილი, სტრასბურგი, 2000; ასევე იხ. „კონრადი იტალიის წინააღმდეგ“, 2000.

<sup>91</sup> იხ. იხ. ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 მაისის ანგარიში: <https://bit.ly/2MHk9cQ>.

მის მიერ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებების თაობაზე, პოტენციურად გაუთავებელი სამართლებრივი დავებისაგან, რომელიც შეიძლება ინიცირებულ იყოს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან. ამგვარ სამართლებრივ დავებს, de facto, შეუძლიათ შეზღუდონ პარლამენტარების მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება იმდენად, რომ ეჭვის ქვეშ დადგეს სადეპუტატო მანდატის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა<sup>92</sup>. ამიტომ, საპარლამენტო იმუნიტეტი და პარლამენტის წევრის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების სპეციალური წესები უზრუნველყოფენ პარლამენტის წევრების დაცვას პოლიტიკური ოპონენტების, აღმასრულებელი ხელისუფლების და საზოგადოების სხვა წევრების სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი დევნისგან<sup>93</sup>. ამასთან, საპარლამენტო იმუნიტეტით დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სუბიექტს წარმოადგენს პარლამენტარის გამოხატვის თავისუფლება. სიტყვის თავისუფლება წარმომადგენლობითი ორგანოს წევრისთვის კიდევ უფრო აღმატებული შინაარსისა და დაცვის მქონეა, ვიდრე ქვეყნის რიგითი მოქალაქისთვის<sup>94</sup>.

მიუხედავად ამისა, 2019 წლის 26 ივნისს, პარლამენტმა საგანგებო სესიაზე, ოპოზიციური პარტიების ბოიკოტის ფონზე<sup>95</sup>, 91 ხმით, არცერთის წინააღმდეგ, ნიკანორ მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნა, რათა პროკურატურას მისი დაპატიმრების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მისცემოდა<sup>96</sup>.

- ***თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების შეფასება***

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 27 ივნისს არ გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და დეპუტატს პატიმრობის ნაცვლად აღკვეთის ღონისძიებად გირაო განუსაზღვრა. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნების უზრუნველყოფა შესაძლებელია ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - 30 000 ლარის ოდენობით გირაოს პირობებშიც<sup>97</sup>. ბრალდებულს გირაოს გადახდის ვადად განესაზღვრა 20 დღე. თბილისის საქალაქო სასამართლომ, აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტისას, იხელმძღვანელა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და განჩინებაში არ

<sup>92</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე: <https://bit.ly/2Yau7dr>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>93</sup> იხ. European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), REPORT ON THE SCOPE AND LIFTING OF PARLIAMENTARY IMMUNITIES Adopted by the Venice Commission at its 98th plenary session (Venice, 21-22 March 2014), Strasbourg, 14 May 2014, Study No. 714 / 2013, § 82.

<sup>94</sup> იხ. იხ. ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 მაისის ანგარიში: <https://bit.ly/2MHk9cQ>.

<sup>95</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2XJieuU>. 2019 წლის 26 ივნისი. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>96</sup> იხ. ინფორმაციას სრულად: <https://bit.ly/2UqxCKC>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>97</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2UoGOyZ>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

იმსჯელა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების სპეციალურ საკითხთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო სხვა გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს ბრალდებულის საქმიანობას, რაც ამ შემთხვევაში სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია, შესაბამისად - არც უმსჯელია. ასეთ მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებისას კი, შესაძლოა, ამას სასამართლო განჩინების შედეგზე ჰქონოდა ზეგავლენა და შესაბამისად, სასამართლოს ნიკანორ მელიასთვის უფლებები არ შეეზღუდა და აღკვეთის ღონისძიებაც არ გამოეყენებინა.

სასამართლოს განჩინებით, მელიას ასევე დაეკისრა დამატებითი ვალდებულებები, კერძოდ, მას აეკრძალა: საცხოვრებელი ადგილის (სახლის) დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე; საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საჯარო განცხადებების გაკეთება; მონშეებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია; მასვე დაეკისრა საგამოძიებო ორგანოსთვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; საბოლოოდ, გაზრდილი გირაოს ოდენობის და დამატებითი ვალდებულებების დაკისრების პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულად იქნებოდა უზრუნველყოფილი აღკვეთის ღონისძიების მიზნები. სასამართლოს განმარტებით, გირაოს პირობებისა და დამატებითი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო შესაძლოა, შეცვლილიყო უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით<sup>98</sup>.

- ***თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების შეფასება***

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 2 ივლისის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება ძალაში დარჩა. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ პროკურატურას ნიკა მელიას გადაადგილებაზე ელექტრონული მონიტორინგის წარმოება დაავალა, სპეციალური სამაჭურის დამაგრებით<sup>99</sup>.

მიუხედავად დაწესებული ელექტრონული მონიტორინგისა, საქართველოს პროკურატურის საჯარო განცხადების თანახმად<sup>100</sup>, 2019 წლის 10 სექტემბერს ნიკანორ მელიამ ტელეკომპანია „კავკასიაში“ მისვლითა და გადაცემაში მონაწილეობით, დემონსტრაციულად დაარღვია თბილისის საქალაქო

<sup>98</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადება ნიკანორ მელიას საქმეზე: <https://bit.ly/3cHUTxN>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>99</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3dK2nBz>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>100</sup> იხ. საქართველოს პროკურატურის განცხადება ნიკანორ მელიას საქმეზე, 2019 წლის 13 სექტემბერი: <https://bit.ly/2AOvKEw>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

სასამართლოს განჩინებით დაწესებული აკრძალვა. პროკურატურის განცხადებით, მელიას მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში მონაწილეობა სასამართლოს მიერ დაწესებული აკრძალვის დარღვევაა. ბრალდებულს განემართა, რომ მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში, მის მიმართ შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. პროკურატურამ, ასევე, განაცხადა, რომ ნიკანორ მელიას ეძლეოდა თანხმობა საქართველოს პარლამენტში გამოცხადებაზე, ხოლო მედიასთან კომუნიკაცია საცხოვრებელი სახლიდანაც სრულყოფილად იყო შესაძლებელი<sup>101</sup>.

პროკურატურის ასეთი ხისტი პოზიცია ეწინააღმდეგება პარლამენტის მანდატით გათვალისწინებული საზოგადოებრივი საქმიანობის უფლებამოსილების სპეციფიკას. ასეთ პირს, შესაძლოა, მუდმივად სჭირდებოდეს საზოგადოების წევრებთან და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით შეუზღუდავად სარგებლობა, რაც სახლიდან გაუსვლელად, შეუძლებელია, ეფექტიანად შესრულდეს. ამიტომ სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების ფარგლებში, პროკურატურის მიერ დეპუტატისთვის სახლიდან გასვლაზე უარის თქმა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მკვეთრად გამოხატული და ძალიან მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებისთვის, რომელთა დაუცველობა, პირველ რიგში, არღვევს თავად ამომრჩევლის ინტერესებს. ამასთან, უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც ეს არის ერთადერთი და აუცილებელი გზა, სასამართლოს მიერ უფლების შეზღუდვა უნდა ხდებოდეს გეღმინწენით განჭვრეტადი, გასაგები, მკაცრად რეგლამენტირებული პროცედურით, რომელიც ეფუძნება ინტერესების სამართლიან ბალანსს. ამგვარად, ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული წარმომადგენლისათვის მანდატის ჩამორთმევა ან სხვა გემოალნიშნული ფორმებით შეზღუდვა, არა მხოლოდ ზღუდავს ამ მანდატის მატარებელი პირის უფლებას, საჯარო სამსახურში დაიკავოს თანამდებობა, არამედ იმ ამომრჩევლის ნებას, რომელმაც ეს მანდატი ამ თანამდებობის პირს გადასცა<sup>102</sup>.

ამასთან, ვენეციის კომისიის ანგარიშის თანახმად, პარლამენტის წევრის ხელშეუხებლობის იმუნიტეტის მიზანს, ძირითადად, პოლიტიკური უმცირესობის დაცვა წარმოადგენს და იგი არ აღიქმება, როგორც პარლამენტის ცალკეულ წევრთა პირადი პრივილეგია<sup>103</sup>. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაც არ პასუხობს კონსტიტუციის მოთხოვნებს. კერძოდ, კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეზღუდვის თანაბრობის საკითხს.

<sup>101</sup> იხ. საქართველოს პროკურატურის განცხადება ნიკანორ მელიას საქმეზე, 2019 წლის 13 სექტემბერი: <https://bit.ly/2AOvKEw>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>102</sup> იხ. კონსტიტუციური სარჩელი: <https://bit.ly/37E4Aw9>.

<sup>103</sup> იხ. ვენეციის კომისიის 2014 წ. 14 მაისის ანგარიში: <https://bit.ly/2MHk9cQ>.

- **სასამართლო მონიტორინგი**

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორი აკვირდება ნიკანორ მელიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის ყველა სასამართლო სხდომას. სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე, 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე დაკითხული ბრალდების მხარის მოწმეების ჩვენებები ერთმნიშვნელოვნად ვერ ადასტურებენ ნიკანორ მელიას ბრალულობას. ჯერჯერობით, სასამართლო პროცესებზე დაცულია მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბვებითობის პრინციპი<sup>104</sup>. მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად დააყენონ შუამდგომლობები და გამოხატონ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე. *ბოლოს - 2020 წლის 18 მარტს ჩანიშნული სასამართლო სხდომა გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, საქართველოში გავრცელებული კორონავირუსისა და შესაბამისად, ეპიდსიტუაციის გამო. მომდევნო სხდომის თარიღი, ჯერ არ არის განსაზღვრული.*

- **სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) თბილისის საქალაქო სასამართლოს ნიკანორ მელიას საქმეზე**

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, პარლამენტის წევრისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი და საპარლამენტო მანდატით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შეზღუდვას<sup>105</sup>. ამიტომ 2019 წლის 28 ნოემბერს, სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს<sup>106</sup>.

სახალხო დამცველი, საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგ, საქართველოში მეორე დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანოა, რომელიც ფლობს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში ეროვნულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი საქართველოში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ აირჩევა, ის საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელია და ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის მექანიზმის ფარგლებში, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე სასარჩევო

<sup>104</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი: <https://bit.ly/3dN6U6r>.

<sup>105</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება სასამართლოს მეგობრის მოსაზრების შესახებ ნიკანორ მელიას საქმეზე: <https://bit.ly/37azv34>.

<sup>106</sup> იხ. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ნიკანორ მელიას საქმეზე: <https://bit.ly/30i8Vnj>.



უფლებამოსილებითაც სარგებლობს<sup>107</sup>. სამართლებრივ ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტის ეროვნულ სამართლებრივ სივრცეში დანერგვის მიზანია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა<sup>108</sup>. ომბუდსმენტა უმრავლესობის კონტროლის სფეროა, ასევე, იუსტიციის ადმინისტრაცია (Administration of justice). იუსტიციის ადმინისტრაციაში მოიაზრება, უმთავრესად, სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრაციული სტრუქტურა, დისციპლინური ღონისძიებები მიმართული მოსამართლეებისადმი და სხვა. ომბუდსმენის „სანქციები“, ამ შემთხვევაში, გამოიხატება რეკომენდაციების გაცემით მოსამართლეებისადმი, შესაბამის პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით ან დისციპლინური ღონისძიებების დაკისრებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის, სამართალდამრღვევისადმი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე და ა.შ.<sup>109</sup>.

რაც შეეხება უშუალოდ ნიკანორ მელიას საქმეზე მომზადებულ სასამართლო მეგობრის მოსაზრებას, სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ისეთი საპარლამენტო საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობა, როგორცაა - საჯარო განცხადებების უფლება, ასევე სატელევიზიო ეთერში მისვლის გამო პროკურატურის გაფრთხილება. ამასთან, გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა შეძლებოდა პარლამენტის წევრს ამის გაკეთება არა საკუთარი სახლიდან, არამედ ტელეკომპანიის შენობიდან. საპარლამენტო საქმიანობის შემადგენელი ისეთი ელემენტარული უფლებამოსილებაც კი, როგორცაა პარლამენტის ადმინისტრაციულ შენობაში მისვლა, ნიკანორ მელიას მხოლოდ გენერალური პროკურატურის კეთილი ნების საფუძველზე შეეძლო.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლების არსებითი შემლუდვა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული და არ უნდა ზღუდავდეს თავისუფალ პოლიტიკურ დებატებს პარლამენტში. დამატებით, იგი ყურადღებას ამახვილებს ვენეციის კომისიის ანგარიშზე, რომლის თანახმად, ხალხის არჩეული წარმომადგენლებისთვის აზრისა და სიტყვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესია ნამდვილი დემოკრატიისთვის და სიტყვის თავისუფლების არსებითი შემლუდვები პარლამენტარებისთვის უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს პარლამენტში თავისუფალ პოლიტიკურ დებატებს<sup>110</sup>. სახალხო დამცველის შეფასებით, ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული ღონისძიებები, განსაკუთრებით კი: მონმეებთან კომუნიკაციის

<sup>107</sup> იხ. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი: <https://bit.ly/3eXuUng>.

<sup>108</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე; საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; გვ.576. <https://bit.ly/2UpJigF>.

<sup>109</sup> იხ. Kucsko-Stadlmayer, Gabriele (Hrsg.), Europäische Ombudsman-Institutionen. Eine rechtsvergleichende Untersuchung zur vielfältigen Umsetzung einer Idee, Wien, 2008, S. 29, 54-61.

<sup>110</sup> იხ. ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 მაისის ანგარიში: <https://bit.ly/2MHk9cQ>.

აკრძალვა, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა, ელექტრონული მონიტორინგი, არათანაბრობიერად ზღუდავდა მის მიერ საპარლამენტო საქმიანობის შესაძლებლობას. სასამართლო მეგობრის მოსაზრების თანახმად, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის ვალდებულება არ უნდა გავრცელებულიყო პარლამენტის ადმინისტრაციულ შენობაზე, რათა დაკმაყოფილებულიყო კონსტიტუციის მოთხოვნა და პარლამენტარს მისცემოდა საკუთარი ძირითადი საქმიანობის შესრულების შესაძლებლობა. ასევე, მსგავსი შეზღუდვა გაუმართლებელია სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისითაც. კერძოდ, თუკი ნიკანორ მელიას ეკრძალებოდა საჯარო განცხადებები, რათა მას ახალი დანაშაული არ ჩაედინა, მაშინ მას არც მედიასთან კომუნიკაცია და ინტერვიუებში მონაწილეობა უნდა შეძლებოდა, ხოლო თუ მედიასთან კომუნიკაცია დასაშვებია იყო, მაშინ გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა შეძლებოდა პარლამენტის წევრს ამის გაკეთება არა საკუთარი სახლიდან, არამედ ტელეკომპანიის შენობიდან, თუკი მასზე დაწესებული იყო ელექტრონული მონიტორინგი, რითაც აღმოფხვრილი იყო მისი მიმალვის საფრთხე და ა.შ.

სახალხო დამცველი მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებაზე: „მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ამომრჩეველთა მიერ დელეგირებული ხელისუფლების უსაფუძვლო, თვითნებური შეზღუდვისგან დაცვა, რის გამოც განსაკუთრებული ლეგიტიმაციით სარგებლობენ დემოკრატიული წესით ხალხის მიერ არიან პირები<sup>111</sup>. თანამდებობის ლეგიტიმაციის წყაროს, კონსტიტუციური სტატუსის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის მოცულობის მიხედვით, მათი დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის გარანტიები განსხვავებულია და შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წინაპირობები და პროცედურა“<sup>112</sup>.

**სახალხო დამცველის არაერთი დასაბუთებული და კრიტიკულად მნიშვნელოვანი შეფასების მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ნიკანორ მელიას საქმეზე, სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება არ გაუთვალისწინებია.**

*თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნიკანორ მელიას მიმართ გამოტანილი განჩინებებით, პარლამენტის წევრისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, მისი უფლებამოსილების განხორციელების არაპროპორციულ შეზღუდვას.*

<sup>111</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27. <https://bit.ly/2YhXQzS>.

<sup>112</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23. <https://bit.ly/2YhXQzS>.

ნიკანორ მელიას პარლამენტის წევრის უფლებები ასე არათანაზომიერად არ შეიზღუდებოდა, საქმის განხილვისას, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს ერთიან კონტექსტში რომ განეხილა საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები, ამასთან, მხედველობაში მიეღო პარლამენტის წევრის იმუნიტეტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები.

- **ნიკანორ მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ე.წ. ბანკი „ქართუს“ საქმეზე<sup>113</sup> 2019 წ. 2 დეკემბრის განაჩენით, საქართველოს პარლამენტის წევრი ნიკანორ მელია დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით<sup>114</sup>. სასჯელის სახედ და ზომად მას განესაზღვრა ჯარიმა 25 000 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე<sup>115</sup>, ნიკანორ მელიას დამატებითი სასჯელის სახით 3 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე<sup>116</sup>, ნიკანორ მელიას დანიშნული დამატებითი სასჯელი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა შეუმცირდა ერთი მეოთხედით. საბოლოოდ, მას სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 25 000 ლარის ოდენობით და 2 წლისა და 3 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

2019 წლის 9 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საპროცესურო საკითხთა და წესების კომიტეტს<sup>117</sup>. პარლამენტის 2019 წლის 12 დეკემბრის N5544 დადგენილებით, საქართველოს კონსტიტუციას<sup>118</sup> და პარლამენტის რეგლამენტზე<sup>119</sup> დაყრდნობით, ნიკანორ მელიას ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება<sup>120</sup>. 2019 წლის 23 დეკემბერს, გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში<sup>121</sup>. სარჩელით

<sup>113</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3cKB34V>.

<sup>114</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი: <https://bit.ly/2Uyh9UK>.

<sup>115</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილი: <https://bit.ly/2Uyh9UK>.

<sup>116</sup> იხ. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი: <https://bit.ly/2Yom23w>.

<sup>117</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2UwXJiO>. ბოლოს ნანახია: 09.06.2020.

<sup>118</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: <https://bit.ly/2AIDfnn>.

<sup>119</sup> იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: <https://bit.ly/3hhZ0V0>.

<sup>120</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2UwXJiO>. ბოლოს ნანახია: 09.06.2020.

<sup>121</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2zpHmNW>. ბოლოს ნანახია: 09.06.2020.

მოთხოვნილ იქნა პარლამენტის იმ დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლითაც მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა<sup>122</sup>.

2020 წლის 10 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნიკანორ მელიას საკონსტიტუციო სარჩელზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა. სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიმოიხილავს, როდის უნდა იყოს გამამტყუნებელი განაჩენი საპარლამენტო უფლებამოსილების ჩამორთმევის საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, „ძალაში შესული განაჩენის“ ცნებას ავტონომიური შინაარსი აქვს, ხოლო არჩეული პარლამენტარის უფლებამოსილების შეწყვეტისას თანაზომიერების პრინციპის დაცვა აუცილებელია<sup>123</sup>. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სწორედ პროპორციულობის საკითხის გარკვევას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, **პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუკი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით დეპუტატს სასჯელის სახედ საპატიმრო სასჯელი დაენიშნა. იმ შემთხვევებში, როცა სასჯელის სახედ არასაპატიმრო სასჯელი ინიშნება, პარლამენტის წევრის უფლებამოსილება მხოლოდ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის, ან გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა შეწყდეს.** საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან<sup>124</sup> (საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება) და კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან<sup>125</sup> (დეპუტატისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის შემთხვევაში) მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს ნაწილში, ვინაიდან ნიკანორ მელიას უფლებამოსილება შეუწყვიტა არა სასამართლომ, არამედ საქართველოს პარლამენტმა<sup>126</sup>.

როდის ითვლება განაჩენი კანონიერ ძალაში შესულად - როცა არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი თუ მაშინ, როცა საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება? ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია იშვიათ და მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემად.

<sup>122</sup> იხ. საქმე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2020 წლის 27 იანვარი: <https://bit.ly/3dRdWar>.

<sup>123</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნიკანორ მელიას საქმეზე: 2020 წლის 11 თებერვალი: <https://bit.ly/30rVfWN>.

<sup>124</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი: <https://bit.ly/2AIDfnn>.

<sup>125</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: <https://bit.ly/2AIDfnn>.

<sup>126</sup> იხ. საქმე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2020 წლის 27 იანვარი: <https://bit.ly/3dRdWar>.

ამიტომ საქმეს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, რომელიც შედგება სასამართლოს ყველა მოქმედი მოსამართლისაგან.

*ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტში (საპროცესო უფლებები) ჩანერილი სიტყვები - „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“, - უნდა განიმარტოს როგორც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო ინსტანციის - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცხადებული განაჩენი.*

## • გიორგი რურუას საქმე – „მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილე

### • ბრალდების არსი

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილე გიორგი რურუა 2019 წლის 18 ნოემბერს დააკავეს. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, რურუას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით<sup>127</sup> გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვასა და ტარებას გულისხმობს. დადგენილების თანახმად, საქმეში არსებული ბრალდების მხარის ინფორმაციის ერთობლიობა ფაქტებთან დაკავშირებით, მიუთითებს, რომ ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, გიორგი რურუა, 2019 წლის 18 ნოემბერს, მის საკუთრებაში არსებული ავტომობილით გადაადგილდებოდა თბილისში, წყნეთის მიმართულებით, რომელსაც თან უნდა ჰქონოდა უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი. პირადი ჩხრეკისა და უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ დადგენილების შესაბამისად, გიორგი რურუა საპატრულო პოლიციამ შეაჩერა ვაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

2019 წლის 25 დეკემბერს ბრალდებულ გიორგი რურუას კიდევ ერთი ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, რაც სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისა და მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის გულისხმობს. საქმე ეხება გიორგი რურუას უარს, სასამართლოს განჩინების მიხედვით, დნმ-ისა და ხელის კვლების ნიმუშის აღებასთან დაკავშირებით.

<sup>127</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

- **საგარეულო პოლიტიკური მოტივი**

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წ. 26 ივნისის რეზოლუციით დადგენილი კრიტერიუმებით<sup>128</sup>, „თავისუფლებადკვეთილი პირი „პოლიტიკური პატიმრის“ გაგებას ექვემდებარება, თუ თავისუფლების აღკვეთა მოხდა პროცესუალური გარანტიების ამკარა დარღვევებით და არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ეს დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან“<sup>129</sup>. ეს კრიტერიუმი „საერთაშორისო ამნისტიის“ კრიტერიუმებს ემთხვევა. კერძოდ: საქმე შეიცავს „შესამჩნევ პოლიტიკურ ელემენტს“; „საქმეზე მთავრობა არ უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამართლიან სასამართლოს“.

გიორგი რურუას დაკავებას და მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს, ირაკლი ოქრუაშვილისა და გიორგი უგულავას საქმეებთან ერთად, მალევე მოჰყვა პოლიტიკური შეფასებები<sup>130</sup> როგორც სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის, ისე საერთაშორისო პარტნიორების, განსაკუთრებით კი - აშშ-ის სენატორებისა და კონგრესმენების მხრიდან. გიორგი რურუას დაკავება დიდწილად პოლიტიკურ გადანყვეტილებად არის შეფასებული, ხოლო მისი პატიმრობა 2020 წ. 8 მარტის ერთობლივი განცხადების<sup>131</sup> დარღვევად არის მიჩნეული.

- **სასამართლო მონიტორინგი**

ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება გიორგი რურუას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესს. საქმის არსებითი განხილვა 2020 წლის 10 თებერვალს დაიწყო. მონიტორინგისას იდენტიფიცირებულია რამდენიმე დარღვევა<sup>132</sup>, რაც უკავშირდება: 1) *ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლებას*; 2) *ბრალდებულის უფლება-მოვალეობების განმარტების საკითხს*; 3) *ნიმუშის აღებაზე უარის თქმას და ამის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას სასამართლო გადანყვეტილების შეუსრულებლობის მოტივით (სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)*; 4) *ნიმუშის აღებისას ჩარევის პროპორციულობის საკითხს და ა.შ.*

**ადამიანის უფლებათა ცენტრი ცალკე გამოაქვეყნებს გიორგი რურუას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე ანალიტიკურ დოკუმენტს,**

<sup>128</sup> იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 ივნისის რეზოლუციით გათვალისწინებული კრიტერიუმები პოლიტიკური პატიმრის შესახებ: <https://bit.ly/2N8X43>.

<sup>129</sup> იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 ივნისის რეზოლუციით გათვალისწინებული კრიტერიუმები პოლიტიკური პატიმრის შესახებ: <https://bit.ly/2N8X43>.

<sup>130</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/37seof>; ასევე, იხ. <https://bit.ly/3hrbiKF>.

<sup>131</sup> ერთობლივი განცხადება: <https://bit.ly/3fzfW7N>. ბოლოს ნანახია: 05.06.2020.

<sup>132</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიერ გიორგი რურუას საქმის სასამართლო განხილვის მონიტორინგის ანგარიში.

**სადაც დეტალურად შეფასდება გემოაღნიშნული და სხვა პრობლემური სამართლებრივი საკითხები.**

- **მიორგი ჯავახიშვილისა და თორნიკე დათაშვილის საქმე**

- **ბრალდების არსი**

ბრალდების დადგენილებით, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების დროს, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციულ შენობაში შეჭრის მიზნით განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებში, სხვა პირებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ გიორგი ჯავახიშვილი და თორნიკე დათაშვილი. კერძოდ, ჯავახიშვილი სამართალდამცავი მუშაკებისგან წართმეულ პასიურ სპეციალურ საშუალებას - ფარს ურტყამდა პოლიციელებს და აქტიური ქმედებით მონაწილეობდა სხვა ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში. რაც შეეხება თორნიკე დათაშვილს, იგი სამართალდამცავ მუშაკებს უწევდა წინააღმდეგობას, ძალის გამოყენებით პოლიციის მუშაკი გამოიყვანა პოლიციის კორდონიდან და თავისი აქტიური ქმედებით მონაწილეობდა სხვა ჯგუფურ ძალადობრივ ქმედებებში. ორივე მათგანს ბრალად წარედგინა სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობა)<sup>133</sup>.

- **სასამართლო მონიტორინგი**

სასამართლოში ბრალდებულთა პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე 2019 წლის 27 ივლისის განჩინების თანახმად, გიორგი ჯავახიშვილისა და თორნიკე დათაშვილის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით, გამოყენებული იქნა პატიმრობა. ბრალდების მხარე შუამდგომლობაში მიუთითებდა ბრალდებულების მიმალვის, მართლმსაჯულების განხორციელებისა და მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელშეშლის, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეებზე, რაც სასამართლომ გაიზიარა. ბრალდებულთა ადვოკატებმა განჩინება გაასაჩივრეს თბილისის სააპელაციოს სასამართლოში, მაგრამ საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი. ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება იყო დასაბუთებული და კანონიერი<sup>134</sup>. 2019 წლის 18 ოქტომბერს, სხდომაზე ბრალდებულებმა ჩადენილი დანაშაული აღიარეს<sup>135</sup>. სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის ორივე ადვოკატმა

<sup>133</sup> იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი: <https://bit.ly/2AVtE5x>.

<sup>134</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2019 წლის 31 ივლისის განჩინება N1გ/1272.

<sup>135</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში. არსებითი განხილვა: **18.10.2019, 11:00- 11:16 საათი**;

დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. კერძოდ, ისინი ითხოვდნენ პატიმრობის გირაოთი შეცვლას. აღვოკატებმა მოსამართლეს მოახსენეს ბრალდებულთა ოჯახური/ ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და იშუამდგომლეს მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის, 2000-ლარიანი გირაოთი შეცვლის შესახებ, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა და ბრალდებულები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა<sup>136</sup>. ამის შემდეგ, 2020 წლის 4 მარტს, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება<sup>137</sup>. აღვოკატების განცხადებით, ბრალდებულებმა ცნეს ბრალი და პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება უდავოდ გახადეს<sup>138</sup>.

## • თამლიანის, ზუდალაშვილის, კუკრეიშვილისა და სოსელიას საქმე

### • ბრალდების არსი

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, შსს ინტენსიურად აწარმოებდა გამოძიებას<sup>139</sup>. გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 2019 წლის 4 ივლისს დააკავეს 4 პირი: ზურაბ ბუდალაშვილი, კახაბერ კუპრეიშვილი, ცოტნე სოსელია და ბესიკ თამლიანი. 2019 წლის 5 ივლისს, საქართველოს პროკურატურამ, ოფიციალურად, მათ ბრალად წარუდგინა საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) გათვალისწინებული დანაშაული, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა. ბრალდება ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

ბრალდების დადგენილებით, პარლამენტთან განვითარებული მოვლენებისას, ბრალდებულები მონაწილეობდნენ ჯგუფურ ძალადობაში, რა დროსაც სხვადასხვა საგნებით თავს ესხმოდნენ პოლიციელებს და უწევდნენ წინააღმდეგობას. კერძოდ: ზურაბ ბუდალაშვილი, ხელკეტით არაერთხელ დაესხა თავს სამართალდამცველებს, რომლებსაც ძალისმიერად უპირისპირდებოდა. კახაბერ კუპრეიშვილი პოლიციისკენ ისროდა სხვადასხვა საგნებს, აგრესიულად ესხმოდა თავს და ძალისმიერად უპირისპირდებოდა სამართალდამცველებს. ცოტნე სოსელია

<sup>136</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2Afy3QY>. ბოლოს ნანახია: 02.06.2020.

<sup>137</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში. არსებითი განხილვა: **04.03.2020; 16:25-16:40 საათი.**

<sup>138</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში. არსებითი განხილვა: **04.03.2020; 16:25-16:40 საათი.**

<sup>139</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3dP8Qvm>.



ხელკეტის გამოყენებით თავს დაესხა სამართალდამცველს და ფიზიკურად გაუსწორდა. ბესიკ თამლიანიც, ასევე, თავს დაესხა პოლიციის არაერთ თანამშრომელს<sup>140</sup>.

2019 წლის 20 ივნისს ბესიკ თამლიანი ადმინისტრაციული წესით დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 13-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა, მაგრამ ხმაურიანი მიტინგების ფონზე, იგი პატიმრობის მე-5 დღეს გაანთავისუფლეს<sup>141</sup>. ბესიკ თამლიანი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს და ბრალდებას საფუძვლად უდევს მის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები, რომელსაც დამატებითი მტკიცებულების სახით, ფორმალურად, მხოლოდ ერთი ვიდეოჩანაწერი დაერთო პროკურატურის მიერ<sup>142</sup>. ბესიკ თამლიანს მიაჩნია, რომ მის მიმართ სამართალწარმოება არასამართლიანია, რადგან მას ზუსტად იგივე ქმედებისათვის ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა, რაც უკვე მოხდა. საქართველოს კონსტიტუციით კი, მოქალაქეს ერთი და იგივე ქმედებისთვის ორჯერ სასჯელი არ შეიძლება დაეკისროს<sup>143</sup>.

- **სასამართლო მონიტორინგი**

2019 წლის 6 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ოთხივე ბრალდებულს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა.

2019 წლის 8 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის წარმომადგენლებმა შესავალი სიტყვა წარმოთქვეს<sup>144</sup>. 2019 წლის 13 ნოემბერს მონშეთა გამოკითხვა დაიწყო. დაკითხვა ბრალდების მხარის სამი ექსპერტი, რომლებმაც 20-21 ივნისის საქმეზე ვიდეოჩანაწერების ექსპერტიზა ჩაატარეს. ამ სხდომას არ ესწრებოდა ბესიკ თამლიანი<sup>145</sup>. ვიდეოჩანაწერის ექსპერტიზით დადგინდა ერთადერთი რამ, რომ კონკრეტული პირები, მათ შორის - ბრალდებულები, იმყოფებოდნენ 20-21 ივნისის აქციაზე. სხვა ექსპერტებს არაფერი დაუდგენიათ. ბრალდებულთა მოქმედება, რაც ბრალის წარდგენის საფუძველი გახდა, შესწავლილი და გამოკვლეული არ ყოფილა<sup>146</sup>. *2019 წლის 27 ნოემბერს გამართული სასამართლო სხდომა ხმაურიანი იყო - მურაბ ბუდალაშვილმა*

<sup>140</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში. 29.02.2020. დამატებით, იხ. <https://bit.ly/30r6gaZ>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>141</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ ბესიკ თამლიანის სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. 29.02.2020. დამატებით, იხ. <https://bit.ly/3hjmNUa>.

<sup>142</sup> იხ. ინფორმაციას სრულად: <https://bit.ly/3hjmNUa>.

<sup>143</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი: <https://bit.ly/3fxF4f4>.

<sup>144</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ მომზადებული ანგარიში. 29.02.2020.

<sup>145</sup> იქვე. დამატებით, იხ. <https://bit.ly/3cSBEI4> ბოლოს ნანახია: 04:06.2020.

<sup>146</sup> იქვე. დამატებით, იხ. <https://bit.ly/2AUyUXe>.

განაცხადა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მას აიძულებდნენ ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერების - ნიკანორ მელიას, გიორგი უგულავასა და ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას. მას დაემუქრნენ ახლობლების დაკავებით. ამ განცხადებიდან რამდენიმე დღეში დააკავეს ზურაბ ბუდალაშვილის ძმა. გავრცელებული ინფორმაციით, იგი შსს-მ ნარკოდანაშაულის გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების განადგურების ბრალდებით დააკავა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 2000-ლარიანი გირაო შეუფარდა<sup>147</sup>.

ბრალდებულ ზურაბ ბუდალაშვილის დედამ განაცხადა, რომ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მათზე თვალთვალს მუდმივად ახორციელებდნენ. უფლებადამცველები და ზურაბ ბუდალაშვილის დედა მოითხოვდნენ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულიყო გამოძიება<sup>148</sup>. 2019 წლის 4 დეკემბერს, სასამართლო სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება<sup>149</sup>.

**ზურაბ ბუდალაშვილი, სხდომაზე გავრცელებული განცხადების შემდგომ, გადაიყვანეს სამართლო საკანში, რომელიც ემიჯნებოდა ოთახს, სადაც მუდმივად მუშაობდა გენერატორის მსგავსი მოწყობილობა და 24 საათის განმავლობაში ბრალდებულს ესმოდა შემანუხებელი ხმა. ადვოკატმა განაცხადა, რომ ეს დასჯის მიზნით მოხდა და ეს ქმედება შეიძლება, წამებასაც კი გაუტოლდეს.** სასჯელალსრულების დეპარტამენტში კი ამტკიცებდნენ, რომ ბუდალაშვილი, თანამოსაკნეების მოთხოვნის საფუძველზე გადაიყვანეს.

2020 წლის 10 იანვარს 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე ბრალდებულებმა ცოტნე სოსელიამ და კახაბერ კუპრეიშვილმა შიმშილობა დაიწყეს<sup>150</sup>. 13 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომას, სადაც ბრალდების მხარის მოწმეები დაიკითხნენ, ბრალდებულები პროტესტის ნიშნად არ დაესწრნენ<sup>151</sup>. ამ სხდომაზე ბრალდებულთა ადვოკატმა განაცხადა, რომ ცოტნე სოსელია და კახაბერ კუპრეიშვილი პროკურატურისგან საპროცესო შეთანხმებას ითხოვდნენ. 17 იანვარსა და 20 იანვარს სასამართლო სხდომებს არც ერთი ბრალდებული არ დაესწრო. კუპრეიშვილი და სოსელია განაგრძობდნენ შიმშილობას. დაკავებულები მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებულ პატიმრობას აპროტესტებდნენ<sup>152</sup>. 22 იანვარს სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მხარის ორი მოწმე, ვიდეომტკიცებულებების თანხლებით. მათ ბრალდებულთათვის

<sup>147</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3e51QKO>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>148</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3cV9Psl>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>149</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებულ პირთა შესახებ. 29.02.2020. ასევე, იხ.: <https://bit.ly/3cV9Psl>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>150</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. 29.02.2020.

<sup>151</sup> იქვე.

<sup>152</sup> იქვე.

ბრალად წარდგენილი ქმედება ვერ დაადასტურეს<sup>153</sup>. 23 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომას, სადაც ბრალდების მხარის ორი მოწმე იკითხებოდა, მხოლოდ კახაბერ კუპრეიშვილი და ბესიკ თამლიანი ესწრებოდნენ. დანარჩენი ბრალდებულები პროტესტის ნიშნად არ გამოცხადებულან. 10 თებერვალსა და 14 თებერვალს სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ ბრალდების მხარის მოწმეები. ამ სხდომაზე, მოსამართლის ინიციატივით, ორთვიანი ვადის გასვლიდან გამომდინარე, იმსჯელეს აღკვეთის ღონისძიების სახის პატიმრობის შეცვლაზე. თუმცა, აღკვეთის ღონისძიების სახე არ შეცვლილა და ბრალდებულთა მიმართ კვლავ პატიმრობა იქნა გამოყენებული<sup>154</sup>.

2020 წლის 25 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე ბრალდებულების - კახაბერ კუპრეიშვილისა და ცოტნე სოსელიას ადვოკატებმა დააყენეს შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების თაობაზე. **27 თებერვალს სასამართლო სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ ზურაბ ბუდალაშვილის, კახა კუპრეიშვილისა და ცოტნე სოსელიას საქმე ცალკე წარმოებად წარიმართებოდა. მათ, ბრალი აღიარეს და მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით<sup>155</sup>. 6 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე, პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობასა და საპროცესო შეთანხმების დადებაზე.** მოსამართლემ ეს შუამდგომლობა განიხილა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის შესაბამისად<sup>156</sup>. **მას შემდეგ, რაც მის მიერ დასმულ შეკითხვებზე ბრალდებულთაგან მიიღო „დამატებელი“ პასუხები, სასამართლომ მხარეებს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა.**

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საპროცესო შეთანხმების დადების პირობები, ამ ბრალდებულთა შემთხვევაშიც დაუსაბუთებელია<sup>157</sup>. სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია და არ გამოუკვლევია<sup>158</sup> ახალი გარემოებები და ზურაბ ბუდალაშვილის განცხადებები მის მიმართ მუქარის საკითხზე, რითაც დაირღვა სსსკ-ის 215-ე მუხლი. დადებული საპროცესო შეთანხმების მიხედვით, კახაბერ კუპრეიშვილი, ცოტნე სოსელია და ზურაბ ბუდალაშვილი ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მეორე ნაწილით და ძირითად სასჯელად განესაზღვრათ 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალიათ პირობით, იგივე გამოსაცდელი ვადით. მათვე, დამატებითი სასჯელის

<sup>153</sup> იქვე.

<sup>154</sup> იქვე.

<sup>155</sup> იქვე.

<sup>156</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლი: <https://bit.ly/2Yn4dBZ>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>157</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლი: <https://bit.ly/2Yn4dBZ>.

<sup>158</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი: <https://bit.ly/2Yn4dBZ>.

სახით განესაზღვრათ ჯარიმა თითოეულს 2000 ლარის ოდენობით<sup>159</sup>. ბრალდებულთა განცხადებით, ბრალი აღიარეს იმის გამო, რომ მათი საქმე პოლიტიკური ელფერის იყო და, შესაბამისად, „ციხეში ჯდომას აზრი არ ჰქონდა“<sup>160</sup>. **ამ ბრალდებულთაგან განსხვავებით, ბესიკ თამლიანი ბრალს არ აღიარებს და საპროცესო შეთანხმების დადებაზე დათანხმებას არ აპირებს.**

2020 წლის 6 მარტს ბესიკ თამლიანის საქმეზე კიდევ ერთი სხდომა გაიმართა. დაიკითხა ბრალდების მხარის ორი მოწმე - შსს-ს თანამშრომლები. ისინი საუბრობდნენ მათთვის ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებზე. თუმცა, ვერც ერთი ვერ ადასტურებდა ბესიკ თამლიანის ადგილზე ყოფნას. ასევე, ვერ იხსენებდნენ, ბრალდებული შეამჩნიეს თუ არა უშუალოდ დანაშაულის ადგილზე. 13 მარტს ბესიკ თამლიანის საქმეზე გაგრძელდა შსს-ს პრესსამსახურიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერის გამოკვლევა. ასევე, გამოკვლეულ იქნა ნივთიერი მტკიცებულებები. დათვალიერების შედეგად ამოღებული თითქმის ყველა საგანი და მათი შემხებლობა უშუალოდ ბრალდებულ ბესიკ თამლიანთან არ მტკიცდებოდა. პროცესის დასასრულს, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბესიკ თამლიანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახის - პატიმრობის 1000-ლარიანი გირაოთი შეცვლის თაობაზე. მოსამართლემ განჩინებით უარი თქვა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან ჩათვალა, რომ არსებითად ახალი გარემოებები შუამდგომლობით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლი<sup>161</sup>) არ ყოფილა წარმოდგენილი.

**2020 წლის 23 მარტს ბესიკ თამლიანი პატიმრობიდან გათავისუფლდა. თუმცა, დაცვის მხარეს არ მიუთითებია ახალ გარემოებებზე, მაშინ როდესაც, სწორედ ამ მიზეზით, 13 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლის თაობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბესიკ თამლიანს 9-თვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა 4 აპრილს ეწურებოდა<sup>162</sup> და, შესაძლებელია, სწორედ ეს გახდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველიც.** შესაბამისად, ბრალდებულ ბესიკ თამლიანის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე - პატიმრობა შეიცვალა 4 000 (ოთხი ათასი) ლარის გირაოთი<sup>163</sup>. ასევე, ბრალდებულს დაუწესდა შეზღუდვები, კერძოდ -უფლება არ აქვს, დატოვოს საქართველო და პასპორტი უნდა ჩააბაროს საგამოძიებო ორგანოს.

<sup>159</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. საპროცესო შეთანხმების დადება: 06.03.2020.

<sup>160</sup> იქვე.

<sup>161</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლი:

<sup>162</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში ბესიკ თამლიანის საქმის მონიტორინგის შესახებ. 23.04.2020.

<sup>163</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2XVsEYx>.

დაცვის მხარის ვარაუდით, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ბესიკ თამლიანის ბრალეულობა ვერ მტკიცდება, სასამართლომ, მაღალი ალბათობით, შესაძლოა, მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯგუფურ მოქმედებებში მონაწილეობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა სხვა პირთა მიმართ გამოტანილი განაჩენისა და საპროცესო შეთანხმებების ლეგიტიმურობის საკითხი დადგება ეჭვქვეშ და ეს მეტად მკვეთრ შთაბეჭდილებას დატოვებს საზოგადოებაში 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების მიმართ, სავარაუდო პოლიტიკური მოტივების არსებობის შესახებ. ასევე, შესაძლოა, სასამართლომ სხვა - ნაკლებად მძიმე დანაშაულის მუხლით გადააკვალიფიციროს ბრალდებულის ქმედება და მის საფუძველზე გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი.

- **მურაბ ბუდალაშვილის სამართლო საკანში გადაყვანის ფაქტის შეფასება**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, სხვა პატიმრებთან ურთიერთობებისგან ჩამოშორება უსაფრთხოების, დისციპლინარული ან მდარველობითი მიზნებით, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა, წარმოადგენდეს არაადამიანურ მოპყრობას ან დამამცირებელ სასჯელს. კონკრეტული გარემოებების შეფასებისას კი ყურადღება ექცევა ზომის სიმკაცრეს, მისი ხანგრძლივობას, დასახულ მიზანსა და მის გავლენას მსჯავრდებულზე<sup>164</sup>. ციხის საერთო პოპულაციისგან პატიმრის ნებისმიერი სახის არანებაყოფლობითი განცალკევება, მათ შორის, სამართლო საკანში მოთავსება, იზოლაცია, სეგრეგაცია და სხვა, იქნება ეს დისციპლინური სასჯელი თუ უსაფრთხოების ზომა, უნდა რეგულირდებოდეს კანონმდებლობით<sup>165</sup>. იზოლაცია უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში, როგორც უკიდურესი ღონისძიება და შეძლებისდაგვარად მოკლე დროით, მხოლოდ უფლებამოსილი პირის მითითებით. იგი უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გადასინჯვას. იზოლაცია არ უნდა იყოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის ნაწილი<sup>166</sup>. არასათანადო მოპყრობად განიხილება და შესაბამისად, აკრძალულია განუსაზღვრელი ან გახანგრძლივებული ვადით იზოლაცია<sup>167</sup>. ევროპული ციხის

<sup>164</sup> იხ. ვან დერ ვენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Van der Ven v. the Netherlands), განაცხადი no. 50901/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 51, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-60915>.

<sup>165</sup> იხ. „ნელსონ მანდელას წესები“, წესი 45, პ.1; <https://bit.ly/2YmcwOC>. სასამართლოს განაჩენით იზოლაციის განსაზღვრას არასასურველად მიიჩნევს წამების პრევენციის კომიტეტიც: იხ. CPT-ის 21-ე ზოგადი ანგარიში, პუნქტი 56(a).

<sup>166</sup> იხ. „ნელსონ მანდელას წესები“, წესი 37. <https://bit.ly/2YmcwOC>

<sup>167</sup> იხ. „ნელსონ მანდელას წესები“, წესი 45, პუნქტი 2. <https://bit.ly/2YmcwOC>.

წესების მიხედვით, სასჯელის სახით სამართლო საკანში განთავსება შეიძლება შეფარდებული იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და დროის განსაზღვრული, შეძლებისდაგვარად ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში<sup>168</sup>. გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ (სასამართლომ), პირველ რიგში, უნდა დაადგინოს, სპეციალური რეჟიმი გათვალისწინებულია თუ არა კანონით (კანონიერების პრინციპი) და ემსახურება თუ არა იგი ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ კი საზოგადოების უსაფრთხოებას, არეულობისა და დანაშაულის პრევენციას; უნდა შეაფასოს ღონისძიების დასახულ მიზანთან თანაბარზომიერების კრიტერიუმი (აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში)<sup>169</sup>. *ბურაბ ბუდალაშვილის საქმეში, გაუგებარი და დაუსაბუთებელია, არ არსებობს არც ერთი ფაქტობრივი გარემოება და არგუმენტი, რატომ იყო ასეთი მკაცრი სასჯელი მის მიმართ გამოყენებული. შეიძლება ითქვას, რომ ბუდალაშვილის სამართლო საკანში გადაყვანა უტოლდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებას, რომლის თანახმად, ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია*<sup>170</sup>.

## მორის მაჩალიკაშვილისა და ბეჟან ლორთქიფანიძის საქმე

- *ბრალდების არსი*

მორის მაჩალიკაშვილი, 2017 წლის 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი თემირლან მაჩალიკაშვილის ბიძაშვილია. ის ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბიძასთან, მალხაზ მაჩალიკაშვილთან ერთად, ითხოვდა თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე სამართლებრივი შედეგის დადგომას და დამნაშავე პირთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

მორის მაჩალიკაშვილი 2019 წ. 26 ივლისს, სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დააკავეს<sup>171</sup> სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „ნაკრესის“ კონსერვაციის პროგრამის ხელმძღვანელთან, National Geographic-ის მკვლევართან, ბოლოგ ბეჟან ლორთქიფანიძესთან ერთად.

მორის მაჩალიკაშვილს და ბეჟან ლორთქიფანიძეს საქართველოს პროკურატურა 2019 წლის 20-21 ივნისს, თბილისში, პარლამენტის წინ გამართული

<sup>168</sup> იხ. „ევროპული ციხის წესები“, წესი 60.5.

<sup>169</sup> იხ. ჰარაკჩიევი და ტოლუმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Harachiev and Tolumov v. Bulgaria), განაცხადები nos. 15018/11 და 61199/12, 08 ივლისი 2014 წ., ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-145442>. პუნქტები 203-214 და 260.

<sup>170</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი: ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2BUS5Rk>.

<sup>171</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლი: <https://bit.ly/3fdeuHP>.

აქციის დროს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას ედავება. შსს-მ, ლორთქიფანიძესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის „გამოირჩეოდა განსაკუთრებული აგრესიით პოლიციელების მიმართ, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა მათ და ძალადობით ცდილობდა კორდონის გარღვევას“<sup>172</sup>. პროკურატურა მაჩალიკაშვილსაც სამართალდამცავთა წინააღმდეგ ძალადობას ედავებოდა.

- **სასამართლო მონიტორინგი**

2019 წლის 27 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, მორის მაჩალიკაშვილსა და ბეჟან ლორთქიფანიძეს, აღკვეთი ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა. მორის მაჩალიკაშვილთან მიმართებით, პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილებები, ისევე როგორც ამ კვლევაში განხილული სხვა პირთა საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, ზოგადი და დაუსაბუთებელია. სასამართლო აბსტრაქტულად მიუთითებს, რომ პირთა მიმართ პატიმრობის გამოყენების სათანადო სამართლებრივი საფუძველი არსებობს. თუმცა, სათანადოდ არ არის დასაბუთებული, საქმეებში არსებული რომელი კონკრეტული მტკიცებულებები ქმნიდა რეალურ საფრთხეს, რომ ბეჟან ლორთქიფანიძე და მორის მაჩალიკაშვილი მიიმალეობდნენ, ხელს შეუშლიდნენ მართლმსაჯულების განხორციელებას ან ზეგავლენას მოახდენდნენ მონმეებზე. მაჩალიკაშვილის მიმართ გამოყენებული პატიმრობა ძალაში დარჩა წინასასამართლო სხდომის ეტაპზეც, მიუხედავად დაცვის მხარის მტკიცებისა, რომ ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების მიზანი არ არსებობდა. წინასასამართლო სხდომაზევე არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა საკმარისი მტკიცებულებების არ არსებობის საფუძველით მაჩალიკაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე<sup>173</sup>.

2019 წლის 2 აგვისტოს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) მორის მაჩალიკაშვილის საქმეზე პირველადი სამართლებრივი შეფასება წარმოადგინა. ორგანიზაციის შეფასებით, პროკურატურის ინფორმაცია ვერ ადასტურებდა, რომ მორის მაჩალიკაშვილმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება. კერძოდ, წარმოდგენელი მტკიცებულებები არ ქმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მორის მაჩალიკაშვილს ჰქონდა პოლიციის მიმართ ძალადობის განზრახვა და ამ მიზნით ის თავდასხმით, შემტევ, განმეორებით და ინტენსიურ ძალადობას ახორციელებდა. საქმის ძირითადი და ერთადერთი მტკიცებულება, ადგილზე ჩაწერილი ვიდეომასალის სახით, მხოლოდ იმას აჩვენებდა, რომ ის მისი ბიძის გვერდში ყოფნას ცდილობდა,

<sup>172</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2Uy8phb>. ბოლოს ნანახია: 04.02.2020.

<sup>173</sup> იხ. EMC-ის წარმომადგენლის კომენტარი: <https://bit.ly/2Ao0bBu>. ბოლოს ნანახია: 04.06. 2020.

არსებითად პასიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და პოლიციასა და შეკრების სხვა მონაწილეთა მასებს შორის მიწოლისას იჭყლიტებოდა. ჭყლიტებისგან თავის დასაღწევად იგი ხელს იქნევდა, რომელიც მხოლოდ ერთხელ ხვდება პოლიციის ფარს. ვიდეომასალაში არ ჩანდა, მისი მხრიდან კორდონის გარღვევისა და შეტევის, პოლიციის მიმართ ძალადობის, მისი ეკვიპირების წართმევის, ან თავდაცვის მიზნით აქტიური მოგერიების მცდელობაც კი<sup>174</sup>.

**2019 წლის 1 აგვისტოს სააპელაციო სასამართლომ განიხილა ბეჟან ლორთქიფანიძის საქმე. მანამდე ლორთქიფანიძის მეუღლემ განაცხადა, რომ „მისი დაკავება პოლიტიკური ხასიათის იყო და მათ საქმე ჰქონდათ შერჩევით სამართალთან“<sup>175</sup>. 2019 წ. 10 აგვისტოს, ბეჟან ლორთქიფანიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახე – პატიმრობა 5000-ლარიანი გირაოთი შეიცვალა<sup>176</sup>.**

**2019 წლის 17 სექტემბერს გამართულ სასამართლო პროცესზე, მორის მაჩალიკაშვილი კვლავ პატიმრობაში დატოვა სასამართლომ. ხოლო ბეჟან ლორთქიფანიძის ადვოკატის შუამდგომლობა დევნის შეწყვეტის შესახებ არ დაკმაყოფილდა.**

2019 წლის 24 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მოსამართლემ დაცვის მხარის მიერ დაყენებული არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა<sup>177</sup>. მორის მაჩალიკაშვილის ადვოკატის, ქეთი ჩუთლაშვილის თანახმად, დაცვის მხარე ითხოვდა ერთ-ერთი პოლიციელის მოწმეთა სიიდან ამორიცხვას. პოლიციელი 20 ივნისის ღამის შესახებ პატაკში წერს, რომ ოპერატიული ინფორმაცია მიანოდეს, თითქოს მორის მაჩალიკაშვილი „აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ძალადობრივ მოქმედებაში“. მოსამართლემ არც ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა. დაცვის მხარის განცხადებით, კვლავ არც ერთ მოწმეს არ გაუჟღერებია, რომ მორის მაჩალიკაშვილი ძალადობდა<sup>178</sup>.

2019 წლის 7 ოქტომბერს საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. 2019 წლის 8 ოქტომბერს გამართულ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის ნაწილმა წარმოთქვა შესავალი სიტყვა. პროცესი გადაიდო პროკურორის შუამდგომლობით, ვინაიდან მას პარალელურად სხვა პროცესი ჰქონდა ჩანიშნული. 15 ოქტომბერს დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახის პატიმრობის გირაოთი შეცვლის თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა.

<sup>174</sup> იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის პირველადი სამართლებრივი შეფასება (EMC), მორის მაჩალიკაშვილის საქმეზე: <https://bit.ly/37iNhAM>.

<sup>175</sup> ბეჟან ლორთქიფანიძის მეუღლის განცხადება: <https://bit.ly/30Rmn1l>. ბოლოს ნანახია: 07.06.2020.

<sup>176</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. დამატებით, იხ. <https://bit.ly/2AWT6aW>. ბოლოს ნანახია: 29.02.2020.

<sup>177</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. დამატებით, იხ. <https://bit.ly/2AWT6aW>. ბოლოს ნანახია: 29.02.2020.

<sup>178</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. დამატებით, იხ. <https://bit.ly/2AWT6aW>. ბოლოს ნანახია: 29.02.2020



მორის მაჩალიკაშვილის უფლებებისა და ინტერესების დამცველის შეფასებით, ყველა სხდომაზე ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები იყო აბსოლუტურად იდენტური. ისინი მოიცავდა გამოკითხვის ოქმებს და გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი იყო პოლიციის თანამშრომელი<sup>179</sup>. ასევე, პროკურატურამ წარმოადგინა რამდენიმე ვიდეოჩანაწერი და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმები, რომლებიც საერთოდ არ იყო შემხებლობაში მორის მაჩალიკაშვილის სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებასთან<sup>180</sup>.

2019 წლის 13 ნოემბერს პროცესზე დაცვის მხარემ კვლავ ეჭვქვეშ დააყენა მონშეთა სანდოობა, ვინაიდან ისინი ვერ იხსენებდნენ მოვლენებს, რაც მოხდა 2019 წლის 20-21 ივნისს. 25 ნოემბერს და 19 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომებზე დაიკითხა ბრალდების მხარის მონშეთები - სამი პოლიციელი. ადვოკატის განცხადებით, კვლავ არც ერთ მონშეთს არ გაუჟღერებია, რომ მორის მაჩალიკაშვილი სამართალდამცავზე ძალადობდა. ასევე, მონშეთების მიერ მიცემული ჩვენებები ერთმანეთს არ ემთხვევა. 2020 წლის 14 იანვარს, სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ორი მონშეთი, მესამე არ გამოცხადდა, რის გამოც სხდომა გადაიდო, ხოლო 21 იანვარს 2 სამართალდამცავი მონშეთი დაიკითხა. ამ მონშეთა ჩვენებებმა ვერ დაადასტურეს ბეჟან ლორთქიფანიძის ბრალეულობა სისხლის სამართლის საქმეში.

2020 წლის 3 თებერვალს მორის მაჩალიკაშვილის ადვოკატმა, მარიამ კუბლაშვილმა სასამართლოს მორის მაჩალიკაშვილის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შუამდგომლობით მიმართა. მან, ასევე, დააყენა შუამდგომლობა, უდავოდ ყოფილიყო ცნობილი ბრალდების მხარის მტკიცებულებები. მოლაპარაკებები, ასევე, მიმდინარეობდა საპროცესო შეთანხმების დადებაზეც. ბრალდების მხარე და დაცვის მხარე ვერ თანხმდებოდნენ ბრალდების ნაწილზე, რასაც მორის მაჩალიკაშვილს ედავებოდნენ, კერძოდ - სახელმწიფო არეულობაში მონაწილეობა. პროკურორმა, ვინაიდან ბეჟან ლორთქიფანიძე მტკიცებულებებს სადავოდ ცნობდა, დააყენა შუამდგომლობა მისი საქმიდან მორის მაჩალიკაშვილის საქმის გამოყოფის შესახებ.

*2020 წლის 6 თებერვალს, ბრალდებულ მორის მაჩალიკაშვილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა და ის სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს<sup>181</sup>. თბილისის საქალაქო სასამართლომ მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა, მაჩალიკაშვილი დამნაშავედ სცნო სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში (ჯგუფურ მოქმედებებში მონაწილეობა) და სასჯელის სახით 2 წლით პირობითი მსჯავრი განუსაზღვრა<sup>182</sup>. მორის*

<sup>179</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2Ao18d2>, ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>180</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3hi6Tml>, ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>181</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3hdOZl9>, ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>182</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2YhNjVu>, ბოლოს ნანახია: 04.06.2020

*მაჩალიკაშვილმა განაცხადა, რომ იგი ბრალს აღიარებს, მაგრამ არ ეთანხმება მას იმ ნაწილში, რომ პარლამენტში შეჭრა სურდა. იგი ამბობს, რომ ბიძას - მალხაზ მაჩალიკაშვილს იცავდა.*

2020 წლის 11 თებერვალს, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, ბრალდების მხარემ წარადგინა შუამდგომლობა ახალი მტკიცებულების დართვის თაობაზე. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ბეჟან ლორთქიფანიძის საქმიდან გამოიყო მორის მაჩალიკაშვილის საქმე, რომელშიც მხარეებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. ეს საქმე პირდაპირ კავშირშია ბეჟან ლორთქიფანიძის ბრალდებასთან, რის გამოც ბრალდების მხარემ იშუამდგომლა, რათა მორის მაჩალიკაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი დაერთოს ლორთქიფანიძის საქმეს. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ამავე სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მხარის მოწმე, რომელმაც ისაუბრა 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებზე.

2020 წლის 20 თებერვალს პროცესზე დაიკითხნენ ბრალდების მხარის მოწმეები. მათ არ უსაუბრიათ იმ ფაქტზე, რომ ბრალდებული ძალადობდა პოლიციელზე ან ცდილობდა პარლამენტში შეჭრას. 11 მარტს სხდომაზე დაიკითხა კიდევ ორი მოწმე. ამის შემდეგ, ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, საქმეზე სასამართლო სხდომა აღარ ჩატარებულა<sup>183</sup>.

## საპროცესო შეთანხმებების დადების პრაქტიკა

*20-21 ივნისის მოვლენების დროს დაკავებული პირები, ძირითადად, საპროცესო შეთანხმებების საფუძველზე ან გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლდნენ პატიმრობიდან<sup>184</sup>. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება გულისხმობს განაჩენის გამოტანას საქმის არსებითი განხილვის გარეშე, როდესაც ბრალდებული დანაშაულს აღიარებს და მიღწეულია შეთანხმება ბრალსა ან სასჯელზე<sup>185</sup>. აღნიშნულ საქმეებში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბრალდებულებს ხშირად აშკარად კაბალურ პირობებზე უწევთ დათანხმება, რადგან სასამართლო პროცესების გაჭიანურებისა და ხანგრძლივი ვადებიდან გამომდინარე, მათ ისეთი დანაშაულის აღიარება უწევთ, რომელიც, შესაძლოა, არც ჩაუდენიათ და ამასთან, პოლიციელთა ჩვენებების გარდა, ნეიტრალური მტკიცებულებებიც არ არსებობს. ამ არჩევანის წინაშე ბრალდებულები განსაკუთრებით მაშინ დგებიან, როცა მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. სასამართლოები, ძირითადად, სამართალდამცავი*

<sup>183</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. 31.03.2020.

<sup>184</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. არსებითი განხილვა: 20.11.2019, 16:10- 16:12 საათი.

<sup>185</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ორგანოების წარმომადგენელთა ინფორმაციას ეყრდნობიან, რომლებსაც, ბრალდების მხარე, მოწმეების სახით კითხავს სასამართლოს პროცესზე. მათ ჩვენებებს კი, სასამართლოები, უმეტეს შემთხვევაში, უტყუარ მტკიცებულებებად მიიჩნევენ.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ სასამართლოს უფლება აქვს, შესთავაზოს მხარეებს, შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც ზემდგომ პროკურორთან უნდა იყოს შეთანხმებული<sup>186</sup>. ბრალდებულს აქვს უფლება, განაჩენის გამოტანამდე ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე, მაგრამ სასჯელის ზომის შეთავაზებისას პროკურორს ენიჭება ფართო დისკრეცია<sup>187</sup>. ხოლო მოსამართლეს, იმის გათვალისწინებით, რომ არა აქვს უფლება, ჩაერიოს მოლაპარაკების პროცესში და დამოუკიდებლად, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შეცვალოს შეთანხმების პირობები<sup>188</sup>, შეუძლია, მხოლოდ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება ან უარი თქვას მის დამტკიცებაზე<sup>189</sup>.

საპროცესო შეთანხმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, კანონიერია თუ არა მოთხოვნილი სასჯელი, არსებობს თუ არა საქმეში უტყუარი მტკიცებულებები ბრალის დასადასტურებლად და ა.შ.<sup>190</sup>. აღნიშნული მოთხოვნები კი, 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებში დაცული არ არის. მეტიც, დაცვის მხარის წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებათა ცენტრს განუცხადეს, რომ საპროცესო შეთანხმებების დადება, წინამდებარე სისხლის საქმეებზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების „მიზანმიმართული პოლიტიკაა“, რადგან, ამ დროს, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბრალდებულები აღიარებენ მათ მიმართ წარდგენილ ბრალს.

*საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქართველოში არაერთხელ გამხდარა შესწავლისა და მკაცრი კრიტიკის საგანი. საპროცესო შეთანხმების პრობლემები უკავშირდებოდა სუსტ საკანონმდებლო გარანტიებსა და საპროცესო შეთანხმების მასობრივად ისეთი არაკანონიერი მიზნებით გამოყენებას, როგორცაა: სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება, გამოძიების პროცესში ბრალდებულზე არასათანადო გეგავლენის მოხდენა და სხვა. ამის საპასუხოდ კი, არსებობს სასამართლო ხელისუფლების მხოლოდ ფორმალური და სუსტი მაკონტროლებელი როლი საპროცესო შეთანხმების არაკანონიერი მიზნებით გამოყენების წინააღმდეგ.*

<sup>186</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწ.

<sup>187</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მე-2 ნაწ.

<sup>188</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-6 ნაწ.

<sup>189</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 პრ. ნაწ.

<sup>190</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-მ ნაწ.

## ადკვეთის ღონისძიების შეფარდების კრედიტი

პრობლემაა ისიც, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები საკმარისი არ არის ადკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლებისთვის. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება აბსტრაქტული და დაუსაბუთებელია. წინასწარი პატიმრობის შესახებ პროკურატურის შუამდგომლობები უმეტესად შაბლონურია და მხოლოდ ზოგად მსჯელობას ემყარება. საგამოძიებო ორგანოების ნაბიჯები, გარკვეულ შემთხვევაში, ტოვებს ალქმას, რომ არა საკითხის სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, არამედ საზოგადოებაში ბრალდებულის მიმართ ნეგატიური აზრის ფორმირებას ემსახურება. მაგალითად, ობიექტურ დამკვირვებელს მომხდართან დაკავშირებით განსხვავებულ ალქმას უჩენს ზურაბ ბუღაძის გაიგივება პოლიტიკურ პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“<sup>191</sup>. ასევე, მიკერძოებული და ტენდენციურია შსს-ს მიერ ბეჟან ლორთქიფანიძის საქმესთან დაკავშირებით, საჯაროდ გავრცელებული ფრაგმენტებად დამონტაჟებული ვიდეო<sup>192</sup>, რომელიც განსხვავდება იმავე შემთხვევაზე მედიით გავრცელებული სრული ვიდეომასალისაგან<sup>193</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი ადგენს ადკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის მტკიცებულებათა სტანდარტს<sup>194</sup>. კერძოდ, პირს რომ ადკვეთის ღონისძიება შეეფარდოს, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი - ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეებში, საქართველოს პროკურატურის მიერ ბრალის ამგვარი ფორმულირების მიუხედავად, წარმოდგენილი საქმის მასალები ვერ ემნიან დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მსჯავრდებულები/ბრალდებულები მონაწილეობდნენ ჯგუფურ ძალადობაში, მით უფრო, თავს ესხმოდნენ ადგილზე მყოფ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს. პირის ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის დადასტურების მიზნით, პროკურატურა უნდა ფლობდეს იმგვარ მტკიცებულებებს, რომლებიც აშკარად აჩვენებს პირის განზრახვას, იყოს ჯგუფური ძალადობრივი ქმედებების მონაწილე, თავს დაესხას სამართალდამცველებს და თავისი მოქმედებებით ხელი შეუწყოს ჯგუფურ მოქმედებებს.

<sup>191</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2UDhYoM>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>192</sup> იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბეჟან ლორთქიფანიძის საქმეზე გავრცელებული ვიდეო: <https://bit.ly/2C5odSm>. ბოლოს ნანახია: 03.06.2020.

<sup>193</sup> იხ. ბეჟან ლორთქიფანიძის საქმეზე მედიით გავრცელებული სრული ვიდეოჩანაწერი: <https://bit.ly/2zAeYc0>. ბოლოს ნანახია: 03.06.2020.

<sup>194</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.

მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების შესახებ შუამდგომლობაში და საქმის მასალებში მითითებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა - მონშეთა გამოკითხვის ოქმები, ჩხრეკისა და ამოღების ოქმები, დათვალიერების ოქმები, ექსპერტიზის დასკვნები, ზოგადი ხასიათის მატარებელია და არ წარმოადგენს საკმარის ფაქტობრივ საფუძვლებს არათუ მსჯავრდებისათვის, არამედ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისათვის.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მნიშვნელოვან გარემოებებად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო<sup>195</sup> და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>196</sup> მიიჩნევს მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების, მონშეებზე ზემოქმედების გზით საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხეებს. პატიმრობა, ასევე, გამართლებულია, როდესაც ბრალდებული აშკარა და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და ეს საფრთხე შეუძლებელია, სხვაგვარად იქნას განეიტრალებული. მსგავსი გარემოებები და ფაქტორები მოცემულ სისხლის სამართლის საქმეებში არ არსებობდა.

გარდა ამისა, საქართველოს სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა<sup>197</sup>. ეს რისკები კი, ბრალდების მხარის მიერ სრულიად დაუსაბუთებელია.

20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემული სამართალდამცველებისა და დემონსტრანტების საქმეების შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხშირად ვლინდება დიფერენცირებული დამოკიდებულება ერთნაირი შემთხვევების მიმართ, გონივრული და ობიექტური საფუძვლების გარეშე, რაც გამოიხატება დემონსტრაციაში მონაწილე პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებასა და მათ დაპატიმრებაში, როცა ბრალდების მხარის შაბლონური, აბსტრაქტული და ხშირად, სრულიად იდენტური შუამდგომლობებისა და სასამართლოების მიერ მათი გაზიარებით მიღებული, დაუსაბუთებელი განჩინებებით, ყოველი დემონსტრანტის მიმართ გამოყენებულია წინასწარი პატიმრობა.

<sup>195</sup> იხ. გადაწყვეტილება Van Alphen v. the Netherland, 305/1988, სტრასბურგი. 1990 წლის 23 ივლისი: <https://bit.ly/3h6Melx>.

<sup>196</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.

<sup>197</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.

## შერჩევითი სამართალი

„საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ყოველი ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობას უზრუნველყოფს. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად აღიარებას და დაცვას, ვინც იმყოფება თანაბარ პირობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება. ეს პრინციპი მოიცავს ხელისუფლების საკანონმდებლო საქმიანობის სპექტრს, რათა თანაბარ პირობებსა და გარემოში მყოფ ინდივიდებს თანაბარი პრივილეგიები მიენიჭოთ და თანაბარი პასუხისმგებლობი დაეკისროთ. განსხვავებული საკანონმდებლო რეგულირება ყველა შემთხვევაში არ ჩაითვლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევად. კანონმდებელს უფლება აქვს, კანონით განსაზღვროს განსხვავებული პირობები, მაგრამ ეს განსხვავება უნდა იყოს დასაბუთებული, გონივრული და მიზანშეწონილი. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დიფერენცირებულობის თანაბარი დონე ერთსა და იმავე პირობებში მყოფი სუბიექტებისათვის.

*ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევის დადგენისას ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: მე-14 მუხლის დარღვევას ადგილი აქვს მაშინ, როცა სახეზეა: ა) დიფერენცირებული დამოკიდებულება ერთნაირი შემთხვევების მიმართ, გონივრული და ობიექტური საფუძვლების გარეშე და ბ) არ არის დაცული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის.*

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები მოითხოვს, სახელმწიფოს ყველა დარღვევაზე ჰქონდეს ადეკვატური რეაგირება და დემონსტრანტების თუ პოლიციის მხრიდან განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების განურჩევლად, დაიწყოს შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, ობიექტურად, მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ. ყოველი ამგვარი რეაგირება კონსტიტუციისა და საერთაშორისო სტანდარტების, კანონის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით, დასაბუთების მაღალი სტანდარტით და საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობით უნდა განხორციელდეს.

2019 წლის 20-21 ივნისის ღამით და შემდგომში დემონსტრანტების წინააღმდეგ დაწყებული სამართალწარმოება, სახელმწიფოში არსებული ე.წ. შერჩევითი სამართლის ერთ-ერთი მაგალითია. ამაზე მიუთითებს დაზარალებული და პასუხისმგებაში მიცემული მოქალაქეებისა და დაზარალებული და პასუხისმგებაში მიცემული სამართალმცავების სტატისტიკურ მონაცემებს შორის არსებული თვალშისაცემი რაოდენობრივი განსხვავება.

ოფიციალური მონაცემებით, 20-21 ივნისის მოვლენებისას აღრიცხულია 275 მოქალაქე, რომლებმაც სხვადასხვა სიმძიმის ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს, მათ შორის არიან: 187 სამოქალაქო პირი, 38 ჟურნალისტი<sup>198</sup>, შსს-ს 73 თანამშრომელი. მიყენებული დაზიანებების გამო ქირურგიული ჩარევა დასჭირდა 28 პირს, მათ შორის, ოფთალმოლოგიური ოპერაცია ჩაუტარდა 8-ს, ხოლო ნეიროქირურგიული – 4 პირს<sup>199</sup>. ასევე, ტრავმის შედეგად ორმა სამოქალაქო პირმა ცალი თვალი დაკარგა<sup>200</sup>. ამ დროისათვის, პროკურატურის მიერ მხოლოდ 8 სამოქალაქო პირია დაზარალებულად ცნობილი. მაშინ, როცა იმავე დღეს განვითარებული მოვლენების შედეგად, შსს-ს 68 თანამშრომელია დაზარალებულად ცნობილი. შესაბამისად, დანარჩენ დაზარალებულებს, რომლებსაც დღემდე ეს სტატუსი ოფიციალურად არა აქვთ, სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის უფლებამოსილება არ გააჩნიათ<sup>201</sup>.

შსს-ს მიერ წარმოებული გამოძიების ფარგლებში, საპროტესტო აქციის 17 მონაწილეს წარედგინა ბრალი, რომელთაგან ყველას მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა იქნა გამოყენებული, მაშინ, როდესაც პროკურატურამ მხოლოდ 3 (სამი) პოლიციელის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლომ კი მხოლოდ 1 (ერთ) სამართალდამცველს შეუფარდა პატიმრობა და მასაც აღკვეთის ეს ღონისძიება უფრო მსუბუქი ღონისძიებით - გირათი შეეცვალა.

პრობლემურია დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხები. თავდაპირველად, სხვა პირებთან ერთად, პროკურატურამ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე, უარი უთხრა მკვო გომურს და გიორგი სულაშვილს, რომლებმაც რეზინის ტყვიის მოხვედრის შედეგად დაკარგეს თვალი<sup>202</sup>. თუმცა, რამდენიმე თვიანი ბრძოლის შემდეგ, მათ დაზარალებულის სტატუსი მიანიჭეს<sup>203</sup>. სხვა პირებთან ერთად, ამ დრომდე არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი ჟურნალისტებს, რომლებმაც მძიმე დაზიანებები მიიღეს<sup>204</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართალწარმოებაშია 20-21 ივნისის მოვლენების დროს დაშავებული სამი ჟურნალისტის - მერაბ ცაავას („გურია ნიუსი“), ბესლან კუმზოვის („კავკასკი უმელი“) და ზაზა სვანაძის საქმეები, რომელთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ორგანიზაციის იურისტები იცავენ. ადამიანის უფლებათა ცენტრმა რამდენჯერმე მიმართა საქართველოს პროკურატურას დაშავებული ჟურნალისტებისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების

<sup>198</sup> იხ. დაშავებულ ჟურნალისტთა სია: <https://bit.ly/3e1fy1m>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>199</sup> იხ. „დაკარგული თვალის მიღმა“, 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: <https://bit.ly/2UC5Rif>.

<sup>200</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3e1ftkE>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>201</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>.

<sup>202</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3fgNTto>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>203</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3fkBp42>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>204</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3d0yPP1>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

მოთხოვნით, მაგრამ თხოვნა არცერთ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა. დაზარალებულად ცნობაზე უარის შემდეგ ადვოკატებმა საჩივრით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ბესლან კმუზოვის, მერაბ ცაავას და ზაზა სვანაძის დაზარალებულად ცნობის თაობაზე. 2019 წლის 9 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიამ, საქმის არსებითი განხილვისა და მხარეთა პოზიციის გათვალისწინების გარეშე მიიღო განჩინება საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც შემდგომ ინსტანციაში არ საჩივრდება. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მომჩივნებმა ვერ ისარგებლეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით<sup>205</sup>.

მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ცენტრმა ეროვნულ დონეზე ყველა არსებული სამართლებრივი საშუალება გამოიყენა, რათა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ჟურნალისტები საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაზარალებულად ეცნო და ეწარმოებინა დროული, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიება, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო, ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. სარჩელებში მითითებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 (გამოხატვის თავისუფლება); მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება); მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება) მუხლების დარღვევების თაობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წარმოებაში ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული სამივე სარჩელი მიიღო<sup>206</sup>.

სახელმწიფოს მხრიდან დღემდე არ გადადგმულა ნაბიჯები სამართალდამცავი ორგანოების კანონდამრღვევი წარმომადგენლების გამოვლენისა და პასუხისმგებლობაში მიცემისათვის. ამასთან, არც შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან მომხდარა პოლიტიკურ პასუხისმგებლობის გაზიარება, არც დემონსტრაციის დაშლისას გამოკვეთილი სისტემური პრობლემები ყოფილა გაანალიზებული და გააზრებული. სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე, ერთეული შემთხვევების გარდა, საქართველოს პროკურატურის მიერ საერთოდ არ შეფასებულა შემდგომ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიშით, სამართალდამცავთა წინააღმდეგ მიმდინარე ძირითადი სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოყოფილია 3 საქმე, სადაც ივლის-აგვისტოს თვეებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულია მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და არალეიტალური იარაღის უსაფუძვლო გამოყენების შედეგად მოქალაქეთა

<sup>205</sup> იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი: <https://bit.ly/2C2NQTH>.

<sup>206</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი: <https://bit.ly/37FPTsB>.



დაზიანების გამო 3 პოლიციელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საჭირო მტკიცებულებები<sup>207</sup>. პროკურატურამ 3 ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომელთაგან 1 ბრალდებულს - შეეფარდა პატიმრობა (მოგვიანებით შეიცვალა გირათი) და 2 ბრალდებულს კი - გირაო<sup>208</sup>. სახალხო დამცველის შეფასებით, საქმის მასალების შესწავლის შედეგად, არ გამოვლენილა ისეთი გარემოებები, რაც ამ სამართალდამცავების პატიმრობის კანონისმიერ ვალდებულებას დააკმაყოფილებდა, ვინაიდან არ არსებობდა მათი მიმალვისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის, ახალი დანაშაულის ჩადენის კონკრეტული საფრთხე<sup>209</sup>. რაც შეეხება პროკურატურის შუამდგომლობას პატიმრობის გამოყენების თაობაზე, იგი სავარაუდოდ გამონეგული იყო უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის შემთხვევაში მოსალოდნელი საზოგადოებრივი ნეგატიური პოზიციის მიმართ სიფრთხილით.

სამართალდამცველების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია. პროცესზე მონიტორინგს ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორი ახორციელებს.

## დასკვნა

20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეების შესწავლისას იდენტიფიცირებული ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, პოლიციელების მხრიდან გამოვლენილი კანონდარღვევები და სისხლისსამართლებრივი დევნის პრაქტიკა აჩენს უამრავ კითხვას სახელმწიფოს მხრიდან შერჩევით მიდგომასა და კონკრეტული პირების მიმართ, სისხლის სამართლის საქმეების მიზანმიმართულად წარმოების თაობაზე, რაც სისტემური ხარვეზების აღმოფხვრის ნაცვლად, დემონსტრანტების დასჯის სურვილსა და მათ დაპატიმრებაში გამოიხატება. საქმეთა შესწავლამ გამოავლინა, რომ ხშირ შემთხვევაში გამოძიებას ამოძრავებს ერთადერთი მიზანი - მიაღწიოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას.

<sup>207</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში; გვ. 26; 2020 წელი: <https://bit.ly/2UF7Sdi>.

<sup>208</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში; გვ. 27; 2020 წელი: <https://bit.ly/2UF7Sdi>.

<sup>209</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 205, ნაწ. 1. <https://bit.ly/3dN6U6r>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

**კვლევა ცხადყოფს, რომ:**

✓ 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეებზე გამოძიება 2 მიმართულებით მიმდინარეობს: მოქალაქეების მხრიდან ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ფაქტებზე და ასევე, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ცალკეულ ეპიზოდებში ძალის ვადამეტების შეთხვევებზე. დაზარალებული და პასუხისგებაში მიცემული დემონსტრანტებისა და დაზარალებული და პასუხისგებაში მიცემული სამართალდამცავების სტატისტიკურ მონაცემებს შორის არსებული თვალშისაცემი რაოდენობრივი განსხვავება მიუთითებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში საგამოძიებო ორგანოების ქმედებები შესაძლოა, დემონსტრანტი მოქალაქეების სადამსჯელო შინაარსსაც ატარებდეს და სამომავლოდ აქციის მონაწილეების დაშინებისკენ იყოს მიმართული.

✓ ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში, წინასწარი პატიმრობის მოთხოვნის შესახებ გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა დაუსაბუთებელი და შაბლონური იყო. პატიმრობის მოთხოვნა მხოლოდ აბსტრაქტულ მსჯელობასა და საეჭვო ვარაუდებს ემყარებოდა. აღკვეთის ღონისძიების განხილვისას საქმეში ყველა მოწმე პოლიციელი იყო;

✓ ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურის მოთხოვნაც შაბლონური იყო და მასში საკმარისად არ იყო დასაბუთებული, რატომ უნდა ყოფილიყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი ფორმა - წინასწარი პატიმრობა. გარდა ამისა, დასაბუთება არ ახლავს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას, ნიკანორ მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეზღუდვის, ხოლო შემდგომ - თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ განჩინებას. გენერალური პროკურატურის მიერ არგუმენტების გასამყარებლად მოყვანილი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) რამდენიმე საქმე, რომელთა უმრავლესობა არათუ ფაქტობრივი გარემოებებით, არამედ ზოგადი დასაბუთების სტანდარტითაც კი არ მიესადაგება ნიკანორ მელიას საქმეს;

✓ გიორგი რურუას საქმეში გამოკვეთილია სამართლებრივი პრობლემები: 1) დაირღვა ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება; 2) დაირღვა ბრალდებულისთვის უფლება-მოვალეობების განმარტების უფლება/ვალდებულება 3) პრობლემურია ნიმუშის აღებაზე უარის თქმის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის მოტივით (სსკ-ის 381-ე მუხლის 1 ნაწილი); 4) პრობლემურია ნიმუშის აღებისას ჩარევის პროპორციულობის საკითხი და ა.შ.

✓ თბილისის საქალაქო სასამართლომ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეზღუდვისას, არ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო

დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში აღნიშნული არაერთი დასაბუთებული შეფასება; შედეგად, არათანაზომიერად შეიზღუდა ნიკანორ მელიას, როგორც პარლამენტის წევრის უფლებები. თბილისის საქალაქო სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ, საქმის განხილვისას, ერთიან კონტექსტში არ განიხილა საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, საერთოდ არ მიიღო მხედველობაში პარლამენტის წევრის იმუნიტეტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები;

✓ წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინებები, განაჩენები და სხვა გადაწყვეტილებები აბსტრაქტული და დაუსაბუთებელია. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ თითქმის ყველა (დაახლოებით, 98%) დაკავებული პირის მიმართ პირველი მოთხოვნისთანავე არ ხდება საპროცესო შეთანხმების გაფორმება, იმ მოტივით, რომ დაუსაბუთებელია შუამდგომლობა. თუმცა, ამის შემდეგ, წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის გასვლამდე, ისე, რომ ახალი გარემოებები არ გამოკვეთილა, სასამართლო ამტკიცებს ბრალდების მხარესა და ბრალდებულს შორის დადებულ საპროცესო შეთანხმების პირობებს, რის შედეგადაც სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი და ათავისუფლებს ბრალდებულს სასამართლო დარბაზიდან. სასამართლო ზოგადი, ბუნდოვანი მსჯელობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამგვარი მიდგომა არღვევს საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც უშუალოდ წინამდებარე საქმეების შეფასებისას იქნა განხილული.

✓ რჩება შთაბეჭდილება, რომ საპროცესო შეთანხმებების გაფორმება, პროკურატურისა და სასამართლოს მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია, რადგან ასეთ შემთხვევაში, პირები აღიარებენ წარდგენილ ბრალდებას და სასამართლოს, შესაბამისად, გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენები. **ამჟამად, 20-21 ივნისის მოვლენების მონაწილეთაგან მხოლოდ ბეჟან ლორთქიფანიძე და ბესიკ თამლიანი არ აღიარებენ ბრალს და არც საპროცესო შეთანხმების დადებას აპირებენ, ვინაიდან, თავს უდანაშაულოდ ცნობენ.**

✓ შსს-ს გამოძიების ფარგლებში, აქციის 17 მონაწილეს წარედგინა ბრალი, რომელთაგან ყველას მიმართ, ალკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობაა გამოყენებული, მაშინ, როდესაც პროკურატურამ მხოლოდ 3 (სამი) პოლიციელის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლოს კი, ერთის გარდა, არცერთისთვის არ შეუფარდებია პატიმრობა. იმ ერთ შემთხვევაშიც პატიმრობა გირაოთი შეიცვალა.

✓ პრობლემურია დამარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხები. ამ დროისათვის, მხოლოდ 8 სამოქალაქო პირია დამარალებულად ცნობილი, მაშინ, როცა გამოძიებამ შსს-ს 68 თანამშრომელი ცნო დამარალებულად.

✓ პროკურატურა და სასამართლო დასაბუთების გარეშე აცხადებენ უარს დაშავებული დემონსტრანტებისა და ჟურნალისტებისთვის დამარალებულის სტატუსის მინიჭებაზე.

# თავი

# 3

ირაკლი ოქრუაშვილის  
წინააღმდეგ მიმდინარე  
სისხლის სამართლის  
საქმეების სამართლებრივი  
შეფასება

## შესავალი

პოლიტიკური მოძრაობა „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილისა და თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას მიმართ საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციით მინიჭებული შეწყალების უფლებამოსილების გამოყენებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში მართლმსაჯულებაზე პოლიტიკური პროცესების დიდი გავლენა. „არ ვინყალებ პოლიტპატიმრებს, რამეთუ ჩემი სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოში დღეს არ არსებობენ პოლიტპატიმრები“, - ამ სიტყვებით პრეზიდენტმა<sup>210</sup> ხაზი გაუსვა, რომ იზიარებს აღმასრულებელი ხელისუფლების, საპარლამენტო უმრავლესობისა და მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ პოზიციას პოლიტპატიმრების თაობაზე.

„ქართული ოცნებისა“ თუ პრეზიდენტის პოზიციის მიუხედავად, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, ცალკეული პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნა, საქმეების ირგვლივ არსებული ბუნდოვანება, ხარვეზები, არასაკმარისი მტკიცებულებები და სხვა გარემოებები ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას თუ საერთაშორისო პარტნიორებს უჩენს ეჭვებს ამ საქმეებში პოლიტიკური მოტივების არსებობის შესახებ. საერთაშორისო პარტნიორები, ყოველგვარი დიპლომატიური ქვეტექსტების გარეშე, პირდაპირ მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, შეესრულებინა ოპოზიციასთან 2020 წლის 8 მარტს გაფორმებული შეთანხმება და გაენთავისუფლებინა პოლიტიკური პატიმრები<sup>211</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ამ შეთანხმების შინაარსს სხვადასხვა ინტერპრეტაციით წარმოაჩენდნენ, საქართველოს პრეზიდენტი ამ პროცესს და თვითონ შეთანხმებას მიესალმა და სწორედ ამ კონტექსტს დაუკავშირა ირაკლი ოქრუაშვილის და გიორგი უგულავას შეწყალების საჭიროებაც, რათა ქვეყნისთვის აერიდებინა „მწვავე პოლიტიკური კრიზისის საფრთხე“<sup>212</sup>.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის, მსჯავრდებისა და პრეზიდენტის მიერ მისი შეწყალების შესწავლა ერთიან კონტექსტში. დოკუმენტში შეფასებულია უშუალოდ ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე ორი უახლესი სისხლის სამართლის საქმე. ერთი საქმე უკავშირდება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს, რაზეც ირაკლი ოქრუაშვილი პოლიციამ დააკავა 2019 წლის 25 ივლისს და ბრალი

<sup>210</sup>იხ. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება: <https://bit.ly/3djxQK0>.

<sup>211</sup>ამ თემაზე, ვრცლად, იხ. რადიო „თავისუფლების“ სტატია: <https://bit.ly/2MqiXe2>

<sup>212</sup>იხ. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება: <https://bit.ly/3ds3W6i>.

წარუდგინა ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის ან მასში მონაწილეობის საფუძვლით. ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენი 2020 წლის 13 აპრილს გამოაცხადა<sup>213</sup>. მეორე ბრალდება ეხება ე.წ. ბუტა რობაქიძის საქმეს, რომელზეც საქართველოს პროკურატურამ ოქრუაშვილს ბრალი წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

დოკუმენტში, ასევე, გაანალიზებულია კობა კოშაძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დიდი ალბათობით, უკავშირდება ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკურ აქტიურობას.

ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა რიც სისხლის სამართლის საქმეებზე ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს დაიწყო, რომელთაგან უმეტესობაში იგი გამართლდა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2013 წლის 12 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>214</sup> გამოქვეყნებამდე, ირაკლი ოქრუაშვილი განიხილებოდა, როგორც პოლიტიკური დევნილი<sup>215</sup>. საბოლოოდ იგი პოლიტდევნილების სიაში მაინც არ მოხვდა. ამავდროულად, აქტიური ოპოზიციონერი პოლიტიკოსის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას ახლა უკვე „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ახორციელებს, რა დროსაც არანაკლები სიმწვავის საკითხები იკვეთება.

## კონსტიტუციური წინა ხელისუფლებასთან

ირაკლი ოქრუაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში შიდა ქართლის გუბერნატორის, გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და ეკონომიკის მინისტრის პოსტებს იკავებდა. 2004 წლის 7 ივნისს შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა<sup>216</sup>, ამავე წლის 16 დეკემბერს კი თავდაცვის მინისტრის პოსტზე გადაინაცვლა<sup>217</sup>.

2005 წელს, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საბაბით, შიდა ქართლის რეგიონის პოლიციაში საკადრო ცვლილებები დაიწყო, რაც მაშინ რეგიონში ირაკლი ოქრუაშვილის გავლენის შესუსტების კამპანიად ჩაითვალა. თუმცა, მთავრობის წევრებმა ეს უარყვეს<sup>218</sup>. მოგვიანებით, 2005 წლის ივლისში, გაზეთ

<sup>213</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3i18iVI>.

<sup>214</sup>იხ. 2013 წლის 12 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი: <https://bit.ly/3eM1uZz>.

<sup>215</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3ds5DSg>.

<sup>216</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3hUcuX1>.

<sup>217</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3fL2Cgw>.

<sup>218</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3179y3C>.

„რემონანსთან“ ინტერვიუში, ირაკლი ოქრუაშვილმა მის წინააღმდეგ ინტრიგებზე ღიად ისაუბრა<sup>219</sup>.

2006 წლის 10 ნოემბერს, საქართველოს მთავრობაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა საკადრო გადანაცვლებები განახორციელა. ცვლილებების შედეგად, ირაკლი ოქრუაშვილმა თავდაცვის მინისტრის პოსტი დატოვა და ეკონომიკის სამინისტრო ჩაიბარა<sup>220</sup>. სწორედ ამ დროიდან დაიწყო საუბარი ოქრუაშვილის შესაძლო დაპირისპირებაზე თანაგუნდელებთან, მათ შორის - შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილთან<sup>221</sup>. ახალ თანამდებობაზე ოქრუაშვილი სულ რამდენიმე დღით იყო. 2006 წლის 17 ნოემბერს მან ეკონომიკის მინისტრის თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა<sup>222</sup>. გადადგომიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ - 2007 წლის 25 სექტემბერს ირაკლი ოქრუაშვილმა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებსა<sup>223</sup> და მკვლელობების შეკვეთებში დაადანაშაულა<sup>224</sup>. იმავე დღეს მან ტელეკომპანია „იმედს“ განუცხადა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირადად დაუკვეთა ბიზნესმენ ბადრი პატარკაცივილის ლიკვიდაცია და რომ მისივე დაკვეთით მოხდა ყოფილ დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმაც. მან ასევე ეჭვი შეიტანა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიაში და მტკიცებულებას გამოგონილი უწოდა<sup>225</sup>.

პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ მძიმე ბრალდებების წაყენებისა და ოპოზიციური პარტიის შექმნის თაობაზე განცხადებიდან ორ დღეში, 2007 წ. 27 სექტემბერს, ირაკლი ოქრუაშვილი მისივე პარტიის - „ერთიანი საქართველოსთვის“ ოფისში დააკავეს. მას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში (სსკ-ის 332-ე მუხლ.), ერთამის აღებასა (სსკ-ის 338 მუხლ.) და სამსახურებრივ გულგრილობაში (სსკ-ის 342-ე მუხლ.) დასდეს ბრალი<sup>226</sup>. 2007 წ. ოქტომბერში, დაკავებიდან თითქმის ორ კვირაში, ოქრუაშვილმა მიხეილ სააკაშვილის საწინააღმდეგო ბრალდებები უარყო და აღიარა დანაშაული<sup>227</sup>. მან 10 მლნ ლარის გირაოს გადახდის შემდეგ დატოვა პენიტენციური დაწესებულება, მაგრამ საქმეზე გამოძიება გრძელდებოდა<sup>228</sup>. ამის შემდეგ, მან ქვეყანა იძულებით დატოვა და საფრანგეთში წავიდა, სადაც პოლიტიკური დევნილის სტატუსი და თავშესაფარი მიიღო<sup>229</sup>.

<sup>219</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2zU7mBf>.

<sup>220</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2BpXHCN>.

<sup>221</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2AYJNYu>.

<sup>222</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2Yo5bPJ>.

<sup>223</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2zUGTn9>.

<sup>224</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2V7hIVl>.

<sup>225</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2Ypfgfu>.

<sup>226</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/31cOmca>.

<sup>227</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/317JFka>.

<sup>228</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3fMCOjZ>.

<sup>229</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/37XTx19>.



2008 წლის 28 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი დამნაშავედ ცნო ქრთამის აღების და განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის საქმეზე და დაუსწრებლად შეუფარდა 11 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამავდროულად, სასამართლომ მას მოუხსნა ფულის გათეთრებისა და სამსახურებრივი გულგრილობის საქმეზე წაყენებული ორი ბრალდება<sup>230</sup>.

გამამტყუნებელი განაჩენი, ძირითადად, ეყრდნობოდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი საპარლამენტო მდივნის და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ყოფილი ხელმძღვანელის, დიმიტრი ქიტოშვილის ჩვენებას. დიმიტრი ქიტოშვილს იმავე საქმეზე 5-წლიანი პირობითი სასჯელი შეეფარდა. წლების შემდეგ, როცა საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ქიტოშვილმა შეცვალა ჩვენება და სააპელაციო სასამართლოს განუცხადა, რომ მას ოქრუაშვილის წინააღმდეგ ცრუ ჩვენება იძულებით მიაცემინეს<sup>231</sup>.

2011 წლის 18 ივნისს საქართველოს პროკურატურამ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ, უკანონო შეირაღებული ფორმირების შექმნისა და ხელმძღვანელობის საქმეზე. 2013 წლის 18 იანვარს ირაკლი ოქრუაშვილს ეს ბრალი მოეხსნა<sup>232</sup>. ამასთან, 2013 წლის 8 იანვარს მთავარმა პროკურატურამ სამართლებრივ დევნა შეწყვიტა იმ ბრალდებებთან დაკავშირებითაც, რომელიც ეხებოდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ფულის გათეთრებას, რაც ასევე ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრობის პერიოდს უკავშირდებოდა. მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ არ მოიპოვებოდა დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები<sup>233</sup>.

2012 წლის 20 ნოემბერს, ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში დაბრუნდა, რა დროსაც იგი დააპატიმრეს და გადაიყვანეს გლდანის ციხეში<sup>234</sup>. ოქრუაშვილის საქართველოში დაბრუნებას ბრიფინგით გამოეხმაურა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელმაც გაიზიარა პოზიცია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკური ნიშნით იდევნებოდა<sup>235</sup>.

2013 წელს ირაკლი ოქრუაშვილი ცნეს პოლიტიკურ დევნილად<sup>236</sup>, სასამართლომ მას ყველა ბრალდება მოუხსნა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. ოქრუაშვილის გაათავისუფლებას წინ უძღოდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 1 ნოემბრის სხდომაზე პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის

<sup>230</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/313m3wY>.

<sup>231</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3epKWGN>.

<sup>232</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3dsoZ9z>.

<sup>233</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/315gXQN>.

<sup>234</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3eGD0Rp>.

<sup>235</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2Nh4n8W>.

<sup>236</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3ifW1wF>.

შექმნა<sup>237</sup>. თავდაპირველად, სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები განიხილავდნენ პოლიტიკური ნიშნით დევნილთა სიაში ირაკლი ოქრუაშვილის შეყვანის საკითხს<sup>238</sup>. როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრთან შეხვედრისას<sup>239</sup> ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, მისი სახელი და გვარი ამ სიიდან, ხელისუფლების მოთხოვნით, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წარმომადგენლებმა ამოიღეს. საბოლოოდ, პარლამენტმა 2013 წლის 12 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>240</sup> საფუძველზე, 190 პატიმარი აღიარა პოლიტიკურ პატიმრად<sup>241</sup>, 25 პირი კი - პოლიტიკური ნიშნით დევნილად<sup>242</sup>.

## 1) 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმე

### *ბრალდების არსი*

ბრალდების შესახებ 2019 წლის 26 ივლისის დადგენილების თანახმად<sup>243</sup>, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი დაედო, რომ ჩაიდინა ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა (სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამავე დროს, დამატებით, მასვე ბრალი დაედო, რომ ჩაიდინა ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობა (სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

დადგენილების თანახმად, 20-21 ივნისის მოვლენებისას განხორციელებულ ძალადობრივ მოქმედებებში მონაწილეობდა ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც სიტყვიერად და თვალსაჩინო დემონსტრაციული მოქმედებებით მოუწოდებდა აქციაზე მყოფ პირებს, რათა ძალადობით გაერღვიათ სამართალდამცავების კორდონი და შეეღწიათ საქართველოს პარლამენტის სასახლის დაცულ ტერიტორიაზე. იგი სხვებთან ერთად უშუალოდაც მონაწილეობდა იმ ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში, რაც მიმართული იყო საქართველოს პარლამენტის სასახლის დაცული ტერიტორიის პერიმეტრზე, პარლამენტის ტერიტორიის დასაცავად განლაგებული სამართალდამცავთა კორდონის ძალადობით დასაძლევად და დაცულ ტერიტორიაზე ჯგუფურად შესაჭრელად. ძალადობრივი მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღეს როგორც

<sup>237</sup> იხ. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“.

<sup>238</sup> იხ. სამუშაო ჯგუფის მუშაობისას მედიაში გამოქვეყნებული სია: <https://bit.ly/3ds5DSq>

<sup>239</sup> შეხვედრა ირაკლი ოქრუაშვილთან: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20164&lang=geo>

<sup>240</sup> იხ. 2013 წლის 12 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 22: <https://bit.ly/3eM1uZz>

<sup>241</sup> იხ. პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირთა სია სრულად:

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/24682?>

<sup>242</sup> იხ. პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სია სრულად:

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/24683?>

<sup>243</sup> დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, თბილისი. 26.07.2019. დოკუმენტის N0013218149.

სამართალდამცველი ორგანოს წარმომადგენლებმა, ისე, პროტესტის გამოხატვის მიზნით, იქ შეკრებილმა მოქალაქეებმა. ასევე, დაზიანდა და განადგურდა სამართალდამცავთა კუთვნილი აქტიური და პასიური სპეცსაშუალებები.

ამ ბრალდებებით, ირაკლი ოქრუაშვილი 2019 წლის 25 ივლისს დააკავეს<sup>244</sup>. პროკურატურა მას, 20 ივნისის მოვლენებისას ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას (სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილი) და მასში მონაწილეობას (სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ედავებოდა.

- **ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდების – სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილის**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე“.

განსახილველ ნორმას 2007 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე<sup>245</sup> ერქვა მასობრივი არეულობა. ე. ი. მისი განხორციელება შეეძლო მასას, რამდენიმე ასეულ ადამიანს (ბრბოს). დღეს ამ მუხლის მოქმედების არეალი გაიზარდა - ამ დანაშაულის ჩადენა შეუძლია პირთა ჯგუფს, ე.ი. ორ ან მეტ პირს. ამასთან, მინიმუმ ორი პირი უნდა არსებობდეს, როგორც ამ ძალადობის მონაწილე (მე-2 ნაწილი). მეცნიერი იურისტების მიერ „სისხლის სამართლის კერძო ნაწილის“ კომენტარებში გამოთქმული კრიტიკის თანახმად, კანონმდებელმა კიდევ უფრო გააფართოვა ამ ნორმის ფარგლები და მოქმედი რედაქციით, ორგანიზატორის ჩათვლით, სამი პირის მონაწილეობა საკმარისად მიიჩნია ამ მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის<sup>246</sup>. გარდა ამისა, სსკ-ის 225-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია ისეთი ალტერნატიული ქმედებები, რომელთაგან ერთ-ერთს მაინც უნდა ჰქონდეს ადგილი ჯგუფური მოქმედებისას, რათა სახეზე იყოს ამ ნორმის შემადგენლობა. მათ შორისაა ძალადობაც. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომლის მიხედვითაც, განსახილველ მუხლში მითითებული ქმედებებიდან ერთ-ერთის, ისე, როგორც ძალადობის, განხორციელების გარეშე პირის მიერ ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისას ჩადენილი დანაშაული ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულ დანაშაულად. ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჯგუფური ძალადობის ორგანიზება გამოიხატება სპეციფიკურ

<sup>244</sup>იხ. სრულად: <https://bit.ly/36Tylc5>

<sup>245</sup>იხ. 2007 წლის საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

<sup>246</sup>იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 599.

მახასიათებელ ნიშნებში, როგორცაა: არეულობის ადგილის შერჩევა, მისი ჩადენის დროისა და ჩადენის ხერხის განსაზღვრა, პირთა ჯგუფის თავმოყრა კონკრეტულ ადგილას და სხვა. ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობა კი შეიძლება, გამოიხატოს არეულობის დროს ჯგუფისთვის მითითებების მიცემაში, თუ კონკრეტულად როგორ იმოქმედონ, რა ქმედება ჩაიდინონ მათ, მოწოდებაში, რომ არ შეწყვიტონ ძალადობა და ა.შ.<sup>247</sup>

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება<sup>248</sup> დამთავრებულია არა მაშინ, როცა პირი ორგანიზებას გაუკეთებს ჯგუფურ ძალადობას, არამედ მაშინ, როცა ამ ორგანიზებას ან ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას თან ახლავს სხვადასხვა ქმედებები: ძალადობა, რბევა და სხვა<sup>249</sup>. ამის მიუხედავად, დანაშაული არის ფორმალური შემადგენლობის, ვინაიდან არაა აუცილებელი, ამ ძალადობით ქმედებებს მოჰყვეს მავნე შედეგი. მაგალითად, ძალადობას შესაძლოა, განურჩევლად ხარისხისა, არ მოჰყვეს ფიზიკური ტკივილიც კი<sup>250</sup>. ასევე სხვისი ნივთის დაზიანებას, შესაძლოა, არ მოჰყვეს მნიშვნელოვანი ზიანი და სხვა. თუ ჯგუფურ ძალადობას შედეგად მოჰყვა ქონების გატაცება, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიკვდილი, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

რაც შეეხება სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილს, ამ ნორმის თანახმად: „ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში მონაწილეობა - პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ამ მუხლის 1-ლი ნაწილით კრიმინალიზებულ ქმედებაში მონაწილეობისათვის. ამდენად, 1-ლი ნაწილით, ისტება ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორი ან ხელმძღვანელი, ხოლო მე-2 ნაწილით - ჯგუფური მოქმედების რიგითი მონაწილე, როდესაც ქმედებას თან ახლავს პირველი ნაწილით გათვალისწინებული ალტერნატიული ქმედებებიდან ერთი მაინც. მათ შორისაა ძალადობაც, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ცემაში, დაცული ობიექტის კარების შემტვრევასა და იქ ძალდატანებით შეღწევაში, სხვისთვის ჯანმრთელობის მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაში და ა.შ. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, პირის ქმედება სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით რომ დაკვალიფიცირდეს, რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება უნდა იყოს სახეზე:

1. ჯგუფური მოქმედება, რომელში მონაწილეობისთვისაც პირს, შესაძლოა, 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაეკისროს პასუხისმგებლობა, აუცილებლად უნდა იყოს ორგანიზებული. ამას არ გამოორიცხავს ის, რომ ნორმის პირველ ნაწილში

<sup>247</sup>იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 600.

<sup>248</sup>ლიტერატურაში „ჯგუფური მოქმედება“ მოხსენიებულია როგორც „ჯგუფური ძალადობა“. ასევე იხსენიებს მას საქართველოს უზენაესი სასამართლოც.

<sup>249</sup>იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 600.

<sup>250</sup>ლიტერატურაში „ჯგუფური მოქმედება“ მოხსენიებულია როგორც „ჯგუფური ძალადობა“. ასევე იხსენიებს მას საქართველოს უზენაესი სასამართლოც.

ორგანიზება და ხელმძღვანელობა „ან“ კავშირითაა დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ შეიძლება ორგანიზატორი იყოს სხვა პირი, ხოლო ხელმძღვანელი - სხვა და „ან“ კავშირი რომ არა, ეს პირები პირველი ნაწილის მოქმედების ფარგლებში ვერ მოექცეოდნენ<sup>251</sup>. ამრიგად, მართალია, ჯგუფის ორგანიზატორი შესაძლოა, ვერ იქნეს იდენტიფიცირებული, მაგრამ აუცილებელია, სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით ქმედების კვალიფიკაციისას, დამტკიცდეს, რომ ჯგუფური მოქმედება, რომელში მონაწილეობასაც პირს ედავება სახელმწიფო, იყოს წინასწარ ორგანიზებული. ამ აზრს განამტკიცებს ისიც, რომ უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის ერთ-ერთ განაჩენში ბრალდების შესახებ დადგენილებაში ასახული მსგავსი მოვლენები მიიჩნია ჯგუფურ ძალადობად და არა - ჯგუფური ძალადობის ორგანიზებად. თავის მხრივ, დადგენილება უთითებდა: „პროტესტის მიზნით, ამჟამად გამოძიებით დაუდგენელმა პირმა, ან პირთა ჯგუფმა მოახდინა ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, რა დროსაც მონაწილეებმა გადააკეტეს „ჭ“-ის ქუჩა და საავტომობილო გზის გახსნის შესახებ პოლიციის მუშაკების კანონიერ მოთხოვნებს არ ემორჩილებოდნენ“<sup>252</sup>.

2. გემოაღნიშნული ნორმის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში მონაწილეობაში იგულისხმება - თანამსრულებლობა. საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლის თანახმად: „ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, [...]“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, პირმა ეს დანაშაული რომ ჩაიდინოს, სსკ-ის 225-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული ალტერნატიული ქმედებებიდან ერთ-ერთი მაინც უნდა განახორციელოს, მიიღოს ქმედების აუცილებელი ობიექტური ნიშნების განხორციელებაში უშუალო მონაწილეობა. ეს ქმედებებია: ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა. უზენაესი სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუკი პირი არც ერთ ამ ქმედებას უშუალოდ არ ახორციელებს, მაშინ ის ვერ მიიჩნევა ამსრულებლად და არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით. სასამართლომ მიიჩნია, „რომ სახეზე არ იყო იმ პირის მონაწილეობა ჯგუფურ ძალადობრივ ქმედებებში, რომელიც იდგა აქციის მონაწილეებთან ერთად. ასევე, ერთ-ერთ ეპიზოდში წრეს აკეთებდა მანქანით, აძლევდა ხმოვან სიგნალს, აგინებდა პოლიციელებს, ყვიროდა და უსტვენდა [...]“<sup>253</sup>.

<sup>251</sup> იხ. ლევკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 600.

<sup>252</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ნოემბრის განაჩენი საქმეზე №2კ-288აპ.-18.

<sup>253</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ნოემბრის განაჩენი საქმეზე №2კ-288აპ.-18.

3. ამ ნორმით გათვალისწინებული დანაშაული, ბრალის ფორმით, გულისხმობს მხოლოდ განზრახვას. სუბიექტური მხრივ მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. იგი შეიძლება იყოს შურისძიება რომელიმე სახელმწიფო მოხელის ან ორგანოს ქმედებისათვის და სხვა პირადი მოტივი, რაც მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას<sup>254</sup>. აქვე უნდა გამოვრიცხოთ ანტისახელმწიფოებრივი მიზანი. კანონში მითითებული ქმედებების მიმართ ბრალი გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, ხოლო იმ შედეგების მიმართ, რაც არაა აუცილებელი ამ დანაშაულის დამთავრებისათვის და რაც შეიძლება, დადგეს ჯგუფური ძალადობისას (ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქონების განადგურება ან დაზიანება), განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. შესაბამისად, პირს, რომელიც, როგორც თანაამსრულებელი, ახორციელებს სსკ-ის 225-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებათაგან ყველას ან რომელიმეს, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვისწინებდეს მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვისწინებდეს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას<sup>255</sup>. თუკი პირს სახელმწიფო ედაგება 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, გარდა იმისა, რომ, მაგალითისთვის, უნდა დადასტურდეს ამ პირის მიერ ძალადობრივი ქმედების განხორციელება, აუცილებლად უნდა დადასტურდეს ისიც, რომ ეს პირი განზრახ მოქმედებდა<sup>256</sup>. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არაა სავალდებულო შედეგის დადგომა. მთავარია, ადგილი ჰქონდეს შეიარაღებული წინააღმდეგობის ფაქტს. ამდენად, ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ფორმალური დანაშაულია.

*ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სსკ-ის 225-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების შეფასებისას, იდენტური წყაროების ანალიზი წარმოადგინა სამოგადოებრივმა ორგანიზაციამ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI)<sup>257</sup>. GDI-ს დოკუმენტის დასკვნის თანახმად, მიუხედავად სასამართლოს მიერ განაჩენში გაკეთებული არაერთი სწორი და სამართლიანი განმარტებისა, განსაკუთრებით - სსკ 225-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით, ირაკლი ოქრუაშვილის საქმე და განაჩენი მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს.*

<sup>254</sup> იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 600.

<sup>255</sup> იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 600.

<sup>256</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ნოემბრის განაჩენი საქმეზე №2კ-288აპ.-18.

<sup>257</sup> იხ. „ირაკლი ოქრუაშვილის საქმე - სამართლებრივი ანალიზი“, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2020“. <https://bit.ly/2Bv2WB8>.

- **თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის შეჯამება**

- **სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა)**

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენიდან ირკვევა, რომ სსკ-ის 225-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში (*ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა*), პროკურატურა ირაკლი ოქრუაშვილისთვის ბრალის დამტკიცებას ორ ეპიზოდში ცდილობდა. ბრალდების შესახებ დადგენილებით, პირველი ეპიზოდი ეხებოდა საქართველოს პარლამენტის გვერდითა შესასვლელთან, ჭიჭინაძის ქუჩაზე, ოქრუაშვილის სამართალდამცავებთან მისვლას, ხოლო მეორე ეპიზოდი პროკურატურამ მთლიანად ერთი პოლიციელი მოწმის ჩვენებას დაამყარა, რომლის თანახმად, იმ დროს, როცა აქციის მონაწილეები პარლამენტის ეზოში შეჭრას ცდილობდნენ, მან იქვე შენიშნა ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც ხალხის მასასთან ერთად იძახდა: „წინ, წინ!“ და მიიწვედა საქართველოს პარლამენტის შენობისკენ. ამ მოწმის განმარტებით, ხალხი ისროდა სხვადასხვა ნივთებს, აწვევდნენ სამართალდამცავებს რკინის მოაჯირით. მას წაართვეს ფარი. მოწმემ აღნიშნა, რომ დაახლოებით 2-3 წუთით მის წინ დაინახა ირაკლი ოქრუაშვილი და ბაალ უდუმაშვილი.

**პირველი ეპიზოდი:** თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის თანახმად, *პირველ ეპიზოდში* არ გამოიკვეთა ქმედების ისეთი დანაშაულებრივი ნიშნები, რაც ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას დამტკიცებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პირის მსჯავრდებას მხოლოდ უტყუარი, ერთმანეთთან შეჯერებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე, რაც გამამტყუნებელი განაჩენის დადგომისთვის უალტერნატივო საშუალებაა და იმავე დროს, საკმარისობის თვალსაზრისით, გონივრულ ეჭვს მიღმა უნდა ადასტურებდეს პირის ბრალეულობას.

**განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, სასამართლო პროცესებზე ვერ იქნა წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულებები, რითაც დამტკიცდებოდა ირაკლი ოქრუაშვილის თანხლები პირების ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა, რაც, სასამართლოს შეფასებით, თავისთავად გამორიცხავდა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას.**

ამასთანავე, გენერალური პროკურატურის წარმოდგენილი ორი პოლიციელი მოწმის მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებით, სადავო ქმედება უტყუარად ვერ დადასტურდა, რადგან, ამის საპირისპიროდ, დაცვის მხარემ წარადგინა ორი მოწმე, რომელთაც სასამართლოს მიანოდეს ინფორმაცია, რომ ირაკლი ოქრუაშვილის მხრიდან, პოლიციელთა მიერ დასახელებულ ადგილზე, რაიმე ძალადობას ან ძალადობის მოწოდებას ადგილი არ ჰქონია. სასამართლო

სხდომამე წარმოდგენილ მოწმეთაგან ერთი, ირაკლი ოქრუაშვილის ჭიჭინაძის ქუჩაზე მისვლისას, იქ იმყოფებოდა, ხოლო 5 - თან ახლდა ბრალდებულს.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ, ასევე, აჩვენა ვიდეომტკიცებულება, რომელშიც ჩანს მოწმე და მის მარჯვნივ მყოფი ირაკლი ოქრუაშვილი. თავად მოწმემაც მიუთითა ვიდეოში საკუთარ თავზე. როგორც სასამართლო განაჩენის შეფასებისას დადგინდა, გარდა ორი პოლიციელი მოწმისა, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია სხვა სახის ნეიტრალური მტკიცებულება, როგორცაა - ვიდეოკამერის ჩანაწერი, სადაც სრულად ჩანს ბრალდებულის ქმედებები, ან სხვა პირები, რომლებიც სრულად აღწერდნენ ბრალდებულის მართლსაწინააღმდეგო ქცევას, რაც სასამართლოს დაარწმუნებდა მის ბრალეულობაში. *საბოლოოდ, მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად, დგინდება, რომ პირველ ეპიზოდში, ბრალდების მხარის პოზიცია ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ მოკლებული იყო უტყუარ და საკმარის მტკიცებულებით საფუძველს, რამდენადაც სასამართლო სხდომებზე მოწმის სახით დაკითხული პოლიციელების და ფაქტის თვითმხილველი, პირდაპირი მოწმეების ჩვენებებით ვერ დასტურდებოდა ბრალად წარდგენილი ქმედების არსებობა; ამასთან, მათი ჩვენებები არ იყო თანმიმდევრული და ურთიერთთავსებადი. ისინი არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, განსხვავებული შეფასებების საფუძველს იძლეოდნენ და შესაბამისად, გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დადასტურდებოდა ბრალდებულისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენა.*

**მეორე ეპიზოდი:** ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიშის თანახმად, ერთ-ერთმა მოწმემ სასამართლოს მისცა ჩვენება, რომ ხალხის მასასთან ერთად, რომლებიც პარლამენტის შიდა ებოში შეჭრას ცდილობდნენ, ირაკლი ოქრუაშვილი მოუწოდებდა მათ და იძახდა: „წინ, წინ!“<sup>258</sup> მოწმის განცხადებით, მან ასევე შენიშნა ზაალ უდუმაშვილი, რომელიც უკან გაბრუნდა მალევე, ხოლო ოქრუაშვილი ადგილზე დარჩა და აწვებოდა სამართალდამცავებს. მან სასამართლო პროცესზე ასევე განაცხადა, რომ ზაალ უდუმაშვილის მსგავსად, ბრალდებულსაც შეეძლო ადგილის დატოვება, მაგრამ ასე არ მოქცეულა<sup>259</sup>. სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ გამოიკვლია ვიდეომასალა, რომელშიც მოწმემ ამოიცნო საკუთარი თავი და მიუთითა, სად იდგნენ ირაკლი ოქრუაშვილი და ზაალ უდუმაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ვიდეოში სახე გარჩევადი არ იყო, მოწმემ განაცხადა, რომ ზუსტად ახსოვდა, სად იდგა და საკუთარი თავის ამოცნობა ნებისმიერ მდგომარეობაში შეეძლო. დაცვის

<sup>258</sup>ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე. არსებითი განხილვა: 10.01.2020; 13:20-14:12 საათი.

<sup>259</sup>ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე. არსებითი განხილვა: 10.01.2020; 13:20-14:12 საათი.



მხარე დაინტერესდა, სხვებიც ყვიროდნენ და მოუწოდებდნენ თუ არა საქართველოს პარლამენტის შიდა ებოში შეჭრისკენ, რაზეც მონმემ უპასუხა - დიახ<sup>260</sup>. მან ასევე დაამატა, რომ ირაკლი ოქრუაშვილს არავისთვის არ მიუყენებია ფიზიკური შეურაცხყოფა, მათ შორის - არც მონმისთვის. მონმის განცხადებით, მას არც რამე სხვა სიტყვები გაუგია. ასევე, აღნიშნა, რომ მის უკან ხალხი მასაც აწვებოდა. საბოლოო ჯამში, ფაქტობრივ გარემოებათა და მტკიცებულებათა შეფასებისას, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პოლიციელ და სასამართლოში გამოძახებულ სხვა პირთა/მონმეთა მიერ მიცემულ ჩვენებებზე და მიუთითა, რომ ისინი არ ადასტურებდნენ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ მსგავსი მოწოდების ფაქტს. **ვერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მონმეთა მიერ ჩვენებების მიცემისას დასახელებული სიტყვები და მოწოდება („წინ, წინ!“) კონტექსტისა და მიმართვის ადრესატთა დადგენის გარეშე, ჯგუფური ძალადობრივი მოქმედებების ხელმძღვანელობად ვერ ჩაითვლება. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, ასეთი შეძახილის არსებობის უტყუარი მტკიცებულებაც არ არსებობს.**მაგალითისთვის, ბრალდების მხარის მონმე პოლიციელმა სასამართლოს მიანოდა ინფორმაცია, რომ ირაკლი ოქრუაშვილი, დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში, მისგან ხელმარჯვნივ შენიშნა. იგი სხვებთან ერთად სამართალდამცავებს აწვებოდა, მაგრამ რაიმე მოწოდების შეძახილი არ გაუგია<sup>261</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ამ ეპიზოდში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასებისას მტკიცების ტვირთის განაწილების წესი და მტკიცების სტანდარტები სწორად არის გამოყენებული. მონმეთა ჩვენებები და შესაბამისად - ოქმები, რომლებიც, როგორც წესი, შედგენილი იყო ერთი და იმავე პირის მიერ, სასამართლომ ბრალის დასამტკიცებლად უტყუარ და საკმარის ინფორმაციად არ მიიჩნია. ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიშის თანახმად, ერთ შემთხვევაში, დაცვის მხარემ მიუთითა საქმის გამოძიების ეტაპზე მონმეთა მიერ მიცემული ჩვენებების იმ მონაკვეთებზე, რომელშიც იდენტურად აკლდა სიტყვებს ასოები, რაც მისი მტკიცებით, იმას მოწმობდა, რომ ჩვენებები გამომძიებლების მიერ წინასწარ იყო გამზადებული და სხვადასხვა მონმეებისთვის შეთავაზებული ხელმოსაწერად. ეს ჩვენებები სასამართლომ სარწმუნოდ არ მიიჩნია, რადგან ისინი არ შეიცავდა ინდივიდუალური პირების და მათ შორის, ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედებების ზუსტ აღწერას<sup>262</sup>. **გარდა იმისა, რომ სასამართლომ უპირატესობა არ მიანიჭა პოლიციელთა ჩვენებას დაცვის ჩვენებასთან მიმართებით,**

<sup>260</sup>ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე. არსებითი განხილვა: 10.01.2020; 13:20-14:12 საათი.

<sup>261</sup>ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე. არსებითი განხილვა: 10.01.2020; 13:20-14:12 საათი.

<sup>262</sup>ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე. არსებითი განხილვა: 10.01.2020; 13:20-14:12 საათი.

თავად ამ ჩვენებების უტყუარობაშიც შეიტანა ეჭვი. ასეთი მტკიცებულება არათუ გონივრულ ეჭვს მიღმა, არამედ ელემენტარულ სტანდარტსაც ვერ გადალახავდა. განაჩენის თანახმად, საქმეში არ არსებობდა მხარეთა მიერ წარმოდგენილი, ერთმანეთთან შეთანხმებული, ეჭვის გამომრიცხავი ისეთი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც სასამართლოს მისცემდა საშუალებას, რათა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაედგინა, რომ სწორედ ბრალდებულმა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია სასამართლოს განაჩენის კანონიერების, დასაბუთებულობისა და სამართლიანობის სავალდებულოობა<sup>263</sup>. განაჩენი დასაბუთებულია, თუკი ემყარება სასამართლო განხილვისას გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს<sup>264</sup>. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს<sup>265</sup>. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა<sup>266</sup> არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა<sup>267</sup>. გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი, ვალდებულებას აკისრებს დანაშაულებრივი ფაქტების დამდგენ სასამართლოს, რომ სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული კონფლიქტები, სათანადოდ აწონოს მტკიცებულებები<sup>268</sup>.

*ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე საქმეში, მხარეთა მიერ შეკიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოსთვის წარდგენილი და სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულებებით წარდგენილი ბრალდება ემყარებოდა მხოლოდ ისეთ მტკიცებულებებს, რომელთა უტყუარობის დასაჯერებლად საჭირო იყო დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა და სასამართლოს წინაშე აღმოჩნდა მხოლოდ ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც საქმის შედეგისადმი მათი დამოკიდებულების გათვალისწინებით უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობად მიჩნევის საშუალებას არ იძლეოდა. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ ირაკლი*

<sup>263</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილი: <https://cutt.ly/nu9L7qO>.

<sup>264</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილი: <https://cutt.ly/nu9L7qO>.

<sup>265</sup>იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-31 მუხლის მე-7 პუნქტი: <https://cutt.ly/Au9Cik7>.

<sup>266</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილი: „სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.“ <https://cutt.ly/yu9Vwut>.

<sup>267</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი: <https://cutt.ly/au9BxjC>.

<sup>268</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ <https://cutt.ly/cu9NafF>.

*ოქრუაშვილი საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის პირველ ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში (ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა) გაამართლა.*

**საერთაშორისო სტანდარტი:** სამართლიანი სასამართლოს ევროპული სტანდარტები აქტიურად გამოიყენება საქართველოს ეროვნული სასამართლოების მიერ. გარდა იმისა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოები უთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსა და მასზე არსებულ გადაწყვეტილებებზე, ზოგჯერ მსჯელობა ემყარება ევროპული სასამართლოს ცალკეულ მოსამართლეთა მოსაზრებებს, ევროპის საბჭოს სხვადასხვა ინსტიტუტების რეკომენდაციებსა და რეზოლუციებში გათვალისწინებულ სტანდარტებს. ეროვნული სასამართლოები პროცესის სამართლიანობას განიხილავენ ერთიანობაში, როგორც ეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკითაა დადგენილი და მხედველობაში იღებენ, დაცვის უფლების შეზღუდვას აქვს თუ არა ლეგიტიმური მიზანი, რის შემდეგაც ამოწმებენ, იყო თუ არა ამ უფლების შეზღუდვა დაბალანსებული საპროცესო გარანტიებით. ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე საქმეში მტკიცებულებათა შეფასებისას, მოსამართლემ მოიხმო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები საქმიდან „ოჩელკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Ochelkov v. Russia)“, რომლის თანახმადაც, „*პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებს მცირე მტკიცებითი ძალა აქვს, თუ ისინი არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებით*“<sup>269</sup>. მოსამართლის ეს არგუმენტი სამართლიანად უნდა შეფასდეს დადებითად. მის მიერ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან სწორად არის ციტირებული ფაქტობრივი გარემოებები, რათა თვალსაჩინოდ წარმოჩენილიყო ეროვნული სასამართლოს მსჯელობის სრული შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესატყვის სტანდარტებთან, რომლებიც ეროვნულ სასამართლოს საქმის გამოკვლევით აქვს შესწავლილი და მორგებული მის განსახილველ ფაქტობრივ გარემოებებზე. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლებთან დაკავშირებით. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქმედების კვალიფიკაციისას საერთო სასამართლოებმა მართებულად გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რათა ერთი მხრივ, შესრულდეს მე-3 მუხლში ინკორპორირებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ქმედით გამოძიებაზე და მეორე მხრივ, არ დაკნინდეს მე-3 მუხლის აკრძალვის ფუნდამენტური მნიშვნელობა არასწორი კვალიფიკაციით.

<sup>269</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე (ოჩელკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Ochelkov v. Russia), 2013 წლის 11 აპრილი, გადაწყვეტილების პუნქტი 90.

- *სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა)*

*სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) ჩადენაში.*

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ძალადობრივი ქმედებები გამოიხატა პოლიციის კორდონზე მიწოლაში, ასევე - ერთ-ერთი პოლიციელისთვის ხელზე მოქაჩვასა და გამოწვევის შედეგად მისი წინააღმდეგობის დაძლევაში. როგორც სასამართლოს განაჩენიდან ირკვევა, **გამამტყუნებელი განაჩენი დაეყრდნო მხოლოდ 4 პოლიციელი მონშის ჩვენებას. ნეიტრალური მტკიცებულებების სახით კი, სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი იქნა ტელეკომპანიებიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერები და სამართლებრივად პრობლემური ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები.** კერძოდ, სასამართლო პროცესზე ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა ექსპერტის წინაშე დასვა კითხვა, ფიქსირდებოდნენ თუ არა სხვა ადამიანებიც ვიდეოში და თუ - კი, მოხდა თუ არა მათი იდენტიფიცირება? დაცვის მხარემ, ექსპერტის ბუნდოვანი და არაპირდაპირი პასუხის გამო, ეს კითხვა რამდენჯერმე გაიმეორა<sup>270</sup>. ამასთან, მას მოსამართლემაც გაუმეორა და განუმარტა კითხვის შინაარსი. ექსპერტის ჩვენებით, ვიდეოში ფიქსირდებოდნენ სხვა ადამიანებიც, მაგრამ მან შეისწავლა მხოლოდ დადგენილებაში აღწერილი პირის მონაცემები, რომლებიც დაემთხვა ბაზაში არსებულ ირაკლი ოქრუაშვილის გამოსახულების მონაცემებს. ამასთან, ექსპერტისეული აღწერა ზოგადი ხასიათის იყო, რის გამოც დაცვის მხარემ მოითხოვა, ექსპერტს წაეკითხა აღწერილობა, რითაც ვიდეოში გამოსახული პირის იდენტიფიცირებისას იხელმძღვანელა. ეს აღწერილობაც ზოგადი და ბუნდოვანი ხასიათის გამოდგა - „გამხდარი, საშუალო სიმაღლის ახალგაზრდა მამაკაცი. აცვია გრძელმკლავიანი პერანგი[...]“<sup>271</sup>.

*ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სასამართლოს მიერ განაჩენში განვითარებული მსჯელობა მთლიანად ეყრდნობა სსკ-ის 225-ე მუხლის ანალიზისას წინა თავში მიმოხილულ ლიტერატურას<sup>272</sup>. მოსამართლის მიერ იურიდიულ ლიტერატურასა და ზოგადად, დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების გამოყენება*

<sup>270</sup>ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე. არსებითი განხილვა: 23.10.2019, 11:15-11:40 საათი.

<sup>271</sup>ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე. არსებითი განხილვა: 23.10.2019, 11:15-11:40 საათი.

<sup>272</sup>ლევკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 600

*პრაქტიკულად დასაშვებია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, საქმის განმხილველმა მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს, ასეთი სახით განაჩენის დასაბუთება ხომ არ გამოიყენება ბრალდებულის უფლებრივი მდგომარეობის საუარესოდ და, შესაბამისად ხომ არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას. რთული კატეგორიის სამართლებრივ საკითხზე ერთიანი პოზიცია როცა არ არსებობს და არსებული მოცემულობა ბრალდებულის უფლებრივ მდგომარეობას აუარესებს, მოსამართლის მიერ კონკრეტულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული პოზიციის დასაბუთებად მოხმობა სარისკოა, განსაკუთრებით - იმ დროს, როცა ეს პოზიცია მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, რასაც ამ საქმეში ბრალდებულის მსჯავრდება დაეფუძნა.*

საქმე ეხება ქმედებას, რომელსაც ფიზიკური ტკივილი არ გამოუწვევია - სსკ-ის 225-ე მუხლის მიზნებისათვის დასჯად ძალადობად განმარტების საკითხს, ისე, რომ სასამართლოს არ გამოუკვლევია და შესაბამისად, არც შეუფასებია, ბრალდებულმა პირმა სსკ-ის 225-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული ალტერნატიული ქმედებებიდან ერთ-ერთის („ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დამიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა“) ობიექტური ნიშნების განხორციელებაში მიიღო თუ არა უშუალო მონაწილეობა, რათა 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკისრებოდა პასუხისმგებლობა.

გარდა ამისა, სასამართლო შეფასების მიღმა ტოვებს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორიცაა - ჯგუფური მოქმედების ორგანიზებულობა, ვინაიდან პირს ასეთ ქმედებაში მონაწილეობისთვის შესაფასებელი ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შეიძლება, დაეკისროს მხოლოდ მაშინ, როცა საქმეზე ორგანიზებული ჯგუფი არსებობს. ოქრუაშვილის საქმეში სასამართლოს არათუ არ შეუფასებია, პოლიციელების მიმართ ძალადობას ჰქონდა თუ არა ორგანიზებული სახე, არამედ არსად ახსენებს მას და არ განმარტავს, რა ნიშნებით ხასიათდებოდა ის ჯგუფური მოქმედება, რომელში მონაწილეობასაც ბრალდების მხარე ირაკლი ოქრუაშვილს ედავებოდა. ამასთან, ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნების სისხლის სამართლისა და კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისად გამოკვლევისას, მაღალი ვარაუდით, ბრალდებულის ქმედება, სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მიზნებისათვის, მისი საქმეში მოცემული ინტენსივობიდან გამომდინარე, „ძალადობად“ ვერ დაკვალიფიცირდებოდა. ამ მოსაზრებას ამტკიცებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოთ განხილული განაჩენიც. ამიტომ, გაურკვეველია, ქმედების ობიექტური შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი ნიშნის შეფასების გარეშე, რას დააფუძნა სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი ბრალდების ამ ნაწილში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ იდენტიფიცირებულია მტკიცებულებების შინაარსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხი, როცა დაცვის მხარე უთითებდა, რომ ორი პოლიციელი მოწმის ჩვენება იყო იდენტური. ამით დასტურდებოდა, რომ მათ ხელი გამზადებულ ჩვენებებზე მოაწერეს, შესაბამისად, ეს ჩვენებები არ შეიძლებოდა სასამართლოს მხედველობაში მიეღო. სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის ეს პოზიცია, რაც დაასაბუთა იმით, რომ ამ მოწმეებმა ჩვენება მხარეთა მონაწილეობით, შეჭიბრებითობის პრინციპის მოქმედების პირობებში მისცეს, რაც ასევე ვიდეოჩანაწერებით დადასტურდა და „დაცვის მხარის მიერ მხოლოდ მითითებული საფუძვლით მოწმეების ჩვენებების დისკრედიტაციის მცდელობა ვერ დაუკარგავს მათ დამაჯერებლობასა და სარწმუნოებას“<sup>273</sup>.

ზოგადად, მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებით, საქართველოს სასამართლოები მართებულად აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, მართალია, იცავს პირის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე, მაგრამ ეს მუხლი არ ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის წესებს. წესების დადგენა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის პრეროგატივაა<sup>274</sup>. ასევე, საქართველოს საერთო სასამართლოები მართებულად აღნიშნავენ, რომ ევროპული სასამართლოს მიდგომით, როგორც წესი, მტკიცებულება და მისი რელევანტურობა ფასდება ეროვნული სასამართლოების დონეზე<sup>275</sup>. საქართველოს სასამართლოები ეყრდნობიან თავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განცხადებას, რომ ამ უკანასკნელის ფუნქცია არაა, გამოთქვას მოსაზრება მტკიცებულების რელევანტურობის თაობაზე, ასევე პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის შესახებ<sup>276</sup>. თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ შესაძლოა, ევროპული სასამართლო არ დაეთანხმოს ეროვნული სასამართლოების მიერ მტკიცებულებების შეფასებას და იმსჯელოს, თუ რამდენად დასაბუთებულია ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება კონვენციის მე-6 მუხლის ჭრილში. ეს სტანდარტი პრობლემურია განსახილველ შემთხვევაში, რადგან მოსამართლემ ვერ ახსნა, რატომ იყო ამ მოწმეთა ჩვენებები იდენტური და თუკი ისინი იდენტური იყო, რატომ არ ქმნიდა ეს გონივრულ ეჭვს მათ სანდობაში.

გარდა ამისა, მართალია, სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში შეჭიბრებითობის პრინციპით მიმდინარეობს, მაგრამ ეს სასამართლოს არ

<sup>273</sup>ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე. არსებითი განხილვა: 10.01.2020; 13:20-14:12 საათი.

<sup>274</sup>იხ. შენკი შვეიცარიის წინააღმდეგ (Schenk v. Switzerland), განაცხადი no. 10862/84, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, პუნქტები 45-46.

<sup>275</sup>იხ. საქმე ბარბერა, მესეგუე და ხაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ (Barberà, Messegue, Jabardo v. Spain), განაცხადი nos. 10588/83, 10589/83, 10590/83, 1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 68.

<sup>276</sup>იხ. პოპოვი რუსეთის წინააღმდეგ (Popov v. Russia), განაცხადი no. 26853/04, 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების 188-ე პუნქტი.

ათავისუფლებს ვალდებულებისგან, დაასაბუთოს, რატომ არის მტკიცებულება უტყუარი და რატომ არ ქმნის ის გონივრულ ეჭვს ობიექტურ მესამე პირში, რადგან გადაწყვეტილებას განაჩენის კონკრეტულ მტკიცებულებაზე დამყარების თაობაზე სწორედ მოსამართლე იღებს.

მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსისა და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლო უნდა დარწმუნდეს ბრალდებულის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაში სასამართლოს მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე. თავის მხრივ, სასამართლო თავისუფალია მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საკითხში. არ არსებობს სხვადასხვა მტკიცებულების შეფასების ან თანმიმდევრობის კანონისმიერი დებულებები<sup>277</sup>. ამის მიუხედავად, სასამართლომ უნდა განიხილოს ყველა ის გარემოება, რაც გადამწყვეტია მტკიცებულებათა შესაფასებლად (უტყუარობა, სარწმუნოება). ის გარემოებები, რომლებიც მეტყველებს მოწმეთა ჩვენებების უტყუარობასა თუ არაუტყუარობაზე, უნდა იქნას მოშველიებული სამოტივაციო ნაწილში<sup>278</sup>. მსგავსი მსჯელობის არარსებობა სამოტივაციო ნაწილში განაპირობებს სასამართლოს შეცდომასა და, შესაბამისად, არის ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ირაკლი ოქრუაშვილის ბრალდების განხილვისას სასამართლომ არ იმსჯელა საკითხზე, რომ ერთმანეთის იდენტურმა ჩვენებებმა ობიექტურ მესამე პირს შეიძლება გაუჩინოს გონივრული ეჭვი მოწმეების ერთმანეთში წინასწარ შეთანხმების თაობაზე, რა დროსაც მათ გამზადებულ ჩვენებაზე მოაწერეს ხელი და ა.შ.

განაჩენიდან ირკვევა, რომ მთავარი მტკიცებულება, რასაც სასამართლო დაეყრდნო, არის ვიდეოჩანაწერი. პროკურატურისა და სასამართლოს აზრით, ირაკლი ოქრუაშვილი ხელით ექაჩება პოლიციელს, გამოწვეს მას და დაძლევს პოლიციის წინააღმდეგობას, რაც სასამართლომ ძალადობრივ ქმედებად დააკვალიფიცირა. თუმცა, როგორც განაჩენის ანალიზიდან იკვთება, ვიდეოჩანაწერში საკმარისად ნათლად არ ჩანს ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ასეთი ქმედების განხორციელება, რათა ეს უკანასკნელი უტყუარად იქნეს მიჩნეული. სავარაუდოდ, პროკურატურამ ზემოაღწერილი საკითხი მნიშვნელოვნად განსაზღვრა იმ მოტივით, რომ ირაკლი ოქრუაშვილისთვის განზრახ მოქმედება დაემტკიცებინა, რომ იგი თავისი ნებით და არა უშუალოდ ხალხის ტალღის გავლენით მიიწვედა საქართველოს პარლამენტისკენ. ამის საპირისპიროდ, სწორედ ამ ეპიზოდში, როცა საუბარია ბრალდებულის მიერ პოლიციელისთვის ხელის

<sup>277</sup>გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული 38, გვ. 105 და შემდგომი.

<sup>278</sup>გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 08 ოქტომბრის განჩინება, 2 BvR 547/08, მინდვრის მე-9 სქოლიო.

მოქაჩვამდე, ვიდეოჩანანერში ჩანს, თუ როგორ აწვება ირაკლი ოქრუაშვილს არაერთი ადამიანი და მისი მოქმედების ტრაექტორიას მასის მოძრაობის ტრაექტორია განსაზღვრავს. ამას ამტკიცებს სხვადასხვა მოწმის ჩვენებაც და საქმეში არსებული სხვა სახის მტკიცებულებებიც, რომლებიც სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო. სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის პოზიცია, რომ ირაკლი ოქრუაშვილი პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა, მაშინ, როცა ნათლად არ ჩანს ბრალდებულის მიერ პოლიციელისათვის ხელის მოქაჩვა და გამოწვევა. ასევე, საქმეში არ დევს მთლიანი პროცესის უწყვეტი კადრები. შეიძლება ითქვას, მთელი პროცესის განმავლობაში, სასამართლო მტკიცების ტვირთს გაუმართლებლად აკისრებს მსჯავრდებულს, რაც საქართველოს სისხლის სამართლის პროცესით გარანტირებულ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს არღვევს. ამასთანავე, სასამართლომ არ ისარგებლა *in dubio pro reo* (ყველა ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ) პრინციპით, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის მსგავსად, სასამართლოს უფლებას ანიჭებს, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

სასამართლომ ძალადობად დააკვალიფიცირა ოქრუაშვილის ქმედებები - პოლიციელისთვის ხელზე მოქაჩვა და განწვევა, რაც სამართლებრივად პრობლემურია. კერძოდ, მოსამართლემ განაჩინა უცვლელად გადმოიტანა იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, რომ სსკ-ის 225-ე მუხლში ნახსენებ „ძალადობას“ შეიძლება არ მოჰყვეს ფიზიკური ტკივილიც კი. სასამართლოს მიერ სსკ-ის 225-ე მუხლის 1-ლ ნაწილში გათვალისწინებული ასეთი განმარტება პრობლემურია თვითონ მუხლის კონტექსტიდან გამომდინარე, ვინაიდან მისი მიზანია, აღკვეთოს მეტად სპეციფიკური დანაშაულებრივი ქმედება, რასაც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვეს და სასამართლო ამ მუხლით ქმედების კვალიფიკაციისას მიღებულ გადაწყვეტილებას აუცილებლად მაღალი სტანდარტითა და დამდგარი შედეგების კვალიფიციური შეფასებიდან უნდა ასაბუთებდეს.

*სასამართლომ გვერდი აუარა ნორმის თავისებურებას და დანაშაულებრივი ქმედების ინდივიდუალური ნიშნების იდენტიფიცირებისა და შეფასების გარეშე, ბრალდებულის ქმედება ძალადობად დააკვალიფიცირა, როცა სსკ-ის 225-ე მუხლის მიზნებისთვის „ძალადობა“ უფრო მეტი ინტენსივობის ფიზიკურ ზემოქმედებად უნდა განიმარტოს, ვიდრე სხვა ჩვეულებრივ პირობებში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ქმედება ვერ დააკვალიფიცირებოდა ვერც სსკ-ის 126-ე მუხლით, რადგან ამ ნორმით გათვალისწინებულია, რომ დასჯადია მხოლოდ იმგვარი ზემოქმედება, რომელიც ფიზიკურ ტკივილს იწვევს.*

წინამდებარე საქმეში, სასამართლომ ამ მუხლით გათვალისწინებულზე ნაკლები ინტენსივობის ფიზიკური ზემოქმედება განმარტა როგორც „ძალადობა ჭკუფურ



მოქმედებებში“, რაც სამართლებრივად პრობლემურია. ასეთი განმარტება შედეგის თვალსაზრისითაც კითხვებს აჩენს, რადგან იმ უამრავი ადამიანიდან, ვისთან ერთადაც ირაკლი ოქრუაშვილი „ჯგუფურ ძალადობაში“ მონაწილეობდა, სამართალდამცავებმა მხოლოდ ოქრუაშვილი შეარჩიეს ბრალდებულად და დააკავეს. შესაბამისად, მხოლოდ მის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მიუხედავად იმისა, რომ მის გარშემო მყოფი აქციის სხვა მონაწილეების იდენტიფიცირებაც სავსებით შესაძლებელი იყო. მსგავსი მიდგომით ირაკლი ოქრუაშვილის სისხლის სამართლის წესით დევნა, შეიძლება, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციადაც შეფასდეს.

ასევე, პრობლემურია სანქციების გამოყენების საკითხიც. სასამართლომ ისე განმარტა ნორმა, რომ მასში ნებისმიერი სახის ფიზიკური ზემოქმედება შეიძლება მოექცეს. აქედან ჩნდება დიდი რისკი, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს მიერ პირისთვის ბრალის წარდგენისას, ნებისმიერი ასეთი ქცევა სსკ-ის 225-ე მუხლის რეგულირების ქვეშ მოექცეს და ყველა შემთხვევაში ჯგუფური ძალადობის ორგანიზებაში წარედგინოს პირს ბრალდება, მიუხედავად იმისა, სახეზეა თუ არა ქმედების შემადგენლობის სპეციფიკური ნიშნები. გარდა ამისა, დიდია ალბათობა, რომ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, წინამდებარე განაჩენში წარმოდგენილი განმარტებები გაიზიარონ და იგივე განმარტებები გააკეთონ სხვა შემთხვევებშიც, რაც მანკიერი სასამართლო პრაქტიკის დანერგვას გამოიწვევს. **შედეგად, შესაძლებელია, ირაკლი ოქრუაშვილის საქმის მსგავსად, სხვა სისხლის სამართლის საქმეებზეც ბრალდებულებს არაპროპორციული და არაგონივრული სასჯელები დაეკისროთ, რაც არღვევს ადამიანის კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ პროპორციული და სამართლიანი სასჯელის დაკისრების პრინციპებს.**

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: *„ამ თუ იმ ქმედებისთვის დაკისრებული სასჯელი გონივრულ და პროპორციულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულით გამომწვევად მიანთან, რომელიც აღგება/შეიძლება მიაღდგეს პირებს/სამოგადოებას“<sup>279</sup>.*

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში 225-ე მუხლის სასამართლოსეული განმარტება, სამართლებრივად არასწორია. იგი არ ითვალისწინებს კანონმდებლის მიზანს, ამ მუხლით დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებისა და საჯარო ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და არ მოხდეს მუხლის იმგვარი განმარტება, რომ მასში მოექცეს სხვა მუხლებით, ფაქტობრივად ახლოს მდგომი შემადგენლობების მქონე სისხლის

<sup>279</sup>იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის №1/9/701,722,725 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სამართლის საქმეები. ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში გაკეთებული განმარტება სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილს პირდაპირ აქცევს კონკრეტული ხელისუფლებებისთვის არასასურველი პოლიტიკური პირების რეპრესიის იარაღად და არაფერი აკავშირებს ამ ნორმის მიზანთან. ზემოაღნიშნული განმარტების პირობებში, მასობრივი არეულობის დროს პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამგვარ ქმედებებში, თავისთავად მოექცევიან სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილის სფეროში, ხელისუფლებას კი რჩება მოქმედების თავისუფლების ფარგლები, გამოარჩიოს მათგან არასასურველი პირები და მხოლოდ ისინი დასაჯოს, რისი ნიშნებიც ირაკლი ოქრუაშვილის წინამდებარე საქმეშიც აშკარად არსებობს.

## • **კობა კოშაძის საქმე**

ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებას წინ უძღოდა, 2019 წლის 17 ივლისს, მისი დაცვის წევრის, მძღოლის და ოჯახის ახლობელი ადამიანის, კობა კოშაძის დაკავება, რომელსაც სახელმწიფო სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს - იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას ედავება<sup>280</sup>. ასევე, მის დაკავებამდე, ირაკლი ოქრუაშვილმა სკანდალური განცხადებები გააკეთა, სადაც იგი ღიად საუბრობდა, რომ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ არსებულ სისხლისსამართლებრივ საქმეებში ხელისუფლებას ეხმარებოდა<sup>281</sup>. ამასთან, მან განაცხადა, რომ 2016 წელს მას მოსთხოვეს, უარი ეთქვა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით მის პრეტენზიებზე, რასაც ის არ დათანხმდა<sup>282</sup>. 2019 წლის 19 ივლისს ირაკლი ოქრუაშვილმა, ფაქტობრივად, დაიწყო სამართლებრივი დავა ტელეკომპანია რუსთავი 2-თან დაკავშირებით. მან სასამართლოს არხის წილების დაყადაღების თხოვნით მიმართა<sup>283</sup>. 2019 წლის 25 ივლისს კი, ირაკლი ოქრუაშვილი დააკავეს<sup>284</sup>.

შესაძლო პოლიტპატიმრის პოლიტიკურ აქტივობასთან კავშირი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. „შესაძლო პოლიტპატიმარი“ ფართო გაგებით ის ადამიანია, რომლის მიმართაც ხორციელდება „ფუნდამენტური გარანტიების“ დარღვევა. ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული პირველი კრიტერიუმის თანახმად, პოლიტიკურ პატიმრად შეიძლება მივიჩნიოთ პირი, თუკი მის მიმართ „*თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მისი პროტოკოლებით გარანტირებული რომელიმე უფლების, კერძოდ - სიტყვის, სინდისის და რელიგიის, გამობატვის და ინფორმაციის გავრცელების, აგრეთვე შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლების უფლების*

<sup>280</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/2X81bIM>.

<sup>281</sup> იხ.: <https://bit.ly/2AfD2R8>.

<sup>282</sup> იხ.: <https://bit.ly/2AfD2R8>.

<sup>283</sup> ინფორმაცია იხ.: <https://bit.ly/2WG3Th4>

<sup>284</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/2X81bIM>.

დარღვევის საფუძველზე<sup>285</sup>; ამ კრიტერიუმის ფართო ინტერპრეტაცია შესაძლებელია ისეთ საქმეებთან დაკავშირებითაც, სადაც პირის დაპატიმრება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს მისი ახლო ნათესავის პოლიტიკურ აქტივობას. აქტიური პოლიტიკოსის ოჯახის წევრის ან ახლობელი ადამიანის დაკავება, შესაძლოა, პირდაპირ ან ირიბად იყოს მისი პოლიტიკური საქმიანობისგან ჩამოშორების ან/და აქტიურობის შეწყვეტის გაფრთხილება. მსგავსი ინტერპრეტაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართულ რეალობაში, ვინაიდან, მსგავსი ე.წ. გაფრთხილება უახლეს ისტორიაში არაერთხელ ყოფილა წინა ხელისუფლებების მმართველობის დროსაც. ამ კრიტერიუმის ინტერპრეტაციის შედეგად, ასეთი პირის დაპატიმრება შეიძლება მიჩნეულ იქნას პოლიტიკურ მძევლად აყვანის მაგალითად. ამიტომაც, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, 2012 წელს საქართველოს უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა დამატებით დაადგინეს კრიტერიუმი, რომლის თანახმად, „პოლიტიკურ პატიმრად შესაძლოა, მიჩნეული იყოს პირი, რომელიც... (გ) დააკავეს, დააპატიმრეს ან თავისუფლება აღუკვეთეს მისი ოჯახის წევრის, ნათესავის ან ახლობლის პოლიტიკური აქტიურობის გამო“<sup>286</sup>.

ფაქტობრივად და კონტექსტუალურად მსგავსი შემთხვევა გამოიკვეთა ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეშიც. ამავე დროს, კობა კოშაძის დაკავება, თვალსაჩინოებისთვის, შეიძლება, შევადაროთ 2009 წლის 26 ივლისს, კოდორის ხეობაში პრემიერდენტის ყოფილი რწმუნებულის, ემზარ კვიციანის დის, ნორა კვიციანის დაკავებას. მაშინ ემზარ კვიციანი სამართალდამცველ ორგანოებს გაექცა და ამბოხების მცდელობის ბრალდებით დიდხანს იძებნებოდა. პარალელურად ნორა კვიციანის მიმართ საქმე აღიძრა რამდენიმე მუხლით. მას ბრალად ედებოდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა, იარაღის უკანონო შენახვა და მისი გამგებლობისას სახელმწიფო ქონების მითვისება. ნორა კვიციანი ე.წ. კოდორის მოვლენების დროს დააპატიმრეს. დაკავებამდე ის კოდორის ხეობაში, სოფელ აჭარის გამგებელი იყო. ნორა კვიციანი ბრალდებებს არ აღიარებდა და აცხადებდა, რომ უდანაშაულო იყო. იგი მის დაპატიმრებას მიმალვაში მყოფი ძმის, ემზარ კვიციანის მიმართ დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას უკავშირებდა. იმ დროისათვის ადამიანის უფლებათა ცენტრი ნორა კვიციანს სავარაუდო პოლიტპატიმრად განიხილავდა<sup>287</sup>,

<sup>285</sup> იხ. გამკველვეი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში, თბილისი, 2012. გვ.12: <https://osgf.ge/files/publications/GEO.pdf>.

<sup>286</sup> იხ. გამკველვეი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში, თბილისი, 2012. გვ.32: <https://osgf.ge/files/publications/GEO.pdf>

<sup>287</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში, „პოლიტიკური პატიმრები საქართველოში“, გვ. 16. 2009 წელი: <https://bit.ly/3dmlck7>.

ნორა კვიციანის საქმე საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების ანგარიშებშიც მოხვდა<sup>288</sup>.

2019 წლის 19 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ კობა კოშაძეს პატიმრობა შეუფარდა. დაცვის მხარე ბრალდებულისთვის 10 000-ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა, მაგრამ მოსამართლემ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და კოშაძეს პატიმრობა შეუფარდა. იგი ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ იარაღი ჩაუდეს. იმავეს აცხადებს ირაკლი ოქრუაშვილი, რომლის განმარტებითაც, კოშაძეს იარაღი მხოლოდ იმ მიზეზით ჩაუდეს, რომ მასზე ვერ მოახდინეს ვერანაირი ზემოქმედება<sup>289</sup>. ბრალდებულის თქმით, თბილისში შემოსვლისას სამართალდამცავებმა გააჩერეს და მისი მანქანის ჩხრეკა დაიწყეს; ამ დროს, კოშაძის ჩვენებით, ერთმა სამართალდამცავმა ავტომობილში იარაღი ჩადო: „დავინახე, რომ გვერდით, ხელის მუხრუჭთან იდო იარაღი, გამეცინა და ვუთხარი, ეს არ არის ჩემი-მეთქი და რაო, რა დაინახეო?.. რასაც შენ ხედავ, ის დავინახე-მეთქი [...] მაკაროვი შენი არისო? მე ვუთხარი, არ არის ჩემი... როგორ არ არის, გაიგებ მერე, ვისი არის და როგორ არისო. დაიწყეს შევსება“<sup>290</sup>.

2020 წლის 5 მარტს, კობა კოშაძე პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ კოშაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობა 5000-ლარიანი გირაოთი შეცვალა და ბრალდებულმა დატოვა პენიტენციური დაწესებულება. თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოება ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

## 2) 2.6. ბუტა როზაქიძის საქმე

### *ბრალდების არსი*

ბრალდების შესახებ 2019 წლის 19 ნოემბრის დადგენილების თანახმად<sup>291</sup>, ირაკლი ოქრუაშვილმა ჩაიდინა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, საჯარო სამსახურის მოთხოვნის სანაწიადმდეგოდ, სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფა გამოიწვია (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

<sup>288</sup>იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) ანგარიში „After the Rose, the Thorns: Political Prisoners in Post-Revolutionary Georgia“. გვ. 26. <https://bit.ly/3dpOhVI>.

<sup>289</sup>ოქრუაშვილის განცხადება: <https://bit.ly/2M5qeQk>

<sup>290</sup>იხ. ინფორმაცია: <https://bit.ly/3c5sprz>.

<sup>291</sup>დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, თბილისი. 19.11.2019. დოკუმენტის N0013730396.

დადგენილების თანახმად, 2004 წლის 24 ნოემბერს, გვიან ღამით, დაახლოებით 02 საათზე, ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირზე, დიდუბის პანთეონთან, საპატრულო პოლიციის პატრულმა-ინსპექტორებმა გააჩერეს BMW-ს მარკის ავტომანქანა, მძღოლითა და ხუთი მგზავრით. მათი შეჩერებისა და პირადი შემოწმებისას პატრულ-ინსპექტორ გრიგოლ ბაშელეიშვილს შემთხვევით გაუვარდა ტყვია ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღიდან და მარცხენა ილღის არეში მძიმედ დაჭრა ავტომანქანიდან გადმოსული მგზავრი - ამირან (ბუტა) რობაქიძე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ამ ფაქტზე ინფორმაცია იმავე ღამით მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც დავალება მისცა შემთხვევის ადგილზე მისულ შსს-ს მაღალჩინოსნებს, „გადაერჩინათ საპატრულო პოლიციის იმიჯი“ და ფაქტისთვის მიეცათ შეიარაღებული დაჯგუფების მიერ პოლიციელებზე თავდასხმის სახე. ოქრუაშვილის ამ დავალების შესაბამისად, შემთხვევის ადგილზე მყოფმა შსს-ს მაღალჩინოსნებმა გარდაცვლილ ამირან (ბუტა) რობაქიძეს და ავტომანქანაში მასთან ერთად მსხდომ პირებს ჩაუდეს ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა.

ბრალდების შესახებ დადგენილებით, ამის შემდეგ, იმჟამინდელი საქართველოს გენერალური პროკურორის, ზურაბ ადეიშვილის დავალებით, გამოძიება წარიმართა სამართლებრივად არასწორი მიმართულებით, რაც გამოიხატა გაყალბებული მტკიცებულებების საპროცესო წესით დამაგრებასა და შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ შემუშავებული ვერსიის გამყარებაში. შედეგად, გაყალბებული მტკიცებულებების საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიეცნენ ავტომანქანაში მსხდომი პირები: გიორგი ქურდაძე, ირაკლი მიქაბერიძე, კახაბერ აზარიაშვილი, ლევან დანგაძე და აკაკი ბართაია, ხოლო გარდაცვლილი ამირან (ბუტა) რობაქიძე გამოცხადდა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრად. ასეთმა ქმედებებმა ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფა გამოიწვია.

როგორც 2019 წლის 20 ნოემბრის სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ დადგენილებიდან ირკვევა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილით, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, მოცემულ საქმეზე ცალკე წარმოებად გამოიყო საქმე ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ<sup>292</sup>.

**ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული**

<sup>292</sup>დადგენილება სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ, 20.11.2019. თბილისი. დოკუმენტის N0013737417.

დანაშაულის ჩადენაში, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

### *სასამართლო პროცესის მონიტორინგისას იდენტიფიცირებული საკითხები*

ე.წ. ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეზე საქართველოს პროკურატურის მიერ ბრალის წაყენებისას, ირაკლი ოქრუაშვილი უკვე ბრალდებული იყო 2019 წლის 20-21 ივნისის საქმეზე, რომელშიც ბრალდების მხარე მას სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებს ედავებოდა და სასამართლო განჩინების საფუძველზე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა.

ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეზე პროკურატურამ გამოძიება 2012 წლის 12 ნოემბერს განაახლა და მანამდე პასუხისგებაში მიცემულ პირებს ბრალი მოუხსნა იმ მოტივით, რომ თავის დროზე წაყენებული ბრალდება ყალბი იყო<sup>293</sup>. საქმის განახლების შემდეგ, ირაკლი ოქრუაშვილი პირველად 2018 წლის 26 თებერვალს დაიკითხა. ბრალდებულის ჩვენების მიხედვით, მან 2004 წლის 24 ნოემბერს ახალგაზრდების დაკავების ამსახველი ვიდეომასალა, პირველად, წლების შემდეგ ტელეეთერში ნახა. მოგვიანებით, ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეზე ჩვენება მსჯავრდებულებმა - შსს-ს სამოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილმა უფროსმა, გურამ დონაძემ და საპატრულო პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილმა უფროსმა, ზურაბ მიქაძემ მისცეს, რომლებიც 5-წლიანი სასამართლო განხილვების შემდეგ ამ საქმეზე დამნაშავედ სცნეს. 2019 წლის ნოემბერში გურამ დონაძემ და ზურაბ მიქაძემ საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებს წერილობითი ჩვენებები მისცეს. ამის შემდეგ, 2020 წლის 8 აპრილს, ამავე მსჯავრდებულებმა, მონწილის სტატუსით, უშუალოდ სასამართლო პროცესზე მისცეს ჩვენება ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ და განაცხადეს, რომ საქმის გაყალბება უშუალოდ ბრალდებულის მითითებით ხდებოდა, რათა „საპატრულო პოლიციის იმიჯი არ შელახულიყო“ და იგი ყველაფერზე იყო ინფორმირებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ჩვენების მიცემის შემდეგ, გურამ დონაძე და ზურაბ მიქაძე საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გაათავისუფლეს, რაზეც, თავის მხრივ, დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ მათი განთავისუფლება ბრალდების მხარესა და მსჯავრდებულებს შორის შეთანხმებას წარმოადგენდა, ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ<sup>294</sup>.

2020 წლის 15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ ე.წ. ბუტა რობაქიძის საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით

<sup>293</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3eT97hj>.

<sup>294</sup>იხ. დაცვის მხარის განცხადება: <https://bit.ly/2ZP7SLv>.

შეფარდებული პატიმრობის გაუქმების საკითხზე მას შემდეგ იმსჯელა, რაც ბრალდების მხარემ იშუამდგომლა, რომ ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობა არ გაეუქმებინა. ამ დროისათვის ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე გამოტანილი ჰქონდა 20-21 ივნისის მოვლენების საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი. შესაბამისად, იგი, როგორც მსჯავრდებული, პატიმრობაში იმყოფებოდა. ამის მიუხედავად, ბრალდების მხარის განმარტებით, მართალია, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იდგა და იგი მსჯავრს იხდიდა, მაგრამ მაინც არსებობდა კანონით გათვალისწინებული განაჩენის გაუქმების საფუძველი და ასეთ შემთხვევაში, ხელი რომ არ შეშლოდა მართლმსაჯულების პროცესის განხორციელებას, მხარემ იშუამდგომლა, აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა დარჩენილიყო ძალაში.

ბრალდების მხარის პოზიციას არ დაეთანხმნენ ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატები. მათ აღნიშნეს, რომ მართლმსაჯულების ხელშეშლის საფრთხეები არ არსებობდა სწორედ იმიტომ, რომ ბრალდებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იყო. ხოლო განაჩენის გაუქმების საკითხზე, რაშიც პირველი ინსტანციის განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობა იგულისხმება, ადვოკატებმა მიუთითეს, რომ ბრალდების მხარის ეს პოზიცია დაუსაბუთებელი იყო. ამასთან, 2020 წლის 25 აპრილს, წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადაც იწურებოდა.

აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადახედვასთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 230-ე პრიმა მუხლის საფუძველზე, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს<sup>295</sup>. ასევე, მოსამართლემ აღნიშნა, რომ ამ საკითხის განხილვისთვის რამდენიმე გარემოება არსებობს: 1) 9-თვიანი წინასწარი პატიმრობის შინაარსი და კონტიტუციური დანაწესი საქმის განხილვის ყველა ეტაპზე მოქმედებს იმის მიუხედავად, ბრალდებულს რამდენიმე საქმეზე აქვს თუ არა აღკვეთის ღონისძიების სახით 9-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეფარდებული; 2) პირველი ინსტანციის განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაშიც, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2020 წლის 25 აპრილამდე მაინც არ დადგებოდა; 3) რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლას გირაოთი, ასეთი ღონისძიების გამოყენება ფორმალური ხასიათის იქნებოდა, ვინაიდან ბრალდებული სხვა სისხლის სამართლის საქმეზე (20-21 ივნისის საქმე) უკვე მსჯავრდებული იყო; 4) არ არსებობს მოწმეებზე ზეწოლის საფრთხე, ვინაიდან, ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოწმე<sup>296</sup> უკვე დაკითხულია.

<sup>295</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 230-ე პრიმა მუხლი: <https://bit.ly/2BVhyKu>.

<sup>296</sup>აქ იგულისხმება მოწმეები - გურამ დონაძე და ზურაბ მიქაძე, რომლებიც უკვე დაკითხული იყვნენ.

დასკვნის სახით, მოსამართლემ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხის გადასინჯვასთან დაკავშირებით რამდენიმე ახალი არსებითი გარემოება არსებობს და, ამასთან, წინასწარ პატიმრობის 9-თვიანი ვადის ამონურვასთან დაკავშირებით არსებული საკონსტიტუციო დანაწესის გამო<sup>297</sup>, 10 დღეში მაინც უნდა ემსჯელა ამ საკითხზე. მოსამართლემ განმარტა, რომ იგი სრულად იზიარებდა დაცვის მხარის მოთხოვნას, რომ არათუ გირაოთი შეეცვალა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა, არამედ, საერთოდ გაუქმებინა იგი. შესაბამისად, 2020 წლის 15 აპრილს, სასამართლომ სსსკ-ის 192-ე, 205-ე და 230-ე პრიმა მუხლების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გაუქმების შესახებ.

გურამ დონაძისა და ზურაბ მიქაძის სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას, მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორს, სხდომაზე დასწრებისა და მონიტორინგის განხორციელების უფლება არ მისცა, მიუხედავად იმისა, რომ სხდომა დიდ დარბაზში ჩატარდა<sup>298</sup>. პროცესი დაიხურა ჟურნალისტებისთვისაც, რაზეც უკმაყოფილება გამოხატა „მთავარი არხის“ ჟურნალისტმა, რომელიც სისტემატიურად აშუქებდა ამ პროცესს<sup>299</sup>. საინტერესოა, რომ წინა დღეს, როცა საქალაქო სასამართლოს სხვა მოსამართლე ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე 20-21 ივნისის საქმე განიხილავდა, სხდომაზე ორგანიზაციის მონიტორები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაუშვეს. ადამიანის უფლებათა ცენტრმა გააპროტესტა თბილისის საქალაქო სასამართლოს გაუმართლებელი პრაქტიკა, როდესაც კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მომიზეზებით, მოსამართლეები თვითნებურად და უკანონოდ ხურავენ სასამართლო პროცესებს. ამასთან, ცენტრის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა ასეთი განსხვავებული და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები აჩენს ეჭვს, რომ ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას სასამართლო ტენდენციურად და მიკერძოებულად წარმართავდა<sup>300</sup>. ბრალდებულის ადვოკატის ვარაუდით, ასევე, მონიტორების და ჟურნალისტების სხდომაზე დაშვებაზე მოსამართლის უარი განპირობებული იყო იმით, რომ დარბაზში გურამ დონაძისა და

<sup>297</sup>იხ. საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/2/646 2015 წლის 15 სექტემბერი: <https://bit.ly/3dSQoB1>.

<sup>298</sup>იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება - ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესზე მთავარი მონაწილეები მედიისთვის და მონიტორებისთვის დახურულ სხდომაზე დაიკითხნენ: <https://cutt.ly/Su0PHPy>.

<sup>299</sup>იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის კომენტარი: <https://cutt.ly/LuMHjNh>. 2:29 წუთიდან.

<sup>300</sup>იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაცია - ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესზე მთავარი მონაწილეები მედიისთვის და მონიტორებისთვის დახურულ სხდომაზე დაიკითხნენ: <https://cutt.ly/Su0PHPy>.



ზურაბ მიქაძის დაკითხვა მიმდინარეობდა<sup>301</sup>, რომლებიც ბრალდების მხარის ე.წ. ოქროს მოწმეებს წარმოადგენდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის შესახებ სასამართლო ინფორმირებული იყო, როგორც წერილობით, ისე სიტყვიერადაც. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 20-21 ივნისის მოვლენების საქმისგან განსხვავებით, ე.წ. ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეზე სასამართლომ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორს 2020 წლის 26 მარტისა და 2 აპრილის სასამართლო სხდომებზე დასწრებაზეც უარი განუცხადა. ამ სასამართლო პროცესის მონიტორინგის მიმდინარეობისას ორჯერ დაფიქსირდა ისეთი შემთხვევაც, როცა ჩანიშნული სასამართლო სხდომა გადაიდო ან პირიქით - სხდომა ერთი დღით ადრე ჩაატარეს, მაგრამ ამის შესახებ განახლებული ინფორმაცია სასამართლოს შესაბამის ვებგვერდზე არ განუთავსებიათ.

2020 წლის 13 აპრილს კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ გაავრცელა განცხადება საგანგებო მდგომარეობის პირობებში საერთო სასამართლოებში პროცესების დახურვისა და სხვა სახის ხარვეზების თაობაზე<sup>302</sup>. განცხადების თანახმად, სასამართლოს მხრიდან ადგილი აქვს არაერთგვაროვან მიდგომას, როდესაც ზოგიერთი სისხლის სამართლის განმხილველი მოსამართლე სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლებას აძლევს დამკვირვებელი ორგანიზაციების მონიტორებს, ხოლო მოსამართლეთა უმრავლესობა, პანდემიასთან დაკავშირებულ რეგულაციებზე<sup>303</sup> არასწორი აპელირებით, მათ უკრძალავს, დააკვირდეს სხდომას, რაც ცალსახად გულისხმობს არსებული რეგულაციების უგულვებელყოფას და მანკიერი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

2020 წლის 15 მაისს ადამიანის უფლებათა ცენტრმა, საგანგებო მდგომარეობის პირობებში პროცესების დახურვასა და სხვა სახის ხარვეზებზე რეაგირების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიდიგანს მიმართა. ორგანიზაციამ მოუწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საერთო სასამართლოების თავმჯდომარეებს: სასამართლოებში საქმეთა განხილვის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე მოახდინონ მყისიერი რეაგირება, რათა არ დაირღვეს სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი - საჯაროობის პრინციპი და სრულად არ შეიზღუდოს პროცესების საჯაროობა; პრეზიდენტის დეკრეტით გათვალისწინებული სასამართლო პროცესების დისტანციური წარმართვისას მხარეთა მონაწილეობის გარდა, უზრუნველყონ პროცესით

<sup>301</sup>იხ. ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატის, მამუკა ჭაბაშვილის კომენტარი ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელთან: <https://cutt.ly/JuMHlSe>.

<sup>302</sup>იხ. განცხადება „საგანგებო მდგომარეობის პირობებში საერთო სასამართლოებში პროცესების დახურვისა და სხვა სახის ხარვეზების თაობაზე“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის: <https://cutt.ly/8u0T4o2>.

<sup>303</sup>იხ. რეკომენდაცია კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. 13 მარტი, 2020 წელი: <https://cutt.ly/Yu0Ujic>.

დაინტერესებული საზოგადოების (მათ შორის - მონიტორების) შეუფერხებელი დისტანციური წვდომა პროცესებზე<sup>304</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სასამართლო მონიტორების სასამართლო სხდომებზე დასწრების აკრძალვით უხეშად დაირღვა სასამართლო პროცესების ღიაობისა და საჯაროობის პრინციპები. სასამართლო სხდომების სრული ან ნაწილობრივი დახურვის პრაქტიკა ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონის უზენაესობის პრინციპს და საფრთხეს უქმნის პირის უფლებას, ისარგებლოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით.

### **წინასწარი პატიმრობისა და ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებული პრობლემები**

საქმეში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ახალი ბრალის წაყენების შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის ათვლა თავიდან, 20-21 ივნისის საქმისგან დამოუკიდებლად დაიწყო. ეს კი შეიძლება, პრობლემური იყოს, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს № 3/2 646 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით<sup>305</sup>, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა, რომლის საფუძველზეც დასაშვებად მიიჩნეოდა პირისთვის წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის გასვლამდე, მეორე 9-თვიანი ვადის ათვლა<sup>306</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პატიმრობის განმეორებითი გამოყენება დასაშვებია ორ შემთხვევაში: (1) დანაშაული როცა ჩადენილია პირველი პატიმრობის შემდეგ ან (2) როდესაც პირველი პატიმრობის შემდეგ გახდა ცნობილი მანამდე ჩადენილი დანაშაულის შესახებ. თუმცა, ამ ორ შემთხვევაშიც, წინასწარი პატიმრობის შეფარდება კონსტიტუციის მოთხოვნათა საწინააღმდეგო იქნება, თუ ბრალის წარდგენა ან/და პატიმრობის მოთხოვნა ხელოვნურად ჭიანურდება და გამოიყენება წინასწარი პატიმრობის ვადის ხელოვნურად გასაგრძელებლად<sup>307</sup>.

განსახილველ საქმეში საქართველოს პროკურატურამ ირაკლი ოქრუაშვილს დანაშაულის ხანდაზმულობის სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ (პრიმა) ქვეპუნქტით<sup>308</sup> გათვალისწინებული ვადის - 15 წლის

<sup>304</sup>იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს: <https://cutt.ly/eu0FxER>.

<sup>305</sup>იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 3/2 646 2015 წლის 15 სექტემბერი, § 34.

<sup>306</sup>იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი: <https://bit.ly/2Ac62cE>

<sup>307</sup>იხ. საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/574, 2014 წლის 23 მაისი. <https://bit.ly/3gnD173>.

<sup>308</sup>იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი: <https://bit.ly/3enTm19>.

ამონურგამდე რამდენიმე დღით ადრე წაუყენა ბრალი. ეს გარემოება, გონივრული ვარაუდის ფარგლებში, აჩენს ეჭვს, რომ საქართველოს პროკურატურის მიზანი იყო, ორივე საქმეზე რაც შეიძლება ნაკლები დროით გადაეფარა წინასწარი პატიმრობის ვადებს ერთმანეთი და მაქსიმალურად ხანგრძლივი დროით ყოფილიყო ბრალდებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, რაც, ამასთანავე, ხელისუფლების მხრიდან ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაინტერესებაზეც მიანიშნებს.

ფორმალურად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში დასაბუთებულია, რომ 2004 წლის დანაშაულის შესახებ პროკურატურისთვის ინფორმაცია მოგვიანებით გახდა ცნობილი, რამაც ხელი შეუშალა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ 2019 წლის 19 ნოემბრამდე ბრალის წაყენებას, რადგან საგარეუდო დანაშაულებრივი ქმედებასთან მიმართებით მანამდე არსებული მტკიცებულებები ვერ ქმნიდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რის საფუძველზეც პროკურატურა, ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეზე, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალს წაუყენებდა<sup>309</sup>. აქედან გამომდინარე, გონივრულია ეჭვი, რომ დანაშაულის ხანდამშულობის 15-წლიანი ვადის გასვლამდე, ფაქტობრივად, ბოლო დღეებში ახალი, ბრალის წაყენებით, პროკურატურა ფლობდა ინფორმაციას აღნიშნული საგარეუდო დანაშაულის შესახებ და ბრალის წარსადგენად მათთვის ხელსაყრელ დრომდე, ხელოვნურად გააჭიანურეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დრო. სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისაგან ამგვარი ქმედება კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გემოაღნიშნული განმარტებით, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებების დაცვის სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს.

ხანდამშულობის ვადის ინსტიტუტის არსებობა, სამართლიანი სასამართლოს სხვა უფლებრივ კომპონენტებთან და გარანტიებთან ერთად, ემსახურება სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. იმავდროულად, ძალზე მნიშვნელოვანია, თითოეული პროცესუალური გარანტიის, ხანდამშულობის ვადების ინსტიტუტის ჩათვლით, კონკრეტული საკანონმდებლო რეგულაცია ეფუძნებოდეს ინტერესთა გონივრულ და სამართლიან ბალანსს, რათა ერთი მხრივ, რეალურად ემსახურებოდეს საჯარო მიზნების მიღწევას, მეორე მხრივ კი, არ იწვევდეს კონკრეტული პირების უფლებაში გაუმართლებელ, არათანაზომიერ ჩარევას. ამისთვის კი კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაცია უნდა იყოს დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული.

*სსსკ-ის 103-ე მუხლით დადგენილია, რომ „გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის*

<sup>309</sup>იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობაზე №1გ/1959-19, გვ. 8.

ხანდაზმულობის ვადისა<sup>310</sup>. ამავე კოდექსის მე-100 მუხლი ავალდებულებს გამოძიებულს, პროკურორს, დაიწყოს გამოძიება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში და ეს ვალდებულება რაიმე ვადასთან დაკავშირებული არ არის<sup>311</sup>. მხოლოდ 105-ე მუხლი ითვალისწინებს გამოძიების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად - ვადის გასვლას, მაგრამ ეს ვადაც დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობასთან (სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი)<sup>312</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ (პრიმა) ქვეპუნქტის თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა: თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-ე–342-ე პრიმა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს<sup>313</sup>. როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე საქმეში საქართველოს პროკურატურამ ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას<sup>314</sup>. წინამდებარე საქმეში აღსანიშნავია, რომ მითითებული დანაშაულისათვის ხანდაზმულობის ვადა დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის იყო 10 წელი (სსკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, 2004 წლის 24 ნოემბერს მოქმედი რედაქცია), ხოლო 2006 წლის 25 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებებით, ამ დანაშაულისათვის ხანდაზმულობის ვადად განისაზღვრა 15 წელი (სსკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ (პრიმა) ქვეპუნქტი). ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი სწორედ ამ გაზრდილი ხანდაზმულობის ვადის პერიოდში, 2019 წლის 19 ნოემბერს წარედგინა.

ეს საკითხი მხედველობაშია მისაღები იმდენად, რამდენადაც, თუკი პროკურატურა დანაშაულის ჩადენის დროს არსებული სისხლის სამართლის კოდექსით ისარგებლებდა, ირაკლი ოქრუაშვილისთვის ბრალის წაყენება 2019 წლის 19 ნოემბერს შეუძლებელი იქნებოდა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ამ მსჯელობის ოპონენტების საპირისპირო პოზიცია შეიძლება ემყარებოდეს იმას, რომ კანონში პირველ რიგში მითითებულია გამოძიების წარმოების „გონივრული“ ვადა და მხოლოდ შემდგომ - სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა. სამწუხაროდ, თავად კოდექსი არ განმარტავს ტერმინს „გონივრული ვადა“, ხოლო მისი განმარტება და გამოძიების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია

<sup>310</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი: <https://bit.ly/3eoy170>.

<sup>311</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი: <https://bit.ly/3eoy170>.

<sup>312</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი: <https://bit.ly/3eoy170>.

<sup>313</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი: <https://bit.ly/3enTm19>.

<sup>314</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი: <https://bit.ly/3enTm19>.

მხოლოდ ბრალდების მხარის შეხედულებაზე. შესაბამისად, საქმეში მონაწილე ან საქმით დაინტერესებულ სხვა პირს არანაირი ბერკეტი არ გააჩნია გამოძიების ვადის განსაზღვრისათვის, რადგან არ არის დადგენილი გასაჩივრების უფლება და წესი. დღესდღეობით არ არსებობს არანაირი ბერკეტი ამ საკანონმდებლო ხარვეზის სახელმწიფოს მხრიდან სათავისოდ გამოყენების წინააღმდეგ. ამიტომ მოქალაქე ამ მხრივ დაუცველია. „[...]ბუნებრივია, სახელმწიფოს აქვს ფართო მიხედულების ზღვარი სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისას. სამართლებრივი სახელმწიფო, ემსახურება რა თავისუფალი და დაცული ადამიანის უზრუნველყოფას, ამ მიზნის მისაღწევად აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი და საკმარისი, ეფექტური სამართლებრივი ბერკეტებით. ამ თვალსაზრისით, მძლავრ და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სახელმწიფოს ხელში წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლა და ამ გზით, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების, სხვა ლეგიტიმური კონსტიტუციური მიზნების დაცვა და, შედეგად, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დარღვევის თავიდან აცილება, პრევენცია. თუმცა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი ძალიან მაღალია ამ ინსტრუმენტის მიზნობრივად გამოყენებისთვის, რათა ის (ინსტრუმენტი) თავად არ აღმოჩნდეს სახელმწიფოს ხელთ იმ სიკეთეების დარღვევის წყაროდ, რომელთა დასაცავადაც მისი გამოყენების კონსტიტუციური ვალდებულება აქვს ხელისუფლებას. ამ პროცესში სახელმწიფოს ევალება ადამიანისთვის, საზოგადოებისთვის, სახელმწიფოსთვის საფრთხის შემქმნელი რისკების სწორად შეფასება, პროგნოზირება, რეალური საფრთხეების ობიექტურად აწონვა და მათ ასაცილებლად ან გასანეიტრალებლად გონივრული, უკიდურესად აუცილებელი, ამასთან, საკმარისი ღონისძიებების გამოყენება. [...]სახელმწიფო არ შეიძლება ადამიანის თავისუფლებაში (მის უფლებებში) ჩაერიოს ობიექტურად საჭიროზე მეტი დობით, რადგან შედეგად მიზნად გადაიქცევა ადამიანის შემლუღვა და არა მისი დაცვა“<sup>315</sup>.

რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 2006 წლის 25 ივლისის რედაქციას, იგი სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის 15-წლიან ხანდაზმულობის ვადას აწესებს, როგორც გამონაკლისს სხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულებისგან. ამავე რედაქციის 71-ე მუხლში მითითებულია<sup>316</sup>, რომ: *პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა „თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-ე–342<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის“*. აქვე, მხედველობაშია მისაღების ის ფაქტიც, რომ 2006 წლის 25 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსში<sup>317</sup> 3-ჯერ შევიდა ცვლილება და როგორც საქმის მასალების ანალიზიდან ირკვევა,

<sup>315</sup>იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 24.10.2015წ. გადაწყვეტილება #1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>316</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2006 წლის 25 ივლისის რედაქციის 71-ე მუხლი.

<sup>317</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2006 წლის 25 ივლისის რედაქციით.

საქართველოს პროკურატურამ სისხლის სამართლის კოდექსის იმ რედაქციის გამოყენება გადაწყვიტა, რომელიც 2004 წლის 11 ნოემბრის შემდეგ, ყველაზე მეტად აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას<sup>318</sup>. ეს გარემოება კი, მყარ სამართლებრივ საფუძველს ქმნის კანონის უკუძალის აკრძალვის შესახებ კონსტიტუციური პრინციპის დარღვევაზე მსჯელობისათვის. უფრო მეტიც, ამ რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის გამოყენების ფაქტი, მაღალი ალბათობით, სახელმწიფო ბრალდების ორგანოს მხრიდან მიზანმიმართულად იქნა შერჩეული, რაც მიზნად ისახავდა აქტიური ოპოზიციონერი პოლიტიკოსის წარმომადგენლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძვლის შექმნას. აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც ქმედების დანაშაულებრიობის დაწესებისა და მისი უკუძალით გაგრძელებაში არ მოიაზრება დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის ნამდვილი და არანამდვილი უკუძალით გაგრძელება, შესაძლებელია არაკონსტიტუციურად იქნას მიჩნეული საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით<sup>319</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით, უკვე არსებობს **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება**<sup>320</sup>, რომელშიც სასამართლოს მოუწია განემარტა აღნიშნული კონსტიტუციური დებულების (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მეორე წინადადების) შინაარსი. აქვე სასამართლომ იმსჯელა, ხანდაზმულობის ინსტიტუტი მოიაზრება თუ არა „პასუხისმგებლობის“ კონსტიტუციური ცნების ქვეშ და შემოგვთავაზა კატეგორიული სხვაობა არანამდვილ და ნამდვილ უკუძალას შორის და განსხვავებული კონსტიტუციური დაცვის სტანდარტი გაავრცელა მათზე, რითაც ხანდაზმულობის ვადის გაზრდის შემთხვევაში კანონის უკუძალის გამოყენების საკითხი, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების მხრიდან, მანკიერი პრაქტიკის ჩამოყალიბების საფუძველი შეიძლება გახდეს, რაც ირაკლი ოქრუაშვილის საქმეზე ნათლად ჩანს. გონივრულია ითქვას, რომ ხანდაზმულობის ვადის გაზრდის შემთხვევაში, კანონისათვის უკუძალის მიცემა იწვევს იმ სამართლებრივი რეალობის რეანიმაციას, რამედაც ხანდაზმულობის ძველი ვადის გასვლით ითქვა უარი, რაც შეფასების სივრციდან ამორიცხა კანონმდებელმა. ასეთ შემთხვევაში პირს უჩნდება კანონიერი მოლოდინი, რომ მის მიმართ რეპრესიული ზომები აღარ იქნება გამოყენებული. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი კრძალავს რეტროაქტიული ეფექტის მინიჭებას

<sup>318</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2004 წლის 11 ნოემბრის რედაქციით.

<sup>319</sup>იხ. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი: <https://bit.ly/2X69zIU>.

<sup>320</sup>იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

სამართლებრივი ნორმისთვის, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს<sup>321</sup>.

ისეთ პირობებში, როცა კოდექსი „გონივრული“ ვადის განსაზღვრის ან განმარტების უფლებას დაცვის მხარეს ან ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს არ აძლევს და მხოლოდ გამოძიების მწარმოებლის შეხედულებაზე და ნებაზეა მიბმული, გამოძიების გაჭიანურების თავიდან აცილების ან პროცესის დაჩქარებისათვის არანაირი მექანიზმიც გათვალისწინებული არ არის. ამიტომ სისხლის სამართლის საქმე შეიძლება, გადაიქცეს პოლიტიკურ იარაღად სახელმწიფოს ხელში მოწინააღმდეგეების გაჩუმებისა ან მათი ქცევის კორექციისათვის, რაც არაერთხელ მომხდარა წინა პერიოდებში და გამორიცხული არ არის მომავალშიც<sup>322</sup>. დღევანდელი საკანონმდებლო მოწესრიგებით, მხოლოდ გამოძიების ნებაზეა დამოკიდებული როგორც ადამიანის დანაშაულებრივი ქმედების დადგენა, ასევე მისი უდანაშაულობის დამტკიცება და საბოლოო ჯამში მის მიმართ სამართლიანობის აღდგენა. ადამიანს როცა საფუძვლიანი მოლოდინი აქვს, რომ სწრაფი და ეფექტური გამოძიების გზით აღდგება მისი დარღვეული უფლებები, ხოლო საკანონმდებლო აქტები მოიცავენ გაურკვეველ ტერმინოლოგიას და განუსაზღვრელ ცნებებს, ასეთი მოლოდინების აღსრულება ყოველთვის დაკავშირებულია გამოძიების მწარმოებელი პირის შეხედულებაზე, პოლიტიკურ თუ სხვა სახის კონიუნქტურაზე, რისი განჭვრეტაც შეუძლებელია და არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები უხეშად დაირღვეს<sup>323</sup>.

## საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტი

საქართველოში შეწყალება პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფო მეთაურის, ექსკლუზიური კონსტიტუციური პრეროგატივაა. საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „8“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ: „*თანახელმონერას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც უკავშირდება მსჯავრდებულთა შეწყალებას*<sup>324</sup>. აღნიშნული ინსტიტუტი ქვეყნის სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ეფექტურად გატარებასაც ემსახურება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად „შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრულ პირთა მიმართ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესით<sup>325</sup>.

<sup>321</sup> იხ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი.

<sup>322</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გვეორგ ბაბაიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“: <https://bit.ly/2Zmw9GL>.

<sup>323</sup> იქვე.

<sup>324</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „8“ ქვეპუნქტი: <https://bit.ly/2yHXMRg>.

<sup>325</sup> იხ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება: <https://bit.ly/2M2PVB1>.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივ შეფასებაში<sup>326</sup> უკვე განიხილა საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, 2020 წლის 8 მარტს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გაფორმებული შეთანხმების ორი დოკუმენტი. ოპოზიციის განცხადებით, მეორე დოკუმენტი მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ პრობლემებზე მიუთითებს<sup>327</sup>. დოკუმენტით აღიარებულია, რომ მართლმსაჯულების სისტემაში „უმალესი სტანდარტი“ უნდა იყოს დაცული. მინიშნებულია იმაზეც, რომ შეთანხმებით, ამჟამადაც და მომავალშიც სასამართლო და საარჩევნო პროცესების არასათანადო პოლიტიზაციაზე რეაგირება აუცილებელია. დოკუმენტში ნახსენებია საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებიც და ამ მხრივ, სავარაუდო პოლიტიკური მოტივებისა და შერჩევითი სამართლის საფუძველზე დაპატიმრებული პირების გათავისუფლების ერთ-ერთი ინსტრუმენტი - პრეზიდენტის მიერ შეწყალების კონსტიტუციური პრეროგატივის გამოყენება, როგორც სამართლებრივი პრობლემის გამოსწორების შესაძლებლობა. 2020 წლის 9 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ თუ იგი საჭიროდ ჩათვლიდა, რომ შეწყალება უნდა განხორციელდეს, მიიღებდა შეწყალების აქტს<sup>328</sup>.

2020 წლის 10 მარტს, ხელისუფლებასა და ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას შორის დადებულ შეთანხმებას, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარე, ჯიმ რიში და სენატორი - ჯინ შაჰინი გამოეხმაურა. ჯიმ რიშის განცხადებით, ის ელის პოლიტიკური მოტივით დაკავებული პირების მყისიერად გათავისუფლებას. სენატორ ჯინ შაჰინის თქმით, დადებული შეთანხმება კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიისთვის<sup>329</sup>. მეორე დოკუმენტი ცალსახად მიიჩნევა სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების უზრუნველსაყოფად, პოლიტიკური მოტივებით დაკავებულ პირთა გათავისუფლებისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის შესახებ შეთანხმებად (პრეზიდენტის მიერ შეწყალების კონსტიტუციური უფლების გამოყენება). გარდა ამისა, ოპოზიციასა და მმართველ ძალას შორის დადებული „ურთიერთგაგების მემორანდუმით“<sup>330</sup> გათვალისწინებულ საკითხთა მხარდაჭერა, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა განცხადებით, მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა 2020 წლის 8 მარტის შეთანხმების (მეორე დოკუმენტი)<sup>331</sup> პირობები

<sup>326</sup>იხ. გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2XEXPfN>.

<sup>327</sup>იხ. ერთობლივი განცხადება: <https://cutt.ly/vuMzCjZ>.

<sup>328</sup>იხ. საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის კომენტარი ე.წ. პოლიტიკური პატიმრების შეწყალების საკითხის შესახებ: <https://bit.ly/3cKBCfz>.

<sup>329</sup>იხ. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარის - ჯიმ რიშისა და სენატორი ჯინ შაჰინის განცხადებები: <https://cutt.ly/1uMJzkR>.

<sup>330</sup>იხ. ურთიერთგაგების მემორანდუმი: <https://cutt.ly/PuMJOCp>.

<sup>331</sup>იხ. ერთობლივი განცხადება: <https://cutt.ly/quMKv37>.



სრულად შესრულდება, რაც სავარაუდო პოლიტიკური მოტივით დაკავებული პირების დაუყონებლივ განთავისუფლების საკითხს გულისხმობს. მკაფიო მოწოდებები გაგრძელდა ევროპარლამენტარების მხრიდანაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 26 ევროპარლამენტარის კრიტიკული წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მიმართ, რომელიც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართ განახლებულ სამართალწარმოებასაც ეხება<sup>332</sup>.

მძიმე საერთაშორისო წნეხიდან გამომდინარე, 2020 წლის 15 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა შეინყალა პოლიტიკური პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი, ირაკლი ოქრუაშვილი და თბილისის ყოფილი მერი, პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი - გივი უგულავა. ორივე მსჯავრდებულმა შეწყალების აქტის გამოცემის დღესვე - 2020 წლის 15 მაისს დატოვა პენიტენციური დაწესებულება. პრეზიდენტის მიერ ამ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საკითხი ეჭვქვეშ დააყენა სხვადასხვა პოლიტიკურმა პირმა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რაზეც მმართველი ძალის მხრიდან კატეგორიული უარყოფით უპასუხეს. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, შეწყალების აქტის გამოცემამდე საქართველოს პრეზიდენტმა თავისი გადაწყვეტილება შეატყობინა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ირაკლი თალაკვაძეს და პრემიერ-მინისტრს, გიორგი გახარიას. ამის შესახებ, მოულოდნელად თავად პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა<sup>333</sup>.

ასეა თუ ისე, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტი მოწონებულია როგორც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების, ისე მოლაპარაკებებში მედიატორებად ჩართული დიპლომატებისა თუ სხვა საერთაშორისო პარტნიორების მიერ. განცხადება გაავრცელა თბილისში ამერიკის საელჩომაც<sup>334</sup>. პრეზიდენტის შეწყალების საკითხი დადებითად შეაფასა და მას „მნიშვნელოვანი წინსვლა საქართველოში“ უწოდა, ევროპარლამენტარმა ანდრიუს კუბილიუსმა<sup>335</sup>. გარდა ამისა, ოპოზიციური პარტიების ლიდერების შეწყალების საკითხზე განცხადება გაავრცელეს ამერიკის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის რესპუბლიკელმა თავმჯდომარემ, სენატორმა ჯიმ რიშმა და ევროპის ექვეკომიტეტის დემოკრატიკალიდერმა, სენატორმა ჯინ შაჰინმა. მათი განცხადებით, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია 2020 წლის 8 მარტის შეთანხმების შესრულებისკენ, რომელიც საქართველოს საარჩევნო სისტემას შეცვლის და დაასრულებს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში პოლიტიკურ ჩარევას<sup>336</sup>.

<sup>332</sup>იხ. განცხადება: <https://cutt.ly/guMK0ei>.

<sup>333</sup>იხ. განცხადება: <https://cutt.ly/uMLu2s>.

<sup>334</sup>იხ. ფასილიტატორების ერთობლივი განცხადება <https://bit.ly/36vD43B>.

<sup>335</sup>იხ. ანდრიუს კუბილიუსის განცხადება: <https://bit.ly/2TJpmEV>.

<sup>336</sup>იხ. ერთობლივი განცხადება: <https://bit.ly/3d1nQG7>.

## საპარლამენტო პოლიტიკური მოტივი

დოკუმენტის ამ თავში, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, გაანალიზდა პოლიტიკური პატიმრის სტატუსის არსებობისთვის საჭირო კრიტერიუმები და ამ კონტექსტში შეფასდა საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრისა და პოლიტიკური პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ თავმჯდომარის, ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების დეტალები.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 ივნისს მიღებული რეზოლუციის კრიტერიუმებით<sup>337</sup>, „თავისუფლებააღკვეთილი პირი „პოლიტიკური პატიმრის“ გაგებას ექვემდებარება, თუ თავისუფლების აღკვეთა მოხდა პროცესუალური გარანტიების აშკარა დარღვევებით და არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ეს დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან“<sup>338</sup>. გარდა ამისა, ეს კრიტერიუმი „საერთაშორისო ამნისტიის“ კრიტერიუმებს ემთხვევა. კერძოდ: საქმე შეიცავს „შესამჩნევ პოლიტიკურ ელემენტს“; „საქმეზე მთავრობა არ უზრუნველყოფს „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამართლიან სასამართლოს“<sup>339</sup>.

ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებას მალევე მოჰყვა პოლიტიკური შეფასებები. ირაკლი ოქრუაშვილის დაკავება პოლიტიკურ გადანაცვლებად შეფასდა სხვადასხვა ოპოზიციური პარტიისა თუ საერთაშორისო პარტნიორების, განსაკუთრებით - აშშ-ის სენატორებისა და კონგრესმენების მიერ. უფრო მეტიც, 2020 წლის 14 აპრილს განცხადება გაავრცელა საქართველოში ამერიკის საელჩომაც, რომელმაც აღნიშნა: „*ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრების დრომ და გარემოებამ გამოიწვია შეშფოთება პოლიტიკურ ჩარევასა და შერჩევითი სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით*“<sup>340</sup>. ასევე, ამერიკის საელჩომ განაცხადა, რომ ეს საქმე ჩრდილს აყენებდა სამართალწარმოების მიუკერძოებლობას — საკითხს, რომლის ირგვლივ არსებული შეშფოთების გაქარწყლებას ემსახურებოდა 8 მარტის ერთობლივი განცხადება<sup>341</sup>, სავარაუდო პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლების შესახებ. ამავე დროს, **ირაკლი ოქრუაშვილს, 2020 წლის 13 აპრილს, 20-21 ივნისის მოვლენების საქმეზე გამამატყუნებელი განაჩენის შემდეგ,**

<sup>337</sup>იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 ივნისის რეზოლუციით გათვალისწინებული კრიტერიუმები პოლიტიკური პატიმრის შესახებ: <https://cutt.ly/4uMLkVA>.

<sup>338</sup>იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 ივნისის რეზოლუციით გათვალისწინებული კრიტერიუმები პოლიტიკური პატიმრის შესახებ: <https://cutt.ly/fuMLKHH>.

<sup>339</sup>იხ. გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში, თბილისი, 2012. <https://cutt.ly/SuMZnD6>.

<sup>340</sup>იხ. ამერიკის საელჩოს განცხადება ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებაზე: <https://bit.ly/36BrWCi>.

<sup>341</sup>იხ. ერთობლივი განცხადება: <https://cutt.ly/vuMZCjZ>.

გიგი უგულავასთან ერთად, საერთაშორისო პარტნიორები<sup>342</sup> და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები<sup>343</sup> პირდაპირ უწოდებდნენ პოლიტიკურ პატიმარს.

2019 წლის 20 ივნისის მოვლენებისას, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ბრალი საერთო ჯამში კიდევ 18 პირს წარედგინა. *თითოეული მათგანი საპროტესტო აქციის წინა ხაზზე იდგა და აქტიური შეხება ჰქონდა პოლიციასთან.* გარდა ადამიანთა მცირე ჯგუფისა, რომელსაც პროკურატურა ირაკლი ოქრუაშვილის თანხლებს პირებს უწოდებს, რათა მას ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა ან/და ჯგუფური ძალადობის მონაწილეობაში ბრალი დაუმტკიცოს, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ირაკლი ოქრუაშვილის გარშემო კიდევ ასობით ადამიანი იმყოფებოდა, რომელთა იდენტიფიცირება შესაძლებელია ვიდეოჩანაწერებით.

როგორც საქმის მასალების შესწავლიდან გაირკვა, *საქართველოს პარლამენტის წინ მდგარი ასობით დემონსტრანტიდან, რომლებიც უშუალოდ არ აწვებოდნენ სამართალდამცავთა კორდონს და შესაძლოა, არ ახდენდნენ პირდაპირი ხასიათის ფიზიკურ გემოქმედებას, მაგრამ სავარაუდოდ, უკნიდან აწვებოდნენ ხალხის მასას, სამართალდამცავთა კორდონისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, ან უბრალოდ, იზიარებდნენ საზოგადოებრივი პროტესტის ერთიან ამრსა და მიზანს, საქართველოს პროკურატურამ მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილი შეარჩია იმ პირად, ვის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.* ამ უმნიშვნელოვანეს დეტალზე საქმის განმხილველ სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია. მოცემული რეალობით, სასამართლომ შექმნა ისეთი პრაქტიკა, რასაც სამართლებრივად არაფერი აკავშირებს ამ ნორმის მიზანთან და რამაც შესაძლოა, სსკ-ის 225-ე მუხლი პოლიტიკური რეპრესიის იარაღად აქციოს.

2019 წ. 19 ნოემბერს ირაკლი ოქრუაშვილს ახალი ბრალდება პენიტენციურ დაწესებულებაში წარედგინა. საქართველოს პროკურატურა ოქრუაშვილს 2004 წელს მისი შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავება<sup>344</sup>. ბრალდების წარდგენა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 15-წლიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა. სახელმწიფო ბრალდებამ სისხლის სამართლის კოდექსის ის რედაქცია გამოიყენა, რომელიც 2004 წლის 11 ნოემბრის შემდეგ, ყველაზე მეტად აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას<sup>345</sup> და ა.შ.

<sup>342</sup>იხ. ინფორმაცია სრულად: <https://cutt.ly/Ku0xz5F>; ასევე, იხ. <https://bit.ly/2zVe2Pr>.

<sup>343</sup>ოპოზიციის გამოხმაურება: <https://netgazeti.ge/news/442658/>; ასევე, იხ. <https://bit.ly/2YWBHYp>.

<sup>344</sup>იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/2M3rAul>.

<sup>345</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2004 წლის 11 ნოემბრის რედაქციით.

## დასკვნა

როგორც წინამდებარე დოკუმენტში შესწავლილი საქმეების ანალიზიდან იკვეთება, პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მხრიდან შერჩევითი სამართლისა და საგარეულო პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არაერთი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი როგორც მატერიალური, ისე საპროცესო-სამართლებრივი დარღვევა ვლინდება. შესაძლო პოლიტიკური მოტივების გამოსავლენად, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოყენებულია ევროპის საბჭოს, ასევე - საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის მიერ შემუშავებული, პოლიტიკური პატიმრის სტატუსის არსებობისთვის საჭირო კრიტერიუმები.

აღნიშნული კრიტერიუმების, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგისას იდენტიფიცირებული მნიშვნელოვანი საკითხებისა და მიგნებების, ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციისა და მოწოდებული დოკუმენტების, საერთაშორისო პრაქტიკის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმისთვის რელევანტური პრეცედენტული გადაწყვეტილებების, ეროვნული საერთო სასამართლოებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, ასევე, საქმეში არსებული სხვადასხვა მასალის/დოკუმენტის შესწავლიდან დადგინდა, რომ: **სსკ 225-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა) წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე და განაჩენი მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს:**

✓ პრობლემურია სასამართლოს მიერ ტერმინ „ძალადობის“ განმარტება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მიზნებისათვის;

✓ ნორმა, სასამართლოს მიერ შემოთავაზებული ფორმითა და კონტექსტუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წარმოადგენს არა მხოლოდ სამართლებრივად არასწორ განმარტებას, არამედ უკიდურესად აუარესებს ბრალდებულის უფლებრივ მდგომარეობას;

✓ სასამართლოსეული ნორმის განმარტება, სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოების მხრიდან მისი, როგორც პოლიტიკური იარაღის გამოყენების შესაძლებლობას აჩენს, რისი მაგალითიც ირაკლი ოქრუაშვილის საქმეა;

✓ საქართველოს პარლამენტის წინ მდგარი ასობით დემონსტრანტიდან, რომლებიც უშუალოდ არ აწვებოდნენ სამართალდამცავთა კორდონს და შესაძლოა, არ ახდენდნენ პირდაპირი ხასიათის ფიზიკურ ზემოქმედებას, მაგრამ საგარეულოდ, უკნიდან აწვებოდნენ ხალხის მასას, სამართალდამცავთა კორდონისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, ან, უბრალოდ, იზიარებდნენ

სამოგადოებრივი პროტესტის ერთიან აზრსა და მიზანს, საქართველოს პროკურატურამ **დისკრიმინაციულად** მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილი შეარჩია იმ პირად, ვის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო;

✓ მიუხედავად სასამართლოს მიერ, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სსკ-ის 225-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით გაკეთებული არაერთი სამართლებრივად სწორი და სამართლიანი განმარტებისა, რითაც ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ნაწილში ირაკლი ოქრუაშვილი გამართლდა, სერიოზული კითხვის ქვეშ დგას გამამტყუნებელ განაჩენში გამოყენებული მტკიცებულებების შინაარსი და მათ საფუძველზე დანაშაულის დასამტკიცებლად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი;

✓ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედო მხოლოდ 4 პოლიციელის ჩვენება;

✓ ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, სავარაუდო პოლიტიკური მოტივით, როგორც გაფრთხილებების ნიშანი, დააკავეს მისი პირადი მძღოლი და ოჯახის ახლობელი, კობა კოშაძე;

✓ ე.წ. ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდამულობის 15-წლიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ბრალდების წარდგენა მოხდა, 9-თვიან წინასწარ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს, სასამართლომ ახალი-9 თვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა, რომლის ვადის ათვლა, 20-21 ივნისის საქმეზე გამოყენებული წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადისგან დამოუკიდებლად დაიწყო;

✓ სახელმწიფო ბრალდებამ, ბრალის წარსადგენად სისხლის სამართლის კოდექსის ის რედაქცია გამოიყენა, რომელიც 2004 წლის 11 ნოემბრის შემდეგ, ყველაზე მეტად აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას<sup>346</sup>.

ე.წ. ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმის განხილვა სასამართლოს პირველ ინსტანციაში მიმდინარეობს. ამ დროისთვის ირაკლი ოქრუაშვილის საქმე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში ექცევა. 2020 წლის 9 მარტს, სასამართლო პროცესს დააკვირდნენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (fidh) წარმომადგენლები<sup>347-348</sup>. ამასთანავე, სასამართლო განხილვებს აკვირდება ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორი<sup>349</sup> და პროცესების დასრულებისა და, შესაბამისად, საქმეზე განაჩენის გამოცხადების შემდეგ, ორგანიზაცია შესაბამის შეფასებებს გააკეთებს.

<sup>346</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2004 წლის 11 ნოემბრის რედაქციით.

<sup>347</sup>იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაცია: <https://bit.ly/3702ZAD>.

<sup>348</sup>იხ. FIDH-ის წარმომადგენლის განცხადება: <https://bit.ly/3cqAbSU>.

<sup>349</sup>იხ. განცხადება: <https://bit.ly/2AwUhO6>.

# თავი

4

გიორგი რურუას სისხლის  
სამართლის საქმის  
სამართლებრივი ანალიზი

## შესავალი

კანონის წინაშე თანასწორობა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. სოციალური სტატუსის თუ პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებისთვის ყველა ადამიანი ერთნაირად უნდა აგებდეს პასუხს. თუმცა, საქართველოში დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი საგამოძიებო ინსტიტუტების არარსებობის გამო, სხვადასხვა დროის ხელისუფლება ხშირად კანონის საკუთარი პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას ცდილობს. პოლიტიკური ნიშნით სისხლის სამართლებრივი დევნა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სხვადასხვა მთავრობათა ხელში, არაერთხელ გამხდარა პოლიტიკურ ოპონენტებსა თუ კრიტიკულ მედიასაშუალებებზე ზემოქმედების იარაღი. ამ მხრივ, გიორგი რურუას წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაც საეჭვოდ ემთხვევა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე მის გააქტიურებას და ოპოზიციური ტელევიზიის წილის შექენას<sup>350</sup>.

„მთავარი არხის“ ერთ-ერთი მფლობელის, გიორგი რურუას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მისი დაკავების დღიდანვე მოექცა მედიის, საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის ყურადღების ქვეშ. სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პარალელურად, განსაკუთრებით კი - ბოლო პერიოდში, გახშირდა საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოების წარმომადგენელთა კრიტიკული განცხადებები, სადაც, პირდაპირ თუ ირიბად, გიორგი რურუას წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიება ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან არის დაკავშირებული.

## გეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი ძირითადად ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებულ სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიშებს, იდენტიფიცირებულ პრობლემურ სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო-სამართლებრივ საკითხებს. კვლევაში, ასევე, ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო გადაწყვეტილებებთან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებების მისადაგების საფუძველზე, გაკეთებულია შედარებითი-სამართლებრივი ანალიზი, რითაც უფრო ნათლად წარმოჩინდა სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემები.

---

<sup>350</sup> იხ. ინფორმაცია: <https://bit.ly/3gY6LhL>

## ბრალდების არსი

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მენილე გიორგი რურუა 2019 წლის 18 ნოემბერს დააკავეს<sup>351</sup>. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, რურუას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნას, შენახვასა და ტარებას გულისხმობს<sup>352</sup>. დადგენილების თანახმად, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გიორგი რურუა, 2019 წლის 18 ნოემბერს, საკუთარი ავტომობილით გადაადგილდებოდა თბილისში, წყნეთის მიმართულებით და ამ დროს მას თან უნდა ჰქონოდა უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი. გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ დადგენილების საფუძველზე, პირადი ჩხრეკისა და უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების მიზნით, რურუა საპატრულო პოლიციამ ვაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე შეაჩერა.

2019 წლის 20 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებულ გიორგი რურუას, აღკვეთის ღონისძიების სახით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის საფუძველზე<sup>353</sup>, წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა<sup>354</sup>. ბრალდების მხარის თანახმად, საქმეში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და ინფორმაციის საფუძველზე, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, ერთადერთი საშუალება იყო, რათა თავიდან აეცილებინათ ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისა და მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა, ასევე - ახალი დანაშაულის ჩადენა<sup>355</sup>.

2019 წლის 25 დეკემბერს ბრალდებულ გიორგი რურუას კიდევ ერთი ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, რაც სასამართლო გადანყვებილების შეუსრულებლობისა და მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის გულისხმობს<sup>356</sup>. საქმე ეხება პენიტენციურ

<sup>351</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2Bl6XIV>. ბოლოს ნანახია: 26.06.2020.

<sup>352</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები: <https://bit.ly/3ilAbI3>.

<sup>353</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-3 პრიმა ნაწილი: <https://bit.ly/3dN6U6r>.

<sup>354</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. დამატებით, იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2Ap4DzP>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>355</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები: <https://bit.ly/3dN6U6r>.

<sup>356</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: <https://bit.ly/3ilAbI3>.



დაწესებულებაში გიორგი რურუას უარს, სასამართლო განჩინების საფუძველზე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების - დნმ-ის ნიმუშისა და ხელის კვლების აღებასთან დაკავშირებით<sup>357</sup>.

## I – სასამართლო მონიტორინგი და სისხლის სამართლის საქმეში იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხების სამართლებრივი შეფასება

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორი გიორგი რურუას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომებს საქმის არსებითი განხილვის დაწყების პირველივე დღიდან აკვირდება. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა 2020 წლის 10 თებერვალს დაიწყო და დღემდე გრძელდება.

უშუალოდ სასამართლო პროცესის მონიტორინგისას არსებითი სახის საპროცესო დარღვევები არ გამოვლენილა. პროცესის საჭაროობა შეაფერხა ახალი კორონავირუსის გავრცელების დროს გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ, რა დროსაც სხდომები გაიმართა დისტანციურად და მასზე წვდომის საშუალება არ ჰქონდა ყველა დაინტერესებულ პირს. საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, სასამართლო სხდომები ტარდება საქალაქო სასამართლოში, მაგრამ სხდომაზე დასწრება შესაძლებელია მეტწილად გიორგი რურუას ოჯახის წევრებისთვის, მონიტორებისთვის და ჟურნალისტებისთვის. მათ გარდა, ასევე, შესაძლებელია, სასამართლოს სხდომის დარბაზში იმ რაოდენობის დაინტერესებული პირის შესვლა, რამდენიც მოთავსდება სპეციალური სტიკერებით მონიშნულ სკამებზე, ორი მეტრი დისტანციით და აუცილებლად - პირბალით. საერთო ჯამში, 45-ადგილიან სხდომის დარბაზში მხოლოდ 20 ადამიანი ესწრება, რის გამოც დარბაზს გარეთ რჩება თითქმის ამდენივე უკმაყოფილო მოქალაქე - ძირითადად, გიორგი რურუას ახლობლები, ასევე 2019 წლის 20-21 ივნისის შემდეგ გააქტიურებული სამოქალაქო მოძრაობების აქტივისტები<sup>358</sup>.

სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგად, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, სასამართლო სხდომებზე იდენტიფიცირებულია რამდენიმე სავარაუდო საგამოძიებო/საპროცესო დარღვევა უშუალოდ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე<sup>359</sup>.

***ბრალდებულის განაცხადებით, დაკავებისას მისი კონსტიტუციური უფლებები უხეშად დაირღვა, კერძოდ:***

<sup>357</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2BYs1E1>.

<sup>358</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიშები. არსებითი განხილვა: 15.07.2020; 16.07.2020 და სხვ.

<sup>359</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიშები. არსებითი განხილვა: 10.02.2020; 25.05.2020; 30.05.2020.

## • ადვოკატთა ხელმისაწვდომობის უზღუდა

დაცვის მხარის განცხადებით, დაკავებისა და გამოძიების საწყის ეტაპზე გიორგი რურუას არ მიეცა ადვოკატსა და ოჯახის წევრებთან დაკავშირების შესაძლებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის თანახმად, პირს დაკავებისთანავე უნდა განემართოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს<sup>360</sup>. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, თავისუფლების აღკვეთისა და პირადი თავისუფლების ნებისმიერი სხვაგვარი შეზღუდვის დროს პირს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია დაკავების საფუძვლისა და, ბრალდებულად ცნობის შემთხვევაში, მისთვის წაყენებული ბრალის შესახებ<sup>361</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად კი, „დაცვის უფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირს, რომლის მიმართაც გარკვეული პროცესუალური ზომები ტარდება, უნდა გააჩნდეს შესაბამის პროცედურასა და მის შედეგზე ეფექტური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა<sup>362</sup>. გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთი საქმეში განმარტა, რომ „დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს გარანტირებული უნდა ჰქონდეს დამცველის დახმარება“<sup>363</sup>.

დაცვის უფლება სამართლიანი სასამართლოს არსებითი ელემენტია და, ზოგადად, გულისხმობს პირთა შესაძლებლობას, „წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით“<sup>364</sup>. ეს უფლება შეეხება მათ, ვის მიმართაც ტარდება პროცესუალური ზომები და აქვთ ასეთ ღონისძიებებზე ზეგავლენის ან/და მათი უარყოფითი შედეგებისგან თავის დაცვის სამართლებრივი ინტერესი.

**მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში, გიორგი რურუას, როგორც ამას დაცვის მხარე ამტკიცებს, არამართლზომიერად შეეზღუდა ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება.**

## • დაკავებული სისხლის სამართლის საქმეში, გიორგი რურუას, როგორც ამას დაცვის მხარე ამტკიცებს, არამართლზომიერად შეეზღუდა ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება

<sup>360</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი: <https://bit.ly/38KDcNF>.

<sup>361</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე van der Leer v. NLD, განაცხადი 11509/85, 27-ე პუნქტი. იხ. ასევე: Grabenwarter/ Pabel, 2012, გვ. 205.

<sup>362</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან იმორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55. <https://bit.ly/3hhsQIS>.

<sup>363</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის № 2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჭიმშელიაშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-2 პუნქტი.

<sup>364</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/1/574 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-61. <https://bit.ly/2UxenyV>.

დაცვის მხარის განცხადებით, გიორგი რურუა 6-7 საათის განმავლობაში ისე ჰყავდათ დაკავებული, რომ მისთვის არ განუმარტავთ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები<sup>365</sup>. ეს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილმა მოწმე პოლიციელებმა სასამართლო პროცესზე უარყვეს. დაცვის მხარემ კითხვა დაუსვა მოწმეს, თუ რა უფლებები განუმარტა ბრალდებულს, მაგრამ მოწმემ დასმულ კითხვაზე პასუხი ვერ გასცა და ვერ თქვა, რომელი უფლებები და მოვალეობები განუმარტა დაკავებულ გიორგი რურუას<sup>366</sup>. მოწმის ჩვენებით, მან დაკავებულს დაცვის უფლებაზე ინფორმაცია მიაწოდა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულს დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე - ბრალდებულს ნებისმიერი დაკითხვის წინ მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ რომელ დანაშაულზე არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი. ამასთან, ბრალდებულს უნდა გადაეცეს დაკავების ოქმის ან, თუ ის არ დაუკავებიათ, – ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი<sup>367</sup>. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პროცედურული უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში, მაგრამ არსებობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც მოითხოვს მართლმსაჯულების ორგანოებისგან, რომ მათ გაატარონ პოზიტიური ღონისძიებები მე-6 მუხლთან ეფექტური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად<sup>368</sup>.

საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილება საქმეზე Padalov v. Bulgaria და Talat Tunc v. Turkey, რომელშიც სასამართლომ მოსთხოვა ხელისუფლების ორგანოებს, აერჩიათ აქტიური მიდგომა, რათა დაკავებულისთვის/ბრალდებულისთვის აუცილებლად გაეცნოთ მათი უფლებები იურიდიულ დახმარებაზე<sup>369</sup>.

*წინამდებარე საქმეში, რაც სასამართლო სხდომაზე არსებითი განხილვის დროს, მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში გამოვლინდა, აღნიშნული მოთხოვნები, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან, უკუღვებულყოფილია.*

<sup>365</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიშები. არსებითი განხილვა: 10.02.2020.

<sup>366</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიშები. არსებითი განხილვა: 25.05.2020.

<sup>367</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილი: ქვეპუნქტი: <https://bit.ly/3dN6U6r>. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

<sup>368</sup> იხ. ECtHR 13 მაისი 1980, Artico v. Italy, No. 6694/74, პარაგრაფი 36 და ECtHR 30 იანვარი 2001, Vaudelle v. France, No. 35683/97, პარაგრაფები 52, 59 და 60. (1) <https://bit.ly/3hdVPxf>. (2) <https://bit.ly/2UsAFBJ>.

<sup>369</sup> იხ. ECtHR 10 აგვისტო 2006, Padalov v. Bulgaria, No. 54784/00, და ECtHR 27 მარტი 2007, Talat Tunc v. Turkey, No. 32432/96. (1) <https://bit.ly/2Am7pWF>. (2) <https://bit.ly/3f8DHDg>.

- ნიშუპის აღჯახაჯე უარის თქვა - „სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა“

დაცვის მხარის განმარტებით, ბრალდებულ გიორგი რურუასგან, დაკავებისთანავე, თბილისის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, ვინმე გ.მ.-ს სამუშაო ოთახში, იძულებით აიღეს დნმ-ის ნიმუში, ისე, რომ არანაირი დოკუმენტი არ შეადგინეს<sup>370</sup>. ამ იძულების მიზანი იყო, „ამოღებულ“ იარაღზე დაეტანათ უკანონოდ აღებული დნმ და დაკავებულისთვის ამით დაემტკიცებინათ იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარების ფაქტი.

2020 წლის 4 მაისის სასამართლო სხდომაზე, ბრალდების მხარის პოლიციელმა მონმემ განმარტა, რომ მან 2019 წლის 25 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო განჩინების საფუძველზე ბრალდებულის დნმ-ის ნიმუშის აღების მცდელობაში და გაიხსენა, რომ ნიმუშის ასაღებად იმყოფებოდა ორ გამომძიებელთან და ექსპერტთან ერთად<sup>371</sup>. მონმემ განაცხადა, რომ მან ბრალდებულს გააცნო განჩინება, განუმარტა უფლება-მოვალეობები, მათ შორის, გააფრთხილა დნმ-ის ნიმუშების აღებაზე უარის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესახებ, ანუ ნიმუშის აღების შესახებ სასამართლო განჩინების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბრალის წარდგენის თაობაზე<sup>372</sup>.

ბრალდების მხარის მონმის განმარტებით, გიორგი რურუამ დნმ-ის ნიმუშის აღებაზე წინააღმდეგობა გაუწია მათ, რასაც ადვოკატებიც ესწრებოდნენ და აქეზებდნენ, უარი განეცხადებინა. ამასთან, მონმის განცხადებით, ბრალდებულს განუმარტეს, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში, იძულებული იქნებოდნენ, გამოეყენებინათ პროპორციული ძალა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მონმემ დაადასტურა, რომ ცდილობდნენ, ბრალდებულისგან იძულებით აეღოთ დნმ-ის ნიმუში, მაგრამ იგი *„ეჭიკავებოდა და უძალიანდებოდა და ეშინოდათ, მიანი არ მიეყენებინათ, მაგალითად - არ მოეტეხათ ხელი, რადგან ხდებოდა ხელის გულებიდან კვლების და ნერწყვის ნიმუშების აღება“*<sup>373</sup>. დაცვის მხარის მიერ დასმულ შეკითხვებს, მაგალითად - რაში გამოიხატა წინააღმდეგობის განწევა, ***„მონმემ უპასიხა, რომ: „ბრალდებულმა გიორგი რურუამ დაიჭირა კუთხე, მუჭებს აკეთებდა ხელით, ტუჩებს უჭერდა და პირს ვერ აღებინებდნენ“*** (სტილი დაცულია). დაცვის მხარის შეკითხვაზე, თუ ცდილობდნენ, ბრალდებულისათვის იძულებით გაეხსნათ თითები, მონმის პასუხები ვარაუდებს ეფუძნებოდა, რის გამოც, დაცვის მხარე რამდენჯერმე სვამდა ერთი და იგივე შინაარსის კითხვას, რათა მონმეს ზუსტი პასუხი

<sup>370</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიშები. არსებითი განხილვა: 06.05.2020.

<sup>371</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 04.05.2020.

<sup>372</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიშები. გიორგი რურუას საქმის არსებითი განხილვა: 04.05.2020

<sup>373</sup> მონმის შეფასება (სტილი დაცულია).

ეთქვა. საპასუხოდ კი, ბრალდების მხარემ რამდენჯერმე დააყენა შუამდგომლობა, კითხვის განრიდებასთან დაკავშირებით. მოსამართლეს არ დაუკმაყოფილებია შუამდგომლობები და ისიც მიმართავდა მოწმეს, რომ გაეცა კონკრეტული პასუხი, ან თუ არ ახსოვდა - ეთქვა და ა.შ.<sup>374</sup>.

## • ჩარევის პროპორციულობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია, რომ „ნიმუშის აღება, რომელიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული“<sup>375</sup>. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჭარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა ასეთი ჩარევა ხდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, რომელიც კონვენციის მე-8 მუხლითაა დაცული, მოიცავს პირის ფიზიკური მთლიანობის პატივისცემის უფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეში Detlef-Harro Schmidt against Germany მიუთითა<sup>376</sup>, რომ აპლიკანტისგან სისხლისა და ნერწყვის ანალიზის აღება წარმოადგენს სავალდებულო სამედიცინო ჩარევას, რომელიც, იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი მცირე მნიშვნელობისაა, მიჩნეულ უნდა იქნეს მის პირად სფეროში ჩარევად. ასეთი ჩარევა კი, წარმოშობს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის შემთხვევას, თუ არ იქნება ცხადი, რომ: 1) იგი „კანონით იყო გათვალისწინებული“; 2) ემსახურებოდა ერთ ან რამდენიმე ლეგიტიმურ მიზანს ან მიზნებს და 3) „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“ [...].

გიორგი რურუას საქმეში ეს საკითხი ჯერ კიდევ ბუნდოვანია და კითხვებს აჩენს, მით უფრო მაშინ, როდესაც ბრალდებული მიუთითებს დნმ-ის ნიმუშის კისრიდან, ბამბიანი ჩხირის მეშვეობით, უკანონოდ აღებაზე<sup>377</sup>. ამასთან, სწორედ ნიმუშის აღებაზე უარის განცხადება მის მიმართ ახალი ბრალის წარდგენას დაედო

<sup>374</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში. გიორგი რურუას საქმის არსებითი განხილვა: 06.03.2020; 04.05.2020; 11.05.2020.

<sup>375</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე და მუხლი: <https://bit.ly/2MLKcjh>.

<sup>376</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Detlef-Harro Schmidt against Germany“, 2006. <https://bit.ly/3cPvlt0>.

<sup>377</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 06.03.2020; 06.05.2020; 08.05.2020.

საფუძვლად (სსკ-ის 381-ე მუხ., სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა)<sup>378</sup>.

ნიმუშის აღება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე და 148-ე მუხლებით გათვალისწინებული სხვა საპროცესო მოქმედებებია<sup>379</sup>. **ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, აღნიშნული ნორმები პრობლემურია.** კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, არავინ არის ვალდებული, მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით. შესაბამისად, ბრალდებული აღჭურვილია თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირის/ბრალდებულის თვითინკრიმინაციისგან დაცვას განიხილავს, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ქვაკუთხედს<sup>380</sup>. ბრალდებულის თვითინკრიმინაციისგან დაცვაში კი ევროპული სასამართლო მოიაზრებს მის სხვადასხვა სახეს, როგორცაა: ბრალდებულის უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ (*დუმილის უფლება*). ასევე - უფლება, ბრალდების მხარეს არ მიანოღოს ნებისმიერი სახის მტკიცებულება, რაც მის ბრალეულობას დაადასტურებდა. საქმეში *Funke v. France* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის იძულების მცდელობა, წარმოედგინა მტკიცებულებები იმ დანაშაულზე, რომელიც სავარაუდოდ თავადვე ჩაიდინა, იყო კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, კერძოდ - არღვევდა მის დუმილის უფლებას და საკუთარი თავის ინკრიმინაციის ხელშეწყობის აკრძალვას<sup>381</sup>.

თავის მხრივ, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია სამართლიანი სასამართლო უფლების ნაწილია, რაც განპირობებულია ამ უფლების მნიშვნელობით. კანონმდებლის მიზანია, ნორმის დაცვის განსაკუთრებულ სფეროში მოექცეს პირის თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება. ამ უფლების დარღვევის საფრთხე კი თანაბრად შესაძლებელია როგორც საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემით, ასევე, საკუთარი თავის წინააღმდეგ სხვა სახის მტკიცებულების გამჟღავნებით.

*ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ნიმუშის აღებაზე, როგორც საგამოძიებო მოქმედებაზე უარის თქმა, ან მისი ჩატარების პასიური ხელშეშლა, არ უნდა იწვევდეს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რიგი ფაქტობრივი გარემოებები და მისი ჩატარება გარდაუვალი აუცილებლობიდან გამომდინარეობდეს, რისთვისაც, ყოველ*

<sup>378</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი. <https://bit.ly/2Yi7Uce>.

<sup>379</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე და 148-ე მუხლები: <https://bit.ly/2MLKcjh>. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

<sup>380</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *John Murray v. The United Kingdom* §44 პარ.

<sup>381</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Funke v. France* §44 პარ. <https://bit.ly/2UxXDHI>.

ინდივიდუალურ შემთხვევაში, დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტი უნდა არსებობდეს.

ამასთან, გიორგი რურუას უფლება ჰქონდა, ნიმუშის აღებაზე უარი ეთქვა, რადგან იგი, როგორც ბრალდებული, სარგებლობდა თვითინკრიმინაციის იძულებისგან დაცვის პრივილეგიით. თუმცა, გამომძიებელი უფლებამოსილი იყო, იძულების პროპორციული ზომების გამოყენებით გიორგი რურუასგან აეღო სასამართლოს განჩინებაში მითითებული ნიმუში, რითაც საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება არ შეფერხდებოდა. სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას წინააღმდეგობის შემთხვევაში, დასაშვებია იძულების პროპორციული ზომის გამოყენება<sup>382</sup>. ამასთან, გიორგი რურუას მიმართ სსსკ-ის 381-ე მუხლის 1-ი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა) ბრალად წარდგენის საკითხი, ფაქტობრივი მოცემულობის გათვალისწინებით, პრობლემურია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 28 დეკემბრის განჩინებით, დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის შუამდგომლობა გიორგი რურუას საკნიდან მისი პირადი ნივთების - თეთრეულის, ფეხსაცმლის, კბილის ჭაგრისის, ტანსაცმლის, სავარცხლისა და პირსახოცის ამოღების თაობაზე<sup>383</sup>. 2020 წლის 3 იანვარს გამომძიებელმა გადაწყვიტა საგამოძიებო მოქმედების ჩატარება. როგორც სასამართლო სხდომაზე მოწმემ განაცხადა, იგი ბრალდებულის ადვოკატს, დიმიტრი საძაგლოშვილს ვერ დაუკავშირდა, ხოლო მეორე ადვოკატმა - შოთა კახიძემ უარი უთხრა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობაზე<sup>384</sup>. მოგვიანებით, დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევისას ადვოკატმა განმარტა, რომ მან გამომძიებელს განუცხადა - ვინაიდან იმავე დღეს (პარასკევს) საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, დაკავშირებოდა სხვა ადვოკატს, ასევე, შესთავაზა, საგამოძიებო მოქმედება 2020 წლის 6 იანვარს (ორშაბათს) ჩატარებინათ. გამომძიებელს ამ შესთავაზებაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ მოგვიანებით, იმავე დღეს, ადვოკატთან საუბრიდან რამდენიმე საათში, 2020 წლის 3 იანვარს, გამომძიებელმა მაინც გადაწყვიტა გიორგი რურუას პირადი ნივთების საკნიდან ამოღება ადვოკატების მონაწილეობის გარეშე მომხდარიყო<sup>385</sup>. გამოკითხვისას მოწმემ განმარტა, რომ ადვოკატის მონაწილეობის გარეშე საგამოძიებო მოქმედების ჩატარება იმიტომ გადაწყვიტა, რომ არსებობდა ამოსაღები ნივთების გადამალვისა და განადგურების საფრთხე.

<sup>382</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილი: <https://bit.ly/2MLKcij>.

<sup>383</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 24.06.2020.

<sup>384</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 01.06.2020

<sup>385</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 25/06/2020. 10:30-10:47 საათი.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედების დროს. „თუ ადვოკატი საპატიო მიზეზით არ მონაწილეობს დანიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში, პროკურორი ვალდებულია, იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელშიც ადვოკატს უნდა მიეღო მონაწილეობა, ერთჯერადად გადადოს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 დღისა. [...] ადვოკატის გამოუცხადებლობა არ იწვევს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადადებას<sup>386</sup>.

*ამასთან, გაუგებარია, როგორ შეეძლო გიორგი რურუას მემოაღნიშნული ნივთების განადგურება, როცა იგი საკანში განცალკევებით იმყოფებოდა და მასზე 24-საათიანი ვიზუალურ-ელექტრონული მეთვალყურეობა მიმდინარეობდა.*

### • ავტომანქანის ჩხრეკის შესაზამისობა საპროცესო კანონმდებლობასთან

დაცვის მხარის განმარტებით, გიორგი რურუას ავტომანქანის ჩხრეკა, პოლიციელებთან მისი პირველი შემხებლობიდან (13:00 საათი) 3 საათისა და 40 წუთის შემდეგ - 16:40 საათზე დაიწყო. პრობლემურია ის ფაქტიც, რომ ავტომანქანის ჩხრეკა არა უშუალოდ შემთხვევის ადგილზე, არამედ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ეზოში ჩატარდა<sup>387</sup>. ბრალდების მხარის მონმეტა განმარტებით, ავტომანქანის ადგილზე ჩხრეკა სავალი ნაწილის სივნიროვის, შექმნილი საცობისა და გამგულ პირთა მომეტებული ინტერესის გამო ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ავტომანქანის ჩხრეკა არ ჩატარებულა მისი საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის ეზოში გადაყვანისთანავე. ავტომანქანის ჩხრეკას წინ უსწრებდა დაკავებულის პირადი ჩხრეკა<sup>388</sup>.

*ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, გიორგი რურუას პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენისა და ცეცხლსასროლი იარაღის დალუქვისას, არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. კერძოდ, გამოძიებელმა უგულვებელყო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, როცა ცეცხლსასროლი იარაღის მხოლოდ ზოგადი აღწერით შემოიფარგლა. დაცვის მხარის განმარტებით, პირადი ჩხრეკის ოქმში მხოლოდ ის არის მითითებული, რომ გიორგი რურუას პირადი ჩხრეკისას ამოღებულია „მეტალის მუქი ფერის ცეცხლსასროლი იარაღი“<sup>389</sup>.*

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, საგამოძიებო მოქმედების

<sup>386</sup> იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი: <https://bit.ly/2MLKcjh>.

<sup>387</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 06.05.2020; 11.05.2020

<sup>388</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 10/03/2020.

<sup>389</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 25.02.2020; 25.05.2020; 30.05.2020.



ოქმი, რომელიც ასეთი მოქმედების მსგელობისას ან მისი დამთავრებისთანავე დგება, უნდა შეიცავდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XV თავის განსაზღვრულ ფორმალურ და შინაარსობრივ რეკვიზიტებს. სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-6 ნაწილით, ჩხრევის ან ამოღების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, თუ შესაძლებელია, ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, შემდეგ ამოღებულ იქნეს, დაწვრილებით აღინეროს, დაილუქოს და შესაძლებლობის შემთხვევაში, შეიფუთოს. შეფუთულ ნივთზე, ლუქის გარდა, აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერა, ვინც საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობდა. არ დაილუქება დოკუმენტი, რომლის ამოღებაც ხდება მისი შინაარსის გამო.

*გიორგი რურუას პირადი ჩხრევის ოქმში, დაცვის მხარის განმარტებით, მითითებულია რომ ამოღებული იარაღი მოთავსდა პაკეტში, რომელზეც გაკეთდა ხელმოწერები და დაისვა სისხლის სამართლის საქმის ნომერი და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თარიღი. თუმცა, დაცვის მხარე აცხადებს, რომ ბალისტიკური ექსპერტიზის ფოტოცხრილში ნათლად ჩანს, რომ ლუქზე გაკეთებულია მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელი პირების ხელმოწერები, საქმის ნომერი, თარიღი. აღნიშნულ ლუქზე არც ბრალდებული გიორგი რურუას ხელმოწერაა და არც შესაბამისი აღნიშვნა ხელმოწერის შესრულებაზე უარის თქმის შესახებ<sup>390</sup>. აგრეთვე, საინტერესოა ის საკითხი, რომ გამომძიებლების მხრიდან, არ განხორციელებულა პირადი ჩხრევის ოქმში აღწერილი მოქმედებების ვიდეო ან/და ფოტოგადაღება<sup>391</sup>. მართალია, აღნიშნული არ წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო ღონისძიებას, მაგრამ მაშინ, როცა გამომძიებლებს ტექნიკურ საშუალებებზე წვდომა შეზღუდული არ ჰქონდათ, გაურკვეველია, რატომ არ ისარგებლეს ასეთი შესაძლებლობით, რაც ბრალდებულისათვის ბრალის დამტკიცებაში დაეხმარებოდა მათ.*

გარდა ამისა, საქმეში არსებული არაერთი ფაქტი ავტომანქანის ჩხრევისას აღმოჩენილი იარაღის მაყუჩის წარმომავლობის საეჭვო გარემოებებზე მიუთითებს.

ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ტარდება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, წარმოშობს რისკს, რომ გამოძიების ჩამტარებელი სუბიექტი შეიძლება, გასცდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, დაუსაბუთებლად შეზღუდოს კერძო პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები. ამიტომ საჭიროა, სასამართლოს შემდგომი კონტროლი იყოს ეფექტური, რათა მინიმუმამდე დავიდეს „არაკეთილსინდისიერი“ გამოძიების საფრთხეები.

<sup>390</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 25.05.2020; 30.05.2020.

<sup>391</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 30.05.2020.

საერთო სასამართლოები შენიშნავენ, რომ „ჩხრეკის ან/და ამოღების წარმოებაზე შემდგომი (შემოწმებითი) სასამართლო კონტროლის ეფექტურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკა აჩვენებს ჩხრეკა-ამოღების აბსოლუტური უმრავლესობა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, განჩინების გარეშე, ტარდება“<sup>392</sup>, რითაც საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ამ უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების კიდევ უფრო მეტი რისკი იქმნება.

განსაკუთრებით მატულობს საფრთხე, როდესაც ასეთი საგამოძიებო მოქმედება მხოლოდ ოპერატიული (*ე.წ. კონფიდენტის მიერ მიწოდებული*) ინფორმაციის საფუძველზე ტარდება, რაც არ არის გამყარებული სხვა დამატებითი მტკიცებულებით და თავის მხრივ, ასეთ ინფორმაციაზე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საპროკურორო ზედამხედველობა შეზღუდულია. სასამართლო კი სრულად მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს იგი.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამონაკლისის სახით უშვებს შესაძლებლობას, რომ ჩხრეკა-ამოღება ჩატარდეს სასამართლოს წინასწარი ნებართვის - შესაბამისი განჩინების გარეშე, კერძოდ კი - გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში<sup>393</sup>. სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 პუნქტში პირდაპირაა განწერილი, თუ რა ითვლება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევად. ნორმატიული განმარტებიდან გამომდინარე, გადაუდებელი აუცილებლობა - არის ის შემთხვევა, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისთვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (*თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად*) ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე. შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც „თანაბომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაყოვნებელი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე“<sup>394</sup>, ვინაიდან ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულის ჩადენაში კონკრეტული პირის/პირების მამხილებელი

<sup>392</sup> სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის განჩინება 1გ/1197 გვ: 5; აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dM9xo9>.

<sup>393</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: <https://bit.ly/2YT1stT>.

<sup>394</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/3/407 II პ.26 ა მე-3. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/31vM08G>.

მტკიცებულებების განადგურება, დანაშაულის კვალის წაშლა, დამნაშავის მიმალვა და სხვა გამოუსწორებელი შედეგები.

სასამართლო გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების კანონიერებას ამოწმებს პროკურორის მიერ შუამდგომლობის და შესაბამისი მასალების შეტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა<sup>395</sup>. სასამართლომ კანონიერად რომ ცნოს ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება, საჭიროა, პროკურორმა დაასაბუთოს, რატომ იყო გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება. ამისთვის კი, მხოლოდ ჰიპოთეტური მოსაზრებები, საქმესთან კავშირის არმქონე ვარაუდები არ არის საკმარისი. გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკა-ამოღების ჩასატარებლად საჭიროა, რომ გადაუდებელი აუცილებლობა არსებობდეს არა მხოლოდ დაწყების მომენტში, არამედ მიმდინარეობის დროსაც. შესაბამისად, როგორც კი გაქრება გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება, საგამოძიებო ორგანოს აღარ აქვს უფლება, გააგრძელოს საგამოძიებო მოქმედება<sup>396</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩხრეკის მიმდინარეობისას განმცხადებლის და სხვა მონაწილეთა ყოფნა ჩხრეკის ადგილას მხედველობაში შეიძლება იქნეს მიღებული, როგორც ფაქტორი, რომ აპელანტს საშუალება აქვს, აკონტროლოს ჩხრეკის ფარგლები; თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, სასამართლოს შესაბამისი ნებართვის ან შემდგომი შემოწმების გარეშე ვერ იქნება გამორიცხული რისკი, რომ გამოძიებლები უფლებამოსილებას ბოროტად არ გამოიყენებენ<sup>397</sup>.

*გემოალინიშნულიდან გამომდინარე, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობით გიორგი რურუას შეჩერება, ჩხრეკის ჩატარების მიზნით, ხოლო შემდეგ ამ მოქმედების 3 საათისა და 40 წუთის დაგვიანებით ჩატარება პრობლემურია. დაუსაბუთებელია, რატომ არ მოხდა ავტომანქანის ჩხრეკა დაუყოვნებლივ ან მისი გადაყვანიდან მალევე.*

სასამართლო პროცესზე თავის ჩვენებაში ბრალდებულმა განაცხადა, რომ ადგილზე არანაირი პირადი ჩხრეკა არ მომხდარა, რაშიც ბრალდებული უშაულოდ შეჩერების ადგილს - ვაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიას გულისხმობს. როგორც ბრალდებული განმარტავს, იგი თავისი კუთვნილი ავტომობილიდან პოლიციის თანამშრომლებმა პირდაპირ გადასვეს შსს-ის შავი ფერის „შკოდის“ ფირმის ავტომობილში და მიიყვანეს თბილისის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში. რურუას ჩვენებით, დაკავებისას იგი ადგილზე რომ არ

<sup>395</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი: <https://bit.ly/2YT1stT>.

<sup>396</sup> იხ. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, რედ. ლ. ფაფიაშვილი (2017) გვ: 452.

<sup>397</sup> იხ. Guide on Article of the European Convention on Human Rights (Right to respect for private and family life, home and correspondence), European Court of Human Rights, 2019, Article 8. გვ: 88. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YRHdwk>.

გაუჩხრეკიათ, ადასტურებს პარალონი<sup>398</sup>. საქმეში არსებული ჩხრეკის ოქმის თანახმად, პარალონი ამოიღეს და დალუქეს დაკავების ადგილზე, მაგრამ სინამდვილეში მას პარალონი თან ჰქონდა სამმართველოს შენობაში მიყვანის დროსაც. დაცვის მხარემ მოითხოვა თბილისის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ვიდეოკამერების ჩანაწერების ამოღება და გაშიფვრა, რითიც დაადასტურებდნენ, რომ შენობაში შესვლისას მას პარალონი ჭიბეში ჰქონდა<sup>399</sup>. სამმართველოში გიორგი რურუას მიყვანის ვიდეოჩანაწერები საქმეს არ ერთვის.

### • იარაღის ექსპერტიზა

2020 წლის 3 ივნისს, სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ბრალდების 3 მოწმე - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2 ექსპერტი და გამომძიებელი. ექსპერტების მიერ ჩაატარდა დაქტილოსკოპიური კვლევა ხელის კვლების შედარებისთვის. ექსპერტიზას წარედგინა ბრალდებული გიორგი რურუასგან ამოღებული იარაღის მსგავსი საგანი, მჭიდი, ვაზნები, ასევე, ყუთი, რომელშიც მოთავსებული იყო 25 ვაზნა. აღნიშნულ ვაზნებთან დაკავშირებით, გიორგი რურუას დაცვის წევრმა მანქანის ჩხრეკის ეტაპზე აღნიშნა, რომ ეკუთვნოდა მას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტიზის შედეგად იარაღზე, მჭიდზე და ვაზნებზე ხელის თითის კვლები არ გამოვლინდა.

მეორე მოწმე იყო ექსპერტი, რომელმაც ჩაატარა ბიოლოგიური - გენეტიკური ექსპერტიზა შსს-ს პოლიციის დეპარტამენტის საგამომძიებო სამსახურის გამომძიებლის მიმართვის საფუძველზე. საკვლევად წარდგენილი იყო დალუქული ტომრები, რომელშიც მოთავსებული იყო პისტოლეტის იარაღის სასხლეტის, მჭიდის, ლითონის ნივთის (სავარაუდოდ, მაყუჩი, რადგან რურუას ავტომობილიდან ამოღებული მაყუჩი ლითონის ნივთად მოიხსენიეს ღონისძიებაში მონაწილე პირებმა (მოწმეებმა) და ვაზნების ანაწმენდი. უფრო კონკრეტულად, ექსპერტიზაზე წარდგენილი იქნა დალუქული ანაწმენდები და არა უშუალოდ ამოღებული იარაღი და სხვა ამოღებული ნივთები. კვლევისათვის გადასაგზავნად 14 შეფუთვაზე იყო მითითება, რა ნივთის (ნივთის მახასიათებლების შესაბამისად) ანაწმენდი იყო გამოსაკვლევად ექსპერტიზაზე წარდგენილი.

ექსპერტის ამოცანას წარმოადგენდა, დაედგინა ბიოლოგიური პროფილი არის თუ არა გიორგი რურუასგან აღებული ნერწყვის ნიმუშის იდენტური. ექსპერტიზის შედეგად დადასტურდა, რომ იარაღის სასხლეტიდან ანაწმენდზე აღმოჩნდა შერეული პროფილი, რომელიც ეკუთვნოდა მამრობით სქესს. შერეული

<sup>398</sup> სპეციალური მასალით დამზადებული ნივთი, რომელსაც იყენებენ მთამსვლელები, მოგზაურები დასაჯლომად ან დასაწოლად. გიორგი რურუას პარალონი დაჰქონდა საპროტესტო აქციებზე.

<sup>399</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 16/07/2020.

პროფილიდან ბრალდებულ გიორგი რურუას ბიოლოგიურ პროფილზე მოდიოდა მაჟორული - ძირითადი წილი.

*სასამართლო სხოდმაზე, დაცვის მხარემ დასხვა შეკითხვა: თუ ხელოვნურად მოხდა ანანშენდის ნივთზე დატანა, შესაძლებელი იყო თუ არა ამის გამოვლენა კვლევით? აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით, მონშემ განმარტა, რომ - არა<sup>400</sup>.*

## II – პოლიტიკური მოტივი და პერეპიტი მართლმსაჯულება

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 ივნისის რეზოლუციით დადგენილი კრიტერიუმებით<sup>401</sup>, „თავისუფლება დაცვეთილი პირი „პოლიტიკური პატიმრის“ გაგებას ექვემდებარება, თუ თავისუფლების აღკვეთა მოხდა პროცესუალური გარანტიების აშკარა დარღვევებით და არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ეს დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან“<sup>402</sup>. ეს კრიტერიუმი „საერთაშორისო ამნისტიის“ კრიტერიუმებს ემთხვევა. ვერძოდ: საქმე შეიცავს „შესამჩნევ პოლიტიკურ ელემენტს“; „საქმეზე მთავრობა არ უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამართლიან სასამართლოს“. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ პატიმრად ვინმეს ცნობით არავის ენიჭება მისი დაუყოვნებლივ და უპირობოდ გათავისუფლების მოთხოვნის უფლება, მაგრამ სამაგიეროდ, აუცილებელია მას გარანტირებულად ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს უფლება.

გიორგი რურუას დაკავებას წინ უძღოდა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენები და მასშტაბური ანტისაოკუპაციო აქციები. გავრცელებული ინფორმაციით<sup>403</sup>, გიორგი რურუა, სწორედ ამ აქციებისა და ოპოზიციური ტელეკომპანიის - „მთავარი არხის“ დაფინანსების გამო დააპატიმრეს. გიორგი რურუას დაკავებას და მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს, ირაკლი ოქრუაშვილისა და გიორგი უგულავას საქმეებთან ერთად, მალევე მოჰყვა პოლიტიკური შეფასებები<sup>404</sup> როგორც სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის, ისე საერთაშორისო პარტნიორების, განსაკუთრებით კი - აშშ-ის სენატორებისა და კონგრესმენტების მხრიდან.

თავისი პოლიტიკური აქტიურობის თაობაზე სასამართლო პროცესზე ბრალდებულმაც ისაუბრა. გიორგი რურუას ჩვენებით, 2019 წლის 20-21 ივნისის

<sup>400</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 03/06/2020.

<sup>401</sup> იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 ივნისის რეზოლუციით გათვალისწინებული კრიტერიუმები პოლიტიკური პატიმრის შესახებ: <https://bit.ly/2N8X43>.

<sup>402</sup> იხ. 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი, ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/3dRYkmj>. ბოლოს ნანახია: 27.06.2020.

<sup>403</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/31E2ueS>. ბოლოს ნანახია: 27.06.2020.

<sup>404</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/37seotf>; ასევე, იხ. <https://bit.ly/3hrbiKF>.

მოვლენების შემდეგ, იგი იყო ანტისაოკუპაციო და ხელისუფლების წინააღმდეგ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ფინანსური მხარდამჭერი და ამავე დროს, აქტიური მონაწილე. 2019 წლის ივნისში დაწყებული აქციები დროებით შეჩერდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლება საზოგადოებას დაპირდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებას. აქციები განახლდა ნოემბერში, როდესაც ხელისუფლების მოკავშირე დეპუტატების ჯგუფმა პარლამენტში ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი ჩააგდო და გაირკვა, რომ საპარლამენტო არჩევნები კვლავ შერეული - მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა. გიორგი რურუას ჩვენებით, ნოემბერში კვლავ განაგრძო საპროტესტო აქციების ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა, თან ფიზიკურადაც ეხმარებოდა აქციის მონაწილეებს სხვადასხვა სამუშაოში. მაგალითად, 2019 წლის 17 ნოემბერს მან ორგანიზება გაუკეთა და პირადად მიიტანა პარლამენტთან შეშა აქციის მონაწილეთა გათბობის მიზნით. ამ აქციაზე იგი მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდა და 18 ნოემბერს, დილით დროებით ბრუნდებოდა შინ, როდესაც იგი დააკავეს.

გიორგი რურუას დაკავება, დიდწილად, ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებად არის შეფასებული, ხოლო ბოლო პერიოდში მისი პატიმრობაში დატოვება 2020 წ. 8 მარტის ერთობლივი განცხადების დარღვევად არის მიჩნეული<sup>405</sup>.

2020 წლის 15 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების აქტის საფუძველზე თბილისის ყოფილი მერი, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი - გიგი უგულავა და პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი - ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლა. ორივე მსჯავრდებულმა შეწყალების აქტის გამოცემის დღესვე - 15 მაისს დატოვა პენიტენციური დაწესებულება. როგორც ოპოზიციური პარტიები, ისე საერთაშორისო პარტნიორების წარმომადგენლები, გიორგი რურუას განთავისუფლებას სწორედ ამ ორ პატიმართან ერთად ელოდნენ, მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ არსებობდა, რაც შეწყალებისას კანონის სავალდებულო მოთხოვნაა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად „შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრულ პირთა მიმართ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესით“<sup>406</sup>. შეწყალება შეიძლება გამოყენებული იქნას იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე“.

<sup>405</sup> იხ. ერთობლივი განცხადება: <https://bit.ly/3fzfW7N>. ბოლოს ნანახია: 27.06.2020.

<sup>406</sup> იხ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება: <https://bit.ly/2M2PVB1>.

გარდა ამისა, გიორგი რურუას გათავისუფლებას საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემის შესაცვლელად ინიცირებული კონსტიტუციური კანონპროექტის მხარდაჭერის პირობად ასახელებდნენ პოლიტიკური პარტია - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“<sup>407</sup>. მათი განცხადებით, რურუას გათავისუფლება ხელისუფლებასთან 8 მარტს მიღწეული შეთანხმების ნაწილია, რასაც ხელისუფლების მმართველი ძალის წარმომადგენლები არ ეთანხმებიან და კატეგორიულად უარყოფენ.

საკონსტიტუციო ცვლილებების მესამე მოსმენით კენჭისყრამდე სამოქალაქო აქტივისტები პარლამენტთან აქციაზე შეიკრიბნენ და მოითხოვდნენ ბრალდებულ გიორგი რურუას გათავისუფლებას<sup>408</sup>. საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები<sup>409</sup> 117-ით ხმით 3-ის წინააღმდეგ, 2020 წლის 29 ივნისს, რიგგარეშე სესიაზე მესამე მოსმენით დაამტკიცა. კენჭისყრამდე გიორგი რურუამ გაავრცელა პოლიტიკური განცხადება და მიმართა დეპუტატებს, კენჭისწყრაში მონაწილეობა მიეღოთ<sup>410</sup>. თუმცა, ფრაქციებს - „ევროპულ საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“<sup>411</sup> მეორე და მესამე მოსმენით კენჭისყრაში მონაწილეობა მაინც არ მიუღიათ, ვინაიდან, მათი თქმით, არ იყო შესრულებული 2020 წ. 8 მარტის შეთანხმება - გიორგი რურუა რჩებოდა პატიმრობაში.

საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის გამოცემის შემდეგ, დაცვის მხარემ სასამართლო პროცესზე გიორგი რურუასთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი დააყენა. დაცვის მხარემ, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ნაცვლად, მოითხოვა 10.000 ლარიანი გირაოს გამოყენება, რაც არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს შეფასებით, ზემოაღნიშნული ღონისძიება ვერ უზრუნველყოფდა იმ საფრთხეების თავიდან აცილებას, რისთვისაც იყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა.

<sup>407</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2CUElks>. ბოლოს ნანახია: 27.06.2020.

<sup>408</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2BUSmDK>. 29.06.2020.

<sup>409</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე: <https://bit.ly/2AkWMDp>.

<sup>410</sup> იხ. „კენჭისყრაში მონაწილეობა აუცილებელია, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ - რურუა“: <https://netgazeti.ge/news/463123/>

<sup>411</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/38kmgVq>. ბოლოს ნანახია: 29.06.2020.

## დასკვნა

სასამართლო მონიტორინგისა და დოკუმენტების შესწავლით გამოიკვეთა, რომ გიორგი რურუას, პირადი ჩხრეკისა და სხვადასხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებისას, სავარაუდოდ, არამართლმომიერად შეეზღუდა საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები. **კერძოდ:**

✓ ბრალდებულს დაკავებისას არ მიეცა ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან დაკავშირების შესაძლებლობა.

✓ დაკავებულისთვის უფლება-მოვალეობები არ განუმართავთ;

✓ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარდა გიორგი რურუას როგორც პირადი, ისე ავტომანქანის ჩხრეკაც;

✓ პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენისა და ცეცხლსასროლი იარაღის დალუქვისას დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები;

✓ საქმეში არსებული საპროცესო დარღვევები, სხვადასხვა ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად, ეჭვქვეშ აყენებს გიორგი რურუას ცეცხლსასროლ იარაღთან შემხებლობასა და მტკიცებულების ავთენტურობას;

✓ არაერთი ფაქტი ცეცხლსასროლი იარაღის მაყუჩის წარმომავლობის საეჭვო გარემოებებზე მიუთითებს;

✓ გამომძიებელმა არაერთი საგამოძიებო მოქმედება ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობის გარეშე ჩაატარა;

✓ გიორგი რურუას მიმართ ბრალის დამძიმება კონსტიტუციურ საფუძვლებს მოკლებულია. ამასთან, სისხლის სამართლის მიზნებიდანაც გაუმართლებელია. ბრალდებულისთვის ბრალის დამძიმების საფუძველი ის ფაქტი გახდა, რომ მან ნიშუშის ალბაში მონაწილეობა არ მიიღო, რისი უფლებაც მას საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებით გააჩნია. ამ კვალიფიკაციით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა უგულებელყოფს თვითინკრიმინაციის იძულებისაგან დაცვის პრივილეგიას, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას წარმოადგენს;

✓ პრობლემურია ნიშუშის ასაღებად იძულების პროპორციული ზომების გამოყენების საკითხი.



# თავი

5

ნიკა გვარამიას  
წინააღმდეგ მიმდინარე  
სისხლის სამართლის  
საქმის სამართლებრივი  
შეფასება

## შესავალი

დამოუკიდებელ, პლურალისტურ მედია გარემოს შეუცვლელი როლი აქვს დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ადამიანის უფლებების დაცვაში. ამიტომაც, ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და გამოწვევები, რითაც შეიძლება, საფრთხე შეექმნას დემოკრატიულ პროცესებს. ამ მხრივ, პრობლემურია, კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებების წარმომადგენლების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ან/და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება, რაც, ძირითადად, ხელისუფლების მიმართ მათი ოპონირების გააქტიურებას ემთხვევა<sup>412</sup>. სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერესს ინვესტორების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ტელევიზია „მთავარი არხის“ დამფუძნებლისა და გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე;

ნიკა გვარამია სამაუწყებლო კომპანია „რუსთავის 2-ის“ ყოფილი გენერალური დირექტორია. 2019 წლის 18 ივლისს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება<sup>413</sup>, რომლის მიხედვით, „რუსთავი 2“-ის საქმეზე, ევროკონვენციის არც ერთ მუხლზე დარღვევა არ დადგინდა. შესაბამისად, იგი მის ყოფილ მესაკუთრეს დაუბრუნდა, რომელმაც იმავე დღეს თანამდებობიდან გაათავისუფლა არხის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია<sup>414</sup>. მოგვიანებით, ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე, ტელეკომპანიიდან გაათავისუფლეს საინფორმაციო სამსახურის უფროსი და წამყვანი თოქშოუების ჟურნალისტები. ამ საკადრო ცვლილებებით უკმაყოფილო თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა კი მაუწყებელი დატოვა<sup>415</sup>.

2019 წლის სექტემბერში მაუწყებლობა დაიწყო „მთავარმა არხმა“<sup>416</sup>, სადაც „რუსთავი 2“-ის არაერთი ყოფილი თანამშრომელი დასაქმდა<sup>417</sup>.

2019 წლის 20 ივლისს, ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, მისი კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისებისა და ქონების მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით დამალვის ფაქტზე. გამოძიების მიმდინარეობისას, ბრალი წარედგინა „რუსთავი 2“-ის ყოფილ გენერალურ

<sup>412</sup>იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შესახებ: [shorturl.at/tBIW5](http://shorturl.at/tBIW5).

<sup>413</sup>იხ.: CASE OF RUSTAVI 2 BROADCASTING COMPANY LTD AND OTHERS v. GEORGIA. [shorturl.at/kJLPT](http://shorturl.at/kJLPT).

<sup>414</sup>იხ.: განცხადება: [shorturl.at/vNVZ9](http://shorturl.at/vNVZ9).

<sup>415</sup>იხ.: ინფორმაცია სრულად: [shorturl.at/sB024](http://shorturl.at/sB024); [shorturl.at/nDMPX](http://shorturl.at/nDMPX); [shorturl.at/guwU4](http://shorturl.at/guwU4); [shorturl.at/aijGH](http://shorturl.at/aijGH).

<sup>416</sup>იხ.: ინფორმაცია სრულად: [shorturl.at/cqJLO](http://shorturl.at/cqJLO).

<sup>417</sup>იხ.: ინფორმაცია სრულად: [shorturl.at/bvGM5](http://shorturl.at/bvGM5).

დირექტორს და ახლადშექმნილი „მთავარი არხის“ დამფუძნებელს, ნიკა გვარამიას<sup>418</sup>. ბრალდების შინაარსი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორობის პერიოდში მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილების არამომგებიანობას ეფუძნება.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, შეფასდეს რამდენად მოიცავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საკმარის ნიშნებს პროკურატურის მიერ ნიკა გვარამიასთვის წარდგენილი ბრალდება, რომელიც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ, ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვას გულისხმობს<sup>419</sup>. ამასთან, რამდენად შეესაბამება საწარმოს დირექტორის გადაწყვეტილების გამო, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს/გამოცდილებას; ასევე, ამ საქმეში არსებობს თუ არა სავარაუდო პოლიტიკური მოტივები და შერჩევითი სამართლის ნიშნები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, წინამდებარე დოკუმენტში, ნიკა გვარამიას ქმედებები შეფასდება საკორპორაციო-სამართლებრივ ჭრილში და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან მიმართებით.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეყრდნობა სისხლის სამართლის საქმის სხვადასხვა დოკუმენტს, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებულ სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიშებს დაიდენტიფიცირებულ პრობლემურ სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო-სამართლებრივ საკითხებს. კვლევაში, ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო გადაწყვეტილებებთან აშშ-ისა და გერმანიის სასამართლოების, საკორპორაციო-სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოშობილ დავებზე სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებების მისადაგების საფუძველზე, გაკეთებულია შედარებითი-სამართლებრივი ანალიზი, რითაც უფრო ნათლად წარმოჩინდა წინამდებარე საქმეში არსებული სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემა.

## ბრალდების არსი

ნიკა გვარამიას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით,

<sup>418</sup> იხ.: საქართველოს გენერალური პროკურატურის განცხადება: [shorturl.at/clzC4](http://shorturl.at/clzC4).

<sup>419</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული. [shorturl.at/gBFIR](http://shorturl.at/gBFIR).

194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით<sup>420</sup>, 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით<sup>421</sup> და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით<sup>422</sup> გათვალისწინებული დანაშაულებების ჩადენა<sup>423</sup>. სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, ძირითადი ბრალდება ნიკა გვარამიასმიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილებების გამო „რუსთავი 2“-ის მიერ 2015 წლის ბოლოს სარეკლამო შემოსავლებიდან წინა წელთან შედარებით ნაკლები შემოსავლის მიღებას ეხება, რაც გენერალური პროკურატურის მიერ დამამძიმებელ გარემოებაში „ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვად“<sup>424</sup> შეფასდა.

როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, 2013-2015 წლებში დადებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ინტერ მედია“, ფიქსირებული ანაზღაურებისგარდა, სარეკლამო ეთერის გაყიდვების სრული შემოსავლიდან, ბონუსის სახით, დაახლოებით 5%-ს იღებდა, ხოლო შემოსავლის დანარჩენი ნაწილი ტელეკომპანიას რჩებოდა.

2015 წლის 16 იანვარს, შპს „სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის სახელით ნიკა გვარამიამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ინტერ მედია პლიუსსთან“, რომლის თანახმადაც, შპს „სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2-მა“ შპს „ინტერ მედია პლიუსს“ დაუთმო საკუთარი არხების ეთერში კომერციული რეკლამის განთავსების უფლება. მხარეთა შეთანხმებით, კომერციული რეკლამის განთავსების უფლების დათმობისათვის ანაზღაურება, ყოველთვიურად, წინასწარ შეთანხმებული ოდენობით უნდა განხორციელებულიყო, მიუხედავად შპს „ინტერ მედია პლიუსის“ მიერ შესაბამისი თვის მიხედვით, ფაქტობრივად მოხმარებული კომერციული სარეკლამო დროის ოდენობისა.

2015 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, ნიკა გვარამია, ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ტელეკომპანიის სარეკლამო დროის გასხვისების შედეგად მიღებული მთლიანი შემოსავლის 90-95%-ს ითხოვდა შპს „ინტერ მედია პლიუსისაგან“, ხოლო დარჩენილ თანხას, მომსახურების განვცის სანაცვლოდ უტოვებდა ამ უკანასკნელს.

---

<sup>420</sup>იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (*უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)*) - რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობა). [shorturl.at/gBFIR](http://shorturl.at/gBFIR)

<sup>421</sup>იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (*კომერციული მოსყიდვა - იმ პირის მიერ, რომელიც სანარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას, ან რომელიც მუშაობს ამ ორგანიზაციაში*). [shorturl.at/gBFIR](http://shorturl.at/gBFIR).

<sup>422</sup>იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (*ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღები ან გამოყენება - რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია*). [shorturl.at/gBFIR](http://shorturl.at/gBFIR).

<sup>423</sup>იხ.: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ (01.11.2019).

<sup>424</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული. [shorturl.at/gBFIR](http://shorturl.at/gBFIR).

ბრალდების მხარის პოზიციით, განსხვავებული ხელშეკრულების დადების მიზანს ტელეკომპანია „რუსთავის 2-ის“ ქონებრივი უფლების გაფლანგვა წარმოადგენდა. სამაუწყებლო კომპანიისთვის მიყენებულ ქონებრივ ზიანად კი, 2014 წელს სარეკლამო შემოსავლებიდან მიღებული თანხის - 43 230 509 ლარისა და 2015 წელს სარეკლამო შემოსავლებიდან მიღებული თანხის - 36 467 000 ლარის - სხვაობა განსაზღვრა. ამასთან, ბრალდების მხარის მტკიცებით, გამომდინარე იქიდან, რომ სარეკლამო ბაზარი არ შემცირებულა, კომპანიას იმდენივე შემოსავალი უნდა მიეღო, რამდენიც წინა წელს მიიღო.

დაცვის მხარის პოზიციით, 2015 წლის ხელშეკრულება ემსახურებოდა კომპანიის საუკეთესო ინტერესებს, მოკლე ან გრძელვადიანი რისკების დაზღვევის უზრუნველყოფას და მოსალოდნელ ფინანსურ სირთულეებთან გამკლავებას, რის გამოც გადაწყვიტეს, მოეთხოვათ ნაკლები, თუმცა გარანტირებული შემოსავალი.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რადგან აღნიშნული რისკები არ მატერიალიზდა, 2016 წლის ხელშეკრულებით დაბრუნდა ანგარიშსწორების ძველი წესი, ხოლო „ინტერ მედია პლუსმა“ დააბრუნა 2015 წელს მიღებული მოგების ნაწილი<sup>425</sup>.

## საერთაშორისო სტანდარტები

### • კომპანიის დირექტორის კერძონალური პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი

კორპორაციული მართვა არის სისტემა, რომელიც წარმოიშობა მრავალმხრივი ურთიერთობებით ამ სისტემის მრავალ მონაწილეს შორის<sup>426</sup>. ზოგადად, სამართლებრივი ურთიერთობები წარმოადგენს იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას. თუმცა, ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტუალურ თემას კორპორაციული მართვის სფეროში პასუხისმგებლობის საკითხი წარმოადგენს<sup>427</sup>, რაც კორპორაციული მართვის ერთ-ერთ საშუალებად სახელდება<sup>428</sup>. მასში მოიაზრებენ როგორც ხელმძღვანელთა, ისე კორპორაციის პარტნიორთა/აქციონერთა ურთიერთპასუხისმგებლობის საკითხებსაც. ამის მიხედვით, გამოყოფენ შიდაკორპორაციულ და გარეკორპორაციულ (საგარეო) პასუხისმგებლობას. შიდაპასუხისმგებლობა სახეზეა მაშინ, როდესაც წარმოიშობა ურთიერთობები კორპორაციის მონაწილეთა (ხელმძღვანელები, აქციონერები,

<sup>425</sup>იხ.: ნიკა გვარამიას 2019 წლის 1 აგვისტოს დაკითხვის ოქმი.

<sup>426</sup> იხ.: Humera K., A Literature Review of Corporate Governance, International Conference on E-business, Management and Economics IPEDR Vol.25, IACSIT Press, Singapore, 2011, 3. [shorturl.at/eqyC2](http://shorturl.at/eqyC2).

<sup>427</sup>იხ.: Emmerich V., Habersack M., Konzernrecht, "Verlag C.H. Beck", 2005, München, 274-277.

<sup>428</sup>იხ.: ჭანტურიალ.,

კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, სამართალი, 2006, 29.

დომინანტები) შორის, ხოლო გარეპასუხისმგებლობის საფუძველია საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა გარეშე მესამე პირების წინაშე<sup>429</sup>.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ მიიღო „კორპორაციული მართვის პრინციპები“, რითაც აღიარებულია, რომ არ არსებობს კარგი კორპორაციული მართვის უნივერსალური მოდელი<sup>430</sup>. შესაბამისად, იმისათვის, რომ სამენარმეო საზოგადოება მომგებიანი იყოს, შესაძლოა, საწარმოს დირექტორსა და აქციონერებს, მათ შორის კრედიტორებს, სხვადასხვა გზები მიაჩნდეთ ოპტიმალურად; მათი ნაწილი შესაძლოა საზოგადოებრივ იმიჯს უფრო თხილდებოდეს, ნაწილისთვის კი დანაშაულებრივი საქმიანობაც მისაღები იყოს<sup>431</sup>.

ასევე, მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოში, ძირითადად, შპს-ის სახით ჩამოყალიბებულ ორგანიზაციებს ვხვდებით და იშვიათად ხდება სხვა სახის საზოგადოების ჩამოყალიბება. ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც პრინციპულად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად არ უნდა არსებობდეს ესა თუ ის კომპანია, ისინი მაინც ამ ფორმით ყალიბდებიან. ამისერთ-ერთ მიზეზად საკანონმდებლო რეგულაციის ნაკლებობა სახელდება და ის, რომ არ არსებობს საგადასახადო შეღავათები<sup>432</sup>. ამიტომ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მოგებაზე ორიენტირებული ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა, რომელიც ქართული რეალობისთვის ყველაზე ხშირად გამოსაყენებელი და, შესაბამისად, ყველაზე მისაღები აღმოჩნდა. ამასთან, შეზღუდული პასუხისმგებლობით საწარმოები არსებობენ ორი უმთავრესი მიზეზით: (ა) ეს მომგებიანი როგორც თავად საწარმოსთვის, ისე - (ბ) ეკონომიკისთვის. გარდა ამისა, შპს-ის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხს არ აგებენ<sup>433</sup>, ხოლო საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილით, ევალუბათ დირექტორებს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული<sup>434</sup>.

დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება ამავე კანონით ან/და საწარმოს წესდებით<sup>435</sup>. თუმცა, კომპანიის დირექტორის მიერ მიღებული სამენარმეო საზოგადოების მართვისას მიღებული მენეჯერული

<sup>429</sup>იხ.: მაჭავარიანის., კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბილისი, 2015, 121.

<sup>430</sup>იხ.: OECD Principles of Corporate Governance, OECD, Paris, 2004, 13. [shorturl.at/asJNR](http://shorturl.at/asJNR).

<sup>431</sup>იხ.: Brodowski, D., Espinoza de Los Monteros de La Parra, M., Vogel, J. (2014). Regulating Corporate Criminal Liability. Cham: Springer International Publishing, 47.

<sup>432</sup>იხ.: ბიზნესის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა, კონსიტუციის 42-ე მუხლი, 2012, 10. [shorturl.at/foNT8](http://shorturl.at/foNT8).

<sup>433</sup>იხ.: მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი. [shorturl.at/egmMV](http://shorturl.at/egmMV).

<sup>434</sup>იხ.: მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი. [shorturl.at/egmMV](http://shorturl.at/egmMV).

<sup>435</sup>იხ.: მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-3 ნაწილი. [shorturl.at/egmMV](http://shorturl.at/egmMV).

გადაწყვეტილება, არ შეიძლება შეფასდეს დირექტორის სამართლებრივი სტატუსის სპეციფიკის უგულებელყოფით. კერძოდ, დირექტორთა პასუხისმგებლობა არ უნდა იქნეს აღქმული ისე, თითქოს აღნიშნული პასუხისმგებლობა მხოლოდ დირექტორთა დასჯას ისახავს მიზნად. პასუხისმგებლობის დადგომის საფუძვლების განსაზღვრა შედის როგორც საწარმოს, ისე თავად დირექტორის ინტერესებში, რადგან როცა არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული საფუძვლები, თუ რა შემთხვევაში და რომელი ქმედების შედეგად შეიძლება დადგეს დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი, ეს გარემოება შექმნის სრულ ქაოსს და გაურკვევლობას, რომელიც ხელს შეუშლის და დააბრკოლებს დირექტორებს, მიიღონ ისეთი ინოვაციური და სარისკო გადაწყვეტილებები, რაც სამეწარმეო საზოგადოებისათვის მომგებიანი შეიძლება აღმოჩნდეს<sup>436</sup>.

საკორპორაციო სამართალში ცნობილია „კორპორაციული საფარველის გაჭოლის“ (*piercing the corporate veil*)<sup>437</sup> პრინციპი, რომლის თანახმად, დირექტორებისა და აქციონერების პასუხისგება მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში დაიშვება<sup>438</sup>. აღნიშნული აშშ-ის სამოსამართლეო სამართლის ქმნილებაა<sup>439</sup>, რომელიც ძირითადად შპს-ში გამოიყენება<sup>440</sup>. მასში იგულისხმება პირდაპირი პასუხისმგებლობა იმგავრად, რომ პარტნიორს, მისი შეზღუდული პასუხისმგებლობის მიუხედავად, შეიძლება დაეკისროს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის<sup>441</sup>. სამეწარმეო საზოგადოების დირექტორის შემთხვევაში, ეს შესაძლებელია მხოლოდ მის მიერ ფიდეციური მოვალეობების დარღვევის, ან დანაშაულის ჩადენის დროს<sup>442</sup>.

გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპი გერმანულ სასამართლო პრაქტიკაშიც გვხვდება. ეს პრინციპი, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება საკორპორაციო

<sup>436</sup>ib.: Posner, R. (1975). THE RIGHTS OF CREDITORS OF AFFILIATED CORPORATIONS. The University of Chicago Law Review, 43, 501-502.

<sup>437</sup>ib.: *Prest v Petrodel Resources Ltd* [2013] UKSC 34; *Dadourian Group International v Simms* [2006] EWHC 2973, at [686]. ასევე, იხ.: იხ.: ბახუტაშვილი გ., აქციათა მცირე პაკეტის მფლობელ აქციონერთა უფლებების დაცვა სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით წიგნში: ჭანტურია ლ., კნიპერი რ., ზემლერი ი., საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი, გვ. 117.

<sup>438</sup>ib.: Tan Cheng-Han, Jiangyu Wang, Christian Hofmann, *PIERCING THE CORPORATE VEIL: HISTORICAL, THEORETICAL AND COMPARATIVE PERSPECTIVES*, E W Barker Centre for Law and Business, National University of Singapore, 2019.

<sup>439</sup>ib.: *Cases: Consumer's Co-op v. Olsen*, Wisconsin Supreme Court, 1988 142 Wis. 2d 465, 419 N.W. 2d 211; *K.C. Roofing Center v. On Top Roofing, Inc.*, Missouri Court of Appeals, 1991, 807 S.W. 2d 545; *United States v. Bestfoods*, Supreme court of the United States, 1998 118 S. Ct. 1876.

<sup>440</sup>ib.: ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა მერიდიანი, 2009, 241.

<sup>441</sup>ib.: Pfeiffer G., Timmerbeil S., *US-American Company Law-An Overview*, 598.

<sup>442</sup>ib.: ფიდეციურ მოვალეობებს ე.წ. „მზრუნველობით მოვალეობებს“ უწოდებს ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიის მართვისას [შედარებითსამართლებრივი ანალიზი აშშ-ის, უპირატესად დელავერის შტატის, და ქართული სამართლის მაგალითზე], სამართლის ყურნალი, N1, 2013, 258.

სამართლის პრინციპს იურიდიული პირის შემლუდული პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ სასამართლო პრაქტიკის თვალთახედვით, იგი მიიჩნევა მართლმომიერ ქმედებად, რომელიც სასამართლომ შეიძლება, გამოიყენოს იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული უსამართლობა<sup>443</sup>. თავის მხრივ, საზოგადოების ხელმძღვანელები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან, საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კეთილსინდისიერად და იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოების ინტერესებისათვის<sup>444</sup>.

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამენარმეო საზოგადოების მმართველი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სადად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისთვის სოლიდარულად აგებენ პასუხს საზოგადოების წინაშე. ამპირებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ არ დაურღვევიათ თავისი მოვალეობა<sup>445</sup>.

### • დირექტორის კორპორაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა

აშშ-ის სამართლის ინსტიტუტის კორპორაციული მართვის პრინციპების<sup>446</sup> თანახმად, დირექტორს ან მენეჯერს კორპორაციის წინაშე აკისრია მოვალეობა, რომ დირექტორის ან მენეჯერის ფუნქციები განახორციელოს კეთილსინდისიერად (*in good faith*) - იმგვარად (*in a manner*), რომ მას გონივრულად სწამს (*reasonably believes*), რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე (*in the best interests of the corporation*) და ისეთი გულმოდგინებით, როგორსაც გონივრულად მოელიან ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი წინდახედული პირისგან (*ordinarily prudent person*)<sup>447</sup>.

ზოგადად, კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითად, დელავერის რაიონული სასამართლო არ ცნობს ამ პრინციპის არსებობას და ხელმძღვანელობის მოვალეობებს მართო

<sup>443</sup>ob.: DeWitt Truck Brokers v. W., Flumming fruit Company, 540 F. 2d 681 (Cir 1976); ასევე: Emmerich V., Habersack M., Konzernrecht, "Verlag C.H. Beck", 2005, München, 144-147; 419.

<sup>444</sup>ob.: ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, სამართალი, 2006, 199.

<sup>445</sup>ob.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის Nას-471-450-2915 განჩინება.

<sup>446</sup>ob.: ALI Principles of Corporate Governance.

<sup>447</sup>ob.: ob.: ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, სამართალი, 2006, 199.



გულმოდგინებად (*duty of care*<sup>448</sup>, *Sorgfaltspflichten*) და ერთგულებად (*duty of loyalty*<sup>449</sup>, *Treuepflicht*) ჰყოფს და კეთილსინდისიერების მოვალეობას ერთგულების მოვალეობის ქვეშ ათავსებს<sup>450</sup>. შესაბამისად, კორპორაციული მართვის დროს, დირექტორს სწორედ ეს ორი უმთავრესი კორპორაციულ-სამართლებრივი (ფიდუციური) ვალდებულება ეკისრება<sup>451</sup>.

ერთგულების მოვალეობის დაცვას - საწარმოს საერთო მიზნისაკენ სწრაფვა, ხოლო დარღვევას კი - საერთო მიზნისკენ მიმართული ქმედებების უგულვებელყოფა წარმოადგენს. იგი ვრცელდება აქციონერზეც. შესაბამის სამართლებრივ ნორმად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.8 მუხლი სახელდება, რომლის თანახმად, თუ საწარმოს დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი გეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების ვენჭისყრის შედეგზე<sup>452</sup>.

ერთგულების მოვალეობის დარღვევის სახედ ყველაზე ხშირად ასახელებენ საკუთარ თავთან გარიგების (*Self-Dealing*) დადებას<sup>453</sup>, ინფორმაციის გახსნილობის შესახებ მოვალეობის დარღვევას, თანამდებობის პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენებას და ა.შ<sup>454</sup>.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ერთგულების მოვალეობის საკითხზე აშშ-ში მიღებულია არაერთი გადაწყვეტილება, რომლებიდანაც გამომდინარეობს დასკვნა, რომ ერთგულების მოვალეობის დარღვევის სამტკიცებლად, უნდა გამოიკვეთოს, ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, მოხდა თუ არა საკუთარ ინტერესებზე უპირატესად კორპორაციის ინტერესების დაცვა<sup>455</sup>.

---

<sup>448</sup>იხ.: Emanuel S., Emanuel L., *Corporations*, Aspen Publishers Online, 2009, 25-31.

<sup>449</sup>იხ.: Carney W.J., *Mergers and Acquisitions/Cases and Materials*, New York, Foundation Press, 2000, 66-229.

<sup>450</sup> იხ.: Rossi F., *Making Sense of the Delaware Supreme Court's Triad of Fiduciary Duties*, 2005, 17.

[https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=755784](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=755784).

<sup>451</sup>იხ.: ჯუღელი გ., (2010). კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 249.

<sup>452</sup>იხ.: მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 ნაწილი. [shorturl.at/egmMV](http://shorturl.at/egmMV).

<sup>453</sup> იხ.: *Corporate Governance in the United States and Germany*, European Corporate Governance Institute (ecgi), Law Working Paper #17/2003, 5; Baums T., Scott K.E., *Taking Shareholder Protection Seriously? Corporate Governance in the United States and Germany*, European Corporate Governance Institute (ecgi), Law Working Paper #17/2003, 4-5.

<sup>454</sup>იხ.: Balotti R.F., Finkelstein J.A., *The Delaware Law of Corporations & Business Organizations Statutory Deskbook*, New York, "Aspen Publishers", 2010, 8- 3-98; Baums T., Scott K.E., *Taking Shareholder Protection Seriously? Corporate Governance in the United States and Germany*, European Corporate Governance Institute (ecgi), Law Working Paper #17/2003, 5; ასევე, იხ.: ჭანტურია ლ., *კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში*, სამართალი, 2006, 320-359.

<sup>455</sup> იხ.: საქმეები: *Lewis v. S.L. & E., Inc.*, United States Court of Appeals, second Circuit 629 F. 2d 764 (1980); *In re The Walt Disney Co.*, Delaware Court of Chancery, 825 A. 2d 275 (2003).

კორპორაციული მართვისას ხელმძღვანელთა მოვალეობის დამოუკიდებელ სახეს გულმოდგინების მოვალეობა (*Duty of Care, Duty of Diligence, Sorgfaltspflicht*) წარმოადგენს<sup>456</sup>. სამართლის მეცნიერებაში მიიჩნევა, რომ გულმოდგინების მოვალეობა ხელმძღვანელთა ქცევის სტანდარტს ადგენს და განიმარტება იმგვარად, რომ დირექტორმა უნდა გამოიჩინოს საკმარისი ყურადღება კორპორაციის საქმეებისადმი. გულმოდგინების მოვალეობის მიხედვით, დირექტორს ან მენეჯერს კორპორაციის წინაშე ეკისრება მოვალეობა, რომ ფუნქციები განახორციელოს კეთილსინდისიერად იმგვარად, რომ მას გონივრულად სწამდეს, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და ისეთი გულმოდგინებით<sup>457</sup>, როგორსაც გონივრულად მოელიან ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი წინდახედული პირისგან<sup>458</sup>.

აღსანიშნია ისიც, რომ აქციონერებისა და კორპორაციის საუკეთესო ინტერესების პირდაპირი განსაზღვრა შეუძლებელია. თუმცა, შესაძლებელია თითოეულ შემთხვევაში, საქმეში არსებულ სხვადასხვა ფაქტზე დაყრდნობით განვსაზღვროთ - დირექტორის მიერ მიღებული, რომელი გადაწყვეტილება იქნება საზოგადოებისა და აქციონერების ინტერესებისათვის „ყველაზე ხელსაყრელი“<sup>459</sup>. ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანია მისაღები გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული ფაქტების სრულყოფილი შესწავლა, კონსულტაციების გავლა, განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა, ბაზარზე იმ დროს არსებული მდგომარეობის ცოდნა, დირექტორის მიერ ხელთ არსებული ინფორმაციის ერთმანეთისთვის გაზიარება და სხვა<sup>460</sup>.

გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობაში აერთიანებენ „ბიზნეს გულმოდგინებას (*Business Due Diligence*) და სამართლებრივ გულმოდგინებას (*Legal Due Diligence*). მათგან პირველში მოიაზრება გულმოდგინების ფორმატის დაცვა ეკონომიკურ-ფინანსური შინაარსის გადაწყვეტილების მიღებისას, ხოლო მეორე შემთხვევა ემთხვევა გადაწყვეტილებათა სამართლებრივი რეგულაციის აუცილებლობას. აღნიშნული ორივე ერთ ტერმინად - *Due Diligence*-დარის

<sup>456</sup>იხ.: Emanuel S., Emanuel L., *Corporations*, Aspen Publishers Online, 2009, 25-31.

<sup>457</sup> **შენიშვნა:** აშშ-ის სამართლისათვის დამახასიათებელია ხელმძღვანელთა მოვალეობის სახით კიდევ ერთი ჯგუფის - მართლზომიერი მოქმედების მოვალეობის (*Duty of Obedience*, რომელიც ითარგმნება დამორჩილების მოვალეობად) არსებობა, თუმცა, იგი პრაქტიკულად გულმოდგინე მოვალეობის არსშია მოქცეული.

<sup>458</sup>იხ.: ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, სამართალი, 2006, 319; ასევე, იხ.: მაჭავარიანი ს., კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტერგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბილისი, 2015, 134.

<sup>459</sup>იხ.: მაისურაძე დ., კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას (შეღარებითსამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2014, 26.

<sup>460</sup>იხ. საქმე: *Smith v. Van Gorkom*, 488 A.2d 872 (Del. 1985).

გაერთიანებული, რომელსაც საწარმოთა შერწყმისას იყენებენ და იგი მოწმობს, რომ ხდება გადაწყვეტილების მიღებისას საწარმოს ყოველმხრივი შესწავლა<sup>461</sup>. კორპორაციული პასუხისმგებლობის საფარველის მოხსნისას ყურადღება არაერთ ისეთ ასპექტს ექცევა, როგორცაა: *არასათანადო კაპიტალიზაცია, კორპორაციული მართვის წესების დაუცველობა, დირექტორების უმოქმედობა, ანგარიშგების ჩანაწერების არქონა და ა. შ*<sup>462</sup>.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში არსებული დიდძალი სასამართლო პრაქტიკისა და მნიშვნელოვანი განმარტებების მიუხედავად, გულმოდგინების მოვალეობის დარღვევისას საზოგადოების წინაშე ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ არ არსებობს ერთიანი პრეცედენტები, რის გამოც ამ საკითხზე დავის წარმოება რთულია<sup>463</sup>. ამის ძირითადი საფუძველია ხელმძღვანელთა მოვალეობების საკითხზე მსოფლიოში დამკვიდრებული და ხელმძღვანელთა უფლებების დამცავი Business Judgement Rule-ს პრინციპი.

## • BUSINESS JUDGEMENT RULE-ს პრინციპი

### (სამენარმეო განსჯის წესი)

Business Judgement Rule აშშ-ის პრეცედენტული სამართლის მიერ შექმნილი ინსტიტუტია, რომელიც მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს საკორპორაციო სამართალშია ინკორპორირებული<sup>464</sup>.

სამენარმეო განსჯის წესი არის „პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც დირექტორები იყვნენ ინფორმირებულნი ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღების დროს, მოქმედებდნენ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით და გონივრულად სწამდათ, რომ მათი ეს მოქმედება კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობდა“<sup>465</sup>. მიჩნეულია, რომ აღნიშნული წესი არის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაცვის მტკიცე გარანტი. თუ მხარე გაასაჩივრებს დირექტორების მოქმედებას, გულმოდგინების მოვალეობის შესაძლო

<sup>461</sup>იხ.: Kubota D., Due diligence and commercial transaction - Advanced Corporate Business Transactions, 2009, Ontario, 28.

<sup>462</sup> იხ.: Emanuel S., Emanuel L., Corporations, Aspen Publishers Online, New York, 2009, 25-31;

ასევე, იხ.: სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება, საქართველოს სახალხო დამცველი, 04/11/2019, 4. [shorturl.at/bcJMU](http://shorturl.at/bcJMU); ასევე, იხ.: Pepsi-Cola Metro. Bottling Co. v. Checkers, Inc., 754 F.2d 10 (1st Cir. 1985).

<sup>463</sup>იხ.: ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, სამართალი, 2006, 199.

<sup>464</sup> იხ.: Gurrea-Martinez, Re-Examining the Law and Economics of the Business Judgment Rule: Notes for its Implementation in Non-US jurisdictions, Working Paper Series, 2017, 5.

<sup>465</sup> იხ.: Aronson v. Lewis, 473 A.2d 805 (Del. 1984): „It is a presumption that in making a business decision the directors of a corporation acted on an informed basis, in good faith and in the honest belief that the action taken was in the best interests of the company“. ასევე, იხ.: მაისურაძე დ., სამენარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მაგალითზე), საკორპორაციო სამართლის კრებული, თბილისი, 2011, 109.

დარღვევასთან დაკავშირებით, მას სასამართლოში სამეწარმეო განსჯის წესის გადალახვა მოუწევს, რომელიც დირექტორების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფორმალურ მხარეს იცავს<sup>466</sup>. იგივე განმარტება გააკეთა დელავერის საკანცელარიო სასამართლომ (*Court of Chancery*)- Robinson-ის საქმეში განმარტა, რომ *დირექტორების გადაწყვეტილება დაცულია პრეზუმფციით, რომ მისი მიღებისას ისინი მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, იმ რწმენით, რომ მათი მოქმედება კორპორაციის საუკეთესო ინტერესებში შედის*<sup>467</sup>. სასამართლომ ანალოგიური განმარტება გააკეთა Davis-ის საქმეში<sup>468</sup>. ფილციური ვალდებულებების დარღვევის გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად წოდებული *Business Judgment Rule*-ის პრინციპი აშშ-ის სამართალში დირექტორთა ფილციური პასუხისმგებლობისაგან დაცვის საშუალებად სახელდება<sup>469</sup>.

*Business Judgment Rule* კომპანიის წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის სტანდარტზე და აქედან გამომდინარე, მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე პირდაპირ გავლენას ახდენს. ამიტომ, სასამართლოების მხრიდან ამ წესის სწორად გამოყენება ბიზნესის განვითარებასთან პოზიტიურ კორელაციაშია<sup>470</sup>. აღნიშნული პრინციპის თანახმად, დირექტორს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რაც ისეთმა შეცდომამ გამოიწვია, რომელიც ნებისმიერ გულმოდგინე დირექტორსაც შეიძლებოდა მოსვლოდა. პასუხისმგებლობის საფუძვლია მხოლოდ ბრალეული, მცდარი გადაწყვეტილება<sup>471</sup>. შესაბამისად, სამეწარმეო განსჯის წესი კრძალავს დირექტორთა პირად პასუხისმგებლობას, თუკი კომპანიისთვის დამდგარი ზარალი თუნდაც მცდარი, წამგებიანი გადაწყვეტილებით დადგა, მაგრამ მას უხეში გაუფრთხილებლობა (*gross negligence*) ან განზრახვა არ ახლდა თან<sup>472</sup>.

საქართველოს სახალხო დამცველი სასამართლო მეგობრის (*Amicus Curiae*) მოსაზრებაში მიუთითებს იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებულ მიდგომას, რომ: „*სამეწარმეო გადაწყვეტილება სამომავლო ვარაუდთან დაკავშირებული*

<sup>466</sup>იხ.: ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, სამართალი, 2006, 219.

<sup>467</sup>იხ.: *Robinson v. Pittsburgh Oil Refinery Corp.*, Del. Ch., 126 A. 46 (1924).

<sup>468</sup>იხ.: *Davis v. Louisville Gas Electric Co.*, 16 Del. Ch. 142 A. 654. (1928).

<sup>469</sup> იხ.: *The Delaware Law of Corporations & Business Organizations Statutory Deskbook*, New York, "Aspen Publishers", 2010, 135; O'Kelley R.T., Thompson B., *Corporations and other business associations/Cases and Materials*, third edition – Aspen Law&Business, New York, 1999, 261.

<sup>470</sup>იხ.: ზურაბიანი ლ., *Business Judgment Rule*-ის არსი, ფუნქციები და რეცეფცია საქართველოს საკორპორაციო სამართალში, 2020, 23.

<sup>471</sup>იხ.: Andenas M., Wooldridge F., *European Comparative Company Law*, Cambridge University Press, Cambridge, 2009, 486- 487.

<sup>472</sup>იხ.: Andenas, M., & Wooldridge, F. (2009). *European comparative company law*. Cambridge, UK; New York: Cambridge University Press. 486- 487. ასევე, იხ.: სასამართლოს მეგობრის (*Amicus Curiae*) მოსაზრება, საქართველოს სახალხო დამცველი, 04/11/2019, 7.

მენეჯერული გადაწყვეტილება, რასთან დაკავშირებითაც დირექტორები ფართო დისკრეციით სარგებლობენ. თუ სამენარშეო გადაწყვეტილების მიღებისას დირექტორს გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ სათანადო ინფორმაციის საფუძველზე და სანარშოს საკეთილდღეოდ, გააზრებული რისკის განვების აუცილებლობით მოქმედებდა, მას საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობა არ დაეკისრება<sup>473</sup>.

ვალდებულებისაგან გათავისუფლების ეს პრინციპი მოქმედებს მართლ დირექტორების გადაწყვეტილებაზე; სამეთვალყურეო, საკონტროლო გადაწყვეტილებებს იგი არ შეეხება<sup>474</sup>. აღნიშნულის მოტივად უნდა დასახელდეს ის ფაქტორი, რომ ე.წ. ბიზნეს-გადაწყვეტილება გარკვეულ კომერციულ რისკებზეა დამოკიდებული და რომელსაც ხსენებული პრინციპი იცავს, მხოლოდ ხელმძღვანელის მიერ მიიღება.

### • დირექტორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

აშშ-ის სამართალში კორპორაციული მართვის დროს წარმოშობილი პასუხისმგებლობის საკითხები, გარდა პრეცედენტული სამართლისა, წესრიგდება *The Sarbanes Oxley-ს* აქტით, ხოლო მისი ახლებური რეგულაცია მოცემულია *The Dodd-Frank Act-შიც*<sup>475</sup>. გერმანიაში კი, ხსენებული საკითხები, ძირითადად სააქციო კანონით განისაზღვრება<sup>476</sup>. იმის მიუხედავად, პირმა გამოიჩინა თუ არა დაუდევრობა, გულისხმიერების ფიდუციური მოვალეობის კონტექსტში დირექტორის გადაწყვეტილების შინაარსობრივი კონტროლი არ უნდა განხორციელდეს სასამართლოს მხრიდან. აღნიშნულ ორგანოს არ უნდა შეეძლოს იმაზე მსჯელობა ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი მსგავს შემთხვევაში, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდა<sup>477</sup>. ჩაურევლობის დოქტრინის მაგალითს წარმოადგენს აშშ-ის ფედერალური სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Shlensky v. Wrigley*. მოცემულ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ იგი ვერ ჩაერევა მენეჯმენტის საქმიანობაში, თუკი ცალსახად არ დადგინდება რომ ადგილი აქვს თაღლითობას, ქონების მითვისებას ან სხვა მსგავს მოქმედებას დირექტორის მხრიდან. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებით ისინი არ ადასტურებდნენ დირექტორის გადაწყვეტილების სისწორეს, რადგან მოცემული

<sup>473</sup>იხ.: სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება, საქართველოს სახალხო დამცველი, 04/11/2019, 7. ასევე, დამატებით იხილეთ: ჯუღელი გ., (2010). კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 112.

<sup>474</sup>იხ.: Andenas M., Wooldridge F., European Comparative Company Law, Cambridge University Press, Cambridge, 2009, 312-314.

<sup>475</sup>იხ.: The Sarbanes-Oxley Act (SOX), Congress of USA, 2002.

<sup>476</sup>იხ.: Dodd-Frank Act, Congress of USA, 5/01/2010.

<sup>477</sup>იხ.: ohnson, The Modest Business Judgment Rule, the Business Lawyer, Vol. 55, 2000, 636.

საკითხი სცდება მათ იურისდიქციას<sup>478</sup>. თუმცა, საკორპორაციო სფერო სისხლისამართლებრივ კონტროლსაც ექვემდებარება და სამეწარმეო სფეროში ჩადენილ არამართლზომიერ ქმედებათა ნაწილი საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად მიიჩნევა. მათ შორის, აღსანიშნია, მითვისებისა და გაფლანგვის მუხლი<sup>479</sup>, რომელიც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლება და მასში მოიაზრება სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება იმყოფებოდა მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში. რადგან საზოგადოების ხელმძღვანელების მართლზომიერ მფლობელობაში მყოფად ითვლება საზოგადოების აქტივები, რომლებიც საზოგადოების და, ამასთან, ფართო გაგებით, მისი პარტნიორები საკუთრებად ითვლება, ამ ქონების მითვისება ან გაფლანგვა შეიძლება დაკვალიფიცირდეს დანაშაულად. იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორს სწამს, რომ კორპორაციის სასარგებლოდ მოქმედებს, იგი სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ დაექვემდებარება, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედება თავისთავად არის დანაშაული<sup>480</sup>.

ამერიკის შეერთებული შტატების საკორპორაციო-სამართლებრივი სისტემის კვლევის შედეგებიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი მაღალი სტანდარტით იცავს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელის/დირექტორის საქმიანობას. აღნიშნული მოსაზრება მტკიცდება იმითაც, რომ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს და აქვეყნებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის მიხედვითაც, პროკურორმა სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში უნდა მიიღოს, ხომ არ არსებობს სისხლისამართლებრივი დევნის ადეკვატური ალტერნატივა (სამართალწარმოება)<sup>481</sup>. ასეთ ერთ-ერთ ალტერნატივად, შეიძლება მივიჩნიოთ სამოქალაქო სამართალწარმოება და, შესაბამისად, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რასაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც იცნობს<sup>482</sup>. ამასთან, თუ დირექტორმა დაარღვია ფიდეუციური ვალდებულებები და გადააბიჯა უფლებამოსილებას ან არასათანადოდ შეასრულა საკუთარი მოვალეობა, სანარმოს აქციონერებს და კრედიტორებს, არაკეთილსინდისიერი ქმედებისაგან თავდასაცავად, გამჭოლი პასუხისმგებლობის მექანიზმით (*piercing the corporate veil*) ისედაც აქვთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის

<sup>478</sup>იხ.: Shlensky v. Wrigley, 237 N.E.2d 776 (Ill. App. Ct. 1968); Bainbridge, The Business Judgment Rule as Abstention Doctrine, Vanderbilt Law Review, Vo. 57, 2002, 87.

<sup>479</sup>იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი. shorturl.at/gBFIR.

<sup>480</sup>იხ.: სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება, საქართველოს სახალხო დამცველი, 04/11/2019, 7. ასევე, დამატებით, იხ.: R v Seager and Blatch [2009] EWCA Crim 1303.

<sup>481</sup>იხ.: U.S. Attorney's Manual. Principles of Federal Prosecution, §9-27.220.

<sup>482</sup>იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის Nას-306-291-2016 განჩინება.

უფლება უშუალოდ დირექტორისგან, რაც ეროვნულ სამართალშიც დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

## ეროვნული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა

კორპორაციული მართვის ელემენტების ცალკეული საკითხები ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ, განსაზღვრულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლით, რომლის თანახმად, სამენარმეო საზოგადოების მმართველი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ბრუნავდნენ ისე, როგორც ბრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისთვის სოლიდარულად აგებენ პასუხს საზოგადოების წინაშე<sup>483</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი სპეციალური კანონითაა მონესრიგებული. საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანთან მიმართებით დირექტორის ბრალეულობა უნდა შემოწმდეს არა დელიქტიდან წარმოშობილი ვალდებულების მარეგულირებელი ნორმებით, არამედ სამენარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის დამდგენი სპეციალური ნორმებით - „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>484</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან; კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე იგი მიუთითებს, რომ: „*ბრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოვების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან*“<sup>485</sup>. გარდა ამისა, რაც შეეხება დირექტორის

<sup>483</sup>იხ. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილი. [shorturl.at/egmMV](http://shorturl.at/egmMV)

<sup>484</sup>იხ.: მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი. [shorturl.at/egmMV](http://shorturl.at/egmMV).

<sup>485</sup>იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის №ს-1158-1104-2014 განჩინება. ასევე, შეგიძლიათ იხილოთ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის №ს-687-

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრების მიხედვით, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა იცნობს ისეთ საქმეებსაც, სადაც საწარმოს დირექტორს, პირდაპირი მნიშვნელობით, სახლში მიჰქონდა საწარმოს ქონება. ამ საქმეში მას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა, რაც ლოგიკურია, რადგან ასეთ შემთხვევებში კრედიტორთა ან აქციონერთა დასაკმაყოფილებლად ოპტიმალური პროცესი სწორედ სამოქალაქო სამართალწარმოებაა“<sup>486</sup>.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა კორპორაციული მართვისას წარმოშობილ სადავო სამართალურთიერთობებზე მწირია და, უმეტესად, არსებულიც სრულყოფილად არ შეესაბამება საერთაშორისოდ დამკვიდრებულ წესებს, ქართულ კანონმდებლობაში, არასისტემატიზებული სახით, მაგრამ მაინც არსებობს ცალკეული პრინციპების ამსახველი დებულებები. ასევე, რამდენიმე საქმეზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები და დადგენილი პრაქტიკა, რაც თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

## სასამართლო მონიტორინგის მიზნეუბი

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორი აკვირდება ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის ყველა სასამართლო სხდომას<sup>487</sup>. ჭერჯერობით, სასამართლო პროცესებზე, ფორმალურად, დაცულია მხარეთა თანასწორობისა და შეჭობრებითობის პრინციპი. მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად დააყენონ შუამდგომლობები და გამოხატონ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე.

სასამართლო სხდომების დაკვირვებიდან, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ გამოკვეთილია მოცემული საქმის სპეციფიურობა - საქმე ეხება კერძო საწარმოს დირექტორისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას არამომგებიანი ხელშეკრულების დადების და ნაკლები შემოსავლის მიღების გამო. ამასთან, სასამართლო სხდომებზე ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სატელევიზიო კომპანიის მართვისა და სარეკლამო ბაზრის თავისებურებების, ასევე კერძო კომპანიაში შემოსავლის გამოთვლის წესთან დაკავშირებულ საკითხებზე. გარდა ამისა, სხდომებზე განიხილება და მოწმეები იკითხებიან 2019 წლის 27 თებერვალს, შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსსა“ და შპს „პროესკო მედიას“ შორის გაფორმებულ

658–2016 განჩინება; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 15 ოქტომბრის №2/27045–18 განჩინება.

<sup>486</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის №ს-306-291-2016 განჩინება.

<sup>487</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიშები: (1) არსებითი განხილვა: 1.02.2020; 13:14-17:25 საათი; (2) არსებითი განხილვა: 21.02.2020; 12:04-13:06 საათი; (3) არსებითი განხილვა: 05.03.2020; 14:13-17:20 საათი; (4) 09.03.2020; 14:11-15:45; (5) 11.03.2020; 15:14-17:30 საათი.



ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც, ბრალდების მხარის მტკიცებით, ავტომანქანა Porche Macan S (ღირებულებით 76 700 ევრო) ნიკა გვარამიასა და მისი ოჯახის ფაქტობრივ საკუთრებაში გადავიდა, ხოლო ფორმალურ მესაკუთრედ შპს „პროექსკო მედია“ დაფიქსირდა. მეორე დღეს კი, შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსსა“ და შპს „პროექსკო მედიას“ შორის, გაფორმდა სარეკლამო მომსახურებაზე ხელშეკრულება 76 700 ევროს ღირებულებით, რომლის ფარგლებშიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში რეკლამის განთავსება შეთანხმებისამებრ ხდებოდა - შეღავათიან/დაბალ ფასად. გარდა ზემოაღნიშნულისა, გენერალური პროკურატურის მტკიცებით, 2019 წლის 28 მარტს, შპს „თეგეტა მოტორსსა“ და შპს „პროექსკო მედიას“ შორის დაიდო კიდევ ერთი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში რეკლამის განთავსება, შეთანხმებისამებრ, ხდებოდა შეღავათიან/დაბალ ფასად, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებოდა ტელეკომპანიას<sup>488</sup>. სასამართლო სხდომებზე განიხილება სხვა ბრალდებებთან (უძრავ ქონებებთან) დაკავშირებული საკითხებიც.

საქართველოს პროკურატურის მიერ, ნიკა გვარამიას მიმართ წარდგენილი ბრალდების შინაარსი - შპს „სამაუნწყებლო ტელეკომპანია რუსთავი 2“-ის დირექტორობის პერიოდში მის მიერ მიღებული სამენარმეო გადაწყვეტილების არამომგებიანობაზეა დაფუძნებული. საწარმოსთვის არამომგებიანი ხელშეკრულების დადება და მაქსიმალური თანხის არმიღება, პროკურატურის პოზიციით, დამამძიმებელ გარემოებაში „ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვას“ წარმოადგენს (სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი)<sup>489</sup>.

*წინამდებარე სისხლის სამართლის საქმეში, განსახილველი ქმედება (ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მისაღები შემოსავლის განსაზღვრა) პროკურატურის მიერ მიჩნეულია დანაშაულად.* პროკურატურის პოზიციით, აღნიშნული თავისთავად წარმოადგენს დანაშაულს, რადგან დირექტორს მეტი შემოსავლის მოტანა შეეძლო კომპანიისთვის და ეს შემოსავალი არ მიიღო<sup>490</sup>. აქვე, აღსანიშნია ისიც, რომ, ბრალდების თანახმად, დირექტორის მიერ უფლებამოსილების გამოყენება არ ყოფილა წინაპირობა სხვა დანაშაულის ჩასადენად, რაც მეტ კითხვას აჩენს განსახილველი ქმედების სისხლის სამართლის სფეროში მოქცევასა და, პოტენციურად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამენარმეო განსჯის წესი კრძალავს დირექტორთა პირად

<sup>488</sup>ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში: *არსებითი განხილვა: 05.03.2020; 14:13-17:20 საათი.*

<sup>489</sup>იხ.: იხ.: საქართველოს გენერალური პროკურატურის განცხადება: [shorturl.at/clzC4](http://shorturl.at/clzC4).

<sup>490</sup>იხ.: სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება, საქართველოს სახალხო დამცველი, 04/11/2019, 9.

პასუხისმგებლობას, თუკი კომპანიისთვის ზარალი თუნდაც მცდარი, წამგებიანი გადაწყვეტილებით დადგა, მაგრამ მას უხეში გაუფრთხილებლობა (*gross negligence*) ან განზრახვა არ ახლდა თან<sup>491</sup>. ამასთან, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სასამართლო ვერ ჩაერევა მენეჯმენტის საქმიანობაში, თუკი ცალსახად არ დადგინდება, რომ ადგილი აქვს თაღლითობას, ქონების მითვისებას ან სხვა მსგავს მოქმედებას დირექტორის მხრიდან, რაც წინამდებარე საქმეში არ იკვეთება. ამასთან, აშშ-ის ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებით ისინი არ ადასტურებდნენ დირექტორის გადაწყვეტილების სისწორეს, რადგან მოცემული საკითხი სცდება მათ იურისდიქციას<sup>492</sup>. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, თუ რამდენად მიაჩნდა გენერალურმა პროკურატურამ საფუძვლიანი მნიშვნელობა ბრალდებულის წინააღმდეგ წარმოდებული სისხლის სამართლის საქმის გადამწყვეტ გარემოებებს და სისხლისამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ამ ასპექტებს შეეძლო თუ არა გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონოდა განსახილველი ქმედების სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნევისა და პირის სავარაუდო ბრალეულობის განსაზღვრაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, დანაშაულის ცნების შეფასებისას მხედველობაში მიღებული უნდა იყოს სხვადასხვა ასპექტი. ყველაზე გადამწყვეტია ის სამართლებრივი სიკეთე, რომლისკენაც არის მიმართული დებულება, რომელიც კონკრეტული ქმედებისათვის სასჯელს აწესებს. ქმედების სისხლისამართლებრივი ბუნების მაჩვენებელია თუ დებულებები პირდაპირ არის საზოგადოებისაკენ მიმართული (სულ მცირე პოტენციურად)<sup>493</sup>. წინამდებარე საქმეში, საქმე გვაქვს კერძო კომპანიასთან, რომლის საქმიანობაც მეტი მოგების მიღებისკენაა ორიენტირებული. ამასთან, აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზეც, რომ, დაცვის მხარის განცხადებით, დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეთანხმებული და მოწონებული იყო აქციონერთა მიერ. მაგალითად, აშშ-ში პასუხისმგებლობისაგან გათავსუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს როგორც აქციონერების (*shareholder approval*), ისე საბჭოს დანარჩენი წევრების მიერ დირექტორთა ქმედებების მოწონება<sup>494</sup>.

საქართველოს სახალხო დამცველი, სასამართლო მეგობრისმოსაზრებაში მიუთითებს, რომ დამნაშავედ ცნობისთვის აუცილებელია, დირექტორს შეცნობილი ჰქონდეს, რომ დანაშაულს სჩადის, მის მიერ ჩადენილი ქმედება თავისთავად უნდა

<sup>491</sup>იხ.: Andenæs, M., & Wooldridge, F. (2009). *European comparative company law*. Cambridge, UK; New York: Cambridge University Press. 486- 487

<sup>492</sup>იხ.: *Shlensky v. Wrigley*, 237 N.E.2d 776 (Ill. App. Ct. 1968); Bainbridge, *The Business Judgment Rule as Abstention Doctrine*, *Vanderbilt Law Review*, Vo. 57, 2002, 87.

<sup>493</sup>იხ.: ECtHR, 1/5/2005, *Zilliberberg v MDA*, საჩ. ნომ. 61821/00, § 34.

<sup>494</sup>იხ.: იხ.: ჭანტურია ლ., *კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში*, სამართალი, 2006, 29.

წარმოადგენდეს დანაშაულებრივს და იგი პირადი გამდიდრებით უნდა იყოს ნაკარნახები<sup>495</sup>. თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც, საკორპორაციო-სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებების გათვალისწინებით, აშშ-ის, გერმანიის სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც წესი, სისხლისსამართლებრივი დევნა საერთოდ არ იწყება, თუკი არსებობს კრედიტორთა დაკმაყოფილების ოპტიმალური ალტერნატივა - სამოქალაქო დავის სახით<sup>496</sup>. სამეწარმეო განსჯის წესის (*Business judgment rule*) თანახმად კი, დირექტორის პასუხისმგებლობა დგება ისეთი უხეში შეცდომისათვის, რომელიც ჯანსაღი გონების მქონე და ჩვეულებრივ გულმოდგინე ადამიანს არ უნდა მოსვლოდა. პასუხისმგებლობის საფუძველია მხოლოდ ბრალეული გადაწყვეტილება<sup>497</sup>. შესაბამისად, თუ სამეწარმეო საზოგადოების დირექტორს არ ჩაუდენია ბრალეული ქმედება, რომელიც ამასთან რელევანტურია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვისაც, მართლმსაჯულების ორგანოების მიერ, მსგავსი სპეციფიკის საქმეებში, ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული სადავო ქმედებების საკორპორაციო-სამართლებრივ მნიშვნელობაზე. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, Business judgement rule-ს პრინციპის ფარგლებში, საწარმოს აქციონერებს და კრედიტორებს, გამჭოლი პასუხისმგებლობის მექანიზმით, ისედაც აქვთ მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება უშუალოდ დირექტორისგან, რაც, ეროვნულ დონეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

## შეჩვენითი სამართალი

*(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრეცედენტული სამართალით დადგენილი სტანდარტი)*

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (*შემდგომში „კონვენცია“*) მე-6 მუხლი გამოიყენება როგორც „სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებთან“, აგრეთვე, სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან“დაკავშირებით. კონვენციის მე-6 მუხლის 1 პარაგრაფით განმტკიცებული გარანტიები ვრცელდება ორივე ტიპის სამართალწარმოებაზე, მაგრამ მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფი, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციას უზრუნველყოფს და მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის სხვადასხვა გარანტიები მხოლოდ

<sup>495</sup>იხ.: სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება, საქართველოს სახალხო დამცველი, 04/11/2019, 10.

<sup>496</sup>იქვე: 10.

<sup>497</sup>იხ.: Andenas M., Wooldridge F., *European Comparative Company Law*, Cambridge University Press, Cambridge, 2009, 486- 487.

სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დროს გამოიყენება. განსაკუთრებით ეს ეხება სისხლის სამართლის საქმეებს, სადაც ადამიანის უფლებების დარღვევის რისკი ყველაზე მაღალია. მე-7 მუხლი თვითნებური სისხლისსამართლებრივი დევნის, ბრალდების და მსჯავრდების წინააღმდეგ ეფექტურ გარანტიას წარმოადგენს<sup>498</sup>.

კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე შიდა სასამართლოები ვალდებული არიან, დაასაბუთონ საკუთარი გადაწყვეტილებები. სასამართლოებს არ მოეთხოვებათ ყველა შესაძლო არგუმენტზე პასუხის გაცემა. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მხარეთა მიერ დასმულ ნებისმიერ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის ვალდებულება. თუმცა, ეროვნულ სასამართლოს აქვს შეფასების გარკვეული ფარგლები, კონკრეტულ შემთხვევაში, არგუმენტების შერჩევისა და მხარეთა განაცხადების შესაბამისი მტკიცებულებების დაშვებისას, დაზარალებულ მხარეს აქვს მოლოდინი, სასამართლოსგან მიიღოს კონკრეტული და ცხადი პასუხი იმ წარდგინებების შესახებ, რომელიც გადამწყვეტია მოცემული სამართალწარმოების შედეგისთვის<sup>499</sup>.

წინამდებარე სისხლის სამართლის საქმე შეეხება ნიკა გვარამიას შპს „სამაუნცებლო კომპანია რუსთავი 2“-ში (შემდეგში „რუსთავი 2“) მუშაობის პერიოდს, სადაც ის დირექტორად 2012 წლის ნოემბერში, 2014 წლის სექტემბერში კი გენერალურ დირექტორად დაინიშნა (2019 წლის 18 ივლისამდე). ამ დროის განმავლობაში „რუსთავი 2“ საქართველოს ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკით იყო ცნობილი. ნიკა გვარამია, რომელიც ამჟამად ახლადშექმნილი ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დამფუძნებელი, დირექტორი და ყოველკვირეული პოლიტიკური შოუს წამყვანია, გამოირჩევა ხელისუფლებისადმი მკვეთრი ოპოზიციური განწყობებით. ასევე, საყურადღებოა 2019 წლის 18 ნოემბერს „მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილის, გიორგი რურუას დაკავების ფაქტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს<sup>500</sup>. მას ასევე ბრალი წარედგინა სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას გიორგი რურუა საკუთარ პოლიტიკურ პოზიციონირებას უკავშირებდა. გიორგი რურუა 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის საპროტექსტო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორი და მონაწილეა. 2020

<sup>498</sup> იხ.: *Liivik v. Estonia*, no. 12157/05, §§ 92-94, 25 June 2009, S.W. v. the United Kingdom, 22 November 1995, § 35, Series A no. 335-B, and *C.R. v. the United Kingdom*, 22 November 1995, § 33, Series A no. 335-C.

<sup>499</sup> იხ.: *Hiro Balani v. Spain*, 9 December 1994, §§ 27-28, Series A no. 303-B; *Grădinar v. Moldova*, no.7170/02, §§ 107-108, 8 April 2008; და *Gheorghe v. Romania*, no. 19215/04, §43, 15 March 2007.

<sup>500</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები და 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. <https://bit.ly/2GKiXpJ>.

წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა გიორგი რურუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მას სასჯელის სახედ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. აღნიშნული სისხლისამართლის საქმე პოლიტიკურად მოტივირებულად იქნა მიჩნეული საერთაშორისო პარტნიორების მიერ<sup>501</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ახორციელებდა გიორგი რურუას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომების მონიტორინგს, რის შედეგადაც არაერთი დარღვევა იდენტიფიცირდა, რასაც, ბრალდებულის მდგომარეობის საუარესოდ, უარყოფითი ზეგავლენა შეეძლო მოეხდინა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე<sup>502</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს არაერთი საქმე, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ, სადაც სასამართლომ პირთა მსჯავრდება სხვადასხვა მიზეზით კონვენციის მე-6 მუხლთან შეუსაბამოდ ცნო<sup>503</sup>. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმე *Tchankotadze v. Georgia*<sup>504</sup>. ამ საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა უკანონო იყო, ასევე არასამართლიანი იყო მის წინააღმდეგ მიმართული სისხლისამართლებრივი სამართალწარმოება, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევით. იგი, ასევე, დავობდა, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას და მის წინასწარ პატიმრობას, კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევით, საფუძვლად ედო არასათანადო ფარული მოტივები. სასამართლომ დაასკვნა, რომ *„ეროვნულმა სასამართლოებმა საფუძვლიანი მნიშვნელობა არ მიანიჭეს მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გადამწყვეტ გარემოებებს. ამ ასპექტებს შეეძლო, გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონოდა განმცხადებლის ბრალეულობის განსაზღვრაში“*<sup>505</sup>. ევროსასამართლომ ასევე მიუთითა, რომ: *„ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში საკმარისი საფუძვლების არარსებობით გამოწვეული მდგომარეობა დაკავშირებული იყო სასამართლოს გაოცებასთან, თუ რატომ იყო განმცხადებლის მოქმედებები - მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე საფასურის შეგროვება და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტი - მიჩნეული, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. [...] სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფარგლები - იყო გაუგებარი და*

<sup>501</sup>იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/37seofj>; ასევე, იხ.: <https://bit.ly/3hrbiKF>.

<sup>502</sup>იხ.: გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020.

<sup>503</sup> მაგალითად: *Rostomashvili v. Georgia*, no. 13185/07, 8 November 2018; *Kartvelishvili v. Georgia*, no. 17716/08, 7 June 2018 და *Bregvadze v. Georgia*, no. 49284/09, 17 January 2019.

<sup>504</sup>იხ.: საქმე *Tchankotadze v. Georgia*, no. 15256/05, § 103, 21 June 2016.

<sup>505</sup>იქვე: § 103.

შესაბამისად აპლიკანტის საზიანოდ, თვითნებურად განმარტებული ეროვნული სასამართლოების მიერ<sup>506</sup>.

ასევე, აღსანიშნია საქმე *Navalnyy and Ofitserov v. Russia*<sup>507</sup>. ნავალნი ცნობილი პოლიტიკური აქტივისტი, ოპოზიციის ლიდერი, ანტიკორუფციულ კამპანიაში ჩართული პირი და პოპულარული ბლოგერია რუსეთის ფედერაციაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ დასტურდებოდა, რომ საშუამავლო კომპანიას რამე კანონსაწინააღმდეგო მოტივი ამოძრავებდა. „კიროვლესსა“ და საშუამავლო კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულება არ დამდგარა ეჭვებში, არც ის ყოფილა დავის საგანი, რომ მხარეებს შორის ფიქტიური გარიგება შედგა, ან ფულის გათეთრებას ჰქონდა ადგილი, ან გადასახადის გადახდისგან თავის არიდებას ან ქრთამის მიცემას (*kick-back scheme*), ან რამე სხვა უკანონო ან საეჭვო მიზნის მიღწევას. ორივე მხარეს დამოუკიდებელი კომერციული ინტერესი გააჩნდა. ასევე, არ დადგინდა, რომ მხარეებმა ბოროტი განზრახვით იმოქმედეს (*bad faith*), ან კონკურენციის წესების დარღვევით. გარდა ამისა, ევროსასამართლომ რუსეთის სასამართლოები იმისთვისაც გააკრიტიკა, რომ მათ ამ საქმეში სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკური მოტივები არ გამოიკვლიეს, რაც როგორც მინიმუმ, სადავო იყო. ამდენად, სისხლის სამართალი იყო თვითნებურად და მოსარჩელების საზიანოდ განმარტებული ისე, რომ მისი განჭვრეტა იყო შეუძლებელი, რამაც პროცესი აშკარად დაუსაბუთებელ შედეგამდე მიიყვანა.

ასევე, საგულისხმოა ქართული სასამართლო პრაქტიკაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა იცნობს ისეთ საქმეებსაც, სადაც საწარმოს დირექტორს, პირდაპირი მნიშვნელობით, სახლში მიჰქონდა საწარმოს ქონება, თუმცა მას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა<sup>508</sup>. სახალხო დამცველის მოსაზრებიდან იკვთება, რომ არ არსებობს კერძო საწარმოს დირექტორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების პრეცედენტი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, რაც ნიკა გვარამიასთვის წარდგენილ ბრალის კანონიერებას ეჭვებში აყენებს.

*საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლს, რომელიც ნიკა გვარამიას წინააღმდეგ ბრალდების საფუძველს წარმოადგენს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარე, რამდენიმე მიმართულებით შეიძლება ჰქონდეს პრობლემა. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს*

<sup>506</sup>იქვე: § 108. „the situation, prompted by the absence of sufficient reasons in the decisions of the domestic courts, is that of incomprehension for the Court as to why the applicant's acts – the collection of the fee on the basis of service agreements and the sub-legislative legal act – were described as criminal at all.“

<sup>507</sup>იხ.: საქმე *Navalnyy and Ofitserov v. Russia*, nos. 46632/13 and 28671/14, 23 February 2016.

<sup>508</sup> იხ.: სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება, საქართველოს სახალხო დამცველი, 04/11/2019, 9. დამატებით, იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის Nას-306-291-2016 განჩინება.

პრაქტიკისა და სხვადასხვა სახელმწიფოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, ასევე, საერთაშორისო სტანდარტების კვლევიდან ჩანს - იგი არასდროს გამოყენებულა კერძო კომპანიის დირექტორის მიმართ, კომერციული გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

## სამართალწარმოების ხანგრძლივობა

აღსანიშნია ის ფაქტი, რომ, თავდაპირველად, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომები ინტენსიურად მიმდინარეობდა. თუმცა, ბოლოს - 2020 წლის 18 მარტს ჩანიშნული სასამართლო სხდომა გადაიღო განუსაზღვრელი ვადით<sup>509</sup>. ეს გარემოება აჩენს კითხვებს საქმის გარშემო შერჩევითი მართლმსაჯულებისა და სავარაუდო პოლიტიკური მოტივების შესახებ.

გონივრულ ვადაში გადაწყვეტილების მიღება არის არა მხოლოდ ინდივიდების უფლება, არამედ, ის მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ვალდებულებასაც, ისე გამართონ სასამართლო სისტემა, რომ დაკმაყოფილდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები.

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით, სასამართლოებმა გადაწყვეტილება „გონივრული ვადის ფარგლებში“ უნდა მიიღონ. ეს გარანტია, ერთი მხრივ, ეფექტური სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის კომპონენტია. თუმცა, სამართლიანი სასამართლოს ინდივიდუალურ გარანტიებთან დაკავშირებით პრობლემა შეიძლება წარმოიქმნას, რამდენადაც პროცედურული უფლებები მუდმივად იწვევს სამართალწარმოების პროცესის გახანგრძლივებას<sup>510</sup>. განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა შემცირდეს საქმის შედეგის შესახებ გაურკვევლობის პერიოდი. სისხლის სამართალწარმოებისას შესაბამისი დროის პერიოდი საქმის არსებით განხილვამდე იწყება, კერძოდ, სისხლის სამართლებრივი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პირველივე ეტაპიდან<sup>511</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ბრალდებულის უფლებას სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაზე. თუმცა, ამ უფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია დაცვის სათანადოდ მოსამზადებლად<sup>512</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითხოვს რეგულაციური პერიოდის დაწყებას ფორმალური პროცედურული ნაბიჯების გადადგამამდე, რათა

<sup>509</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიშები: 1.03.2020; 15:14-17:30 საათი.

<sup>510</sup> იხ.: ECtHR, 28/6/1978, König v GER, 6232/73, § 100.

<sup>511</sup> იხ.: ECtHR, 2/10/2003, Henning v AUT, 41444/98, § 32.

<sup>512</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი (სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება). <https://bit.ly/2GHUH7G>.

აღმოიფხვრას სამართალწარმოების გაჭიანურება (მაგ., მოწმეებზე ან დოკუმენტებზე მიუწვდომლობის გამო)<sup>513</sup>.

თუმცა, არ არსებობს დადგენილი წესი თუ რა ითვლება გონივრულ ვადად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გონივრული ვადის გადაჭარბებად მიიჩნევს იმ შემთხვევებს, როდესაც საქმის წარმოების ხანგრძლიობამ ერთ ინსტანციაში გადააჭარბა სამ წელიწადს, ორ ინსტანციაში ხუთ წელიწადს და სამივე ინსტანციაში ექვს წელიწადს<sup>514</sup>.

## დასკვნა

განსახილველი სადავო ქმედებების სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უცნობია, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიაჩნა თუ არა საფუძვლიანი მნიშვნელობა ბრალდებულის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გადამწყვეტ გარემოებებს. ამ ასპექტებს შეეძლო გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონოდა სადავო ქმედებების სისხლის სამართლის დანაშაულად არ მიჩნევისა და ბრალდებულის უდანაშაულობის განსაზღვრაში; ამასთან, საკითხავია, მოცემულ კორპორაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი საკითხი რამდენად შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად რელევანტური. წინამდებარე საქმეში, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფარგლები სრულიად გაუგებარია - იგი, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს მხრიდან, ბრალდებულის საზიანოდ და თვითნებურად არის განმარტებული.

დღემდე უცნობია, პროკურატურამ იმსჯელა თუ არა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული სამართლებრივი გზების გამოყენების შესახებ; ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ დირექტორის გადაწყვეტილებები შეთანხმებული და მოწონებული იყო პარტნიორებთან და აქციონერებთან და, დირექტორის გონივრული მოსაზრებით, მოკლე ან გრძელვადიანი რისკების ანალიზის შედეგად, იგი ემსახურებოდა კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს, რაც ასევე შეთანხმებული იყო ზემოაღნიშნულ სუბიექტებთან.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქმის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მკაცრად უნდა დაეცვა სამართლებრივი განსაზღვრულობისა და თვითნებობისგან დაცვის პრინციპები, რომლებიც კონვენციისა და კანონის უზენაესობის საერთო საფრთხედ მიიჩნევა. სისხლის სამართლის კანონის თვითნებურად გამოყენება კი ის შემთხვევაა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან დეტალური შემოწმების საგანი გახდება,

<sup>513</sup>იხ.: Leigh, *The Right to a Fair Trial and the European Convention on Human rights*, Weissbrodt/Wolfrum, (ed.), *The Right to a Fair Trial*, 1997, გვ. 653.

<sup>514</sup>იხ.: დოვიდას ვიტკაუსკასი და გრიგორი დიკოვი, *ევროსაბჭო, „სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად“*, თებერვალი 2012, გვ. 74.



განსაკუთრებით ოპოზიციური განწყობების მქონე და პოლიტიკურად აქტიური პირების საქმეებთან მიმართებით და შედეგად ევროპული კონვენციის მე-6 (*საქმის სამართლიანი განხილვის უფლება*)<sup>515</sup> და მე-7 (*არავითარი სასჯელი კანონის გარეშე*) მუხლის დარღვევას გამოიწვევს<sup>515</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ბრალდების შინაარსი, მისი განხორციელება დროსა და სივრცეში, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს მხრიდან განხორციელებული ქმედებები (*მათ შორის, სისხლისამართლებრივი ნორმის თვითნებური განმარტება*) და სხვა ფაქტობრივი გარემოებები, ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს შერჩევითი სამართლის შესაძლო გამოყენებაზე, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირისა და აქტივისტის წინააღმდეგ.

---

<sup>515</sup>იხ.: European Convention on Human Rights, Article 6-7. <https://bit.ly/3iOnFjs>.

# თავი

# 6

დისტანსიურ  
სამართალწარმოებასთან  
დაკავშირებული  
პრობლემები  
კორონავირუსის  
პანდემიისა და საგანგებო  
მდგომარეობის პირობებში

## შესავალი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ<sup>516</sup> მთელი მსოფლიოს საზოგადოება არაერთი სამართლებრივი, ეკონომიკური თუ სოციალური გამოწვევის წინაშე დააყენა. არსებულ ვითარებაში სამართლებრივი სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიზანს ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენს. შესაბამისად, განხორციელებული ღონისძიებები, ძირითადად, პანდემიის გავრცელების პრევენციისა და მოსალოდნელი საფრთხის მაქსიმალურად შემცირებისკენ არის მიმართული, რაც თავისთავად, დაკავშირებულია გარკვეულ შეზღუდვებთან.

პანდემიაზე სათანადო რეაგირების მიზნით, 2020 წლის 21 მარტს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით<sup>517</sup> განისაზღვრა გასაქართველები ღონისძიებები, მათ შორის - საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული იმ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალი, რომლებიც დაექვემდებარა შეზღუდვას საგანგებო მდგომარეობის ვადით. ამასთან, დეკრეტით განისაზღვრა სასამართლო სხდომების, მათ შორის - სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, დისტანციური სამართალწარმოება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისთვის სიახლე არ ყოფილა, მისი მასშტაბების გაფართოებამ მნიშვნელოვანი პრობლემა შეუქმნა სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და სასამართლო სხდომების საჯაროობის პრინციპს. ამასთან, არაერთი ტექნიკური თუ სხვა სახის პრობლემები წარმოშვა.

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ, სასამართლო პროცესები ტარდება როგორც დისტანციურად, ისე უშუალოდ სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობაში, სასამართლოს სხდომის დარბაზებში, რაც გამოწვევა გახდა ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგისთვის, რომლებიც სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის თუ ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო პროცესებს აკვირდებიან. სასამართლომ მონიტორინგს, სხვა დაინტერესებული პირების მსგავსად, ზოგიერთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პროცესებზე დასწრების შესაძლებლობა შეუზღუდა. დაინტერესებული პირების, განსაკუთრებით კი - კვალიფიციური მონიტორინგის გარეშე პროცესების ჩატარება მნიშვნელოვანი პრობლემაა, განსაკუთრებით კი - სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების

<sup>516</sup> ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 11 მარტს ახალი კორონავირუსის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა. იხ.: World Health Organization Declares COVID-19 a Pandemic: <https://bit.ly/374ldA8>.

<sup>517</sup> იხ.: საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი: <https://bit.ly/3maOmRR>.

სასამართლოს სხდომების მონიტორინგის პროცესში. მსგავსი საქმეების სასამართლო განხილვებისას, კიდევ უფრო დიდია ალბათობა, რომ სასამართლოს სისტემის გამჭვირვალობისა და პროცესის საჯარო ხასიათის შეზღუდვით, მართლმსაჯულება განხორციელდეს ფარულად, საზოგადოების კონტროლის გარეშე, რაც სასამართლოსადმი და მის მიერ ასეთი ტიპის საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებებისადმი საზოგადოების ნდობის კიდევ უფრო მეტად შემცირებას გამოიწვევს.

## გეოლოგია

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2020 წლის 1-ლი თებერვლიდან ახორციელებს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სასამართლო პროცესების მონიტორინგს, რის შემდეგაც ანგარიშები მზადდება უშუალოდ სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს 3 სასამართლო მონიტორი, რომლებმაც სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ სპეციალური ტრენინგი გაიარეს. საწყის ეტაპზე შემუშავდა კითხვარი სასამართლო მონიტორინგისათვის. სასამართლო მონიტორები ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ აფიქსირებენ მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც აჯამებს და ანალიტიკური დოკუმენტებისთვის, ასევე - ანგარიშებისთვის იყენებს ანალიტიკოსი იურისტი.

დღეისათვის, მონიტორინგი მოიცავს 24 სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სასამართლო პროცესებს. როგორც უშუალოდ სხდომათა დარბაზში, ისე დისტანციურად მიმდინარე პროცესების დროს, ორგანიზაციის დამკვირვებლები იყენებენ სპეციალურად ამ მიზნით შედგენილ კითხვარებს.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, სასამართლო მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით შეფასდეს, რა გავლენა მოახდინა COVID19-ის პანდემიამ სასამართლოს საქმიანობაზე, საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით.

## საკანონმდებლო მიმოხილვა

COVID-19-ის ვირუსული ინფექციისაგან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის განსაკუთრებულმა საჭიროებამ განაპირობა ადამიანის უფლებების მასობრივი შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ მყისიერი გადაწყვეტილებების მიღების გზით, საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე.

არც საქართველოს კონსტიტუცია<sup>518</sup>, არც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი<sup>519</sup>, არც „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“<sup>520</sup> ან „საომარი მდგომარეობის შესახებ“<sup>521</sup> საქართველოს კანონები ამომწურავად არ ითვალისწინებენ საკითხებს, რომლებიც შესაძლებელია, დარეგულირდეს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით. გამონაკლისის სახით არსებული ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საუბარია დეკრეტის შინაარსსა და პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრაზე, არის საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრული უფლებების შეზღუდვა, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოთვლის კონკრეტულ მუხლებს, რომელთა შემზღვევის უფლებამოსილებაც აქვს პრეზიდენტს დეკრეტით.

საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წარდგინებით კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის შესაძლებლობას<sup>522</sup>. კანონის მსგავსად, საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტის დეკრეტით დასაშვებია, მოწესრიგდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფერო, მათ შორის, დროებით იყოს გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებული წესები.

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტით, კორონავირუსის პანდემიისგან მომდინარე საფრთხეების გამო, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და შეიზღუდა მთელი რიგი სამოქალაქო უფლებები<sup>523</sup>. დეკრეტით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 (ადამიანის თავისუფლება), მე-14 (მომოსვლის თავისუფლება), მე-15 (პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები), მე-18 (სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები), მე-19 (საკუთრების უფლება), 21-ე (შეკრების თავისუფლება) და 26-ე (შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მენარმეობის თავისუფლება) მუხლებში მითითებული უფლებები.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით განისაზღვრა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების

<sup>518</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუცია: <https://bit.ly/36bq63h>.

<sup>519</sup> იხ.: „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი: <https://bit.ly/33kzFEc>.

<sup>520</sup> იხ.: „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“: <https://bit.ly/39sLFY6>.

<sup>521</sup> იხ.: „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი: <https://bit.ly/3oeAAhR>.

<sup>522</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტი: <https://bit.ly/36bq63h>.

<sup>523</sup> იხ.: საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი, მუხ. 7. <https://bit.ly/39mZ0BA>.

გამოყენებით, რისი იმპლემენტაციისათვის შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში<sup>524</sup>. ასევე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეკომენდაციების პაკეტი<sup>525</sup>, რომელიც მიზნად ისახავს პანდემიის დროს მართლმსაჯულების უსაფრთხო განხორციელების ხელშეწყობას.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით განსაზღვრული დროებითი წესის ამოწურვის შემდეგ (2020 წლის 21 აპრილი), სისხლის სამართლის პროცესში არ არსებობდა პროცესის მთლიანად დისტანციურად გამართვის საკანონმდებლო საფუძველი. სწორედ ამიტომ, 2020 წლის 22 მაისს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და საქართველოს საერთო სასამართლოებს მიენიჭათ უფლებამოსილება, 2020 წლის 15 ივლისამდე სასამართლო სხდომები დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაეტარებინათ<sup>526</sup>. აღნიშნულის შემდეგ, სასამართლო პროცესები ტარდება როგორც დისტანციურად, ისე უშუალოდ სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობაში, სასამართლოს სხდომის დარბაზებში. მოცემულ შემთხვევაში, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2020 წლის 21 მარტს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შემდეგ, საქართველოს პარლამენტს, ფაქტობრივად, არ განუხორციელებია საპარლამენტო კონტროლი და ადამიანის უფლებათა შემზღვევის პროპორციულობაზე საერთოდ არ უმსჯელია<sup>527</sup>. საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, დისტანციური სასამართლო სხდომების ჩატარება დროით არის შემოსაზღვრული და კოდექსის 332<sup>5</sup>-ე მუხლი ადგენს მხოლოდ 2021 წლის 1 იანვრამდე სასამართლო სხდომების გამართვის დროებით წესს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პარლამენტის რეგლამენტი სასესიო პერიოდში თვეში, მინიმუმ, ორჯერ ავალდებულებს კომიტეტს, ჩაატაროს სხდომა<sup>528</sup>. რეგლამენტი არ მიუთითებს საგანგებო სესიის განმავლობაში განსხვავებულ მოწესრიგებაზე.

2020 წლის 10 ივნისს, ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულმა კომისიამ (CEPEJ) შეიმუშავა დეკლარაცია - „მართლმსაჯულების სისტემის გამოცდილებები და გამოწვევები პანდემიის დროს და მისი დასრულების შემდეგ“<sup>529</sup>. კომისიის შეფასებით, პანდემიური კრიზისის არსებობა ვერ გაამართლებს სასამართლო სისტემების შეფერხებას ან სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. ამავდროულად, კრიზისის დასრულების შემდეგაც კი, სასამართლო სისტემები მომზადებული უნდა შეხვდნენ პანდემიის ახალ მოსალოდნელ ტალღებს.

<sup>524</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი: <https://bit.ly/3I9QnfG>.

<sup>525</sup> იხ.: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის N1 რეკომენდაცია: <https://bit.ly/2E0tll9>.

<sup>526</sup> იხ.: საქართველოს 2020 წლის 22 მაისის N5973-სს კანონი: <https://bit.ly/33kK9Ua>.

<sup>527</sup> იხ.: "საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე შემზღვედავი ღონისძიებების განხორციელება არაკონსტიტუციურია": <https://bit.ly/39mRUge>.

<sup>528</sup> იხ.: საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მუხლი 34, პუნქტი 1. <https://bit.ly/36aB7uK>.

<sup>529</sup> იხ.: The European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Declaration of Lessons Learned and Challenges Faced by the Judiciary During and After Covid Pandemic: <https://bit.ly/39kendV>.

2020 წლის 15 სექტემბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საერთო სასამართლოებისთვის რეკომენდაციები კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რითაც განისაზღვრა პროცესის მონაწილეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობა დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. აღნიშნული რეკომენდაცია მოქმედებს მის გაუქმებამდე<sup>530</sup>.

## სამართლიანი სასამართლოს უფლება

*(სასამართლო სხდომების საჯაროობა)*

დემოკრატიულ სახელმწიფოში განუზომლად დიდია მართლმსაჯულების განხორციელებაზე, განსაკუთრებით კი სასამართლო სხდომებსა და მიღებულ აქტებზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის მნიშვნელობა<sup>531</sup>. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობას, განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლი. ხალხს უნდა შეეძლოს ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგნად აქციოს და შეაფასოს სასამართლოს თითოეული გადაწყვეტილება, მასში გაკეთებული განმარტება და დადგენილება. საზოგადოებრივი კონტროლი ხელისუფლების იმ შტოს მიმართ, რომელიც სხვა შტოებისგან დამოუკიდებლად ახორციელებს საქმიანობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საზოგადოების ინფორმირების საშუალებით შესაძლებელია, თავიდან იქნეს აცილებული დახურულ კარს მიღმა მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღება და სასამართლო, როგორც ხელისუფლების შტო, შესაბამისი კონსტიტუციური ჩარჩოების გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული იყოს საზოგადოების წინაშე<sup>532</sup>.

საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტის დეკრეტით სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვას. შესაბამისად, ფორმალურად გაუმართლებელია ზემოაღნიშნული ღონისძიების დაწესება დეკრეტით. სწორედ ამიტომ, განსხვავებით სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით სამართლიანი სასამართლოს უფლება ცალკე არ შეზღუდულა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დეკრეტის მე-7 მუხლში ჩაინერა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომები

<sup>530</sup> იხ.: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 15 სექტემბრის რეკომენდაციები: <https://bit.ly/3mgsfJH>.

<sup>531</sup> იხ.: „ზოგადი კომენტარი No.32, მუხლი 14: სასამართლოების წინაშე თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება“, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი, გაეროს დოკუმენტი U.N. Doc. CCPR/C/GC/32, 9 - 27 ივლისი 2007, პარ. 28. <https://bit.ly/3o2qvjv>.

<sup>532</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/693,857, 2019 წლის 7 ივნისი. <https://bit.ly/39nzADI>.

შესაძლებელი იქნებოდა, გამართულიყო დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით<sup>533</sup>. იუსტიციის უმაღლესი საბჭო კი, 2020 წლის 15 სექტემბრის რეკომენდაციებით მიმართავს საერთო სასამართლოებს, უზრუნველყონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა და პროცესის მონაწილეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობა დისტანციურად. მოცემული საკანონმდებლო ცვლილებებითა და რეკომენდაციებით კი, მნიშვნელოვნად შეიზღუდა სხდომათა საჯაროობა და საფრთხის ქვეშ დადგა მხარეთა სამართლიანი სასამართლოს უფლება. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ როგორც დისტანციურად, ისე სასამართლო სხდომის დარბაზში დასწრებაც, ხშირად, მხოლოდ მას შემდეგ იყო შესაძლებელი, რაც ოფიციალურად, განცხადებით მიმართავდა ორგანიზაციის სასამართლო მონიტორი საქმის განხილველ მოსამართლეს და ითხოვდა პროცესზე დასწრებას<sup>534</sup>.

ცალკეულმა მოსამართლეებმა ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორებს დაუსაბუთებლად უთხრეს უარი როგორც უშუალოდ სასამართლოს სხდომის დარბაზში, ასევე დისტანციურ სასამართლო პროცესებზე დასწრებაზე, რომლებზეც სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ პირთა სისხლის სამართლისა და საპროცესო აქციებზე დაკავებულ პირთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განხილვებოდა.

მაგალითად, 2020 წლის 23 მარტს ადგილი ჰქონდა პირველ შემთხვევას, როდესაც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორს არ მიეცა შესაძლებლობა, დასწრებოდა სასამართლო სხდომას მაშინ, როდესაც სასამართლო სხდომის დარბაზში იმყოფებოდნენ მხარეები და მედიის წარმომადგენლები<sup>535</sup>. გარდა ამისა, 2020 წლის 2 აპრილის სასამართლო სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ლაშა ჩხიკვაძემ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორი არ დაუშვა პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესზე. ამის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა<sup>536</sup> და შემდგომში კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე

<sup>533</sup> იხ.: საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი, მუხ. 7. <https://bit.ly/39mZ0BA>.

<sup>534</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლოს მონიტორის მიერ, ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის სისხლის სამართლის საქმეებზე მომზადებული მონიტორინგის ანგარიშები; *არსებითი განხილვა*: 19.05.2020; ასევე, მონიტორის ანგარიში ლაშა ჩხარტიშვილის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე; *არსებითი განხილვა*: 10.06.2020 და მონიტორინგის ანგარიში გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმეზე; *არსებითი განხილვა*: 25.06.2020.

<sup>535</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლოს მონიტორის მიერ, ბესიკ თამლიანის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე მომზადებული მონიტორის ანგარიში; *არსებითი განხილვა*: 31.03.2020.

<sup>536</sup> იხ.: განცხადება: ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეების სასამართლო პროცესების დახურვას აპროტესტებს. <https://bit.ly/36bzDjS>.



მართლმსაჯულებისათვის“ გაავრცელეს განცხადებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში საერთო სასამართლოებში პროცესების დახურვისა და სხვა სახის ხარვეზების თაობაზე და მოუწოდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საერთო სასამართლოს თავმჯდომარეებს, სასამართლოებში საქმეთა განხილვის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე მოეხდინათ მყისიერი რეაგირება, რათა არ დარღვეულიყო სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი - საჯაროობის პრინციპი და სრულად არ შეზღუდულიყო პროცესების საჯაროობის უზრუნველყოფა<sup>537</sup>.

2020 წლის 16 აპრილს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა იგივე საკითხზე წერილობით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პასუხიდან გაირკვა, რომ სასამართლოების პრაქტიკა და საბჭოს მიდგომა ერთმანეთს არ ემთხვეოდა. კერძოდ, საბჭომ ადამიანის უფლებათა ცენტრს განუმარტა, რომ სასამართლო სისტემა მოკლებული იყო შესაძლებლობას, დისტანციურ პროცესებში ჩაერთო სასამართლო მონიტორები. ეს მაშინ, როდესაც, რიგ შემთხვევებში, სასამართლოს თანხმობით, მონიტორები ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს, დისტანციურად. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულყოფილად არ ფლობდა პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციას<sup>538</sup>.

კორონავირუსის ინფექციის გავრცელების პრევენციის დასახელებითა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 15 სექტემბრის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, 16 სექტემბერს ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე ე.წ. ამირან (ბუტა) რობაქიძის სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორს, მიუხედავად დასწრების შესახებ განცხადებით წინასწარ მიმართვისა, მონიტორინგის უფლება არ მისცა. თუმცა, 2020 წლის 2 და 13 ოქტომბერს, ამავე სისხლის სამართლის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესებზე ცენტრის მონიტორს, მოსამართლის თანაშემწესთან სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად, შესაძლებლობა მიეცა, განეხორციელებინა სასამართლო სხდომის მონიტორინგი. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსამართლის თანაშემწემ, 13 ოქტომბერს გამართულ სასამართლო პროცესზე, ორგანიზაციის მონიტორს განუცხადა, რომ ამ ეტაპზეც ერთჯერადად დაასწრებდა, ხოლო შემდგომ სასამართლო პროცესებზე დასწრება, შესაძლოა, ვერ მომხდარიყო, რისი მიზეზიც არ დაუსახელებია.

2020 წლის 5, 6, 9 და 10 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორი დააკვირდა საპარლამენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო

<sup>537</sup> იხ.: განცხადება საგანგებო მდგომარეობის პირობებში საერთო სასამართლოებში პროცესების დახურვისა და სხვა სახის ხარვეზების თაობაზე: <https://bit.ly/2KDEH8m>.

<sup>538</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 აპრილის, #323/1072-03-ო პასუხი ადამიანის უფლებათა ცენტრის 2020 წლის 16 აპრილის განცხადებაზე.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა და საზოგადოების წევრების მიერ გამართულ საპროტესტო აქციაზე დაკავებული 7 პირის სასამართლო პროცესს. სასამართლო სხდომაზე დასწრების მიზნით, მონიტორმა მიმართა საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწეს, რომელმაც თავდაპირველად განაცხადა, რომ COVID-19-ის პრევენციის გამო, მოსამართლე არ იყო თანახმა, მონიტორი დასწრებოდა სასამართლო პროცესს, მაგრამ განმეორებით მიმართვაზე, მოსამართლე დათანხმდა მონიტორის სასამართლო სხდომაზე დასწრებას, რის შემდეგაც დაკავებულ პირთა სხვა სასამართლო სხდომების მონიტორინგიც შეუფერხებლად განხორციელდა.

ცხადია, COVID-19-ის პრევენციაზე მითითება არგუმენტად ვერ გამოდგება, ვინაიდან ორგანიზაციის სასამართლო მონიტორები თბილისის საქალაქო სასამართლოში, პანდემიის პირობებში, დაესწრნენ არაერთ სასამართლო პროცესს. თუმცა, აღსანიშნია, რომ ცალკეულ მოსამართლეთა მხრიდან, ადგილი აქვს არაერთგვაროვან პრაქტიკას. ასევე, ზოგჯერ მოსამართლეები დაუსაბუთებლად აცხადებენ უარს მონიტორთა დასწრებაზე, რის გამოც შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრა, შეძლებენ თუ არა სასამართლო მონიტორები სასამართლო პროცესების მონიტორინგის განხორციელებას. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად სჭირდებათ მრავალჯერადი და ხანგრძლივი კომუნიკაცია სასამართლოს სხვადასხვა უფლებამოსილ პირთან, რაც დამატებით ვადებთან და პრობლემებთანაა დაკავშირებული. ეს კი, სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და მისი შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ელემენტის - სხდომათა საჯაროობის პრინციპის დარღვევას წარმოადგენს.

სახელმწიფოს პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს, უზრუნველყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირის დასწრება სასამართლო პროცესებზე სასამართლო სხდომის დარბაზში (ასეთი გონივრული შესაძლებლობის ფარგლებში) და, ამასთან, უზრუნველყოს ჩართვა დისტანციურად მიმდინარე სხდომებში. ამის საპირისპიროდ ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებისთვის სასამართლო სხდომებზე დასწრება ჯერ კიდევ მნიშვნელოვან პრობლემებთანაა დაკავშირებული.

სასამართლო პროცესის საჯაროობა იცავს პროცესის მხარეებს მართლმსაჯულების ფარული აღსრულებისგან ისე, რომ მასზე საზოგადოების კონტროლი არსებობდეს. გარდა ამისა, ეს სასამართლოებისადმი ნდობის ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. მართლმსაჯულების საჯაროობის უზრუნველყოფა ხელს უწყობს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რეალიზაციას, რაც ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს<sup>539</sup>.

<sup>539</sup> იხ.: საქმეები: 1) Sutter v. Switzerland, § 26; <https://bit.ly/3o5RJKa>; 2) Riepan v. Austria, § 27; <https://bit.ly/2JpnRcE>; 3) Krestovskiy v. Russia, § 24; <https://bit.ly/36dZSqb>.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლოს სხდომების საჯაროობა არ ემსახურება მხოლოდ საზოგადოების ინფორმირებისა და საზოგადოებრივი კონტროლის ინტერესებს. სასამართლოს სხდომების საჯაროდ ჩატარება, სასამართლოს საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა, მათ შორის, სწორედ მისი აქტების საჯარო ხელმისაწვდომობა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანესი უფლებრივი კომპონენტია. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას<sup>540</sup>. ეს უკანასკნელი, გარდა სასამართლო ხელისუფლების კონტროლისა, უზრუნველყოფს საზოგადოების მხრიდან სასამართლოს მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სამართლიანი სასამართლოს უფლების კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები [...] უნდა იწვევდეს სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას საზოგადოების მხრიდან. გამჭვირვალე, სრულყოფილი, ადეკვატური და საკმარისი პროცედურები უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობას, მათ საზოგადოებრივ აღიარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სასამართლოსადმი და, საბოლოო ჯამში, მთლიანად ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის ამღვლელებისა და განმტკიცებისათვის<sup>541</sup>.

## ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის კრძალვა

ადვოკატის ყოლის უფლება არის ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელების ფუნდამენტი, რადგანაც დაცვის ადვოკატი პასუხისმგებელია ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების გულმოდგინე დაცვაზე. ასევე, ადვოკატის ყოლის უფლების მიზანია, დაუპირისპირდეს რესურსების ბუნებრივ უთანასწორობას სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელ სახელწიფოსა და ცალკეულ ბრალდებულს შორის, მისცეს ბრალდებულს კომპეტენტური და დამოუკიდებელი სამართლებრივი წარმომადგენლობის საკუთარი არჩევანის შესაბამისად არჩევის შესაძლებლობა და ამ წარმომადგენელთან სრულყოფილი და კონფიდენციალური კომუნიკაციის თავისუფლების გარანტია<sup>542</sup>. სისხლის სამართლის კონტექსტში, ადვოკატის ყოლის

<sup>540</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი: <https://bit.ly/36bg63h>.

<sup>541</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-59. <https://bit.ly/37fy57L>.

<sup>542</sup> იხ.: ICCPR, მუხლი 14(3)(დ) და ECHR, მუხლი 6(3)(გ). <https://bit.ly/2VazqHr>.

უფლება მოიცავს პირის მიერ არჩეული დამცველის წარმომადგენლობის უფლებისა და მისი ამ უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების გარანტიას, აგრეთვე უფლებით გადასცეს და მიიღოს ადვოკატისგან ინფორმაცია კონფიდენციალურად და ისარგებლოს უფასო ადვოკატის დახმარების უფლებით<sup>543</sup>.

დაცვის ადვოკატთან კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლება, როგორც ასეთი, სიტყვა-სიტყვით არ არის ჩამოყალიბებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში და არც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში. თუმცა, გაეროს ადამიანის უფლებების საბჭო აღიარებს, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათი ითვალისწინებს „ადვოკატისა და კლიენტის პირისპირ შეხვედრის შესაძლებლობას მათი ურთიერთობის სრული კონფიდენციალურობის დაცვით<sup>544</sup>.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადასტურა, რომ ადვოკატთან კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლება წარმოდგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს<sup>545</sup>. თუ სამართლიანი სასამართლოს უფლება უნდა იყოს „პრაქტიკული და ეფექტური“, მაშინ ადვოკატთან კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის პირობები ნამდვილად უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რის გარეშეც დაცვის ადვოკატის დახმარება აზრს კარგავს<sup>546</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის დაკვირვების ქვეშ მყოფი ყველა პროცესი უნდა შეფასდეს თითოეული საქმის კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ვისაუბროთ ისეთ ზოგად ტენდენციებზე, როგორიცაა მაგალითად, მტკიცებულების საქმეზე ეფექტურად წარმოდგენის ან მასზე შედაგების, მონმეთა ჭვარედინი დაკითხვის, კლიენტებისთვის რჩევის მიცემის, კლიენტის ინტერესების დაცვის არაეფექტურობა, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ალბათობაზე მიუთითებდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიმდინარეობისას, ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალურ და პრივილეგირებულ კომუნიკაციაში შეიმჩნეოდა გარკვეული შეფერხებები. დისტანციური სამართალწარმოებისას ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების ცალ-ცალკე ყოფნა, ნეგატიურ გავლენას ახდენდა მათ შორის კონფიდენციალურ და პრივილეგირებულ კომუნიკაციაზე.

<sup>543</sup> იხ.: სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 7, გვ. 138. <https://bit.ly/2HPXqp2>.

<sup>544</sup> იხ.: ზოგადი კომენტარი N.32, ციტატა ნაშრომიდან შენ. 113, 34. <https://bit.ly/2J7aVJ3>.

<sup>545</sup> იხ.: ECtHR-ის შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა ამ მხრივ: 1) ს. შვეიცარიის წინააღმდეგ, ECtHR, 28 ნოემბერი 1991, პარ. 48, <https://bit.ly/2KNIm3G>; 2) კემპბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 25 მარტი 1992, პარ. 46. <https://bit.ly/2KEcJcC>.

<sup>546</sup> იხ.: 1) ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ, ECtHR, 12 მაისი 2005, პარ. 133, <https://bit.ly/39IsDmx>; 2) ხოდორკოვსკი და ლეხედევი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 25 ოქტომბერი 2013, პარ. 627, <https://bit.ly/33rgfOI>; 3) სახნოვსკი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 2 ნოემბერი 2010, პარ. 97, <https://bit.ly/3mfui7>.

იდენტიფიცირებულ იქნა შემთხვევა, როდესაც დისტანციურად მიმდინარე პროცესის დროს ადვოკატმა<sup>547</sup> გამოთქვა სასამართლო სხდომის გადადების სურვილი, რადგან არ იყო უზრუნველყოფილი კლიენტსა და ადვოკატს შორის კონფიდენციალური კომუნიკაცია<sup>548</sup>. უმეტესწილად, უშუალოდ სხდომის მიმდინარეობისას კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ ბრალდებულისთვის მიცემული რჩევები პროცესის ყველა მონაწილეს ესმოდა. შესაბამისად, ბრალდებულებს პროცესის მსვლელობისას არ ჰქონდათ ადვოკატთან პოზიციის შეჯერების შესაძლებლობა, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად შეიძლება იქნას მიჩნეული.

## მონეტა დაკითხვის პრობლემატიკა

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია აყალიბებს ბრალდებულის მიერ მონეტის გამოძახების უფლებას: „ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მონეტების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც ბრალდების მონეტების“<sup>549</sup>. მონეტა დაბარება, უპირველეს ყოვლისა, მხარეების ფუნქციაა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მათი გამოცხადება. მოსამართლეს შეუძლია, გასცეს უწყება მონეტის გამოცხადების შესახებ მხარის შუამდგომლობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონეტ არ გამოცხადდება თავისი სურვილით<sup>550</sup>.

მონეტის გამოძახების უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტურ გარანტიას, რამდენადაც იგი აწონასწორებს პროკურორის პრეროგატივებსა და უფლებამოსილებებს<sup>551</sup>; ამდენად, „მხარეთა თანასწორობის პრინციპის გამოყენებით მონეტა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება უზრუნველყოფს დაცვის ეფექტურობას<sup>552</sup>. ეს გარანტია განმტკიცებულია ბრალდებულისთვის იმ შესაძლებლობის მიცემით, რომ მან ისარგებლოს „იგივე კანონიერი უფლებით მოითხოვოს მონეტა დასწრება და დაკითხვა ან ჯვარედინი დაკითხვა ნებისმიერი იმ მონეტისა, ვისზეც ბრალდების მხარეს ხელი მიუწვდება“<sup>553</sup>.

<sup>547</sup> მაგ., ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მონიტორინგის ანგარიში: 19.05.2020.

<sup>548</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. ბოლოს ნანახია: 04.05.2020.

<sup>549</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31 (4), <https://bit.ly/2VcSHrH>; იხ.: აგრეთვე მუხლი 14(2) სსსკ. <https://bit.ly/3laNZ8F>.

<sup>550</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 149 (1)–(3). <https://bit.ly/3laNZ8F>.

<sup>551</sup> იხ.: სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 7, გვ. 150. <https://bit.ly/2JiObWh>.

<sup>552</sup> იხ.: ზოგადი კომენტარი N.32, ციტატა ნაშრომიდან 113, პარ. 39. <https://bit.ly/37idCiT>.

<sup>553</sup> იქვე.

სამართლიანი სასამართლოს კონცეფციაში დევს, რომ მოსარჩელეს მიეცეს მოწმის განცხადების ან ჩვენების ნებისმიერ ასპექტში შედავების შესაძლებლობა დაპირისპირების ან დაკითხვის დროს<sup>554</sup>.

დისტანციური სასამართლო სხდომების მონიტორინგის დროს, პრობლემას წარმოადგენდა დადგენა, იმყოფებოდნენ თუ არა მოწმეები მართო და იძლეოდნენ თუ არა ჩვენებებს გავლენისგან თავისუფლად. ამ პრობლემის შესახებ ყურადღება სახალხო დამცველმაც გაამახვილა<sup>555</sup>. მოწმეთა დისტანციური დაკითხვის დროს, როგორც წესი, არ ჩანდა მათ წინ (მაგალითად, მაგიდაზე) მდებარე საგნები. პრობლემურია დისტანციურად ჩართული მოწმის ვინაობის დადგენა. ჩვეულებრივ პროცესში დისტანციურად ჩართული მოწმის ვინაობას ადასტურებს დარბაზში მყოფი მხარე. ამასთან, ერთი მოწმე, რომელიც ჯერ არ არის დაკითხული, შეიძლება უსმენდეს მეორე მოწმეს<sup>556</sup>. ასევე, არ არსებობს მოწმესთან ერთად სხვა პირის ყოფნისა და მოწმისთვის ინფორმაციის კარნახის დადასტურების/გამორიცხვის შესაძლებლობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უფლებას ანიჭებს მხარეებს, გამოთქვან უნდობლობა მოწმის მიმართ ჩვენებაში არსებითი წინააღმდეგობის გამო<sup>557</sup>. იმ ზოგადი წესიდან, რომ მოწმემ პირადად უნდა მისცეს ჩვენება სასამართლოს<sup>558</sup>, კოდექსი გამონაკლისის სახით ნებას რთავს მხარეებს, გამოძიების პროცესში მოწმის მიერ გაკეთებული აუდიო ან ვიდეო ჩანაწერების გამოყენების შუამდგომლობა დააყენონ, თუ „მიცემულ ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოწმე აიძულებს, დაემუქრენ, დააშინეს ან მოისყიდეს“<sup>559</sup>.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ზეპირობის პრინციპი, რომელიც მოითხოვს სასამართლოს უშუალო კონტაქტს პირებთან, რომლებიც ჩვენებას იძლევიან პროცესზე, ადგენს, რომ: „ბრალდებული უნდა დაუპირისპირდეს მოწმეს მოსამართლის თანდასწრებით, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას

---

<sup>554</sup> იხ.: საქმე Bricmont v Belgium (ბრიკმონტი ბელგიის წინააღმდეგ) (ECtHR, 7 ივლისი 1989, პარ. 81). <https://bit.ly/3lc1EMx>.

<sup>555</sup> იხ.: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში“. 2020 წელი. <https://bit.ly/2V86wYD>.

<sup>556</sup> ამ პრობლემის თაობაზე ყურადღებას, ასევე, ამახვილებს ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“ ანგარიში „ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის მონიტორინგი“: <https://bit.ly/2Vbc98w>.

<sup>557</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 75 (2) . <https://bit.ly/3laNZ8F>.

<sup>558</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 49 (2)(ა)-(ბ). <https://bit.ly/3laNZ8F>.

<sup>559</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 243(1)-(2). <https://bit.ly/3laNZ8F>.

საქმეზე, რათა შესაძლებელი გახდეს მოწმის ქცევის მანერასა და სანდოობაზე ყურადღებით დაკვირვება“<sup>560</sup>.

## დისტანციურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები

მას შემდეგ, რაც 2020 წლის 22 მაისს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა დროებითი წესი, რომლის მიხედვითაც, პანდემიის ან/და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის არსებობის შემთხვევაში, კანონში მითითებული წინაპირობების დაკმაყოფილებისას სასამართლო სხდომის გამართვა შესაძლებელია დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით, სასამართლო სხდომების დისტანციურმა ხასიათმა ტექნიკური ხასიათის არაერთი განმეორებადი პრობლემა წარმოშვა. სასამართლო და პენიტენციური სისტემა მსგავსი გამონგვეისთვის მზად არ აღმოჩნდა.

**ტექნიკური პრობლემების გამო სხდომების დაწყება ზოგჯერ საათობით გვიანდება<sup>561</sup>, რაც არსებითად უშლის ხელს სასამართლო პროცესის ჩატარებას, რიგ შემთხვევებში კი პროცესების გადადების საფუძველიც ხდება. სასამართლოს სხდომების გადადებას ან გაჭიანურებას იწვევს სხდომის მიმდინარეობისას წარმოქმნილი ვიზუალური და აუდიო პრობლემები, რაც შეიძლება, სხდომის მთელი მიმდინარეობისას იჩენდეს თავს<sup>562</sup>.**

რამდენიმე საქმის სასამართლოს პროცესის მონიტორინგისას მნიშვნელოვან პრობლემად წარმოჩინდა დისტანციურად მხარეებს შორის Webex პროგრამით კომუნიკაციის პრობლემა. თუკი ერთდროულად ორი ან მეტი პირი საუბრობდა, ხმა აღარ ისმოდა და პროცესის მონაწილეებს, მათ შორის - მოსამართლეებსაც, უწევდათ დასმული შეკითხვის გამეორება, რაც აჭიანურებდა და შეუძლებელს ხდიდა სხდომის გაგრძელებას. არაერთხელ დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა სასამართლოს სხდომის მონაწილეების ხმა მეორდებოდა ან/და გაუგებრად ისმოდა. სასამართლო სხდომის დაწყების შემდგომ, ასევე, არაერთი ტექნიკური ხარვეზი იჩენდა თავს. აღნიშნული პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება.

მსგავს პრობლემებზე მიუთითებს სახალხო დამცველის ანგარიშიც, რომლის თანახმად, დისტანციური წესით ჩატარებული სხდომები მნიშვნელოვან გამონგვეად იქცა სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილშიც. სხდომებზე ბრალდებულთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის არ არსებობდა ადვოკატთან კონფიდენციალური

<sup>560</sup> იხ.: საქმე P.K. v. Finland (პ.კ. ფინეთის წინააღმდეგ), ECtHR (გადაწყვეტილება დასაშვებობაზე) 9 ივლისი 2002.

<sup>561</sup> მაგ.: გიორგი ესიაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვის მონიტორინგის ანგარიში: 16.11.2020.

<sup>562</sup> იხ.: აგრეთვე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სპეციალური ანგარიში „მართლმსაჯულება პანდემიის დროს“. 2020 წელი. <https://bit.ly/2DLrsQ0>.

კომუნიკაციის შესაძლებლობა. მოწმეთა დაკითხვის დროს, რიგ შემთხვევებში, სასამართლო ვერ ამოწმებდა მოწმეთა სანდოობას. ტექნიკური ხარვეზების გამო, პრობლემას წარმოადგენდა მოწმეთა თუნდაც ვიზუალური აღქმა ან მათი საუბრის გარჩევა. რამდენიმე პროცესზე დაფიქსირდა თარგმნის ხარისხთან დაკავშირებული ხარვეზი<sup>563</sup>.

დადებითად უნდა შეფასდეს მოსამართლეთა ისეთი პრაქტიკა, როდესაც ეკითხებოდნენ მხარეებს, ესმოდათ თუ არა პროცესის სხვა მონაწილეთა ხმა და ა.შ.

## დასკვნა

საგანგებო მდგომარეობის მექანიზმში სავსაშუალოდ რთული ინსტიტუტია, რომელსაც ზეგავლენა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან ბევრ ფაქტორზე აქვს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ორგანო სრულფასოვნად აანალიზებდეს საკუთარ პასუხისმგებლობას ამ პროცესში. საპარლამენტო ზედამხედველობა არ არის ტვირთი. ის პროცესების ლეგიტიმაციისა და ეფექტიანი მმართველობის წინაპირობაა. შესაბამისად, კანონმდებლობა, თავის მხრივ, უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, პროცესი წარიმართოს ჯანსაღად.

ამასთან, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ელექტრონულ სამართალწარმოებაზე გადასვლა დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან მას აქვს ლოგიკური კავშირი ლეგიტიმურ მიზანთან - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასთან. თუმცა, მეორე მხრივ, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მიმდინარე სასამართლო პროცესები მნიშვნელოვანი გამოწვევაა სასამართლო სისტემისთვის, ვინაიდან, როგორც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე, ასევე მის პერიოდში სხდომების დისტანციურად გამართვამ, ხოლო საქმეთა სასამართლო სხდომის დარბაზებში გამართვის შემთხვევაში, დასწრებაზე დაუსაბუთებლად გაცხადებული უარით, მნიშვნელოვნად შეიზღუდა სხდომათა საჭაროობა, დაირღვა ადვოკატთან კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლება, წარმოიშვა მოწმეთა დაკითხვის პრობლემატიკა, რითიც საფრთხის ქვეშ დადგა მხარეთა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის საკითხი.

აგრეთვე, დღემდე შეუფოთებას იწვევს ცალკეულ მოსამართლეთა პრაქტიკა საზოგადოების საჭარო განხილვებზე დასწრების უფლების შელახვის გამო, რადგანაც საზოგადოება ხშირად ვერ ესწრება საჭარო სხდომებს, სასამართლო დარბაზებში ჩატარების შემთხვევაში, არასაკმარისი სივრცისა და კორონავირუსის ინფექციის პრევენციის გამო, ხოლო დისტანციურად - ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სასამართლო პროცესის ჩატარების დროს, ინფრასტრუქტურული

<sup>563</sup> იხ.: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში“. 2020 წელი. <https://bit.ly/3fD4ur>.



(ტექნიკური) პრობლემებიდან გამომდინარე, გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს სასამართლო პროცესების განრიგის შესახებ არაზუსტი ან არარსებული ინფორმაციის განთავსება.

ამასთანავე, როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პასუხიდან გაირკვა, სასამართლოების პრაქტიკა და საბჭოს მიდგომა ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულყოფილად არ ფლობდა პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციას.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვებისას გამოვლენილი ხარვეზები, შესაძლოა, აშკარად არ არღვევდნენ სამართლიანი სასამართლოს უფლებას თავისთავად, გარკვეული ინდივიდუალური შემთხვევების, ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზებისა და ზოგადად პრობლემატური სასამართლო პრაქტიკის კომბინაცია, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლების სრულ დაცვას საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების კანონმდებლობის შესაბამისად.

## რეკომენდაციები

✓ სასამართლოებმა შეუფერხებლად უზრუნველყონ დისტანციურ სასამართლო პროცესებზე მონიტორებისა და დაინტერესებული პირების ჩართვა;

✓ საგანგებო მდგომარეობისა და პანდემიის პერიოდში, უზრუნველყოფილი იქნას სასამართლო პროცესების საჭაროობა, რათა არ დაირღვეს პირის კონსტიტუციური უფლება, ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებით;

✓ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოსცეს რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობითაც მოხერხდება სასამართლო პროცესებზე მონიტორთა და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა, რითაც, იმავდროულად, დაცული იქნება პროცესის მონაწილეთა ინტერესები;

✓ დისტანციური სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატის და კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაცვა;

✓ სასამართლოები უზრუნველყოფილი იქნას გამართული ტექნიკური საშუალებებითა და ელექტრონული სამართალწარმოებისათვის საჭირო ეფექტური პროგრამებით;

✓ ადვოკატთან კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის, ამასთანავე, როდესაც მხარე დააპირებს განცხადების გაკეთებას, გაღებულ იქნას ყველა ძალისხმევა წინასწარ პატიმრობაში მყოფ და გირაოთი გამოშვებულ ბრალდებულებს შორის არსებული

უთანასწორობის დასაბალანსებლად. სწორედ ამიტომ, მოსამართლეებმა უნდა გამოამყვანონ უფრო აქტიური დამოკიდებულება დამცველებსა და ბრალდებულებს შორის კონსულტაციებისთვის შესაფერისი პირობების უზრუნველსაყოფად;

✓ ადვოკატებმა მყისიერად უნდა აცნობონ სასამართლოს კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლების განხორციელებისათვის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ;

✓ სასამართლო და მხარეები მაქსიმალურად შეეცადონ, რომ არსებითი განხილვის სხდომები ჩატარდეს სასამართლოს დარბაზში.